

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები

II

ანბანურ-ანონიმური პატერიკები

ბეჰსტი გამოსაცემად მოამზადა შ ა ნ ა ნ ა ლ ვ ა ლ შ ა



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1974

ქველი ქართული მწერლობა მდიდარია აპოფთეგმური ხასიათის კრებულების თარგმანებით. ამ თარგმანებმა დიდად შეუწყო ხელი ბელეტრისტული ქანრის განვითარებას ქართულ მწერლობაში. 1966 წელს გამოიცა შუა საუკუნეთა ნოველების ქველი ქართული თარგმანების I წიგნი, რომელიც შეიცავდა აპოფთეგმების თემატური კოლექციის ექვთიმე მთაწმიდლისეულ თარგმანს. II ტომში კი ქვეყნდება აპოფთეგმების ანბანურ-ანონიმური კოლექციის უძველესი თარგმანი, მომზადებული X — XI სს. სამი ხელნაწერის მიხედვით.

ქართულ აპოფთეგმურ კრებულებს შედგენილობისა და სიკვლის გამო დიდი მეცნიერული ღირებულება აქვთ. მათი გამოქვეყნება დიდად შეუწყობს ხელს ამ ქანრის განვითარების შესწავლას როგორც ქართულ, ასევე ბიზანტიურ მწერლობაში.

70202
M 607(03)—74

94—74

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1974

წინასიტყვაობა

ანბანურ-ანონიმური პატერიკები გამოსაცემად მომზადდა X—XI სს. სამი ნუსხის მიხედვით:

Ath — 12 — XI ს. (ათონური ხელნაწერი, ლიტერი — A)

Sin — 35 — X ს. (სინური ხელნაწერი, ლიტერი — B)

Sin — 8 — XI ს. (სინური ხელნაწერი, ლიტერი — C).

წინამდებარე გამოცემაში მამათა თხრობების ტექსტები სამ ნაწილად არის წარმოდგენილი. ტექსტის ძირითადი I ნაწილი უკავია ანბანურ პატერიკს Ath—12 (გვ. 8—254). A ხელნაწერის ნაკლები ადგილები სათანადო მითითებით შეივსო B და C ხელნაწერების მასალით. იმავე ხელნაწერებით საერთო თხრობებს გაუკეთდა ვარიანტები. A ხელნაწერი იწყება არსენის და მთავრდება კომის თხრობებით.

ანბანური პატერიკების შედგენილობა მისი სტრუქტურის სპეციფიკის გამო დროთა ვითარებაში დიდ ცვლილებებს განიცდიდა. ავტორთა ანბანური რიგი ბერძნულ და ქართულ ხელნაწერებში ხშირად ირღვეოდა. ხელნაწერებში სტაბილური არ არის თხრობათა რიგიც თითოეული ავტორის ფარგლებში.

წინამდებარე გამოცემაში ავტორთა ანბანური რიგი და თითოეულ ავტორთან თხრობათა თანამიმდევრობა მისდევს ძირითად (A) ხელნაწერისას.

გამოცემაში თითოეული ავტორის თხრობები ცალცალკეა დაწმარტილი. ამასთანავე თითოეულ თხრობას მიწერილი აქვს ბერძნული შესატყვისის თხრობის ნომერი Migne-ს გამოცემის მიხედვით (Migne, P. G. t. 65, p. 71—440). ანბანურ პატერიკში კვადრატულ კავებში ჩაწერილი ავტორები აღდგენილია Migne-ს ამავე გამოცემის მიხედვით.

ის ავტორები, რომლებიც არ დასტურდებიან A ხელნაწერსა და ბერძნულ გამოცემაში, და გვაქვს კი B და C ხელნაწერებში, ანბანური პატერიკის ძირითად (I) ტექსტში არ ჩაგვირთავს. ეს მასალა, ანონიმურ თხრობებთან ერთად, გამოცემაში ცალკე, II ნაწილად არის შესული (გვ. 255—295). ანონიმურ თხრობათა ტექსტს საფუძვლად დაედო C ხელნაწერი, როგორც უფრო სრული. B ხელნაწერის ის თხრობები, რომლებსაც არ დაეძებნათ შესატყვისები

C ხელნაწერში, გამოცემაში გადავიტანეთ ცალკე III ნაწილად (დანართი, გვ. 296—303).

პატერიკების სამივე ნაწილის ტექსტების საფუძვლად აღებულია ძირითადი ხელნაწერი, რომლის ორთოგრაფიასაც ვიცავთ გამოცემაში. დანარჩენი ხელნაწერების ვარიანტებით ტექსტში ვასწორებთ მხოლოდ აშკარა ლაფსუსებს. საკუთარი სახელები ერთი ხელნაწერის ფარგლებში ზოგჯერ განსხვავებული დაწერილობით არის წარმოდგენილი. ამ შემთხვევაშიც ხელნაწერის წაკითხვები არ სწორდება. C ნუსხაში ქარაგმებს ვხსნით ამ ხელნაწერის თავისებური ორთოგრაფიის დაცვით.

ტექსტების სქოლიოებში არ აისახა ხელნაწერების ზოგიერთი თავისებურება, რომელთაც სისტემატური ხასიათი აქვს: Sin—35 ხელნაწერში ჰ რ ქ უ ა, როგორც წესი, რ ქ უ ა-ს სახით გვხვდება. ამავე ხელნაწერში უ-ს ნაცვლად ჩვეულებრივია ვ-ს ხმაურება, მაგ., თვალთა, მივგო.

გამოცემას ერთვის ლექსიკონი, მთხრობელთა ანბანური საძიებელი, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი.

ქართული ანბანური პატერიკის ტექსტი ბერძნულ გამოცემას შეადარა და ცხრილი ქართულ-ბერძნულ შესატყვის თხრობათა და იმ თხრობათა, რომელნიც ვერ დაიძებნა ბერძნულში, შეადგინა ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა მ ა ნ ა ნ ა მ ა ჩ ხ ა ნ ე ლ მ ა .

ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა

Alh—12 (ლიტერი A) 235 ფ.; ეტრატი, ნუსხური; ფურცლის ზომა 27×19; ტექსტის ზომა 280×18,5; თავ-ბოლონაკლული, აკლია შიგნითაც. იწყება მეორე რვეულის ბოლო ფურცლით. ხელნაწერი სწორად არ არის პავინირებული. X—XI სს. შეიკავს ანბანურ პატერიკს. ტექსტი იწყება არსენით, მთავრდება ქომეს თხრობებით (1r—235v). ტექსტი დაწერილია ორი სხვადასხვა ხელით, პირველი ნაწილი (1r—210v) გადაწერილია სვიმეონის ხელით: „დიდებაჲ ღმერთსა. დაესრულა ესე ნაკუთი კელითა ჩემ გლახაკისა ს ვ მ ე ო ნ ი ს ი თ ა. შრომისათვის ლოცვა ყავთ და ცთომისათვის შენდობაჲ. წმიდაო მამაო, თუ რაჲ დაკლებაჲ იყოს, შემინდევთ, ანუ დედისაგან არს, ანუ ეტრატისაგან. თუ არა, მე ჩემდად ხარკებაჲ არა დამიკლია“. მეორე ნაწილის გადაწერი არ ჩანს.

ხელნაწერთა აღწერილობა გამოქვეყნებულია, იხ.: R. P. Blake, *Catalogue des manuscrits d'Iviron au mont Athos*, Paris, 1931—1934, *Extrait de la Revue de L'Orient chretien*, 3^e Série, t. VIII (XXVIII), № 3—4, p. 67. *Агиографические материалы по грузинским рукописям Иверы*. ЗВСИРАО, т. 13 (1900). СПб. 1901, fasc 2—3, стр. 16.

Sin—35 (ლიტერი B). 320 ფ.; ეტრატი; ასომთავრული; ფურცლის ზომა 34×27; ტექსტის ზომა 26×21. მე-10 ს. შეიცავს ასკეტიკური ხასიათის თხზულებებს. აპოფთეგმებს უკავია ხელნაწერის 275—320 ფ. ფ. საკუთრივ ანბანური აპოფთეგმები იწყება ანტონის თხრობით. მთავრდება ორის თხრობით (275v—307r). ამას მოსდევს არაანბანური რიგით განლაგებული თხრობები, ანონიმური თხრობები და ასკეტიკური ხასიათის ტექსტები შემდეგი თანმიმდევრობით: კლემენტოსის, კომასისის, ანონიმური თხრობები გულის-სიტყუათათვის სიძვისათა, ევსუქის, ბასილის, დიადოხოსის, კლემაქსის, ისაკის, ესაიას, კლემაქსის. მაქსიმოსის, ბასილის, გრიგოლის, ბარსანუფის, მაქსიმოსის, ანონიმური, კლემაქსის, ეფრემის, ანონიმური, მოსესი, ამპარტავნებისათვის, სიტყვანი სუქესტისნი.

ხელნაწერის ვრცელი აღწერილობა გამოქვეყნებულია: იხ. G. Garitte, *Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinai*, Louvain, 1956.

Sin—8 (ლიტერი C). 149 ფ.; ეტრატი; ნუსხური; ფურცლის ზომა 27×19; ტექსტის ზომა 20×13,5; თავნაკლული; XI ს.; შეიცავს ანბანური რიგით განლაგებულ თხრობებს, ანონიმურ თხრობებს, არაანბანურ თხრობებსა და სამონასტრო ისტორიებს. ანბანური თხრობები იწყება იოვანე სპარსით, მთავრდება ორის აპოფთეგმებით. ამას მოსდევს ავტორიანი და უავტორო თხრობები შემდეგი თანმიმდევრობით: კლემენტოსის, კომასისის, ანონიმური, თხრობები დაყუდებულთა დიდთა ბერთა ათორმეტთა, ევსუქის, საბანელის, ბასილის, დიადოხოსის, კლემაქსის, ისაკის, ესაფას, კლემაქსის, ბარსანუფის, მაქსიმოსის, კლემაქსის, ანონიმური.

ხელნაწერის სრული აღწერილობა გამოქვეყნებულია: იხ.: G. Garitte, *Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinai*, Louvain, 1956.

ПРЕДИСЛОВИЕ

Серия азбучных и анонимных патериков подготовлена к изданию по трем спискам X—XI веков:

Ath—12—XI в. (афонская рукопись, литер—А)

Sin—35—X в. (синаянская рукопись, литер—В)

Sin—8—XI в. (синаянская рукопись, литер—С)

В настоящем издании апофтегматические тексты представлены в трех частях. Первая и основная часть книги содержит азбучный патерик (стр. 8—254). Текст патерика издается по рукописи Ath—12. Лакуны основного текста (А) восполняются данными рукописей В и С. По этим же рукописям приводятся различия апофтегм к общим для всех трех списков изречений.

Рукопись Ath—12 начинается изречениями Арсения, текст замыкает изречения Комы.

Состав и последовательность материала азбучно-анонимных патериков, ввиду специфики их структуры, с течением времени претерпели большие изменения. Как в грузинских, так и в греческих рукописях часто менялся алфавитный порядок авторов (св. отцов). Менялась также и последовательность изречений.

В данной публикации алфавитный порядок и последовательность изречений дается согласно основной рукописи (А) изречения нумерованы, причем каждый из них имеет указание на номер соответствующего греческого текста по изданию Минья (Migne, P. G. t. 65, p. 71—440).

Отсутствующие в грузинском тексте имена авторов, восстановленные по греческому оригиналу, даются в квадратных скобках.

В основную часть текста не включены изречения тех авторов, которые засвидетельствованы в анонимной части рукописей ВС, но отсутствуют как в греческом издании, так и в тексте рукописи А. Имена этих авторов, наряду с анонимными изречениями, вошли во вторую часть книги (стр. 255—295).

В основу анонимного текста взята наиболее полная рукопись Sin—8 (л. С.).

Апофтегмы, не имеющие своих параллелей в рукописи С, выделены в отдельную группу, составляющую третью часть книги (приложение, стр. 296—303).

К книге прилагается словарь, алфавитный указатель св. отцов (авторов изречений) и указатели личных и географических имен.

Грузинский текст азбучного патерика с греческим оригиналом сравнила и таблицы греческо-грузинских параллельных изречений составила сотрудник Института рукописей М. М а ч х а н е л и.

КРАТКОЕ ОПИСАНИЕ РУКОПИСЕЙ

Ath—12 (литера А), 235 л.; пергамен, «нусхури», размер бумаги 27×19; размер текста 280×18,5; дефектный список; X—XI в.в.; состоит из азбучного патерика; текст писан двумя разными почерками. I часть текста переписана Симеоном (1 г—210 в); переписчик II части неизвестен.

Описание этой рукописи опубликовано, см.:

1) R. P. Blake. Catalogue des manuscrits d'Iviron au mont Athos, Paris, 1931 — 1934. Extrait de la Revue de L'Orient chretien, 3^e Série, t. VIII (XXVIII), № 3—4, p. 67.

2) Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера. ЗВОИРАО, т. 13(1900). СПб. 1901, стр. 16.

Sin—35 (литера В), 320 л.; пергамен, «мргловани», размер бумаги 34×27; размер текста 26×21; X в. Список представляет собой сборник аскетических сочинений. Изречения занимают листы 275—320. Собственно алфавитная часть изречений начинается рассказами Антония и заканчивается изречениями отца Ора (275 в—307 г).

Далее следуют анонимные апофтегмы и тексты аскетического содержания.

Описание этой рукописи опубликовано, см.: G. Garritte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinaï, Louvain, 1956.

Sin—8 (литера С), 149 л.; пергамен, «нусхури», размер бумаги 27×19; размер текста 20×13,5; отсутствует начало; XI в. Состоит из азбучных, анонимных апофтегм и душеполезных историй. Азбучные изречения начинаются апофтегмами Иоанна Перса и кончаются изречениями Ора. Затем следуют изречения св. отцов и анонимные апофтегмы. Описание этой рукописи опубликовано: G. Garritte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinaï, Louvain, 1956.

I ანბანური პატერიკი

B [275] სწავლანი მამათა სკიტელთანი ბაგოკრეზილნი და
მაგისა ანტონისნი*

1. ჰკითხა ვინმე მამასა ანტონის და ჰრქუა: რაჲ დავიმარხო და
5 ვცხონდე? მიუგო ბერმან და ჰრქუა მას: რომელი გამცნო, დაიმარ-
ხე: ვიდრეცა ხვდოდი, ღმერთი გაქუნდინ თუალთა წინაშე მარა-
დის, და რასაცა იქმოდის საქმესა, გაქუნდინ საღმრთოთაგან წიგნთა
[v] წამებაჲ და რომელსა ადგილსა შჯდე, ადრე ნუ აღიძრვი, არა-
მედ დაადგერ ადგილსა მას. სამი ესე დაიმარხე და სცხონდე. M₃

10 2. თქუა მამამან პიმენ, ვითარმედ: ნეტარმან მამამან ანტონი
თქუა, რამეთუ ესე არს დიდი საქმარი კაცისაჲ, რაჲთა ბრალი თვისი
თავსა თვისსა ზედა-დაიკრიბოს წინაშე ღმრთისა და მოელოდის გან-
საცდელთა ვიდრე სულისა აღმოსვლადმდე. M₄

3. ჰკითხა მამამან პანბო მამასა ანტონის და რქუა: რაჲ ვყო?
15 ჰრქუა მას ბერმან: ნუ ხარ მოსავ სიმართლესა შენსა, ნუცამცა ინა-
ნი საქმესა ზედა წარსრულსა და ეკრძაღე ენასა და მუცელსა. M₆

4. თქუა მამამან ანტონი, ვითარმედ: ვიხილენ ყოველნი საფრ-
კენი მტერისანი, განმარტებულნი ქუეყანასა ზედა, და სულთ-ვით-
ქუენ და ვთქუ: ვინ-მე თანა წარჰკდეს ამათ? და მრქუა მე: სიმდაბ-
20 ლჷ თანა-წარჰვლით მაგათ და არცაღა შეეხებინ მას. M₇

5. მერმე თქუა: არიან ვიეთნიმე, თუალთა შეიკაფნეს კორცნი
თვისნი მონაზონებასა და რამეთუ არა პოვეს განკითხვაჲ, და განე-
შორნეს საღმრთოჲსა მისგან გზისა. M₈

* AC ხელნაწერები თავნაკლულია. 1. — AC. 2. — AC. 3. — AC.
4. — AC. 5. — AC.

6. მერმე თქუა: მოყუსისაგან არს ცხორებაჲ და სიკუდილი. უკუეთუ შევიძინოთ ძმაჲ, ღმერთი შევიძინოთ. უკუეთუ დავაბრკოლოთ ძმაჲ, ქრისტეს მიმართ ვცოდავთ. M₉

7. მერმე თქუა ბერმან: ვითარცა თევზი რაჲ გამოკდის წყლისაგან და მოკუდის, ეგრეცა მონაზონმან, უკუეთუ ყოვნოს გარეშე სენაკსა თვისსა. M₁₀

8. იტყოდა მამაჲ ნეტარი ანტონი, ვითარმედ: რომელი ზინ უდაბნოსა გარე, სამისა ბრალისაგან თავისუფალ იქმნის: სმენისაგან და ხედვისა და სიტყვისაგან, გარნა ერთი ხოლო აქუნ გულის-სიტუათა მიმართ. M₁₁

10

9. ძმამან ვინმე ჰრქუა მამასა ანტონის: ლოცვა ყავ ჩემთვის, ხოლო მან ჰრქუა მას: არცა მე შეგიწყალო. არცა ღმერთმან, უკუეთუ არა თავით შენით ისწრაფდე და ითხოვდე მისგან. M₁₆

10. თქუა მამამან ანტონი, ვითარმედ: მოვალს ჟამი, რომელსა შინა კაცნი ბორგდენ და ოდესჲ იხილონ რომელნი არა ბორგდენ, აღდგენ და ეტყოდინ, ვითარმედ ბორგდით ამისთვის, რამეთუ არა მსგავს მათა ეყოს. M₂₅

15

11. თქუა მამამან ანტონი: ვიცი მონაზონნი, რომელნი მრავლით ჟამით შემდგომად [276] დაეცნეს და გონებაჲ მიელო ამისთვის, რამეთუ საქმეთა თვისთა ესვიდეს, ვითარმედ სათნო არიან ღმრთისა და შეურაცხვეს მცნებაჲ იგი. ვითარმედ ჰკითხე მამასა შენსა, გითხრას შენ და მოხუცებულთა შენთა გაუწყონ შენ. M₃₇

20

12. მერმე თქუა: უკუეთუმცა შესაძლებელ იყო, რავდენგზის ფერკი წარდგას, გინა რავდენი ნაწუეთი წყლისაჲ სუას ძმამან სენაკსა შინა, უთხრისმცა ბერთა, უკუეთუ ნანდვილვე არა სცთების მას შინა. M₃₈

25

13. მერმე თქუა: მე არღარა მეშინის ღმრთისა, არამედ მიყუარს, რამეთუ სიყუარულმან გარე განდევნის შიში. M₃₂

14. მერმე თქუა: ძმამან პოვა ადგილი, უდაბნოსა გარე, განყენებული ფრიად, და ევედრა ძმასა თვისსა, რაჟამცა უბრძანა და რქუა მას: ვესავ ღმერთსა და ლოცვასა შენსა, რამეთუ შრომაჲ ვყო ფრიად. და არა განუტევა იგი, არამედ რქუა მას: ვიცი ქვემარტად. რამეთუ ფრიად დაშურე, არამედ ამისთვის, რამეთუ ბერნი არავინ გაქუნდეს, ვისმცა უთხარა შრომაჲ შენი, უკუეთუ სათნო არს ღმერთისა და ყოლადვე-ლა ესვიდე თავსა შენსა, რამეთუ საქმე მონაზონებისაჲ მიქმნიესო_ და წარიწყმიდო საქმეცა და გონებაჲცა.

15. მერმე თქუა: უკუეთუ მონაზონი მცირეთა დღეთა შურე-ბოდის და მერმე დაჯსდეს და უდებ იყოს, ესევეთარი არარას იქმს, ვერცა მოიპოოს მოთმინებაჲ. მერმე თქუა: არასადა კეთილ არს კაცისა, დაღათუ უნდეს კეთილის ყოფის, უკუეთუ არა ღმერთმან დაიმკვდროს მის შორის, რამეთუ არავინ არს სახიერ, გარნა მხოლოჲ ღმერთი. მერმე თქუა: პირველნი იგი მამანი განვიდეს უდაბნოდ, განიკურნეს და მკურნალ იქმნეს. და მოიქცეს და სხუათა კურნებდეს, ხოლო ჩუენგანი თუ ვინმე განვიდის, ვიდრე თავისა კურნებადმდე, სხუათაჲ ჰნებავენ კურნებაჲ და ესრეჲთ კუალად-იქცის საღმობაჲ იგი და იქმნის უკუანაჲსკნელი იგი უძკრესს პირველისა. ამისთვის. მკურნალო, პირველად განიკურნე თავი შენი.

20

[მამისა არსენისთვის]

A [1] 1. ... იგი შეუფერდა ფერკთა მისთა და ჰრქუა: გევედრები, ნუ განხეტქ მავას, უკუეთუ არა, მე თავი მომეკუეთების.

თქუა მამამან არსენი: მე უწინარეს მისსა მოვკუედ, ხოლო იგი აწლა მოკულა. და მიუძღუანა იგი კუალადვე და არარაჲ დაიყენა მისგანი.

25

მერმე კუალად იტყოდა მამაჲ დანიელ, ვითარმედ: ეგოდენი ჟამი დაყო ჩუენ თანა და ვერ შეუძლეთ, ვითარმცა შევიპყართ სახე იგი ცხორებისა მისისაჲ. მწუხრი შაბათსა, რომელი განთენებინ კვრიაჲდ, დაუტევის მზე ზურგით კერძო მისსა და განიპყრის ჯელნი თვისნი ზეცად და ილოცავს, ვიდრემდის აღმოჰქდის კუალად პირით კერძო მისა.

30

В [276] 2. მამაჲ არსენი ვიდრე იყო-ლა სამეუფოსა შინა, ილოცა ღმრთისა მიმართ და თქუა: უფალო, მიძელუ მე, ვიდრე ვცხონდე. მოიწია მისა კმაჲ და რქუა მას: არსენი, ივლტოდე კაცთაგან და სცხონდე. და ვითარ გამოვიდა იგი სოფლით და მონაზონ იქმნა, კუ- 5
ალად ილოცა [V] ღმრთისა მიმართ და იგივე სიტყუაჲ თქუა. და ესმა კმაჲ, რომელმან რქუა მას: არსენი, ივლტოდე და დუმენ და დაყუდენ, რამეთუ ეგე არიან ძირნი შეუცოდებელობისანი. M₁

ჟ. ძმამან ჰკითხა ოდესმე მამასა არსენის, რაჲთამცა ესმა მის-
გან სიტყუაჲ. და რქუა მას ბერმან: რავდენ ძალ-გიც შურებოდე. 10
რაჲთა შინაგანმან საქმემან შენმან სძლოს ვნებათა მათ გარეშეთა. M₉

4. მერმე თქუა: უკუეთუ ვეძიებდეთ ღმერთსა, გამოგუეცხა-
ლოს ჩუენ, და თუ ვეკრძალნეთ. დაადგრეს ჩუენ თანა. M₁₀

თქუა მამამან არსენი, ვითარმედ: უცხოჲ მონაზონი უცხო-
სა სოფელსა ნურას განაგებს და განისუენოს. M₁₂ 15

6. თქუა მამამან არსენი. ვითარმედ: კმა არს მონაზონისათჳს
უანიცა ერთი ძილისათჳს. უკუეთუ იყოს მოღუაწჳ. M₁₅

ჰკითხა მამამან მარკოზ მამასა არსენის და რქუა: კეთილ არ-
სა კაცისა, უკუეთუ არაჲ აქუნდეს სენაკსა შინა ნუგეშინის-საცემელი 20
რაჲმე? რამეთუ ვიცი ძმაჲ, რომელსა აქუნდა მცირედ მხალი და იგიცა და-ვე-ფხურა. ჰრქუა მას მამამან არსენი: კეთილ არს, არამედ ვითარ ძალ-ედვას კაცსა, უკუეთუ ვერ შემძლებელ იყოს იგი, ვი-
თარ მან სხუაჲ დაასხას. M₂₂

8. მოვიდა ოდესმე იგივე მამაჲ არსენი ერთსა ადგილსა. და იყო
მუნ ლერწამი და შეირყია ქარისაგან. რქუა ბერმან ძმათა მათ: რაჲ 25
არს ძრვაჲ ესე? ხოლო მათ რქუეს მას: ლერწმისაჲ არს კმაჲ ეგე.
ვეშმარიტად, უკუეთუ ვინმე ჯდეს დაყუდებულად და ესმეს სირი-
საცა კმაჲ, არა აქუნდეს იგივე დაყუდებაჲ, რავდენ უფროჲს თქუენ
ესოდენი ესე ძრვაჲ ლერწმისაჲ მაგის გესმის. M₂₅

o A [1] 9. იტყოდეს მამისა არსენისთვის და მამისა თევდორესთვის, რომელი იყო ფერმელ¹, ვითარმედ ყოველთა უმეტეს² სძულდა კაცთა დიდებაჲ. და მამაჲ არსენი შე-ვე არავის ემთხვის, ხოლო მამაჲ თევდორე შეემთხვის, არამედ ვითარცა კრძალი იყო. M₃₁

r 5 10. ჯდა მამაჲ არსენი ქუემო კერძობსა მას სანახებსა და ვითარ არა უტევებდეს მას დაყულებად, განიზრახა, რაჲთამცა დაუტევა სენაკი იგი. [v] და არარაჲ გამოილო მუნით და ეგრეთ მივიდა მსახურთა მისთა თანა ფარანელთა, ალექსანდრესა და ზოილესა. და ალექსანდრეს ჰრქუა: აღდეგ და წარმიმართე ნავითა. და ყო ეგრე. და ზოილეს ჰრქუა: მოვედ ჩემ თანა, ვიდრე მდინარისა კიდემდე და მიძიე ნავი, რომელი მივიდოდის ალექსანდრიად კერძო და შენ მივედ ძმისავე შენისა. ხოლო ზოილე შეწუხნა სიტყუასა მას ზედა და ღუმნა. და ესრეთ ურთიერთას განეშორნეს. და შთავიდა ბერი ალექსანდრიადჲთ კერძო და დასწეულდა სწეულეებითა დიდითა.

15 ხოლო მსახურნი იგი იტყოდეს ურთიერთას: შე-მე ვინ სადა-აწუხა ჩუენგანმან ბერი და მისთვის განგუეშორა ჩუენგან? და არარაჲ პოცეს თავთა შინა მათთა, გინა ვითარმცა ურჩ სადამე ქმნილ იყვნეს მისდა. და ვითარ განმრთელდა ბერი, თქუა: მივიდე ძმათა მათ ჩემთა თანა. და ესრეთ აღვლო ნავითა და მოვიდა კლდესა მას, სადა-იგი

20 მსახურნი მისნი იყვნეს. და ვითარ იყო მდინარის კიდესა მას, მკვევალმან ვინმე ჰინდომან შეახო ხალენსა მისსა, [2] ხოლო ბერი შეპრისხნა მას, ხოლო მკვევალმან მან ჰრქუა მას: უკუეთუ მონაზონი ხარ, ივლტოდე მთად. ხოლო ბერსა შეუტდა სიტყუაჲ იგი გულსა და იტყოდა: არსენი, უკუეთუ, მონაზონი ხარ, ივლტოდე მთად. და

25 ამას ზედა მოემთხვენეს მას ალექსანდრე და ზოილე და ვითარ შეუვრდეს იგინი ფერკთა მისთა, დავარდა ბერიცა იგი და იტყოდეს ერთბამად. ჰრქუა მათ ბერმან: არა გესმაა, რამეთუ დავსწეულდი? და მათ ჰრქუეს: ჰე. და ჰრქუა მათ: რაჲსათვის არა მოხუედით კიოხვად? ჰრქუა მამამან ალექსანდრე: განშორებაჲ შენი ჩუენგან არა

30 ნეფსით იყო. და მრავალთა ესმა და დაბრკოლდეს, და თქუეს: უკუეთუმცა არა ურჩ სადამე ქმნილ იყვნეს ბერსა, არამცა წარსრულ იყო მათგან. ჰრქუა მათ: მეცა ვცან, რამეთუ კულად თქუან კაცთა, ვითარმედ ტრედმან არა პოა განსასასუენებელი თვისი და მოიქცა ნოესსავე კიდობნად. და ესრეთ განიკურნნეს და დაადგრეს

35 მის თანა ვიდრე აღსრულებადმდე მისსა. M₃₂

9. B : 276v; — C. ¹ ფერმელ B. ² უმეტეს B.

10. — BC.

11. იტყოდა მამად დანიელ, ვითარმედ: მითხრობდა ჩუენ მამად არსენი, რამეთუ იყო ვინმე ბერთა მათგანი, [v] რომელი ჯდა სე-
 ნაკსა¹ შინა და ესმა კმაჲ, რომელი ეტყოდა მას, ვითარმედ: გამო-
 ვედ გარე და გიჩუენნე შენ საქმენი კაცთანი. და ვითარ გამოიყვა-
 ნა² იგი გარე, აღგილსა ერთსა, და უჩუენა მას კაცი, რომელი დგა 5
 და აღმოასხმიდა³ წყალსა ჯურღმულისაგან და შთაასხმიდა ისარნა-
 სა გამდინარესა⁴ და შთავიდოდა⁵ წყალი იგი მუნვე ჯურღმულად.
 და წარიყვანა მცირედ და უჩუენა მას ჰინდოჲ ერთი, რომელი კაფ-
 და შეშასა. და შეკრის ტვრთი დიდი და ეცადის, რაჲთამცა წარმოი-
 კიდა და ვერ წარმოიკიდის. და წარვიდის და კუალად სხუად კაფის⁶ 10
 და დაურთის ტვრთსა მას ზედა, და მრავალ ჟამ ჰყოფდა ამან და
 დართვიდა ტვრთსავე მას ზედა. და მცირედ წარვლო და მოვიდა
 ბჳეთა ქალაქისათა. და აჰა ესერა ორნი ცხენითა ამკედრებულნი
 მოვიდოდეს⁷ და ზე ეკიდა შინაგანით ძელი და უნდა, რაჲთამცა შე-
 ვიდეს ქალაქად და არა უტევებდა მათ ძელი იგი, რამეთუ შიგნით⁸ 15
 ეკიდა. და ერთმანერთსა თავი არა დაუმდაბლეს, რაჲთამცა [3]
 უკუანა შეუდგა. და დაადგრეს ორნივე გარეშე ქალაქსა. და ჰრქუა
 მას: ესენი არიან, რომელთა ხედავ, რომელ თანა უტვრთავს უღელი
 ამჰარტავანებოსაჲ. და არა დამდაბლდეს, რაჲთამცა წარჰმართენა⁹
 თავნი თვისნი და შეუდგეს მდაბლსა გზასა ქრისტესსა, და დარჩეს 20
 გარეშე სასუფეველსა ღმრთისაჲ. და რომელი-იგი შეშასა კაფდა,
 კაცი არს, რომელი მრავალთა ცოდვათა შინა არს და შენანებისა
 წილ სხუათა ცოდვათა იქმნ და დაირთავნ ცოდვათა ზედა ცოდვასა.
 და რომელი-იგი წყალსა აღმოასხმიდა¹⁰, საქმესა კეთილსა იქმს,
 არამედ იგიცა კაცივე არს, რომელი მოწყალეებასა იქმს, არამედ 25
 სხვსა მონახუეჳითა იქმს, და ბოროტისა¹¹ მის¹² საქმითა განირყუნა
 მცირედი კეთილი. ჯერ-არს უკუე კაცისა, რაჲთა ფრთხილ იყოს
 საქმეთა შინა თვისთა, რაჲთა არა ცუდად შურებოდის. M₃₃

12. მანვე თქუა, ვითარმედ: მიმიწოდა ოდესმე ერთსა შინა
 დღესა ნეტარმან არსენი და მრქუა მე: განუსუენე მამასა შენსა, 30
 რაჲთა ოდეს მივიდეს წინაშე უფლისა, [v] ევედროს შენთვის და
 კეთილი გეყოს შენ. M₃₃

11. B : 276v;— C. 1+ მას B. ² გამოვიდა B. ³ აღმოსხმიდა B. ⁴ განმდინარესა
 B. ⁵ შთადიოდა B. ⁶ ~ სხუად კაფის კუალად B. ⁷ მოვიდეს B. ⁸ შინაგან-თ B.
⁹ წარმართენ B. ¹⁰ აღმოსხმიდა B. ¹¹ ბოროტითა B. ¹² მით B.

13. იტყოდეს ნეტარისა არსენითვს, ვითარმედ: დასნეულდა ოდესმე სკიტეს. და მივიდა ხუცესი და მოიყვანა იგი ეკლესიად და შიამწინა იგი ლოგინსა ზედა და მცირე^მ სასთაული დაუდგა სასთუნალ. და აჰა ბერთაგანი ვინმე მივიდა ხილვად მისა, და ვითარ იხილა იგი ლოგინსა მას ზედა და მცირე^მ იგი სასთაული სასთუნალ მისა, დაბრკოლდა ბერი იგი და თქუა: ესე იგი არსა მამაა არსენი და ესე ვითარსა ზედა წევს? ხოლო ხუცესმან მიიყვანა იგი და ჰრქუა მას: რაჲ საქმე გეპყრას^ს შენ დაბასა შინა და ვითარ სცხონდებოდე? ზოლო მან ჰრქუა მას: მრავლითა შრომითა ვცხონდებოდე. და ჰრქუა მას: აწ ვითარ იყოფვი სენაკსა შინა შენსა? ხოლო მან ჰრქუა: აწ უკეთე განვისვენებ. მაშინ ჰრქუა მას ბერმან: ხედავა ამას მამასა არსენის? მეფეთა მამაა იყო, სოფელსა შინა-ლა იყო. და ათასი მონაჲ ესუა, რომელთა სარტყელი ოქროჲსაჲ ერტყა. და მანიაკი ოქროჲსაჲ ყელსა აცუნ და დებაგითა მოსილნი დგანედ წინაშე მისსა [4] და დიდად პატიოსანი სამოსელი ჰქოსიენ მაგას. ხოლო შენ, რომელ მწყემსი იყავ და არა გაქუნდა სოფელსა შინა, რომელი აქა გაქუს განსუენებაჲ. და ამას საშუებელი, რომელი აქუნდა სოფელსა შინა, აქა არა აქუს. აჰა ესერა შენ განისუენებ და ესე იჭირვის. ხოლო მას ვითარცა ესმა, შეინანა, შეუფრდა მას და ჰრქუა: შემინდევე, მამაო, ვცოდე, რამეთუ ჭეშმარიტად ესე არს ჭეშმარიტი გზაჲ. რამეთუ ესე სიმდაბლედ მოსრულ არს, ხოლო მე განსუენებად. და ესრეთ სარგებელ ეყო და წარვიდა. M₃₆

14. მო-ვინმე-ვიდა მამათა მათგანი ნეტარისა არსენისსა, და ვითარ დაჰრეკა კარსა, განულო ბერმან. ეგონა, ვითარმედ მსახური მისი იყოს. და ვითარ იხილა, რამეთუ უცხოჲ არს, დავარდა პირსა ზედა თვისსა. ხოლო იგი ეტყოდა: აღდეგ, მამაო, და მოგიკითხო. ჰრქუა მას ბერმან: არა აღვდგე, ვიდრემდის არა წარხვდე. და ვითარ მრავალ ჟამ ევედრებოდა მას და არა აღდგა, მაშინ წარვიდა მიერ ძმაჲ იგი. M₃₇.

15. იტყოდეს ვისთვისმე ძმისა, რომელი მივიდა სკიტეს, რაჲთა იხილოს მამაჲ არსენი. და ვითარ მივიდა ეკლესიად, ევედრებოდა მღდელთა [v] მათ, რაჲთამცა შეამთხვეს არსენის, ხოლო იგინი ეტყოდეს: განისუენე მცირედ, ძმაო, და იხილო იგი. და მან ჰრქუა

მათ: არარაჲსა გემოჲ ვიხილო, უკუეთუ პირველად არა ვიხილო იგი. მიავლინეს მის თანა ძმად, რაჲთა მიიყვანოს იგი, რამეთუ შორს იყო სენაკი მისი. და ვითარცა დაჰრეკეს კარსა და შევიდეს და ლოცვა ყვეს და მოიკითხნეს იგინი და დასწდეს მდუმრიად, ჰრქუა ძმაჲნი მან, რომელი მიველინა ეკლესიით: აღვდგე და ვიდოდი; ლოცვა ყავთ ჩემთვის. და ძმამან მანცა, ვითარ არა პოა კადნიერებაჲ ბერისა თანა, ჰრქუა ძმასა მას: მოვიდე მეცა შენ თანა. და გამოვიდეს ერთბერ და მერმე ევედრებოდა მას, რაჲთა მიიყვანოს მოსესა, რომელი იგი იყო ავაზაკთაგანი. და ვითარ მივიდეს იგინი მისსა, შეიწყნარნა იგინი სიხარულით. ისტუმრნა იგინი და განუტევნა.

ჰრქუა ძმამან მან, რომელმანცა მიიყვანა იგი: აჲ ესერა მიგოყვანე შენ უცხოჲსა მის და მეგვკბტელისა; ორთა ამათგანი, რომელი დაგაშუნდა? ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მას: მე ერთი ჯერი მეგვკბტელი ესე დამა[5]შუნდა. და ესმა ვისმე მათ ბერთაგანსა, ილოცა ღმრთისა მიმართ და თქუა: უფალო, მიჩუენე მე საქმე ესე, რამეთუ რომელნიმე ივლტიან სახელისა შენისათჳს და რომელნიმე შეიტკობენ სახელისა შენისათჳს. და აჲ ესერა ეჩუენნეს მას ორნი ნავნი მდინარისა კიდესა და არსენი და სული ღმრთისაჲ სხდეს ერთსა მას ნავსა შინა და დაყუდებულად მივიდოდეს, და მამად მოსე და ანგელოზნი უფლისანი მივიდოდეს ერთითა მით ნავითა და აჲაჲებდეს მას თაფლსა გოლეულსა. *მკვ*

16. იტყოდა მამად დანიელ, ვითარმედ აღსრულებისა ეამსა მამცნო ჩუენ და მრქუა: ნურას ზრუნავთ ჩემთვის საკსენებელისა ყოფად! რამეთუ მე უკუეთუ რადმე ვყავ თავით ჩემით, საკსენებელი იგი პოვნად არს ჩემი? *მკვ*

17. [და ვითარ მიეანლა აღსრულებად მამად არსენი, შეშფოთნეს მოწაფენი მისნი. ჰრქუა მათ: არლა მოწევენულ არს ეამი. ხოლო ოდეს მოიწიოს, გაუწყო თქუენ, ხოლო საშჯელი მოგკადო თქუენ წინაშე საყდართა ღმრთისათა, უკუეთუ ვის მისცეთ გუამი ჩემი. და მათ ჰრქუეს: და რაჲ ვყოთ, რამეთუ [v] არა ვიცით, ვითარ დავილუაწოთ იგი? ჰრქუა მათ ბერმან: არა იხილა საბლისა მობმად და გარდათრევაჲ მთად]*. ესე იყო სიტყუაჲ ბერისაჲ: არსენი, რომლისათჳსცა გამოხუედ? სიტყუასა, მრავალგზის შევიწინანე, ხოლო ღუ-

16. B : 277; — C; 1 ყოფასა B. 2 არს ჩემი) მიც ჩემდა B.

17. — BC. * კავებში ჩასმული ტექსტი B ნუსხაში არ აღმოჩნდა. ამ ტექსტის უკანასკნელი ფრაზა დაზიანებულია.

მილსა—არასადა. [და ვითარ მოიწია ჟამი აღსრულებიანად, იხილეს მათა, რამეთუ ტიროდა იგი. ჰრქუეს მას: უკუეთუ ჰეშმარიტად შენცა გეშინისვე, მამაო? ხოლო მან ჰრქუა: შიში ესე, რომელი აწ ჩემ თანა არს, ამას ჟამსა ჩემ თანა იყო, ვინაფთჳან მონაზონ ვიქმენ.

5 და ესრეთ მონაზონ ვიქმენ. და ესრეთ შეისუენა]*. M₄₀

18. [იტყოდეს, ვითარმედ: ყოველსა მას ცხორებასა მისა ზინ რაჲ კელთ-საქმარსა, მიუარი უპყრიენ უბეთა შინა ცრემლთა მათ-
 10 თვს, რომელნი გარდამოსცვიედ თულთაგან მისთა]*. ესმა რაჲ მამასა პიმენს ნეტარისა არსენისი, რამეთუ შეისუენა, ცრემლნი გარდამოსთხინა და თქუა: ნეტარ ხარ შენ, მამაო არსენი, რამეთუ
 15 დაიტირე თავი შენი ამასვე! სოფელსა, რამეთუ რომელმან არა და-
 იტიროს თავი თვისი ამას [6] სოფელსა, მუნ საუკუნოდ ტიროდის, გინათუ აჲა ნეფსით, გინათუ მუნ სატანჯველთაგან ვერ შესაძლებელ არს არა ტირილი. M₄₁

19. გვთხრობდა მისსავე მამაჲ დანიელ, ვითარმედ: არასადა
 15 ინების სიტყუად გამოძიებისათვს წიგნთაგან. და შემძლებელ იყო, თუმცა უნდა, არამედ არცა-ლა წიგნი ვის ადრე მიუწერის. [არამედ
 20 ოდეს თუ სადამე მოვიდის ეკლესიად იშვთ, უკუნა სუეტსა დაჯ-
 დის, რაჲთა არავინ იხილოს პირი მისი და არცა იგი სხუასა ხედ-
 25 ვიდეს. და იყო პირი მისი, ვითარცა პირი იაკობისი, და მკცითა სპე-
 ტაჲ იყო, ვითარცა თოვლი, და ძუალნი განკმელ იყვნეს, გარნა ტყა-
 ვი ხოლო გარდართხმულ იყო ზედა, და წუერნი შთავიდოდეს ვიდ-
 რე მკერდამდე, და ყოლადვე სპეტაჲ იყო, ხოლო წამწამნი თულთა
 30 მისთანი მოსცვეს ტირილითა მისითა; გრძელი იყო, არამედ დაღრკა
 25 სიბერითა, ხოლო აღესრულა ოთხმეოცდათხუთმეტისა წლისაჲ.
 გამო-რაჲ-ვიდა სამეუფოთ ტაძრით თევდოსი მეფისა ზე დიდისა,
 ორმეოცისა წლისა მთავარ-ყოფილი, [V] სამეუფოჲსა ტაძრისაჲ
 მოძლუარი არკატისი და ონორისი მეფეთაჲ, დაყო სკიტეს უდაბ-
 30 ნოს გარე ორმეოცი წელი და ათი წელი კლდესა მას შინა, რომელ
 არს ზემო კერძო ბაბილონსა, წინაშე პირისპირ მეფეოსა და სამი
 წელი კანოპეს, ქუემო კერძოთა მათ ადგილთა და სხუაჲ ორი წე-
 ლი ტვრეს ტაძრისასა. და მუნ შეისუენა და დამიტევა მისი სამოსე-

* კავებში ჩასმული ტექსტი B ნუსხაში არ აღმოჩნდა.

18. B: 277; — C. ¹ ამას B.

19. B: 277; — C.

ლი ხალენისაჲ და თმისა კამასისა სპეტაკი და ცანდალნი ზებენისა-
ნი მისნი, ხოლო მე უღირსმან ამან შევიმოსი, რაჲთა ვიკურთხო]*.
M₁₂

20. გვთხრობდა კუალად მამაჲ დანიელ ნეტარისა არსენისთვის: 5
მოუწოლა ოდესმე მამათა ჩუენთა — მამასა ალექსანდრეს და ზოი-
ლეს—და სიმდაბლით ჰრქუა მათ, რამეთუ: ეშვაკნი მბრძვანან მე და
არა ვიცი, თუ მიმაკათუნიან მე ძილითა, არამედ ამას ღამესა დაშუ-
ერით ჩემ თანა და მეკრძალენით, ნუჟუქუჭ მრულოდის ღამე ყოველ-
და დაუსხდეს ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით მისა მწუნ[7]-
რითგან მღუმრიად და თქუეს მამათა ჩუენთა, ვითარმედ: ჩუენ და- 10
ვიძინეთ და განვიღვძეთ და ვერ ვცანთ, ვითარმეცა მი-ოდენ-ერულა
მას. და განთიადრე, ღმერთმან იცის, გინათუ ნეფსით ყო, რაჲთა ეგ-
რე ეგონოს, ვითარმედ მიეძინა, გინათუ ქეშმარიტად ბუნებაჲ იგი
ძილისაჲ მოუქდა, აღმოჰბერა სამგზის ოდენ სული და მუნთქუესვე
აჰკრთა და თქუა: მიმეძინა? და ჩუენ ვარქუთ: არა ვიციოთ. M₁₃ 15

21. მოუქდეს ოდესმე ბერნი მამასა არსენის და ფრიად ევედ-
რებოდეს მას, რაჲთამეცა შეიწყნარნა¹ იგინი. ხოლო მან განულო
მათ. და ჰლოცვიდეს მას, რაჲთა უთხრას სიტყუაჲ დაყუღებულ-
თაჲ², რომელნი არავის შეემთხუევიან. ჰრქუა მათ ბერმან: ვიდრე
ჰალწული სახლსა შინა მამისა თჳანასა არნ, მრავალთა ჰნებავენ, 20
რაჲთამეცა მოითხოვეს³ იგი. ხოლო ოდეს ქმარსა შეეყოს⁴ იგი, არლა-
რან⁵ ყოველთა სათნო უჩნ. ვიეთმე შეურაცხ-ყვიან, სხუანი კუალად
აქებედ და არა იგივე პატივი აქუნ, ვითარ⁶ პირველ, ოდეს იგი [V]
დამალულ იყო. ეგრეცა სული. ოდეს საერო იქმნის, ვერ შეუძლის
ყოველთა მომადლებად⁷. [იტყოდეს მისთვისვე, რამეთუ ვითარცა 25
სამეფოსა შინა უპატიოსნეი მისსა არავის ჰმოსიენ ხამოსელი, ეგ-
რეცა ეკლესიასა შინა უღარესი მისსა არავის ჰმოსიენ]*. M₁₄

გამისა ავამონისთ ს

1. ჰკითხა მამამან ავათონ მამასა ალონეს და ჰრქუა: მინებს 30
შეკრძალვაჲ ენისა ჩემისაჲ, რაჲთა არა იტყოდის ნაცილსა. ჰრქუა

* კაეებში ჩასმული ტექსტი B ნუსხაში არ აღმოჩნდა.

20. — BC

21. B: 277v; — C. ¹ შეიწყნარნეს B. ² დაყუღებულთათჳს B. ³ მოითხოვეს B. ⁴ შეეყოს B. ⁵ არა B. ⁶ + იც B ⁷ მომადლება B. * კაეებში ჩასმული ტექსტი B ნუსხაში არ აღმოჩნდა.

1. — BC.

2. შუა ს. უკუენითა ნოილოეზი...

მას მამამან ალონე: უკუეთუ არა სთქუა ნაცილი, მრავალი ცოდვამ ჰქმნე. ხოლო მან ჰრქუა, ვითარ ჰრქუა მას ბერმან: აჰა ესერა ორთა კაცთა კაცი მოკლეს და შენ იხილე და ერთი იგი მიივლტის სენაკად წენდა. და მთავარი ეძიებს მას და გკითხავს შენ და გეტყვს: შენ თანა მოიკლა კაცი. უკუეთუ არა სთქუა ნაცილი, მისცე ძმამ იგი შენი სიკუდილიდ, არამედ უფრომხად აცადე თავი თვისი თვნიერ კრულე-ბისა წინაშე უფლისა, რამეთუ მან უწყის ყოველი.

2. იტყოდეს მამისა აგათო[8]ნისთვის, ვითარმედ სამ წელ ეპყრა ჭვამ პირსა შინა, ვიდრემდის დანსრულა ღუმელი. **1115**

10 3. იტყოდეს მამისა აგათონისთვის, ვითარმედ: სარწმუნო იყვნეს თუალნი მისნი მის თანა და არა ვიდრევე იხედვიდა სსუად და ნრავალგზის თქვს ღირსებით, ვითარმედ: არა შემიცნობიეს თავსა ჩენსა, ვითარჰცა შე-სადა-ვილე გულის-თქუჰამა რამე თუალთავან ჩემთა სენაკად ჩემდა. არასადა შფოთით იქმნ კელთ-საქმარსა, არცა
15 შეიპყრის მით, უკუეთუ¹ საქმარ არნ მცნებისა მისთვის შეწევნად ძმისა, ზინ და იქმნ ვიდრე მეტხრედ ყამადმდე².

და თუ მოიწიის კანონისა მისისა ყამი და კელთ-საქმარისა^{2a} მისგანი უცნ³ მცირედ, დაუტევის ზვალისად და არა დააბრკოლის თავი თვისი კანონისაგან თვისისა. [და თუ აკლნ რამე სენაკსა ძმისასა,
20 უყიდის და თუ ჰრქვებს ძმამან მან უძღურმან: ოდეს მისუილ სავაქროსა მას, მამათ აგათონ, და ვერ ვავრძენ, მინდა, რამთამცა მიყიდე ჰურბელი. და თუ იგი არნ, რომელსა იგი [v] ეძიებნ, რომელი მას საკმრად თვისისა სენაკისა უყიდიედ, მისცინ მას. და თუ ჰრქვს ძმამან მან: თუთ გეწამო, რამეთუ საქმარ არს ეგე. და თქვს: სენაკისათვის ვიყიდე ეგე და არღარა საქმარ არს ჩემდა, ხოლო მაგას უქმს ეგე⁴. მეტყვს ჩუენ მრავალგზის: ნურას მოიგებთ ჰურბელსა, რომელთა ძმამ თუ⁴ გთხოვდეს კუმევით⁵ და მძიმე გიჩნდეს მიცემად. [და შეუძრწუნებელ იყო გონებითა⁶. და თუ ვინმე ჰრქვს მას სიტყუად შემაწუნებელი, ღუმნ და არარამ
25 მიუთვის, ვითარმცა ესმა-ვე არამ. და თუ ვინმე ჰრქვს: არა გესმამა, რამ-ესე გრქუა ძმამან? და თქვს მან სიტყუად იგი, რომელ

2. — BC.

3. B: 277v. — C. ¹სადამე B. ²ყამამდე B. ^{2a} კელთ-საქმარისა ³ უცნდა B. ⁴ თუ—B. ⁵ კელით B. ⁶ და შეუძრწუნებელ იყო გონებითა — B. * კაეებში ჩასმული ტექსტი: B ნუსხაში არ აღმოჩნდა.

თქუა: დაესედე თავსა ჩემსა და ვიხილე იგი ჩემ თანა. და ჰრქუა მას: რამათვის არა დაუფრდი მას? და ჰრქუს: არა მინდა, რამათმცა და-
 იწყლა გონებდა მისი. აქუნდა მშველობა ყოველთა თანა ძმათა, სა-
 დაცა იყოფენ, ჰყუარობედ მას და ჰპაძვედ სათნოებათა მისთა ყო-
 ველნი იგი ძმანი. [9] არა შეიმოსის სამოსელი, ვითარცა ვინ თქუა,
 ჭეკვა კეთილ არს, გინა ჭეკვა ხენეშ არს. და ოღეს იყიდინ თავისა
 თვისისა პალეკარტსა, გინა თუ ფიჩუსა, გინა თუ რასავე ჰურჰელსა
 სენაკისათვის, სავაჭროსა მას მიმოხტუნან. და თუ ვინმე იხილის
 ქუჩი და დაეზღობილი და აქუნ იგი ჰურჰელი. რომელსა თვთ
 ეძიებნ სყილად, ჰრქუს მას, რაოდენის გიყოფიეს ესე? და რავდენი-
 სცა ჰრქუს, უკუეთუ აქუნ, მისცის და თუ არა აქუნ, ჰრქუს: შემინ-
 დვე, და დაუტევის იგი]*.

თქუა მამამან პეტრე აბლოტისმანს. ვითარმედ: სენაკსა შინა
 ვიყავ მამისა აგათონისა² და მოვიდა ძმა და ჰრქუა მას: მინებს
 ძმათა თანა ყოფის. ნითხარ მე, ვითარ ვიყოფოდით მათ თანა?
 ჰრქუა მას: ვითარცა³ პირველსა მას დღესა შეხვდოდით რაჲ მათ
 თანა, ეგრეთ⁸ დაიმარხე უცხოებდა შენი ყოველსა დღესა, რაჲთა
 არა კადნიერ იქნინა⁹. ჰრქუა მას მამამან მაკარი: და შენ ვითარ
 იყოფვი¹⁰ ჩემ თანა, ვითარცა უცხოჲსა თანა? ჰრქუა მას მამამან
 [v] აგათონ: და ვითარ გგონიეს, რამეთუ უცხოჲსა¹¹ თანა, გინა თუ
 მინდეს, გინა თუ არა მინდეს, არა მაქუნდეს კადნიერებდა? ჰრქუა
 მამამან მაკარი: და რაჲ ყვის კადნიერებამან? ჰრქუა მას ბერმან:
 მსგავს არს ხორშაკსა შემწუველსა დიდსა, რამეთუ ოდეს მოჰბერის,
 ყოველნი ივლტიედ¹² პირისაგან¹³ მისისა და ხეთა ნაყოფი განხრ-
 წნის. ჰრქუა მას მამამან მაკარი: ესრეთ¹⁴ ბოროტ არს¹⁵ კადნიერე-
 ბაჲ? ჰრქუა მას მამამან აგათონ: არარაჲ არს საღმობაჲ უბოროტეს¹⁶
 კადნიერებისა, რამეთუ მშობელი არს ყოველთა ვნებათაჲ. და¹⁷
 უღირს მოლუაწესა, რაჲთა არა კადნიერ იყოს ნუცა-და თვისსა სე-
 ნაკსა შინა, რამეთუ ვიცი ძმაჲ ვინმე, რომელი იყოფვოდა თვისსა
 სენაკსა შინა და დაეყო მრავალი ყამი. და ეგო მცირე¹⁸ სარეცელი
 მას შინა და თქუა: გამოვედ მერმე¹⁸ სენაკით და არა ვიცან იგი სა-
 რეცელი, უკუეთუმცა სხუამან არა¹⁹ მითხრა. M₁

* კავებში ჩასმული ტექსტი B ნუსხაში არ აღმოჩნდა.
 4. B: 277v; — C. 1 აბლოტისმან B. 2 აგათონისა B. 3 მე—B. 4 + მე B.
 5 + იტი B. 6 შე-რაც-ხვდოდე B. 7 რაჲ—B. 8 ეტრეცა B. 9 იქმე B. 10 ოლოდ
 B. 11 უცხოჲსა B. 12 ივლტინ B. 13 პირისა B. 14 ესრეთ B. 15 არსა B. 16 უბო-
 როტეს უფროს B. 17 და—B. 18 მერ B. 19 არა სხუამან ნიხრა B.

5. თქუა¹ მამამან აგათონ: უღირს მონანაზონსა, რაათა არა ეტეოს გონებასა თვისსა² [10] დამტკიცებად თავისა თვისისა რომელსავე საქმესა ზედა, რამეთუ იტყვნ: თვნიერ კრძალულებისა ვერ წარიმართოს კაცმან ვერცა მიმართ სათნოებისა. M₂

5 6. ჰრქუა მას ძმამან ვინმე: რომელი შრომაჲ უფროჲს არს — კორციელი შრომაჲ ანუ შინაგანი კრძალულებაჲ? M₃

10 7. ხოლო მან ჰრქუა მას: მსგავს არს ხესა კაცი¹. კორციელი შრომაჲ ფურცელი არს, ხოლო კრძალულებაჲ ნაყოფი მისი. უკუეთუ არა მოიბოვოს კრძალულებაჲ მონაზონმან, ემსგავსა იგი ტუტაჲსა, რომელი შორით სასხუარ არს, რამეთუ რტოგანფენილ არს და კეთილად მცენარე, ხოლო რომელი მიეახლის, არაჲ² პოის³ მას შინა ნაყოფი. ვიდრე-იგი ჩჩვლ-ლა არს ნაყოფი ხეთაჲ, და თუ არა აქუნ ფურცელი ხეთა, მეყსეულად⁴ განჯნის მზისაგან ნაყოფი მათი. M₈

15 8. იტყოდეს მამისა აგათონისთვის, ვითარმედ მი-ვინმე-ვიდეს, რამეთუ ესმინა მისთვის, ვითარმედ დიდი განკითხვაჲ აქუს. და უნდა რაათამცა გამოცადეს იგი, უკუეთუ გული განიწყის. და ჰრქუეს: შენ ხარა აგათონ? გუესმა შენთვის, რამეთუ მეძავ ხარ და ამპარტავან. [v] ზოლო მან თქუა: და ეგრეთ არს. ჰრქუეს მას: შენ ხარა აგათონ, ცუდის-მეტყუელი და ძკრის-მზრახველი? და თქუა: მე ვარ. და კუალად ჰრქუეს: შენ ხარა აგათონ მწვალეზელი? და თქუა: არა ვარ მწვალეზელი. და ევედრებოდეს მას და ეტყოდეს, რაჲსათვის ეგოდენი თავს-იდეჲ და იგე ხოლო არა თ:ვს-იდეჲ? და თქუა: პირველსა მას თავით ჩემით ვიჩემებდ, რამეთუ სარგებელი აქუს სულისაჲ, ხოლო წვალეზაჲ განშორებაჲ არს ღმრთისაგან. ხოლო ესე რაჲ ესმა მათ, დაუკრდა განკითხვაჲ იგი მისი და წარვიდეს აღშენებულნი. M₅

9. [გვთხრობდეს მამისა აგათონისთვის, ვითარმედ: ოთხი თუ⁵ დაეყო სენაკისა საქმესა ყრმათა მისთა თანა და ვითარ აღ-ოდენ-

5 B: 273; — C¹ ჰრქუა B. ² თვისა A.

6. B: 278; — C.

7 B: 278 — C¹ კაცისა A. ² არა B. ³ პოის B. მეყსეულად⁴ ნუყოფად B.

8 — BC

9. B: 278; — C.

ესრულა სენაკი იგი, რაათამცა დაეყუდნეს, იხილა პირველსავე მას
 კვრიაქესა მას ადგილსა საქმმ რაამე მევენებელი. და ჰრქუა ყრმა-
 თა თვსთა: აღდეგით და წარვიდეთ ამიერ. ხოლო იგინი შეწუნნეს და
 ჰრქუეს მას: უკუეთუ ყოვლად გულსა გედვა ამიერ [11] წარსლ-
 ვაჲ, რაჲსათვს ესოდენი შრომაჲ ვყავთ და აღვაშენეთ სენაკი ესე? 5
 და კაცინცა დაბრკოლდენ და მეტყოდიან ჩუენ და მეციცხევდენ:
 აჰა ესერა კუალად წარვიდეს დაუდგრომელნი იგი. ხოლო მან ვი-
 თარცა იხილა სულმოკლებაჲ იგი ძათი, ჰრქუა მათ: დაღათუ ვინ-
 მე დაბრკოლდეს, კუალად სხუანი აღეშენნენ და თქუან: ნეტარ 10
 არიან ესევითარნი ესე, რამეთუ ღმრთისათვს წარვიდეს და არას და-
 ხედნეს, ხოლო რომელსა უნებს მოსლვის, მოვედინ. მე აჰა ესერა
 წარმართებულ ვარ. მაშინ დაცვეს იგინი ქუეყანასა ზედა და ვევედ-
 რებოდეს, რაჲთა ყოველთა უბრძანოს მის თანა წარსლვაჲ. თქუეს
 კუალად მისთვისვე, ვითარმედ მრავალგანის წარვიდის და თანა არაჲ
 წარიდის გარნა სახეველი ხოლო მართოჲ ბუდესა შინა?*. მერმე 15
 კუალად ჰკითხეს! ძმათა და ჰრქუეს?: მამაო, რომელსა საქმესა სათ-
 ნოებათა შინა აქუს უფროდსი შრომაჲ? ხოლო მან ჰრქუა მათ: შე-
 მინდვეთ მე, რამეთუ ვითარ³ ვჰგონებ, არარაჲ არს სხუაჲ უფროდ-
 სი შრომაჲ, ვითარ ლოცვაჲ ღმრთისა [v] მიმართ, რამეთუ ოდეს
 უნებნ კაცსა ლოცვის¹, უნებნ მტერთა, რაჲთამცა დააბრკოლეს იგი, 20
 რამეთუ იციედ, ვითარმედ არარაჲთ მართლ უკუნ იქცევის⁵, გარნა
 ლოცვითა ღმრთისა მიერ⁶, რამეთუ ყოველსავე სათნოებასა, რო-
 მელსა⁷ კელი შეყოს კაცმან და დაყოვნის მას შინა, პოის⁸ განსუე-
 ნებაჲ, ხოლო ლოცვასა ვიდრე უკუანაჲსკენელ⁹ სულისა აღმოსლვა-
 მდე აყენებედ კაცსა და უნებნ დაბრკოლებაჲ მისი. M₆ 25

10. იყო მამაჲ აგათონ ბრძენ გონებითა და უცონო ჳორციე-
 ლითა შრომითა და შემძლებელ ყოველსა შინა კელთ-საქმრითა მით
 საზრდელისა და სამოსლისა თვისისაცა იგივე. ოდესმე მივილოდა
 გზასა მოწაფეთა თვსთა თანა. პოა ერთმან მათგანმან გზასა ზედა 30 ✓
 მცირედ ნედლი. ცერცვ და ჰრქუა ბერსა: მამაო, გნებავისა აღვილო
 ესე? მიხედნა მას ბერმან დაკვრებულად და ჰრქუა: შენ დასდევ
 გვე მანდა? და თქუა ძმამან მან: არა. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ

¹ ჰკითხეს] + მას B. ² რქუას B. ³ ვითარმე B. ⁴ ლოცვისა A. ⁵ იქეუედ B.
⁶ მიმართ B. ⁷ რომელსაცა B. ⁸ პოვის B. ⁹ უკანაჲსკენელადუ + და B. * კიებში ჩას-
 მული ტექსტი B ნუსხაში არ აღმოჩნდა.

- არა დასდევ, ვითარ გინებს აღების? მოუტდა ვინმე ძმა [12] მამა-სა აგათონს, რაათა იყოფვიდის მის თანა. და მო-რაჲ-ვიდოდა, პოა მცირე გზასა ზედა ბევრუკი და მოართუა იგი მას. ჰრქუა მას ბერ-მან: ვინაჲ მოილე ბევრუკი ესე? ჰრქუა მას ძმამან: ვპოე გზასა ზე-
 5 და. ჰრქუა მას ბერმან: უკუეუაუ ჩემ თანა ყოფად მოხუედ, რომელი არა დაგედვას, ნუ აილებ. და მისცა იგი, რაათა მუნვე დადვას, სა-
 დადოცა აილო იგი. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: მცნებისა საქმე მოიწია და ბრძოლაჲ მაქუს მას ადვილსა, რომელსა საქმე იგი არს
 10 და ნინებს მისლვის მცნებისა მისთვის და მეშინის ბრძოლისა მისთვის. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუმცა იყო აგათონ, მცნებამცა იგი აღას-
 რელა და ბრძოლაჲ მასცამცა სძლო. M₁₃

11. შერმე თქუა მამამან აგათონ, რამეთუ: არასადა დაეწეე, ვითარმცა ვისთვისმე მაქუნდა გულის-კლებაჲ; არცა სსუასა უტევე, ვითარმცა ვის აქუნდა! ჩემდა მომართ მსგავსად ძალისა ჩემისა. M₄

- 15 12. იტყოდეს კუალად მისთვისეე და მამისა [v] ამოხსთვის, რა-
 ✓ მეთუ ოდეს ჰყიდედ ჰურქელსა, თქვან სასყიდელი ჰურქელისაჲ მის
 10 და რაჲცა ვინ მისცის, მიიღიან ღუმილით და კუალად ოდეს მოლ-
 ✓ მართ იყიდიედ ჰურქელსა, რაოდენისცა თქვედ გამსყიდელთა მათ,
 მისციან ღუმილით და ყოლადეე სიტყუაჲ არა თქვან. M₁₆

- 20 13. მანვე მამამან აგათონ თქუა, რამეთუ: არასადა მიმიციემიეს
 ქველს-საქმარი, არამედ მიცემაჲ და მოღებაჲ ქველის-საქმარი
 იყო ჩემდა, რამეთუ შესაძინელი ძმისა ჩემისაჲ საქმედ შესაწირავ-
 1 თა შეწირაცხიედ თავისა ჩემისა. M₁₇

- 25 14. მანვე მამამან აგათონ ოდეს იხილის ნუ რაჲ საქმე და უნებნ
 გულის-სიტყუასა მისა განკითხვის, ჰრქვს თავსა თვსსა: აგათონ,
 შენ ნუ იქმ მაგას. და ესრეთ გულის-სიტყუაჲ იგი დააცხრვის. M₁₈

15. მანვე თქუა: დაღათუ მკუდარი აღადგინოს გულმწყურალმან,
 აჩავე სათნო არს. M₁₉

11. B : 278; — C. 1+ გულის კლება B.

12. — BC. 13. — BC. 14. — BC. 15. B: 278v; — C.

16. ჰქონდეს ოდესმე მამასა აგათონს ორნი მოწაფენი თვსაგან განსორებულად. ერთსა შინა დღესა ჰკითხა ერთსა მას და ჰრქუა: ვითარ იყვი სენაჲსა [13] შინა შენსა? ხოლო მან ჰრქუა: ღავიმარსი, ვიდრე ნწუსრამდე და შევექანი ორი პაქსიმალი. ჰრქუა: რუაიერი მარსნაჲ არს და ფრიალი წრომაჲ. ჰრქუა ერთსა მასცა: შენ ვითარ იყოფვი? ჰრქუა მანცა: ორ-ორით ვიმარხავ და ორსა პაქსიმაღსა შევექმამ. ჰრქუა მას ბერმან: დიდად შურები, რამეთუ ორი ბრძოლაჲ თავს-გიდებობს, რამეთუ არს რომელიმე დღითი-დღეღ ქაჲს და არა მადღრივ და იგიცა შრომაჲვე არს. სხუაჲ, რომელი ორ-ორით იმარხავს და მადღრივ ქამაჲ უნებნ, ხოლო შენ ორ-ორით იმარხავ და მუცელსა არა განიძღებ. M₂₀

17. ძმამან ჰკითხა მამასა აგათონს სიძვისა ეშმაკისათვის. ჰრქუა მას: მივედ და დააგდე უძღურებაჲ შენი წინაშე ღმრთისა და გაქუნდეს განსუენებაჲ. M₂₁

18. თქუა მამამან აგათონ: მოყუარე¹ თუ ვინ² იყოს გარდარეულად და თუ ვცნა³ და მძღვეს⁴ ბრძოლითა⁵, მოვიკუეთო იგი ჩემგან. M₂₂

19. ბერმე თქუა: უღირს კაცსა. რაჲთა ყოველსა ქამსა ხედვიდეს სატანჯველსა. M₂₃

20. თქუა მამამან იოსებ: ძმანი რაჲ იტყოდეს სიყუარულისათვის, რამეთუ ჩუენ ვიცით, რაჲ არს სიყუარული.

[V] და თქუა მამისა აგათონისათვის, რამეთუ აქუნდა სახეველი და მოვიდა მისსა ძმაჲ და აქო იგი. და არა განუტევა, ვიდრემდის არა მიიღო სახეველი იგი. M₂₅

21. იტყოდა თუთ იგივე მამაჲ აგათონ, ვითარმედ: უკუეთუმცა შესაძლებელ იყო ესე ჩემლა ყოფად, ვითარმცა ვპოე გონჯი და მიმცა, ვსცენ კორცნი ჩემნი და მისნიმცა მოვიხუენ, სათნომცა მიჩნდა, რამეთუ ესე არს სიყუარული სრული. M₂₆

16. — BC.

17. B:278v; — C.

18. B : 278v; — C. ¹ მოყუარე B. ² ვინმე B. ³ ~ ვცნა თუ B. ⁴ მძღვეს B. ⁵ ბრალითა B.

19. B : 278v; — C. 20. — BC. 21. — BC.

22. იტყოდეს კულად მისთვის, რამეთუ შევიდა ოდესმე ქალაქად, რაჟთა ჰურჰელი განყიდოს, და პოა ვინმე კაცი უტხოვ, უდაბნოსა ზედა დავრდომილი, რომელსა არა ჰქონდა მოღუაწმ. და დაჯდა მის თანა და დაუპყრა მას სახლი. და კელთ-საქმრისა მისისაგან სახლისა სასყიდელსა გარდაიკლდოდა. და სხუასა მას სნეულისა მისთვის წარაგებდა. და დაადგრა მის თანა ოთხ თუშ, ვიდრემდის განიკურნა უძღური იგი, და ესრეთ წარვიდა ბერი სენაკად თვსა. M₂₇

23. [გვთხრობდეს ვიეთნიმე მამისა ავათონისთვის, რამეთუ ის-
 10 წრაფდა ყოველთა მცნებათა: [14] და თუ ნავითა ვიდრე წარვალნ, ნიჩაბი წინათ მას უპყრიედ, და თუ ძმანი მოუკლიან, ვითარცა ლოცვაჲ აღასრულიან, მეყსეულად ჳელნი მისნი ტაბლასა დააგებედ, რამეთუ სავსე იყო სიყუარულითა ღმრთისაჲთა]*. და ოდეს მოიწია უამი აღსრულებისა მისისაჲ, იდვა სამ დღე, ოდენ თულნი ხოლო ზე ეხილნეს. კელითა შეძრეს იგი ძმათა და ჰრჳეუს მას: მამო ავათონ, სადა ხარ? ხოლო მან ჰრჳეუა მათ: წინაშე განკითხვასა¹ ღმრთისასა ვდგა. ჰრჳეუს მას ძმათა: შენცა გეშინის-ვეა, მამო²? თჳუა³: ერთი ჳერი განუშზადე თავი ჩემი მცნებათა დამარხვად, არამედ კაცივე ვარ, ვინაჲ ვიცი, უკუეთუ საქმენი ჩემნი სათნო ეყვნეს
 15 ღმერთსა?

ჰრჳეუს მას ძმათა: ვერ მოსავ ხარა, რამეთუ საქმენი შენი⁴ სათნო არიან ღმრთისა⁵? ჰრჳეუა მათ ბერმან: ვერ გულპყრობილ ვარ, უკუეთუ არა შევემთხვო ღმერთსა, რამეთუ სხუაჲ არს საშჳელი ღმრთისაჲ და სხუაჲ არს კაცთაჲ, და უნდა მათ, რაჟთამცა
 25 ჰკითხეს-ლა სხუაჲ სიტყუაჲ. ჰრჳეუა მათ: ყავთ სიყუარული [v] და ნურას მეტყვთ, რამეთუ ვერ მცალს. და აღესრულა იგი სიხარულით, რამეთუ იხილეს იგი აღყვანებული, ვითარცა-იგი ვინ⁶ მოიკითხავნ თვსთა მეგობართა და მოყუარეთა, რამეთუ აჳუნდა დიდი საცოჲ, რამეთუ თჳს: თვნიერ საცოჲსა ვერ წარმატებულ იქმნეს
 30 კაცი ვერცა ერთისა სათნობისა მიმართ⁷. M₂₈

22 — BC.

23. B : 278; — C. * კაეებში ჩასმული ტექსტი B ნუსხაში არ აღმოჩნდა.

|| ¹ განსკითხვასა + მას B. ² მამო — B. ³ ჰრჳეუა + მათ მე B. ⁴ შენი B
⁵ ~ ღმრთისა სათნო არიან B. ⁶ ვინმე B. ⁷ ~ მიმართ სათნობისა B.

24. იტყოდეს მამისა აგათონისთვის და მამისა ერაკლესთვის, ვითარმედ სხდეს, რაჲ ივინი სკიტეს, სულმოკლებად რაჲმე შემოვარდა შორის მათსა, და ვითარ მივიდა მამამ აგათონ სენაკად თვისსა, ვერ ეძლო ჯდომად. მივიდა და დაუფერდა მამასა ერაკლეს, ხოლო მან ჰრქუა: შემინდვე, მამაო, რაჲმეთუ არცა გონებასა მომეგონა, ვითარ სულმოკლე რასმე ზედა ვიქმნენით.

მი-ვინმე-ვიდა და უთხრა მათთვის მამასა პიმენს, და თქუა: ბერმან აგათონ პოა გზაჲ, რაჲმეთუ სიმდაბლჳ საქმით აჩუენა. M₂₉

25. იტყოდეს მამისა აგათონისთვის, რამეთუ უნდა ოდესმე შესღვაჲ ქალაქად, რაჲთა კელთ-საქმარი განყიდოს. და პოა ვინმე გზასა ზედა გონჯი დაგდებული. ჰრქუა მას: [15] მამაო, ვიდრე ხუალ? ხოლო მამამან აგათონ ჰრქუა მას: ქალაქად შევალ კელთ-საქმრისა განსყიდად. ჰრქუა მას: ყავ სიყუარული და შემიღე მუნ. ხოლო მან წარმოიკიდა იგი და შეიღო ქალაქად. მაშინ ჰრქუა მას: რომელსა ადგილსა ქურპველსა მაგას განჰყიდდე, მას ადგილსა მეცა დამდე. ხოლო მან ყო ეგრე. და ვითარცა განყიდის ქურპველი იგი, ჰკითხის: რაოდენის განჰყიდე? და მან ჰრქვს: ესოდენის. და ჰრქვს: მიყიდე პლაკუნტი, რომელ არს ფოფხი. და კუალად, ოდეს სხუაჲ განყიდის, ჰრქვს: რაის? და მან ჰრქვს: ესოდენის. და კუალად ჰრქვს: ჰაბა, ჰაბა, მიყიდე იგივე. და მოუყიდის მას იგი. და ვითარცა დაყიდა ყოველი იგი ქურპველი და უნდა წარსღვის, ჰრქუა უძლურმან მან: წარხუალა? ხოლო მან ჰრქუა მას: ჰე, წარვალ. ყავ სიყუარული და კუალად მიმიღე მასვე ადგილსა, სადაცა მპოე. და მან წარმოიკიდა იგი და კუალად მიიღო მუნვე. მაშინ ჰრქუა მას: კურთხეულ ხარ, აგათონ, უფლისა მიერ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. და ვითარ უკუნ-იხილა მამამან აგათონ, [V] არლარავინ იხილა მუნ, რამეთუ ანგელოზი უფლისაჲ მოსრულ იყო გამოცდად მისსა. M₃₀

მამისა ამონადმთჳს

1. ძმამან ჰკითხა მამასა ამონას: მითხარ მე სიტყუაჲ. და ჰრქუა მას ბერმან: ვიდოდე და ყავ გულის-სიტყუაჲ შენი, ვითარცა ძკრის-მოქმედნი, რომელნი არიედ საპყრობილესა შინა და ჰკითხვედ კაც-

თა და ეტყუედ, სადა არს მთავარი? და ოდეს მოვალს და მოლოდენისა მისგან შიშისა ძრწინ¹, ეგრეთცა² მონაზონსა უღირს, რაათა ყოველსა ჟამსა ეკრძალებოდის და ამხილებდეს სულსა თვისსა. და იტყოდის: ვაჟმე, ვითარ მე წარდგომად ვარ საყდართა მათ ქრისტესთა³ და ვითარ მე სიტყუაჲ მიუგო? უკუეთუ ესრე⁴ განიზრახვიდეს ყოველსა ჟამსა, შემძლებელ იყოს ცხორებად. M₁

2. იტყოდეს მამისა ამონაჲსთვის, რამეთუ ბასილიკონი მოკლა, რომელ არს თუალით მკლველი გუელი, რამეთუ მოვიდა ესებად წყლისა უდაბნოდ ჭურღმულისაგან. და იხილა ბასილიკონი და დავარდა პირსა ზედა თვისსა და თქუა: უფალო, მე მოვკუდე ანუ ეტე. და მეყსეულად [16] გუელი იგი ძალითა ქრისტესითა განსთქდა. M₂

3. თქუა მამამან ამონა, ვითარმედ: ათორმეტი წელი დავყავ სკიტეს შინა და ვევედრებოდე ღმერთსა დღე¹ და ღამე² ყოველსა ჟამსა, რაათა მომმადლოს მე ძღვევაჲ რისხვისათვის. M₃

4. გვთხრობდა ვინმე მამათაგანი, რამეთუ იყო ვინმე ბერი მშრომელი სენაკებსა, რომელსა ემოსა ჭილი, და მივიდა მამისა ამონაჲსსა. და ვითარცა იხილა ბერმან ჭილითა შემოსილი, ჰრქუა მას: ევე შენდა არაჲ სარგებელ არს. ხოლო მან ჰკითხა მას და ჰრქუა: მამო, სამნი გულის-სიტყუანი მაუტრეებენ მე. ერთი მეტყვის, რაათა ვიქცეოდნი უდაბნოთა ადგილთა, და ერთი მაუტრეებს მე, რაათა ვიდოდნი უცხოთა ქუეყანასა და არაჲინ მიცოდის, და ერთი, რაათა შევაყენო თაჲი ჩემი სენაკსა და არაჲის შევემთხვო და პურსა ურვიო უქამდე.

ჰრქუა მას მამამან ამონა: ვერცა ერთისა მავათანისაჲ ძალგიც ყოფად, არამედ უფროჲს-ღა დაეყუდე სენაკსა შინა შენსა და ჭამდი მცირე-მცირედ და დლითი-დღედ გაქუნდინ სიტყუაჲ იგი [V] მეზუერისაჲ მის გულსა შენსა და შემძლებელ იყო ცხორებად. M₄

1 ძწიელ B. 2 ძნიელ + და ეგრეთცა B. 3 ქრისტესთა B. 4 ესრეთ B.

2. — BC.

3. B : 278v; — C. 1 დღე B. 2 ღამე B.

4. — BC.

5. ძმათა ვიეთმე შეემთხვა ჳირი აღვილსა მათსა და უნდა, რა-
თამცა დაუტევეს აღვილი იგი და წარვიდეს მამისა ამონაძსსა. და
აჰა ესერა ბერი ნავითა შთავიდოდა. და ვითარცა იხილნა იგინი,
მი-რაჲ-ვიდოდეს მდინარისა კიდესა მას, ჰრქუა მენავეთა მათ:
განვსვთ კმელად. და მოუწოდა ძმათა მათ და ჰრქუა მათ: მე ვარ 5
ამონა, ვისსა-იგი თქუენ მიხუალთ. და ნუგეშინის-სცა გულთა მათ-
თა და კუალადვე უ-მოაქცინა იგინი მუნვე, ვინაჲცა მოსრულ იყ-
ვნეს, რამეთუ არაჲ აქუნდა საქმესა მას ზღვევაჲ სულისაჲ, არამედ
გულის-კლებჲჲ კაცობრივი. Ms

6. მოვიდა ოდესმე მამაჲ ამონა, რაჲთამცა წიალ-კდა მდინარე-
სა მას და პოა, რამეთუ ნავსა მას განაგებდეს და მათ თანა დაჯდა. 10
აჰა ესერა სხუაჲ ნავი იყო მდინარესა მას და წიალ-ჰკრებდა კაცებ-
სა მას. და ჰრქუეს მას: მამაო, მოვედ და წიალ-მოკედ ჩუენ თანა.
ხოლო მან თქუა: [17] თვნიერ საეროჲსა ამი[ს] ნავისა სხუასა არა
შეველ და აქუნდა კრული ერთი ბაჲაჲ. ჯდა და თხზვიდა მას სირად. 15
და დაჰქსნის იგი და კუალად მასვე თხზავნ. ვიდრემდის განაგეს ნავი
იგი, და ესრეთ წიალ-კდა. შეუვრდეს ძმანი იგი ფერკთა და ჰრქუეს:
რაჲ ჰყავ ესე, მამაო? ჰრქუა მათ ბერძან: რაჲთა არა ოდესვე მოს-
წრაფესა გულის-სიტყუასა შეუდგე, არამედ ესე სახე არს, დაწყნა-
რებულად ვიდოდეთ გზასა ღმრთისასა. Ms 20

7. წარემართა ოდესმე მამაჲ ამონა, რაჲთამცა მივიდა ნეტარი-
სა ანტონისა და მისცთა გზასა და დაჯდა და მიეძინა მცირედ. და
აღდგა და ილოცა ღმრთისა მიმართ და თქუა: გვედრები შენ, უფა-
ლო, ნუ წარსწყმედ დაბადებულსა შენსა. და ეჩუენა მას კელი კა-
ცისაჲ დამოკიდებული ზეცით, რომელი უჩუენებდა გზასა, ვიდრე- 25
მდის მოვიდა და დაადგრა ქუაბსა მან ზელა მამისა ანტონისსა. Ms

8. ამასვე მამასა ამონას უწინაწარმეტყუელა მამამან ანტონი
და ჰრქუა, ვითარმედ: წარემატო შიშსა ღმრთისასა. და გამო[v]იყ-
ვა[ნა] იგი სენაკისაგან გარეშე! და უჩუენა მას ლოდი და ჰრქუა:
აგინე ლოდი ეგე და სცემდ მაგას. ხოლო მან ყო ეგრე. ჰრქუა მას 30

5. — BC. 6. — BC. 7.— BC.

8. B : 278v: — C. ¹ სენაკისაგან გარეშე სენაკით გარე B.

მამამან ანტონი: იტყოდა რასა ლოდი ეგე? და მან³ ჰრქუა: არარას. და⁴ ჰრქუა მამამან ანტონი: ეგრეცა შენ მიწევნად ხარ მაგას საზომსა, რომელცა⁵ იქმნა, რამეთუ ესოდენ წარემატა მამამა ამონა, ვითარმედ ღიდისა სახიერებისაგან⁶ არღარა იცოდა სიბოროტჳ. M₈

5 9. იტყოდეს მისთვისევე, ვითარმედ წარმოვინმე-დგეს საშჯე-
ლად. ხოლო მან თავი მოისულელა და დუმნა. და აჰა ესერა დედა-
კაცი ეტყოდა ჰახლობელსა თვისსა: ბერი ესე გონებასა მიცთომილ
არს. ხოლო ბერსა ესმა ესე, მოუწოდა და ჰრქუა მას: რაოდენნი
10 შრომანი ვყვენ უდაბნოს გარე, რაჲთა, ესე გონება-ცთომილებაჲ
მოვიპოვო და აწ შენთვის წარვწყმიდოა ღდეს ესე? M₉

15 10. მივიდა ოდესმე მამამა ამონა ადგილსა ერთსა, რაჲთამცა პი-
რი იქსნა ძმათა თანა და იყო ვინმე მუნ, რომელსა სახელი სიძვი-
საჲ დადებულ იყო. [18] და დაემთხვა დედაკაცისა მის მოსლვაჲ.
და ვითარცა შევიდა სენაკსა მას ძმისასა, აგრძნეს მყოფთა მის ად-
გილისათა და შეშფოთნეს და შეკრბეს, რაჲთამცა გამოაძქეს მიერ
20 ადგილით ძმამ იგი. და ვითარცა ცნეს, ვითარმედ ებისკოპოსი ამო-
ნა მას ადგილსა არს, მოვიდეს და ევედრებოდეს, რაჲთამცა მივიდა
მათ თანა. ხოლო ძმამან მან ვითარცა აგრძნა, მოიყვანა დედაკაცი
იგი და დამალა ჰურსა ჰუეშე. და ვითარ მოვიდა სიმრავლე იგი,
25 იხილა მამამან ამონა და ღმრთისათვის დაფარა. და შევიდა და დაჭდა
ჰურსა მას ზედა და უბრძანა გამოხილვაჲ სენაკისაჲ მის. და ვითარ
ეძიებდეს და არა პოეს დედაკაცი იგი, მიუგო მამამან ამონა და
ჰრქუა მათ: რაჲ არს ესე? ღმერთმან შეგინდვენ თქუენ. და ლოცვა
ყო და უბრძანა ძმათა ყოველთა წარსლვაჲ. ხოლო მან თვისაგან ჰე-
30 ლი უპყრა მას და ჰრქუა: ეკრძალე თავსა შენსა, ძმაო. და ესე
ჰრქუა და გამოვიდა. M₁₀

11. ჰკითხეს ოდესმე მამასა ამონას: რაჲ არს გზაჲ იგი იწროჲ
და შესაჰირვებელი? [V] ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: გზაჲ იგი
30 იწროჲ და შესაჰირვებელი ესე არს იძულებაჲ გულის-სიტყუათა
თვისთაჲ და განშორებაჲ ღმრთისათვის ნებისა თვისისაჲ, და ესე არს

³ მან — B. ⁴ და — B. ⁵ რომელიცა B. ⁶ სახიერებისაგან] სახიერებისა მისი-
საგან B.

რომელი¹-იგი თქუა: აჰა ესერა ჩუენ დაუტევეთ ყოველი² და შე-
ვიდგთ³ შენ. M₁₁

12. თქუა ვინმე ბერმან¹, რამეთუ იტყოდა მამაჲ ამონა: არს
კაცი, რომელმან დაყვის ასი წელი სენაკსა შინა თვისსა და ვერ ის-
წავლის², ვითარ-იგი ჭერ-არს სენაკსა შინა ჭდომაჲ, ხოლო განშო- 5
რებულმან ერთსა შინა უამსა ისწავის³. ხოლო ესერა⁴ თქვს, რაჲთა
კაცი მარადის თავსა თვისსა აბრალობდეს⁵, რამეთუ ესე წესი არს
განშორებულთაჲ.

მამისა ავილადმთჳს

1. მივიდეს ოდესმე სამნი ბერნი მამისა ავილადმთსა და ერთისა 10
მათგანისაჲ ჰამბავი განსრულ იყო არაჰძიმჳ. ჰრქუა მას ერთმან
ბერთაგანმან: მამაო, მიქმენ მე ერთი ბადჳ. ხოლო მან ჰრქუა: არა
ვიქმ. და კუალად ერთმან მან ჰრქუა: ყავ სიყუარული, რაჲთა გუა-
ქუნდეს მონასტერსა შინა შენდა მოსაკსენებელად, გვქმენ ერთი
ბადჳ. და მან ჰრქუა: [19] ვერ მცალს. ჰრქუა მანცა, რომლისა-იგი 15
ჰამბავი სმენილ იყო: მიქმენ მე ერთი ბადჳ. რაჲთა მაქუნდეს ხელ-
თაგან შენთა კურთხევაჲ. ხოლო მან მეყსეულად მიუგო და ჰრქუა:
მე გიქმნე. და ჰრქუეს მას ორთა მათ ბერთა თვისაგან: რაჲსათჳს
ჩუენ გევედრენით და არა ინებე საქმედ, და ამას არქუ, მე გიქმნე
შენ? ჰრქუა მათ ბერმან: გარქუ თქუენ, ვითარმედ არა ვიქმ და არა 20
შესწუხენით, რამეთუ არა მცალს, ხოლო ჟუ ამას არა უქმნე, თქუ-
ას, რამეთუ ცოდვაჲ იგი ჩემი ესჲა ბერსა და მისთჳს არა ინება საქ-
მედ. და მუნთქუესვე განუკუეთე მიზეზი და ამისთჳს განვაფრთხვე
სული მისი, რაჲთა არა მწუხარებითა დაითხოოს. M₁

2. თქუა მამამან ბიტიმი, რამეთუ შთავიდოდე ოდესმე სკიტედ 25
და მო-ვიეთმე-მცეს ვაშლი მცირედ, რაჲთა მიესცე ბერთა. და ვჰრე-
კე კარსა მამისა ავილადსა, რაჲთამცა მივეც მას. ხოლო მან თქუა:
დაიჭერე, ძმაო, რამეთუ არა მინდა რეკაჲ ესე, აწ დაღაცათმცა
ოქროსაჲ იყო, და ნუცა სხვსა ვის სენაკსა მიხუალ. მაშინ წარ[v]-
ვედ სენაკად ჩემდა და კვრიაკესა მოვილე იგი ეკლესიად. M₂ 30

¹ რომელ B. ² ყოველოვე B. ³ შეგიოქო B.

12. B: 279; — C. ¹ ბერჰან — C. ² ისწავის B. ³ ისწავის — B. 4 ესე B.

⁵ აბრალობდეს B.

1. — BC. 2. — BC.

3. მივიდა ოდესმე მამა აქილა სენაკად მამისა ესაიაჲსა სკიტეს და ჰოა იგი, რამეთუ პურსა წუენითა ჰპადა, რამეთუ ესხა პინაკსა მარხილი და წყალი და დაიწებდა მას შინა. და ვითარცა იხილა ბერი, დაძალა სირასა ქუეშე. ხოლო მან ჰრქუა: მითხარ, რასა უკამლი? და მან ჰრქუა: შემინდვე, მამაო, რამეთუ ბაიასა ვკადლი, და სიტხესა აღმოვედ და დავაწე პური მარხილსა და შევსკ და ვერ შთავნთქი, რამეთუ სასაჲ განმიქმა მე სიტხითა, და ამისთვის ვიძიულე, დავსხ წყალი მარხილსა თანა, რადთამცა ესრეთ შევკამე, არამედ შემინდვე. მამაო. და თქუა ბერმან: მოველით და იხილეთ, რამეთუ ესაია წუენსა ჰამს სკიტეს, უკუეთუ გინებს წუენისა ჰამაჲ, ვილოდუ ეგვპტედ. M₃

4. მი-ვინვე-ვიდა ბერი მამისა აქილაჲსა და იხილა, რამეთუ წარმოავდო სისხლი პირით და ჰკითხა მას: რაჲ არს ეგე, მამაო? და თქუა ბერმან: სიტყუაჲ არს [20] ძმისაჲ, რომელმან შემაწუხა მე და ვითმენდი, რადთამცა არა უთხარ მას და ვევედრე ღმერთსა, რადთამცა აღილო ჩემგან. და იქმნა სიტყუაჲ იგი სისხლ პირსა² ჩემსა და ვითარცა წარმოვჰნერწყუე, განვისუენე და გულის-სიტყუაჲ იგი მიმაღიწყდა. M₄

5. იტყოდა მამაჲ ამოი: მივედით მე და მამაჲ ბიტომი მამისა აქილაჲსა და გუესმა მისი, რამეთუ იწურთიდა სიტყუასა ამას: ნუ გეშინინ, იაკობ, შთასლვად ეგვპტედ. რამეთუ² მრავალ ჟამ დვა და იტყოდა სიტყუასა³ მას⁴. და ვითარ ვჰრეკეთ, განგვლო ჩუენ და გურქუა: ვინანი ხართ? და შეგუეშინა თქუამად, ვითარმედ სენაკებინანი ვართ — და ვარქუეთ, ვითარმედ: მთისა ნიტრიისანი⁵ ვართ. და თქუა: რაჲ გიყო თქუენ, რამეთუ შორიელნი ხართ? და შემიწყნარნა ჩუენ და ვიხილეთ ფრიადი სირაი⁶, დაეთხზა ღამე ყოველ. და ვჰკითხეთ მას, რადთამცა მითხრა ჩუენ სიტყუაჲ, ხოლო მან თქუა⁷: მე⁸ მწუხრიტოჯან აქა ჟამადმდე⁹ დამითხზავს ოცი მკარი და¹⁰ დაიჭერეთ, რამეთუ არა მიქმს ეგე, არამედ რადთა არა განნირისხნეს¹¹ ღმერთი, და მადრალოს¹² მე და მრქუას¹³: რადსათვს შემძლებელ

3. — BC.

4. B: 279; — C. ¹ ვითმენდ B. ² + შინა B.

5. B: 279; — C. ¹ ამოვი B. ² რამეთუ—B. ³ სიტყუა B. ⁴ ამას B. ⁵ ნიტრიასანი B. ⁶ სირაი B. ⁷ მრქუა B. ⁸ ჩუენ B. ⁹ ჟამადმდე B. ¹⁰ და — B. ¹¹ განნირისხნეს + მე B. ¹² დამბრალობდეს B. ¹³ თქუას B.

იყავ [v] საქმედ და არა იქმოდე? ამისთვისცა ვშურება და წინა-
 უყოფ ყოველსა ძალსა ჩემსა. და სარგებელ გუეყო და გამოვედით.
 M₅

მამისა ამოცნობა

1. იტყოდეს მამისა ამოცნობის. რამეთუ ოდეს მივალნ ეკლესი- 5
 ად, არა უტევის მოწაფესა მისსა მანლობელად მისსა სლვად, არა-
 მედ განშორებულად. და თუ მოვიდის მისსა კითხვად გულის-სიტ-
 ყუათათს, ვითარცა უთხრის, მუნთქუესვე წარ-ხოლო-ავლინის,
 თქვს: ნუუყუე ვიტყოდით რაჲ სულისა სარგებელისათს, წარმო-
 რაჲმე-ვარდეს უცხოჲ ზრახვად, ამისთვის არა გიტევი ჩემ თანა 10
 სლვად. M₁

2. იტყოდა მამაჲ ამოცნობის მამასა ესაიას: დასაბამსა ვითარ მზე-
 დედ მე? პრქუა მას: ვითარცა ანგელოზსა, მამაო. და უკუანაჲსკ-
 ნელ პრქუა მას: აჲ ვითარ მზედავ? ხოლო მან პრქუა მას: ვითარცა
 ეშმაქსა, დაღათუ კეთილსა მეტყოდი, ვითარცა ისარი მეცემინ. M₂ 15

3. იტყოდეს მამისა ამოცნობის, რამეთუ სნეულ იყო, ადგილო-
 ბანს მდებარეჲ მრავალ წელ, და არაჲაჲ მიერჩდა გულის- [21]
 სიტყუასა თქვსა, ვითარცა შეხედნა შინაგანსა მას სენაქსა მისსა
 და ისილა, თუ რაჲ უც. რამეთუ ფრხიდ მოართუმიდეს მას უძლუ-
 რებისა მისისათს. არამედ ოდეს შევალნ მოწაფე მისი იოვანე და 20
 გამოვალნ, თუალნი დაიკუბნის, რაჲთა არა იხილოს, თუ რასა იქმს,
 იცოდა, რამეთუ სარწმუნოჲ მონაზონი იყო. M₃

4. იტყოდა მამაჲ პიმენ, ვითარმედ: ძმაჲ მოუქდა მამასა ამოცნობის
 და ითხოვდა მისგან სიტყუასა. და დაყო მის თანა შვიდი დღე და
 არარაჲ მიუგო! მას. და ვითარ წარჰგზავნიდა, პრქუა მას: ვიდოდე 25
 და ეკრძაღე თავსა შენსა, რამეთუ მე ესერა ცოდვანი ჩემნი ზღუდე
 ბნელის მექმნეს ჩემ შორის და ღმრთისა. M₄

5. იტყოდეს მამისა ამოცნობის, რამეთუ შექმნა ოდესმე ერგასი-
 სი საწყაული იტქლისაჲ პურად და დაფინა! მზესა. და ვიდრე არღა

1. — BC. 2. — BC. 3. — BC.

4. B : 279; — C. ჰიეგო B.

5. B:279v;—C. ¹ დავიან B.

განქმელ² იყო კეთილად, იხილა რაამე მას აღვილსა საქმე³ დამაბ-
 რკოლებელი⁴ და ჰრქუა ყრმათა თვისთა: გულეთ ამიერ. ხოლო იგი-
 ნი შეძრწუნდეს⁵ ფრიად. და ვითარცა იხილნა იგინი, რამეთუ შეწუხ-
 ნეს, ჰრქუა მათ: [v] შესწუხენითა პურთა ამათ ზედა? ჰეშმარიტად
 5 გითხრობ მე, ვინმე ვიხილენ მეოტნი, რომელთა დაეტევა პიტალო-
 თა მოქმნილები სენაკები⁶, სავსე⁷ წიგნის ტყავებითა⁸ და არცა⁹ კა-
 რები დაეკმა, არამედ ღებულად დაეტევა და წარსრულ იყვნეს. M₅

მამისა ამონისთვის

1. მამაჲ ამონ ნიტრიელი მივიდა მამისა ანტონისა და ჰრქუა
 10 მას, რამეთუ: მე უფროდსი შრომაჲ მაქუს შენსა და ვითარ გან-
 დიდნა სახელი შენი კაცთა შორის უფროდს ჩემსა? ჰრქუა მას მა-
 მამან ანტონი: ამისთვის, რამეთუ ღმერთი მე უფროდს მიყუარს შენ-
 სა. M₁

2. [იტყოდეს მამისა ამონისთვის, რამეთუ ორითა კაბოდათა
 15 ქრთლისა ფქვილითა გარდავლო ორი თუჭ]*.

მივიდა მამაჲ ამონ მამისა პიმენისა და ჰრქუა მას: ოდეს მივი-
 დი სენაკად ძმისა, გინა¹ იგი ჩემდა მოვიდის³ საქმრისა⁴ რაასათ-
 ვსმე, გუეშინინ ურთიერთას სიტყვს მიგებად. ჰრქუა მას ბერმან:
 კეთილად ჰყვით⁵, რამეთუ უკმს სიჰაბუკესა საცოჲ. ჰრქუა ამას⁶
 20 მამამან [22] ამონ: ბერნი ვითარ ჰყოფდეს? და მან ჰრქუა მას: ბერ-
 ნი ერთევე წარმატებულ იყვნეს და სხუაჲ არაჲ⁷ იყო მათ შორის და
 არცა უკხოჲ. რაამე სიტყუაჲ პირთა შინა მათთა, რაათამცა ამას
 იტყოდეს.

მერმე კუალად ჰრქუა მას: უკუეთუ უნებელი რაამე იყოს სიტ-
 ყუად მოყუსისა თანა, გინებსა, ვეტყოლი⁸ მას⁹ წიგნთაგან ანუ ბერ-
 25 თა სიტყუასა ვეტყოლი¹⁰? ჰრქუა მას: უკუეთუ ღუმილად ვერ ძალ-
 გიც, უმჯობეს¹¹ არს, რაათა ბერთა სიტყუასა იტყოლი და არა წიგ-
 ნთასა, რამეთუ ჰირი აქუს არა მცირაჲ. M₂

² გამკმარ B. ³ საქმ B. ⁴ დასაბრკოლებელი B. ⁵ შეწუხნეს B. ⁶ სარკუმლე-
 ბი B. ⁷ საკლ B. ⁸ ~ ტყავებითა წინითა B. ⁹ არცა B.

1. — BC.

2. B : 279v; — C. * კავებში ჩასმული ტექსტი B ნუსხაში არ აღმოჩნდა.
¹ გინა თუ B. ³ ~ მოვიდის ჩემდა B. ⁴ საქმარია B. ⁵ ჰყვი B. ⁶ მას B. ⁷ არარაჲ
 B. ⁸ ვიტყოლი B. ⁹ მას — B. ¹⁰ ვიტყოლი B. ¹¹ უმჯობეს B.

მამისა ანოზისთვის

1. ძმა მვიდა სკიტტ და ჰრქუა მამასა ანობს: საქმედ წარ-
მავლინებუ მამა ჩემი და მე მეშინის სიძვისაგან. ჰრქუა მას ბერ-
მან: რომელსა ჟამსა მოიწიოს შენ ზედა განსაცდელი, თქუ: ღმერ-
თო, მამისა ჩემისაო, განმარინე მე. და ერთსა შინა დღესა, ვითარ 5
იქმოდა იგი საქმესა დაბასა შინა ერთსა, დაჰკეა კარი ქალწულმან
მის ზედა ხოლო მან დაღად-ყო კმითა დიდითა და თქუა: ღმერთო,
მამისა ჩემისაო, განმარინე მე. [V] და მეყსეულად იპოა გზასა. მას
ზედა, რომელი მივალს სკიტეს.

2. გვთხრობდა მამა იოვანე, რამეთუ მამა პიმენ და მამა 10
ანობ და სხუანი იგი ძმანი მათნი ერთისა მუცლისაგან გამოსრულ
იყვნენ და მონაზონებდეს სკიტეს. და ოდეს მოვიდეს მარზიკნი და
მოაოკრეს ადგილი იგი, პირველად განეშორნეს მამა პიმენ და მა-
მა ანობ და სხუანი იგი ძმანი მათნი. და მოვიდეს ერთსა ადგილსა,
რომელსა ერქუა ტერენოთინ, ვიდრეჰდის განიზრახონ, თუ სადა 15
იყოფოდინ, და დაადგრეს ძუელსა შინა ტაძარსა მცირეთა დღე-
თა. M₁

3. ჰრქუა მამამან ანობ მამასა პიმენს: ყავ სიყუარული და შენ
და ძმანი შენნი კაცად-კაციდი თვსა დაეყუდენით და ნუჰკა შევემ-
თხუევით ურთიერთას ამას შვდელსა. 20

ჰრქუა მამამან პიმენ: ვითარცა გენბავს, ეგრეცა ვყოთ. და ყვეს
ეგრე. და იღვა ტაძარსა მას შინა ხატი ქვისაჲ. და აღდგის გან-
თიად მამა ანობ და ქვითა ესრინ პირსა მის ხატისასა. და მწუხრი
ეტყვნ მას: [23] შეგცოდე, მომიტევე. და ესრეთ ჰყოფდა. თავადსა
კკრიაკესა, დღესა შაბათსა შემითხვნეს ურთიერთას. 25

ჰრქუა მამამან პიმენ მამასა ანობს: გიხილე შენ, მამაო, ამას
შვდელსა, რამეთუ ქვითა ესროდე ხატსა მას და მერმე მიხვდი და
შეურდი მას. მოწმუნემან კაცმან ყვია ესე? მიუგო ბერმან და
ჰრქუა მას: ესე საქმე თქუენთვს ვყავ. ოდეს-იგი მიხილეთ მე და
ქვითა ვესროდე პირსა მისა, ანუ მეტყოდა რასა, ანუ განმირიხნა? 30
ჰრქუა მას მამამან პიმენ: არა. და ოდეს შეურდი მას, ანუ გული განი-
წყო და თქუა: არა შეგინდო? და ჰრქუა მამამან პიმენ: არა. და ჩუ-
ენცა, აჰა ესერა, შვდნი ძმანი ვართ, უკუეთუ გინებს, რაჲთა ვიყოფ-

1. — BC. 2. — BC. 3. — BC.

3. შუა საუკუნეთა ნოველები...

ვოდით ურთიერთას, ვიქმნეთ ვითარცა ხატი ესე, რომელი გინათუ ვისგანმე იგინის, გინათუ იდიდის, არა განრისხნის. უკუეთუ არა გინებს ესრე ყოფის, აჰა ესერა, ტა[ძა]რსა ამას ოთხნი ბჰენი არიან, თითოეულსა ვიდრეცა უნებს ვიდოდენ. ხოლო იგინი დაცვეს ქუ-
 5 გყანასა ზედა და ჰრქუეს: ვითარცა გინებს, ეგრეცა ვყოთ, მამაო, ვისმი[v]ნოთ შენი, რაადცა მრქუა ჩუენ. M₁

4. თქუა მამამან პიმენ, რამეთუ: ვიყოფოდით ზოგად ყოველ-
 თა ჟამთა და ვჰყოფდით მსგავსად სიტყუსა მის ბერისა, რომელი
 10 მრქუა ჩუენ: ერთი ჩუენგანი დაადგინა მოლუაწედ და ყოველი, რომელი
 დაპივის ჩუენ, ვჰამით და არავის კელ-ეწიფა ჩუენგანსა თქუ-
 მად, ესე არა მიწებს ქამად. და ვიყოფოდეთ ყოველთა დღეთა ჩუ-
 ენთა განსუენებით. M₁

5. თქუა მამამან ანობ: ვინაფთგან სახელი ქრისტესი წოდებულ
 აჰს ჩენ ზედა, არასადა გამოსრულ არს ტყუილი პირისაგან ჩემი-
 15 M₂

6. იტყოდეს, ვითარმედ: მამამან პაესიოს, ძმამან პიმენისმან,
 პოა მცირეჲს ქურტველი დრაჰკნითა. და ჰრქუა ძმასა თვისსა უხუცესსა,
 მამასა ანობს, რამეთუ: სიტყუაჲ მამისა პიმენისი ფიცხელ არს
 ფრიად, არამედ მოვედ და აღვაშენოთ სადმე მონასტერი და დავს-
 20 ხდეთ უზრუნველად.

ჰრქუა მას მამამან ანობ: და ვინაჲ აღვაშენოთ? და უჩუენა მას
 დრაჰკანი იგი. ხოლო მამაჲ ანობ შეწუხნა ფრიად, რამეთუ განიზ-
 რახა, ვითარმედ ზღვევაჲ არს სულისა მისისაჲ. და ჰრქუა ძმასა
 თვისსა პაესიოსს: [24] კეთილ, გუალე, აღვაშენოთ სახლი მდინარე-
 25 სა მას წიაღეკრძო. და მოილო ქურტველი იგი მამამან ანობ და შთა-
 იღვა იგი კუნკულსა თვისსა. და ვითარცა წიაღ-ვიდოდეს იგინი მდი-
 ნარესა მას და მიიწინეს იგინი შუა ოდენ, ნეფსით მკუეთრ. უკუნ-
 იხილა მამამან ანობ და შთავარდა კუნკული იგი დრაჰკნითურთ
 მდინარესა მას. და შეწუხნა მიზეზით, რეცათუ გულსა აკლდა. ჰრქუა
 30 მას პაესიოს: ნურაჲ გულსა გაკლს, მამაო, ვინაფთგან წარწყმდა
 დრაჰკანი ეგე, გუალე, კუალად-ვიქცეთ ძმისავე ჩუენისა. და იყოფ-
 ვოდეს მშვიდობით.

7. მოუტდეს ოდესმე¹ ორნი ძმანი მამასა პიენს, და² მის თანა ჯდა მამაჲ ანობ: ჰკითხეს მას და ჰრქუეს³: მამაო, სიყუარული ვის-თანა-მე გუაქუს და არცა-და სარგებელი შეგუეძინების მისგან სულისაჲ და არცა საენებელი. რაჲ საყოფელ არს? ხოლო ბერსა ესმა ესე და ღუჲნა, რამეთუ არასადა იტყვნ, ოდეს მუნ ზინ მამაჲ ანობ, რამეთუ უხუცეს⁴ იყო მისსა. 5

8. ჰრქუა მათ მამამან ანობ: დიდი შრომაჲ არს, [V] რაჲ საქმშ უც კაცა კაცისა თანა, რომლისაგან არცა ერთი სარგებელი აქუნს². მერმე თქუა: სულსა უკუეთუ სიტყუაჲ აქუნდეს და საქმშ არა აქუნდეს, მსგავს არს იგი ხესა, რომელსა ფურცელი ხოლო აქუნს³ და ნაყოფი არა აქუნს. ვითარცა ხეთა⁴, რომელნი⁵ ნაყოფითა სავსე არიან⁶, ფურცელიცა შეუნიერ⁷ არნ⁸, ეგრეცა სულსა სიტყუაჲ შეეტყუების, რომელსა აქუნდენ⁹ საქმენი კეთილნი. 10

მერმე თქუა ბერმან: ოდეს კაცმან მრავლად შეიკრიბის, მაშინ¹⁰ შეუძლის აღშენებად¹¹ სახლისა, ეგრეცა ჩუენ მოვიდოთ მცირე-მცირედ ყოვლისაგან სათნოებისა. 15

მამისა აბრაჰამისთვის

1. იტყოდეს ვისთვისმე ბერისა, რამეთუ დაეყო ერგასისი წელი თვნიერ პურისა და წყლისაცა, იშუთ სვს და იტყოდა, ვითარმედ: მომიკუდინებოეს ცოდვაჲ: სიძვაჲ და ვეცხლის-მოყუარებაჲ და ცუდად მზუაობრებაჲ. და მოვიდა მისა მამაჲ აბრაჰამ, რამეთუ ესმა ფრიად, ამას იტყოდა და ჰრქუა მას: შენ სთქუ სიტყუაჲ ესე? და მან თქუა: მე ვთქუ. ჰრქუა მას მამამან [25] აბრაჰამ: აჰა ესერა შეგხუალ სენაკად შენდა და ჰპოე ჰილსა ზედა სარეცელსა დედაკაცი. ძალ-გიცა არა მოგონებად, ვითარმედ არა დედაკაცი არს? ხოლო მან თქუა: არა, არამედ წინა-აღუდგე გულის-სიტყუასა ჩემსა, არა შეხებად მისსა. 25

ჰრქუა მას მამამან აბრაჰამ: აწ უკუჭ არა ვიდრე მოგიკუდინებოეს, არამედ ცოცხალ არს ვნებაჲ იგი და დაბმულ არს. კუალად

7. B : 279v; — C. ¹ ოდემე B. ² და — B. ³ რქუეს B. ⁴ უხუცესი B.

8. B : 279v; — C. ¹ რქუა B. ² მოაქუს B. ³ ხოლო აქუნს B. ⁴ ხესა B.

⁵ რომელი B. ⁶ არნ B. ⁷ შეუნი B. ⁸ არნ — B. ⁹ ჰქონედ B. ¹⁰ მაშინდა B. ¹¹ აღშენებად B.

1. — BC.

მიხუალ გზასა და იხილე ქვაჲ და კეცი და საშუალ მათსა ოქროჲ, ძალ-გიცა გულსა შენსა, ვითარმცა ესეცა ეგრევე მოიგონე, ვითარცა ქვაჲ? ხოლო მან თქუა: არა, არამედ ვჰბრძოდი გულის-სიტყუასა ჩემსა არა აღებად.

- 5 ჰრქუა მას ბერმან: აჰა ეგერა ცოცხალ არს. მერმე კუალად ჰრქუა მამამან აბრაჰამ: აჰა ესერა გასმიეს ორისა ძმისათვის, რამეთუ ერთი გყუარობს და ერთი გძულობს და ძვრსა იტყვს შენთვის. უკუეთუ მოვიდენ შენდა ორნივე, მოითუალნეა სწორად? და მან თქუა: არა, არამედ ვძლო გულის-სიტყუასა ჩემსა კეთილის-ყოფად
- 10 მოძულისა მის ჩემისა, ვითარცა-იგი მისა, რომელი მყუარობს. მაშინ ჰრქუა მას მამამან [v] აბრაჰამ: აწ უკუე ცოცხალ არიან ვნებანი იგი, არამედ დაბმულ არიან წმიდათა მიერ. M₁

2. ძმამან ჰკითხა მამასა აბრაჰამს¹ და ჰრქუა: უკუეთუ სადამე დამემთხვოს მრავალგზის ჰამაჲ, რაჲ ვყო? მიუგო ბერმან და ჰრქუა: არასა იტყვ, ძმაო, ესოდენსა ჰამასა ანუ გგონიესა², ვითარმედ კალოდ მოსრულ ხარ? M₂
- 15

მამისა აფფესთვის

1. გვთხოვრბდეს ებისკოპოსისა აფფესთვის, რომელი იყო ოქსორიქო ქალაქისაჲ, რამეთუ ოდეს მონაზონი იყო, დიდად ფიცხლად
- 20 ცხონდებოდა. ხოლო ოდეს ებისკოპოს იქმნა, უნდა, რაჲთამცა იქმია იგივე სიფიცხლჲ სოფელსა შინაცა და ვერ შეუძლო და დავარდა წინაშე ღმრთისა და თქუა ებისკოპოსობისათვის: მე განმეჰორაა მადლი იგი ჩემგან? და გამოუცხადა მას და ჰრქუა: არა, არამედ მუნ უდაბნოჲ იყო და კაცნი არა იყვნეს და ღმერთი შეგეწეოდა, ხოლო
- 25 აქა სოფელი არს და კაცნი შეგეწევიან. M₁

მამისა ააოლოდსთვის

1. იყო ვინმე ბერი სენაკებსა მას, რომელსა სახელი ერქუა აპოლო. და თუ ვინმე [26] მოვიდის და ხადინ მას საქმედ, სიხარულით მივალნ და იტყვნ: დღეს ქრისტეს თანა მივალ საქმედ და სულისა ჩემისათვის. და ესე არს სასყიდელი მისი. M₁
- 30

2. B : 280; — C. ¹ აბრაჰამს B. ² გგონიეს B.

1. — BC.

1. — BC.

2. თქუა მამამან აპოლო! შეწყნარებისათვის ძმათაჲსა, რამეთუ ჯერ-არს მომავალთა ძმათაჲ თაყუანის-ცემაჲ. არა თუ მათ, არამედ ღმერთსა თაყუანის-ვსცემთ. რამეთუ იხილო ძმაჲ შენი, იხილო უფალი ღმერთი შენი, და ოდეს შეიწყნარებთ იგინი, განსუენებად აიძულებდით, რამეთუ ესე ლოთისგან ვისწავეთ, ვითარ იგი ანგელოზთა მათ აიძულებდა. და ოდეს აღესრულებოდა მამაჲ აპოლო, ევედრებოდეს მას ძმანი, რაჲთა დაუწერნეს და დაუტევენს მათ სიტყუანი² ნუგეშინის-ცემისანი. ხოლო მან ჰრქუა მათ; რომელი გულსა ღმრთისასა არს, დაწერა მაკარი მეგეპტელმან ორთა მათ შინა ებისტოლეთა მისთა, იგი დაიმარხეთ და იხილოთ იესუ. M₃

მამისა ანდრიამსთვის

1. იტყოდა მამაჲ ანდრია: შეჰგავს მონაზონისათვის! სამი ესე: გინა უცხოებაჲ, გინა სიგლახაკჲ, გინა ღუმილი და მოთმინებაჲ. M₁

2. [V] იტყოდეს ვისთვისმე ბერისა, თეზაიდას, მამისა ანდრიამსა¹, რამეთუ მრავალნი შრომანი ყვნა სიწაბუკესა თვისსა და სიბერესა მოუძღურდა და თვალნი დაუდგეს. და მრავალსა ნუგეშინის-საცემელსა ჰყოფდეს ძმანი² მისისა მის უძღურებისათვის და შეასუმიდეს პირსა მისსა. და ჰკითხეს მამასა იოსებს³ მისთვის⁴, ვითარმედ: რაჲ-ძი⁵ ეყოს მას დიდისა მითვის⁶ ფუფუნებისა⁷ მისისა? ხოლო მან ჰრქუა მათ: გეტყვ თქუენ, უკუეთუ გონებასა მისსა უნდეს და მიერ-ჩდეს წადიერად და-ლა-თუ შეჰკამოს ერთი დანაკისკული, ღმერთმან გამოაქუას შრომათაგან მისთა. უკუეთუ არა ნეფსით მიიღებდეს, ღმერთმან დაუმარხოს შრომაჲ იგი მისი გებულად, რამეთუ არა ნეფსით, არამედ იძულებით ჰამს⁸ და⁹ სასყიდელი აქუნდეს.

მამისა არქსისთვის

1. მივიდა ოდესმე მამაჲ აბრაჰამ მამისა არქსისა, და ვითარ სხდეს, მო-ვინმე-ვიდა ძმაჲ ბერისა და ჰრქუა მას: მითხარ მე, ვითარ ვცხონდე? ჰრქუა მას ბერმან: ვილოდე, იმარხვედ ამას წელი-

2. B : 280; — C. ¹ აპოლონ B. ² + რამე B.

1. B : 280; — C. ¹ მონაზონისა B.

2. B : 280; — C. ¹ ანდრეასა B. ² ძმანი — B. ³ იოს B. ⁴ ამისათვის B. ⁵ რამე B. ⁶ მის B. ⁷ ფუფუნებისათვის B. ⁸ ჰამს| არს B. ⁹ + მათ B.

1. — BC.

- ✓ წაღსა და მწუხრი[27]თი-მწუხრად პურსა და მარილსა ჰამდი, და მერმე მოვედ და გაუწყო შენ. ხოლო იგი წარვიდა და ყო ეგრე. და ვითარ დაასრულა წელიწადი იგი, მოვიდა და მუნ იყო მამაჲცა აბრაჰამი. ჰრქუა მას ბერმან: ვილოდე, იმარხვედ ამას წელიწადსა ორ-
 5 ორით: და ვითარ წარვიდა ძმაჲ იგი, ჰრქუა მამამან აბრაჰამ მამასა არეს: რაჲსათვის ყოველთა ძმათა უღლითა მცირითა ეტყოდი და მას ძმასა ტვრთი მძიმე დასდევ? ხოლო ბერმან ჰრქუა მას: ძმანი, ვითარცა მოვიდიან კითხვად, ეგრეცა წარვიდიან, ხოლო ესე ღმრთისათვის მოვალს სმენად, რამეთუ მუშაკი არს და რაჲცა ვჰრქუა,
 10 ყოს. M₁

მამისა ბესარიონისთვის

1. იტყოდა მამაჲ დოლოს, მოწაფე მამისა ბესარიონისი, რამეთუ ვილოდეთ ოდესმე ზღვს კიდესა მას და შემეწყურა. და ვარქუ მამასა ბესარიონს: მამაო, მწყურის დიდად. ხოლო მან ლოცვა ყო
 ✓ 15 და მრქუა მე: სუ ზღვსა მაგისგან. და დატკბნა წყალი იგი და ვსუ. ხოლო მე აღვავეს სარწყული, ნუუკუე წინარე მწყუროდის. და
 ✓ 20 მრქუა მე ბერმან: რაჲსათვის აღავსე სარწყული ეგე? [V] და მე ვთქუ: მომიტევე, მამაო, ნუუკუე წინარე მწყუროდის. და მრქუა მე ბერმან: ღმერთი, რომელი აქა არს, ყოველსა ადგილსა ღმერთი
 აჩს. M₁

2. მერმე საკმარ ოდესმე იყო და ლოცვა ყო და წილ-ჰდა მდინარესა მას, რომელსა ჰრქვან ოქრო-გამოდინებულ და იპოა წილ-
 25 კეჩო. ხოლო მე დამიკვრდა და შეუვრდი ფერკთა მისთა და ვარქუ მას: ვითარ აგრძნობდ ფერკითა შენითა, ხვლოდე რაჲ წყალთა მათ ზედა, მამაო? და მრქუა მე ბერმან: ბრჰალამდე ოდენ ვაგონე წყალი იგი, ხოლო დაღმართ მყარსა ზედა ვილოდე. M₂

- ✓ 3. მერმე ოდესმე მივილოდეთ ბერისა ვისამე. და მიიწია მზე დასავალად, და ილოცა ბერმან და თქუა: გევედრები შენ, უფალო, დაადგინე მზე, ვიდრემდის მივიწია მონისა შენისა. და იყო ეგ-
 30 რე. M₃

- ✓ 4. მერმე კულად მივედ სენაკად მისა და ვპოე იგი ლოცვასა ზედა. და ქელნი მისნი განმარტებულ იყვნეს ზეცად და დგა ესრეთ,

ვიდრე მეთხოვედრე დღემდე. და მისსა შემღვობად მიმიცმო და
 მრქუა მე: შემოვიდეგ. და გამოვედით და წარვე[28]მართენით
 უდასნოდ. და ვითარ მომეწყურა, ვარქუ მას: მამო, მწყურის. და
 მიილო ჩემგან მახალი, რომელი მკიდავ მე ზურ[გ]სა და განმეშო-
 რა, ვითარ ქვის სატყორც ოდენ. და ყო ლოცვაჲ და მომართუა მე
 იგი წყლითა საესე. და ვითარ მოვიდოდეთ, მი-ვისმე-ვემთხვენით
 მეუდაბნოესა, და შე-რაჲ-ვედით შინა, ვპოეთ ვინმე ძმაჲ, რომელი
 ჯდა და იქმოდა სირასა. და არცა ზე აიხუნდა თუალითა და არცა
 მოგუხუნდა ჩუენ და არცა მოგკვითხნა და არცა ყოლად ინება სიტ-
 ყუად ჩუენ თანა.

მრქუა მე ბერმან: გუალე, შვილო, ამიერ, ვითარ ვპგონებ, არა
 სათნო უჩს ბერსა ამას სიტყუად ჩუენ თანა. და ვითარ ვიდოდეთ
 ადგილსა მას, რომელსა პრქვან სახელი ლკო, მივიწიენით მამისა
 იოვანესსა. და ვითარ მოვიკითხეთ იგი, ლოცვა ყვაეთ და დასხდეს
 იგინი ზრახვად ხილვისა მისთვის, რომელი იხილა ლოცვაჲა შინა.
 ხოლო მამამან ბესარიონ თქუა: ბრძანებაჲ გამოქდა უფლისა
 მიერ, რაჲთა დაირღუენ საკერპონი, და იყო ეგრე და დაირღუეს.
 [v] და ოდეს მოვიქეცით და მოვედით მასვე ქუაბსა, სადაცა ვინი-
 ლეთ ძმაჲ იგი, მრქუა მე ბერმან: შევიდეთ, შვილო, ძმისა მის და,
 ვინ უწყის, ღმერთმან დააჯეროს სიტყუად ჩუენ თანა. და ვითარ
 შევედით, ვპოეთ იგი აღსრულებული. და მრქუა მე ბერმან: მოვედ,
 ძმაო, და დავილუაწოთ გუამი ესე ამისი, რამეთუ ამის სახისათვის
 მოგუაველინა ჩუენ ღმერთმან აქა, რაჲთამცა დავილუაწეთ. და დავ-
 კმარხეთ იგი. და ვპოეთ, რამეთუ დედაკაცი იყო ბუნებით. დაუკ-
 ვრდა ბერსა და თქუა: აჰა ესერა, ვითარ დედანიცა მენდებინა ეშმაკ-
 თა მიმართ და ჩუენ ქალაქთა შინა სირცხვლეულნი ვიქცევით. დი-
 დებაჲ ღმერთსა, რომელი შეეწევის მოყუარეთა მისთა. და განვედით
 მიერ. M₄

5. მო-ვინმე-ვიდა ეშმაკული სკიტეს და ლოცვა ყვეს მისთვის
 ეკლესიას. და არა განვიდა მისგან ეშმაკი იგი, რამეთუ ფიცხელ იყო.
 და თქუეს მღღელთა მათ: რაჲ-მე უყოთ ეშმაკსა ამას, რამეთუ ვერ-
 ვინ შემძლებელ არს განქდად მაგას, გარნა მამაჲ ბესარიონ? და თუ
 ვევედრნეთ [29] მას მაგისთვის, არცა-ლა ეკლესიად მოვიდეს, არა-

მედ ესე ვყოთ: აჰა ესერა განთიად მოვიდის ეკლესიად, ყოველთა უწინა დავსუათ ვნებული ეგე ადგილსა მისსა. და ოდეს შემოვიდეს, აღვდგეთ ლოცვად და ვჰრქუათ: განალვქე ძმაჲ ეგე, მამაო. და ყვეს ეგრე. და ვითარცა მოვიდა ბერი ადგილსა თვისსა ლოცვად, ჰრქუეს: 5 განალვქე ძმაჲ ეგე. და მან ჰრქუა მას: აღდეგ და განკედ გარე. და მეყსეულად განვიდა მისგან ეშმაკი იგი და განიკურნა მიერ ჟამით-გან. M₅

6. თქუა მამამან ბესარიონ: ორმეოცი¹ დღჳ და ლამჳ დაყვაჲ ეკალთა შორის ზედგომილ², მიუყრდნობელად. M₆

10 ძმამან ვინმე ცოდა და გამოკადეს იგი ხუცესთა ეკლესიით. ხოლო მამაჲ ბესარიონ აღდგა და გამოვიდა მის თანა და იტყოდა: უკუეთუ ესე განეყენების თაყუანის-ცემასა ღმრთისასა, ვითარ ესე არალირსად გამოაჩინეთ უნდოჲსა საქმისათჳს, მეცა ცოდვილი ვარ. M₇

15 8. მანვე მამამან ბესარიონ თქუა, რამეთუ: ორმეოცსა¹ წელსა² არა³ მივსდევ გუამი⁴ ჩემი ზედა გუერდსა ჩემსა, არამედ ანუ⁵ ჯღომით, [v] ანუ ზედგომით მივიძინი. M₈

9. მანვე თქუა: რაჟამს მშუდობით იყო და ბრძოლაჲ არა გა-
20 ქუნდეს, უფროჲს ხოლო დამდაბლდი, ნუჟუკუჳ უცხოჲ სიხარუ-
ლი შემოგიქდეს და მიეცნეთ¹ ბრძოლასა, რამეთუ მრავალგზის უძ-
ლურებისა ჩუენისათჳს ღმერთმან არა უტევის ჩუენდა ბრძოლაჲ,
რათა არა წარვწყმდეთ. M₉

10. ძმაჲ ვინმე იყოფოდა ძმათა თანა. ჰკითხა მამასა ბესარი-
ონს: რაჲ ვყო? ჰრქუა მას ბერმან: დუმენ და თავი თჳსი შეურაცხ-
25 ყავ. M₁₀

11. მამაჲ ბესარიონ აღსრულებისა ჟამსა იტყოდა, რამეთუ: უღირს მონაზონსა, რათა იყოს, ვითარცა ქერაზინი და სერაზინი, ყოვლადვე თუალ. M₁₁

6. B : 280v. — C. ¹ ორმოცი B. ² ზედგომით B.

7. — BC.

8. B : 280 v; — C. ¹ ორმეოცისა B. ² წლისა B. ³ რათა არა B. ⁴ გამი B. ⁵ ანუ — B.

9. B : 280v; — C. ¹ მიეცნეთ B. 10. B : 280v; — C. 11. B : 280v; — C.

მამისა ბენიამინისთვის

1. თქუა მამამან ბენიამენ, რომელი იყო ხუცესი სენაკებისაჲ, რამეთუ: მივედით სკიტედ ბერისა ვისამე და გვნდა, რაჲთამცა ვეცით ზეთი მცირედ, და მრქუა ჩუენ: აჰა ეგერა სადა დგას მცირჲ ჭურჭელი, რომელი მომართვთ მე უწინარეს სამისა წლისა, ვითარცა დასდგით, ეგრეცა დგას. ხოლო ჩუენ, ვითარცა გუესმა, დაგვკვრდა მოთმინებაჲ ბერისაჲ მის. M_2 5

2. [30] მანვე თქუა: გზასა სამეუფოსა ვილოდეთ და მილიონსა რაცხდით და არა სულმოკლე იქმნეთ. M_5

მამისა ბიარასთვის

10

1. ჰკითხა ვინმე მამასა ბიარეს და ჰრქუა: რასა ვიქმოდით და ვცხონდეთ? ხოლო მან ჰრქუა მას: ვილოდე და ყავ მუცელი შენი მცირჲ² და კელთ-საქმარი შენი მცირედ³, და ნუ შფოთ ხარ სენაკსა შინა შენსა და სცხონდე. M_1

მამისა გრიგოლისთვის

15

1. თქუა მამამან გრიგოლი: სამი ესე მიჰკადოს კაცსა ღმერთმან: სარწმუნოებაჲ მართალი სულისაგან და ქეშმარიტებაჲ ენისაგან და სიწმიდჲ გულისაგან. M_1

მამისა ბელასისთვის

1. გვთხრობდეს მამისა გელასისთვის ძმანი, რამეთუ ედვა წიგნი, რომელი ღირდა ათურამეტის დრაჰკნის. რამეთუ წერილ იყო მას შინა ძუელი და ახალი აღთქუმაჲ ყოველი. დაიდვა იგი ეკლესიასა შინა, რაჲთა რომელსა უნდეს ძმთაგანსა, იკითხვიდეს. მივინმე-ვიდა ძმაჲ ერთი უცხოჲ ხილვად ბერისა და იხილა იგი. და გულმან უთქუა და გამოიპარა და გამოვიდა. ხოლო ბერმან ცნა, არამედ დევნა არა უყო უკუანა [v] მისსა, ვითარმცა ეწია მას. ხო- 25

1. — BC.

2. B : 280v; — C. ¹ მანვე თქუა] თქუა მამამან ბენიამენ B.1. B : 280v; — C. ¹ ბიარასთვის B. ² მცირე B. ³ მცირე B.1. B : 280v, — C. ¹ გრიგოლ B.

1. — BC.

ლო იგი მივიდა ქალაქად და აიძულებდა მას განსყიდად. და პოა, რომელსა უნდა მისყიდის და სთხოვდა ათექუსმეტსა დრაჰკანსა. ხოლო რომელსა უნდა მისყიდის, ჰრქუა მას: პირველად მომეც ეგე და გარდავიჩილო და ეგრეთ სასყიდელი მიგცე. და მან მისცა მას, ხოლო მან მიიღო იგი და მიართუა მამასა გელასის, რაფთა გამოიცადოს იგი და სასყიდელიცა მისი უთხრას, რაოდენის-იგი განმსყიდელმან თქუა.

ხოლო ბერმან ჰრქუა მას: მოიყიდე ეგე, რამეთუ კეთილ არს და ღირსცა, რაოდენის სასყიდლის გეტყვს. და მივიდა და უთხრა კაცმან მან განმსყიდელსა სხუაჲ და არა ვითარ-იგი მისგან ესმა. ჰრქუა მას: აჰა ეგერა უჩუენე ეგე მამასა გელასის და მრქუა მე: ჭეკმა უყოფიეს და არა ღირს, რაოდენის-იგი სასყიდლის უთქუაჲს. და მას ვითარცა ესმა ესე, ჰრქუა მას: და სხუაჲ არარაჲ თქუა ბერმან? და მან თქუა: არაჲ. მაშინ ჰრქუა მას: არღარა ვჰყიდი მაგას. და ცნა გულითა თვისითა და მივიდა ბერისა სინანულით და ევედრებოდა [31] ბერსა, რაფთამცა მიიღო იგი, ხოლო ბერსა არა უნდა მიღების. მაშინ ჰრქუა ძმამან მან: უკუეთუ არა მიიღო ეგე, არა მაქუნდეს განსუენებაჲ. ხოლო ბერმან ჰრქუა მას: უკუეთუ ვერ განისუენებ, აჰა მომაქუს. და დაადგრა ძმაჲ იგი ვიდრე აღსასრულამდე ბერისა თანა, რამეთუ სარვებელ ეყო მას საქმე იგი ბერისაჲ მის. M₁

2. ამასვე მამასა გელასის და-ვინმე-უტევა მონაზონმან, რომელსა სამკვდრებელი ნიკოპოლის ეპყრა, სენაკი და გარემოჲს მისსა ქუეყანაჲ. და ქუეყანის-მოქმედი ვინმე იყო ბაკატოსი, რომელი მას უამსა მთავრობდა ნიკოპოლის პალესტინისასა, თვისი მის ბერისა აღსრულებულისაჲ. მოუქდა მას ბაკატოსი, რაფთამცა დაიპყრა ქუეყანაჲ იგი, რეცა შჭულისაგანცა მივიდოდა მისსა სამართალი. ხოლო იგი მძლავრი იყო და თავით თვისით აზნობდა ქუეყანისა მიღებად ნეტარისა გელასისგან. ხოლო მამასა გელასის არა უნდა, რაფთამცა სენაკი სამონაზნოჲ ერისკაცთა განსცა და არა განუტევა ადგილი იგი. მაშინ დაუმზირა ბაკატოს კარაულთა [V] ნეტარისა გელასისთა. და ვითარ წარჰქონდა ზეთის ხილი მიერ ადგილით, რომელი მისა დატევებულ იყო, მაგრობით შეიპყრნა იგინი და ზეთის ხილი თვისი ვანად მიიღო. ხოლო კარაულნი იგი და მეკარაულენი შრომითა დიდითა განუტევენა. ხოლო ნეტარმან ბერმან ნაყოფისა

მისთვის ყოლადვე არა იღუაწა, არამედ ქუეყანაჲ იგი კელმწიფებინ-
საგან არა განუტევეა პირველ თქმულისა მისგან მიზეზისა. მაშინ ბა-
კატოს, ვითარცა ცეცხლი, აღატყდა მას ზედა. და სხუადცა საკმარი
აიძულებდა მას, რამეთუ სარჩლის-მოყუარე იყო. და კოსტანტინე-
პოლეს წარემართა და კმელით აღვიდოდა. და ვითარ მიიწია ანტიო-
გიად, მაშინ ოდენ. ვითარცა დიდი მთიები, ბრწყინვიდა წმიდაჲ
სკემონ. მისი ესმა, რამეთუ ნანდკლვე უფროჲს კაცთა იყო. გულმან
უთქუა, ვითარცა ქრისტიანესა, ხილვაჲ წმიდასა მას. ვითარცა იხი-
ლა იგი სუეტით გარდამო მუნთქუეს ოდენ შესრული მონასტრად.

ჰკითხა მას: ვინ ხარ ანუ ვიდრე ხუალ? ჰრქუა მას: პალესტინე-
ლი ვარ და კოსტანტინეპოლეს აღვალ. ჰრქუა მას: რომლისა [32]
ჯერისათვის? ჰრქუა მას ბაკატოს: მრავლისა საკმარისათვის და ვესაგ
წმიდასა ლოცვასა შენსა, მო-რაჲ-ვიქცე კუალად, თაყუანის-ვსცე
წმიდათა ფერკთა შენთა. ხოლო წმიდამან სკემონ ჰრქუა მას: არა
ღნებავსა, განწირულო, ვინმე კაცთა შორის თქუმად, რამეთუ
ღმრთისა კაცისათვის შესემნად ახუალ? არამედ არა წარგემართოს
და ვერცა იხილო სახლი შენი ანიერითვან. არამედ უკუეთუ მერ-
ხდე ზრახვისა ჩემსა, ანიერ აწვე უკუნ-იქცე და მისსა მიიმართე და
სინანულით შეუვრდი მას, უკუეთუ ხოლო მი-ვითარ-აწინე მას აღ-
გილსა. და მუნთქუესვე შეიპყრა იგი კურგებამან, და მათ შესუეს
იგი დიასპანსა და სწრაფით უკუნ-იქცა, ვითარცა ჰრქუა მას წმიდა-
მან სკემონ, რაჲთამცა მიიწია სოფლად თვსა, და შეუვრდა მამასა
გელასის სინანულით. არამედ ვითარცა მიიწია ბივრიტიად, აღესრუ-
ლა და თვისი სახლი ვერ იხილა, ვითარცა უწინაწარმეტყუელა მას
წმიდამან სკემონ. M₂

3. ესე ძემან მისმან ბაკატოს, რამეთუ მასცა ესევე სახელი
ერქუა შემდგომად [v] სიკუდილისა მისისა მრავალთა ღირსთა
სარწმუნოთა მამათა უთხრა ესე. და ესეცა მრავალთა მოწაფეთა
მისთა გვთხრეს, რამეთუ ოდესმე თევზი ვინმე მოართუა ამათ და
მზარაულმან შეწუა იგი და შეართუა უნჯაკალსა. და მკუეთრ საქმე
რაჲმე სასწრაფოჲ წარმოვარდა უნჯაკლისაჲ, და გამოვიდა საუნ-
ჯაკლით და თევზი იგი კურკლითა დაეტევეა ქუეყანასა ზედა. და
ყრმასა მცირესა, რომელი მას და ნეტარსა გელასის განეზარდა, შე-
ამცნო, რაჲთა მცირედ ჟამ ხედვიდეს, ვიდრე უკ-მოსლვადმდე მისა.

ხოლო ყრმასა მას გულმან უთქუა და იწყო ურიდად ქამად თევზსა მას. და მოვიდა უნჯაკალი იგი და ქუეყანასა ზედა მჭდომარესა ურიდად ფერკითა აქენა, და ეშმაკისაგან საენებელსა ადგილსა მიაშთხვა და მკუეთრ შესწყვდნა, და სულნი აღმოჰქდეს. ხოლო უნჯაკალსა მას შეეშინა და მიილო სარეცელსა თვისსა ზედა, დაღვა და დაბურა. და მივიდა და შეუვრდა ფერკთა ბერისათა და უთხრა მას, რაჲ-იგი იქმნა.

[33] ხოლო მან ამცნო მას, რაჲთა არავის უთხრას, და შემდგომად ყოველთა დაყუდებისა, მწუხრი შეილოს იგი სადიაკონოდ და დაღვას იგი წინაშე საკურთხეველსა და გამოვიდეს. და რაჲამს ესე ყო, შევიდა ბერი სადიაკონოსა და წარდგა ლოცვად. და შუალამესა, ვითარ ძმანი ფსალმუნებისა ჟამსა აღდგეს და შეკრებოდეს, გამოვიდა ბერი და უკუანა გამოუდგა ყრმაჲ იგი. და არავინ იცოდა საქმე ესე, ვიდრე აღსრულებამდე ბერისა. და ამასცა არა ხოლო თუ მოწაფენი მისნი, არამედ მრავალნი სხუანიცა ზედაჲს-ზედა მივლენედ მისსა. M₃

4. გვთხრობდეს, რამეთუ მას ჟამსა ოდენ, ოდეს-იგი სოფლივი კრებაჲ ქალკიდონისაჲ იყო, თევდოსი, რომელმან პირველად შემოილო პალესტინედ დიოსკორომს წვალებაჲ, და ვითარ ეგულეზობდა ებისკოპოსთაჲ მათ უკუნ-სლვაჲ, თითოეული თვისსა ეკლესიასა წარმოუსწრო, რომელი-იგი მუნვე იყო კოსტანტინეპოლის, რამეთუ თვისით საყოფლით გამოძებულ იყო, ვითარცა მარადის შფოთის მოყუარე, და მიიმართა მამისა გელასისსა და ეტყოდა კრებისა მისთვის, ვითარმედ ნესტორის [v] მოძღუარებაჲ დაამტკიცეს და მით ჰგონებდა მიქცევად წმიდისა მის თანაშემწედ მისსა მას ბოროტის მოქმედებასა და მისსა მას წვალებასა. ხოლო მან კაცისა მის სახისაგანცა, და რომელი-იგი ღმრთისა მიერ მოცემულ იყო გონებაჲ, მისგანცა ცნა მისი იგი განრყუნილი გონებაჲ. არა ხოლო თუ არა მიერჩდა მისსა მას განდგომილებასა, ვითარცა მას ჟამსა ყოველნი, არამედ ვითარცა ღირს იყო, აგინა და წარავლინა იგი, რამეთუ შორის წარმოადგინა პირველმოქსენებული იგი ყრმაჲ. და ეტყოდა მას ესრეთ დაწყნარებულთა სახითა: უკუეთუ სარწმუნოებისათვის გნებავს სიტყვის-გებაჲ, აჲა ეგერა გაქუს, მან მამართი მოისმინოს და მიმართი მივიგოს, რამეთუ მე ვერ მცალს შენ-

და სიტყვს-გებად. ხოლო მას ამას ზედა დარცხუნა. და წმიდასა ქალაქსა მივიდა და ყოველნი მონაზონნი მოიქცინა, რეცათუ საღმრთოთა შურითა მიზეზობდა და შეაცთუნა დედოფალიცა, რამეთუ მას ჟამსა მანდა იყო და ესრეთ მათითა შეწვევითა მძლავრ დაიპყრა საყდარი იმჟრუსალემისაჲ, [34] რამეთუ სინხლის დათხევით მოიტაცა იგი. და სხუადცა უშჯულოებისა საქმე მრავალი ქმნა, რომელი აქამომდე მრავალთა აკოცეს. მაშინ, ვითარცა იგი დაიპყრა, მსგავსად ნებისა მისისა ებისკოპოსნიცა მრავალნი აკურთხნა და მიაგო თითოეული საყდართა, ვიდრე სხუათა მათ ებისკოპოსთა მოსლვადმდე. და მამასა გელასის მოუწოდა და უბრძანა, რაჲთა საკურთხეველად მის თანა აღვდეს, რეცათუ ჰლიქნიდა და თანა აშინებდა. და ვითარ აღვიდეს საკურთხეველად, ეტყოდა¹ მას თევდოსი: შეჩუენებულ ყავ იობენალი. ხოლო იგი არა შეშინდა, არამედ ჰრქუა მას: მე სხუაჲ არავინ ვიცი ებისკოპოსი იერუსალემს, გარნა იობენალი. მაშინ შეეშინა თევდოსის, ნუჟუე სხუანიცა კეთილსა მას შურსა მისსა მიჰბძვიდენ, უბრძანა მისი მღუმრიად გარდმორებაჲ. ხოლო მისვე წვალებისაგანთა გამოიყვანეს იგი და გარე შემოაზვნეს შეშაჲ და დაწუვად აშინებდეს მას. ვითარცა იხილეს, რამეთუ არცა ამით მიერჩნდა და ყოლადვე არა შეეშინა, ზრუნვიდეს ნუჟუე ერი [v] აღიძრას, რამეთუ კაცი იგი განთქმულ იყო. ხოლო ყოველივე ღმრთისაგან იყო. მაშინ განუტევეს უნებლიათ მოწამე იგი, რამეთუ მას თავი თვისი ყოლადვე ქრისტესსა შეეწირა. M₄

5. იტყოდეს მითავსე, რამეთუ სიკაბუქესა თავი თვისი უბოვრად ეპყრა და მარტოდ ცხოვნდებოდა.

იყვნეს მას ჟამსა შინა სხუანიცა მრავალნი გარემოჲს მათსა ადგილნი, რომელნი მისისა მისებრ ცხოვრებისა ცხოვნდებოდეს, რომელთა შორის იყო ვინმე ბერი. გარდარეულად წრფელი და უბოვარი, რამეთუ ერთსა სენაკსა შინა იყოფოდა, ვიდრე აღარულეზადმდე, რომელსა მოწაფენიცა ესხნეს. სიბერესა მისსა ამან დაიმარხა დაცვად, რაჲთა არა მოიგოს ორი სამოსელი, არცა ზრუნვიდეს ხვალისა მოწაფითურთ მისით. ოდეს უკუე იწყო მამამან გელასი ღმრთისა თანა შეწვევითა მონასტრისა შენებად. მისცემდეს მას დაბნება მრავლად. მოიგო საკმრად მონასტრისა კარაულებიცა სატკრთველად და ზროხაჲცა. რომელმან უბრძანა პახუმის პირვე-

ლად შენებაჲ მონასტრისაჲ. ამასცა შეეწოდა ყოველსა საქმარსა მისსა. [35] და ვითარ ამას შინა ხედვიდა პირველ მოქსენებული იგი ბერი გარდარეულითა მით სიყუარულითა, რომელი აქუნდა მისსა მიმართ, ეტყვნ მას: მეშინის მე, მამაო გელასი, ნუ უკუშ შე-
 ✓ 5 იკრას გონებაჲ შენი დაბნებისა მაგის ზრუნვასა, გინა სხვთა მაგით ირუნვეთა მონასტრისაჲთა. ხოლო მან ჰრქუა მას: შეიკრას სამე გონებაჲ შენი სადგისსა მაგას, რომლითა იქმ, ვიდრე არა გონებაჲ გელასისი მონაგებთა მისთა. M₅

მამისა დანიელისთვის

10 1. იტყოდეს მამისა დანიელისთვის, რამეთუ ოდეს მოვიდეს წარმართნი სკიტეს და ივლტოდეს მამანი. ხოლო მან თქუა: უკუეთუ ეგოდენ არა მიზრუნავს ღმერთი, ცოცხალ-ლა რაჲსა ვარ? და თანა-წარჰკედეს წარმართნი და ვერ იხილეს იგი. მაშინ ჰრქუა თავ-
 ✓ 15 აჲ ყავ შენცა კაცთაებრ და ივლტოდე, ვითარცა სხუანი მამანი. M₁

2. ძმამან ჰკითხა მამასა დანიელს და ჰრქუა: მომეც მე ერთი მცნებაჲ, რაჲთა დავიმარხო იგი. ჰრქუა მას ბერმან²: ნუ სადა შთა-ყოფ³ დედაკაცისა თანა პინაკსა კელსა [v] შენსა და შქამ მის თანა, რაჲთა მცირედ ამით განერე ეშმაკსა სიძვისასა. M₂

20 2. თქუა მამამან დანიელ, რამეთუ იყო ბაბილონს ასული მთავ-რისა ვისიმე, რომელსა შესრულ იყო ეშმაკი. და ესუა ვინმე მამასა მისსა მოყუარჷ მონაზონი და ჰრქუა მას: ვერვის ძალ-უც განკურ-ნებაჲ ასულისა შენისაჲ. გარნა რომელნიმე ვიცნი მეუღაბნოენი. და თუ ვევედრნეთ, არა თავს-იღვან სიმდაბლისათვის, არამედ ესე
 25 ეყოთ: რაჲჲმს მოვიდენ უბნად, მიზეზ ყავ. რეცათუ კელთ-საქმრისა მათისაჲ გინებს მოსყიდის, და ოდეს მოვიდეს სასყიდლისა მათისა მიღებად, არქუ მათ, რაჲთა ლოცვა ყონ. და ვესავ ღმერთსა, რამე-თუ განიკურნოს. და მივიდეს სავაკროდ. და პოეს ერთი მოწაფჷ ბერთაჲ მათ, რომელი ჯდა და ჰყიდდა კელთ-საქმარსა თვისსა. და
 30 წარმოიყვანეს იგი კელთ-საქმრითურთ, რეცათუ სასყიდლისა მიღე-

1. — BC.

2. B : 280v.—C. ¹ ჰრქუა] რქუა მას მამაო B. ² ბერმან — B. ³ შთაყოფ B.

3. — BC.

ბად. და ვითარცა შევიდა მონაზონი იგი სახლსა მას, მოუკდა მას ეშმაკეული იგი და სცა მას ყურიმალა. ხოლო მან მიუპყრა ერთ-კერძოცა იგი ყური[36]მალი მსგავსად მცნებისა მის. ხოლო ეშმაკი იგი იგუემა, ღალაფო და თქუა: ზ, იძულებაა ესე იესუსი გან-
 მკდის მე. და მუნთქუესვე განწმიდნა, ხოლო მათ დიდებაა მისცეს
 ღმერთსა და თქუეს, რამეთუ ჩუეულებაა აქუს ამპარტავანებასა
 ეშმაკისასა დაცემად სინდამლისაგან და მცნებათაგან ქრისტეს-
 თა. M₃

5

4. მერმე თქუა მამამან დანიელ, რამეთუ რაოდენ¹ ხორცი
 შუებულ არიედ, ეგოდენ სული შეწულილდებინ² და რაოდენ³
 ხორცი შეწულილდებიედ, ეგოდენ სული განიშუებნ. M₄

10

5. მივიდოდეს ოდესმე მამანი—მამაა დანიელ და მამაა ამოი¹.
 ჰრქუა მამამან ამოი² მამასა დანიელს: ოდეს დავსხდეთ სენაკსა ში-
 ნა, მამაო, ვინ მიგვლოს³ ღმერთი? ჰრქუა მას მამამან დანიელ: აწ
 უფალი ღმერთი არს და სენაკსა შინა ღმერთ არს და გარე კუალად
 ღმერთივე არს, ვინ მიგვლოს. M₅

15

6. გვთხრობდა ჩუენ მამაა დანიელ, რამეთუ ოდეს იყო სკიტეს
 მამაა არსენი, იყო ვინმე მონაზონი, რომელი იპარვიდა ქურპელსა
 ბერთასა. და მიიყვანა იგი მამამან არსენი სენაკად თვსა და უნდა,
 რამთამცა იგიცა შეიძინა და ბერთა მათცა განუშუენა და ჰრქუა
 მას: [V] რამცა გინდეს, მე მივცემდე, გარნა იპარავ ხოლო ნუ-
 და სცა მას ოქრო და კერპა და ყოველივე საქმარი. ხოლო იგი
 წარვიდა და მერმეცა იპარვიდა. ხოლო ბერთა მათ, ვითარცა იხი-
 ლეს იგი, რამეთუ არა დასცხრა, განაძეს იგი და თქუეს: უკუეთუ
 ვინმე იპოოს ძმად, რომელსა თანა იყოს ბიწი რაჲმე, გინა სხუად
 სახმ წაკლულეგანებისად, ჯერ არს იგი თავს-დებად, ხოლო რომე-
 ლი იპარვიდეს, განკადეთ. რამეთუ ეგევითარი სულსა თვსსა იზღ-
 ვევს და ყოველნი, რომელნი არიან მას ადგილსა, მათ აშფო-
 თებნ. M₆

20

25

4. B : 280v; — C. 1 რაოდენ B. 2 შეწულილდებინ B. 3 რაოდენ B.
 5. B : 280v; — C. 1 ამოი B. 2 ამოვი B. 3 + ჩუენგან B.
 6. — BC.

მამისა დიოსკორესთვის

1. გვთხოვბდეს დიოსკორესთვის ნაქიოტელისა, რამეთუ პური მისი ქრთილისა და ოსპნისაჲ იყო და წლითი-წლად შედგის ერთსა სათნოებასა. და თქვს: არავის შევემთხვო ამას წელიწადსა, გინა არა ვთქუა სიტყუაჲ, გინა არა ვქამო გბოლვილი რაჲ-ვე, გინა არა ვქამო ხილი, გინა მხალი. და ყოველსავე სათნოებასა ესრეთ ჰყოფნ, და ვითარ აღასრულის ერთი იგი, მერმე კუალად სხუასა იწყის და ესრეთ ჰყოფნ წლითი-წლად. M₁

2. ძმამან ჰკითხა მამისა პიმენს და ჰრქუა: გულისა-სიტყუანი მაურვებენ, რამეთუ დატევებად მცნიან ჩემნი ცოდვანი და მიმახედვიან ძმისა ჩემისა ბრალთა. მაშინ ბერმან უთხრა მას მამისა დიოსკორესთვის, რამეთუ ჯდა სენაკსა თვისსა და სტიროდა ცოდვათა თვისთა. ხოლო მოწათმ მისი სხუასა სენაკსა ზინ და ოდეს მივიდის, პოის, რამეთუ ტირნ და ეტყოდა მას: მამაო, რაჲსა სტერ? ხოლო ბერმან ჰრქუა მას: ცოდვათა ჩემთა ვსტირ, შვილო.

ერთსა შინა დღესა ჰრქუა მას მოწათემან მისმან: არა გაქუს ცოდვაჲ, მამაო? ხოლო ბერმან ჰრქუა მას: ჰეშმარიტად, შვილო, თუ მომეცეს და ვიხილნე ცოდვანი ჩემნი, ვერ კმა მეყვნენ სხუანი სამნი, გინა ოთხნი, რაჲთა სტიროდიან მათ. M₂

3. თქუა მამამან დიოსკორე: უკუეთუ შევიმოსოთ ზეცისა იგი სამოსელი, არასადა შიშუელ ვიპოვნეთ¹. უკუეთუ არა გუემოსოს იგი სამოსელი, რაჲმე რაჲ ვყოთ, ძმანო? გუესმეს სამე იგივე კმაჲ, რომელი იტყოდის: განჯადეთ ეგე ბნელსა მას გარესკნელსა, სადა იგი არს ტირილი თუალთაჲ და ღრქენაჲ კბილთაჲ. [V] ხოლო აწ, ძმანო, დიდი სირცხული არს ჩუენ ზედა, უკუეთუ ესოდენი ჟამ გმოსიეს² ხატი ესე მონაზონებისაჲ და მას ჟამსა ჰირისასა არა გუემოსოს სამოსელი³ საქორწინმ⁴. ჰ, მას სირცხულსა, რომლითა⁵ შეპყრობად⁶ ვართ! ჰ, მას ბნელსა, რომელი ჩუენ ზედა დაცემად არს წინაშე მამათა და ძმათა ჩუენთა, რომელთა გვხილნენ⁷ ჩუენ სატანჯველთა შინა, ოდეს-იგი ვიტანჯებოდით ჩუენ ანგელოზთა მათგან, რომელნი დადგინებულ არიან სატანჯველთა ზედა, რომელი მწუხარებაჲ აქუნდეს მამასა ანტონის და მამასა ამონის, რომელი იყო ეკპტე-

1. — BC. 2. — BC.

3. B: 281; — C. ¹ დიოსკორს B. ² ვიპოვნოთ B. ³ გუემოსის B. ⁴ სამოსელი + იგი B. ⁵ რომლითა + ჩუენ B. ⁶ შეპყრობილ B. ⁷ გვხილნეს B.

ლი⁸ არაბიადსა⁹, და მამასა მოსეს¹⁰ თებაიდელსა¹¹, და მამასა მაკა-
რის ალექსანდრიელსა, და მამასა პაფნოტის¹², რომელსა ერქუა სი-
დონა, და მამასა ოსირეს^{12a} თებელსა, და მამასა ომონეოსს¹³ ქე-
ტელსა¹⁴ და ყოველთა მართალთა, რაჟამს-იგი მიჰყვანდენ სასუ-
ფეველსა ცათასა, ხოლო ჩუენ განმასხმიდენ ბნელსა მას გარესკ- 5
ნელსა. M₃

მამისა ებზჳანდისა

1. მიუწერა ნეტარსა ეტვფანეს¹⁴, კვპრიელსა² ებისკოპოსსა³,
მამასა ხლისმან [38] მონასტრისა მისისამან, რომელი ემწინა პალეს- 10
ტინეს, ვითარმედ: ლოცვითა შენითა არა უდებ ვართ კანონისათვის,
არამედ სწრაფით სამ ჟამსაცა და სამხარსაცა და ცხრაჲ ჟამსაცა
ვპყოფთ. ხოლო მან განგმო სიტყუაჲ იგი და მიუწერა და ჰრქუა:
შჩანთ⁴, რამეთუ უდებ გიყოფიან სხუანი ჟამნი დღისანი და უქმ
ხართ ლოცვისათვის, რამეთუ უღირს ჰეშმარიტსა მონაზონსა, რაჲ- 15
თა მოუკლებელად აქუნდეს ლოცვაჲ და გლობაჲ გულსა შინა
თვისსა. M₃

2. მოუვლინა მამამან ეტვფანე მამასა ილარიონს, ევედრებოდა
მას და ეტყოდა: მოვედ და ვიხილნეთ თავნი თვისნი უწინარეს კორ-
ცთაგან განსლვისა. ხოლო იგი მივედა და განმხიარულდეს ურთი-
ერთას. და ვითარ ჰამდეს, დაუდგეს მას მფრინველისაჲ. და მოილო 20
ებისკოპოსმან და მიუპყრა ილარიონს. ჰრქუა მას ბერმან: შემინდვე
მე, რამეთუ ვინაჲთგან ხატი მონაზონებისაჲ მომიღებებს, დაკლუ-
ლისაჲ არასადა მიჰამიეს. ხოლო ებისკოპოსმან თქუა: მეცა, ვინა-
ჲთგან მოვიღე ხატი მონაზონებისაჲ, არავის უტევე დაწოლად, ვი-
თარმცა აქუნდა ვისმე გულის-კლე[ვ]ბაჲ ჩემდა მომართ. და არცა 25
მე დავწევე, ვითარმცა მაქუნდა ვისა მიმართ გულის-კლებაჲ. მაშინ
ჰრქუა მას ბერმან: შემინდვე მე, რამეთუ შენი სათნოებაჲ უფროჲს
არს ჩემსა სათნოებასა. M₄

⁸ ევკპტისა B. ⁹ არაბიასა A. ¹⁰ მოსს B. ¹¹ თებაიდელსა B. ¹² პაფნოტის B.
^{12a} ოსირეს B. ¹³ ომონეოსს B. ¹⁴ ქენებრეტელსა. B.

1. B : 281;—C. ¹ ებიფანსათს B. ² ეპკრიელსა B. ³ ებისკოპოსსა
B. ⁴ შჩანთ B.

2. — BC.

ეკპარისტონისთვის ერისააციისა

1. ორნი ვინმე მამათაგანნი ევედრებოდეს ღმერთსა, რაჲთა აუწყოს მათ, თუ ვისსა-ძი საზომსა მიწვევულ არიან? და მოიწია მათა კმაჲ და ჰრქუა მათ: დაბასა ერთსა ეგვპტეს არს ვინმე კაცი, სახელით ეექპარისტოს და ცოლსა მისსა ჰრქვან მარიამ. არღა მიწვევულ ხართ საზომსა მისსა. და აღდგეს ორნივე იგი ბერნი და მივიდეს დაბასა მას, და მოიკითხეს სახლი იგი ერის-კაცისაჲ მის, და პოეს დედაკაცი შინა და ჰრქუეს მას: სადა არს ქმარი შენი? ხოლო ნან ჰრქუა მათ: მწყემსი არს და მწყისი სამწყსოსა ველსა გარე. და შეიყვანნა იგინი სახლად თვსა. და ვითარცა შემწუხრდა, მოვიდა ეექპარისტოს სამწყსოსა თანა მისსა, და ვითარცა იხილნა ბერნი იგი, მზა უყო მათ ტაბლაჲ და მოართუა მათ წყალი და დაჰბანნა ფერკნი. ხოლო ბერთა [39] თქუეს: არარაჲსა გემოჲ ვიხილოთ, უკუეთუ არა პირველად გვთხრა საქმე შენი. ხოლო ეექპარისტოს სიმდაბლით ჰრქუა მათ: მე მწყემსი ვარ და ესე ცოლი არს ჩემი. და ბერნი იგი ევედრებოდეს მას გულს-მოდგინედ, ხოლო მას არა უნდა თხრობის. მაშინ ჰრქუეს მას: ღმერთმან მოგუაგლინნა ჩუენ შენდა. ხოლო მას, ვითარცა ესმა ესე სიტყუაჲ, შეეშინა და ჰრქუა მათ: აჰა ესერა, ცხოვარი დაგტევეს ჩუენ მამა-დედათა ჩუენთა, და რაოდენი უფალმან განმზადის და მოგუეცის ნაყოფად, განვევით სამად ნაწილად. ერთი ნაწილი — გლახაკათავს და ერთი ნაწილი — უცხოთავს განსასუენებელად და მესამე ნაწილი — ჩუენდა სამსახურებელად. და ვინაჲთგან მოვიყვანე ესე ცოლად, არცა სადამე შევიგინე მაგისგან, არცა ეგე ჩემგან, არამედ ქალწულად ჰგიეს. და თითოეულმან ჩუენგანმან ღამე თვსაგან დაიძინის. ხოლო ჩუენ ღამე გუაქუნ ძაძაჲ და ღლისი თვისი სამოსელი. და აქამომდე კაცმან არა იცოდა ესე. ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე, დაუკრდა და წარვიდეს.

ეველოგისთვის ხუცისა

- 30 1. ეველოგი ვინმე [v] ხუცესი, რომელი მოწაფე ყოფილ იყო ნეტარისა იოვანე ებისკოპოსისაჲ, მმარხველი იყო ესე. და იმარხვიდა ორ-ორით და მრავალგზის შაბათიცა დაიმარხის. პურსა ხოლო ჰამდა და მხალსა და იდიდებოდა კაცთაგან. მივიდა ოდესმე ესე მათ

1. — BC.

1. — BC.

მისა იოსებისა პანეფოდ და ჰგონებდა, ვითარმედ უფიცხლესი რაჲ-
 მე იხილოს მის თანა ცხორებამ. ხოლო ბერმან შეიწყნარა იგი სი-
 ხარულით და რაჲ-იგი აქუნდა განსასუენებელი, მზა-ყოფად სცა.
 ხოლო მოწაფეთა ევლოგისთა ჰრქუეს მას: არარაჲ ჰამის ეგე ხუ-
 ცესმან, გარნა პური და მარილი. ხოლო მამაჲ იოსებ ღუმნა და ჰამ- 5
 და. და დაყვეს სამი ღღჳ და არა ესმა მათ ფსალმუნებამ, არცა
 ლოცვამ, რამეთუ ფარულად იყოფოდეს საქმენი მათნი. და გამო-
 ვიდეს გულ-კლებულნი, რამეთუ არარაჲ სარგებელი სულისაჲ იხი-
 ლეს. ხოლო მოღუაწებითა ღმრთისაჲთა მოეფინა ნისლი და შესც- 10
 თეს გზასა და მიიქცეს მუნვე ბერისა. და პირველ მათ დარეკამდე
 ესმა მათი, რამეთუ ფსალმუნებდეს და ჰგებდეს მრავალ ჟამ და მე-
 რმე დაჰრეკეს. ხოლო იგინი დადუმნეს [40] ფსალმუნებისა მის-
 გან და შეიწყნარნეს იგინი სიხარულით, და სიცხისა მისგან აღი-
 ღეს ევლოგისთა მათ სარწყული და მიუჰყრეს: ხოლო წყალი იგი 15
 შეეზავა ზღვისაჲ მდინარისასა მას. ვითარცა მიიღო, ვერ უძლო
 სუმად. და მოეგო გონებასა თვისსა და შეუვრდა ბერსა, რაჲთა უთ-
 ხრას მას, ვითარ-იგი ცხონდებიან. და ჰრქუა მას: რაჲ არს, მამო,
 რამეთუ პირველ არა ჰფსალმუნებდიო და სარწყული ესე ვითარცა
 მოვიღე, ვპოე წყალი ესე, რამეთუ ძმარი არს. ჰრქუა მას ბერმან:
 ძმაჲ ესე სულელი არს და ცთომით შეუერთო მას ზღვსაჲ. ხოლო 20
 ევლოგი ევედრებოდა მას, რაჲთა უთხრას მას ჰეშმარიტად. მაშინ
 ჰრქუა მას ბერმან: იგი მცირითა სასუმლითა ღვნოჲ სიყუარული-
 საჲ იყო, უკუეთუ არა ძმანი ოდესვე მაგას წყალსა სუმენ. და ას-
 წავა მათ გულის-სიტყუათა განკითხვამ. და განაყენა მას ყოველი
 კაცობრივი საქმჳ და იქმნა ზიარ ყოველთა და მიერთგან ჰამდა 25
 ყოველსავე წინა დაგებულსა. და ისწავა მან ფარულად საქმჳ და
 ჰრქუა ბერსა: ნანდვლვე ჰეშმარიტ არიან საქმენი თქუნენი. M

[v] მამისა ევკრიპისთჳს

1. თქუა მამამან ევრეპი, რამეთუ: კორცთა საცმარი ყოველი
 ამის სოფლისა¹ ნივთი არს და რომელსა უყუარდეს მას შინა შე- 30
 მოკრებამ, არამედ უკუეთუ წარ-რაჲმე-უწყმდეს² კაცსა, უღირს,
 რაჲთა სიხარულით შეიწყნაროს³ და ჰმადლობდეს ღმერთსა ამის-
 თვის, რამეთუ ზრუნვასა განერა. M₃

1. B : 281; — C. ¹ სოფლისა B. ²-უწყმდეს A. ³ + იგი B.

მამისა ელადისტვს

1. იტყოდეს მამისა ელადისტვს, რამეთუ დაეყო ოცი წელი სენაკა მას¹ და არასადა აღიხილნა თუაღნი² ზე, ვითარცა იხილა სართული ეკლესიისაჲ. M₁

- 5 2. იტყოდეს მისვე¹ მამისა ელადისტვს სენაკებსა მას, რამეთუ პურსა და მარილსა² ჭამდა. და ოდეს მოიწია ახუსებაჲ³, თქუა, რამეთუ: ძმანი პურსა და მარილსა ჭამენ, ხოლო მე მიღირს, რაჲთა შრომაჲ თავს-ვიდვა მცირედ დღისა ამისათვის, რამეთუ სხუათა დღეთა ქუეჯდომით ვჰამი, არამედ დღეს, რამეთუ აღვსებაჲ არს, შრომაჲ თავს-ვიდვა და ზე-დგომით ვჰამო⁴. M₂
- 10

მამისა მსაიანდსტვს

1. თქუა მამამან ესაია, ვითარმედ: არარაჲ ეგოდენ სარგებელ ეყოფვის¹ ახალ-მონაზონსა, ვითარ გინებაჲ. ვითარცა ხესა ზედაჲს ზედა² [41] რწყვაჲ სარგებელ ეყოფვის³, ეგრეცა ახალ-მონაზონსა გინებაჲ და დათმენაჲ მისი. M₁
- 15

2. მერმე თქუა მათთვის, რომელნი კეთილად და¹ გულს-მოდგინედ მოვლენან და დაემორჩილებიან წმიდათა მამათა, ვითარმედ: საღებავსა წინააღმან შთაყოფილმან² არა იცვალის ფერი, ვითარცა ძოწეულმან, და ვითარცა ხმ იგი ჩხვილი აღვილად მოდრკის და მოიქცის, ეგრეცა ახალ-მონაზონი, რომელი მორჩილებასა შინა არნ³. M₂
- 20

3. მერმე კუალად იტყოდა: ახალ-მონაზონი თუ მონასტრითი-მონასტრად მიმოვიდოდის, მსგავს არს იგი¹ საცხოარსა², რომელსა დანდალი განუღებიდ და მიმოჰყავნ. M₃

✓
|

- 25 4. თქუა მამამან ესაია¹, ვითარმედ: ხუცესმან პილოსისამან, შე-რაჲ-კრებულ იყენეს ჭამად² და ზრახვიდეს ურთიერთას, და იგი შეჰპრისხნა მათ და ჰრქუა: დუმენით³, ძმანო, რამეთუ ვიცი ძმაჲ, რო-

1. B: 281; — C. ¹ + შინა B. ² + მისნი B.

2. B: 281v; — C. ¹ მისთვისე B. ² + ხოლო B. ³ აღვსებაჲ B. ⁴ + პური ჩემი B.

1. B: 282v; — C. ¹ ეყოფის B. ² ზედაჲს A. ³ ეყოფის B.

2. B: 282v; — C. ¹ და — B. ² შთაყოფამან B. ³ არიან B.

3. B: 283; — C. ¹ — იგი B. ² საცხოვარსა B.

4. B: 283; — C. ¹ ესაია — B. ² ჭამდეს B. ³ დადუმენით B.

მელი ჰამდა ჩემ თანა და სუმიდა სასუმელსა, ვითარცა ჩუენ, და
ლოცვაჲ მისი აღვიდოდა წინაშე ღმრთისა, ვითარცა ცეცხლი. M₄

5. მანვე მამამან ესაია მი-ვისმე-ზადა ძმათაგანსა, რაჲთა დაჰ-
ბანნეს ფერკნი. და შთასხა პევშითა [v] ოსპნი ქოთანსა და ვითარ
აღ-ოდენ-დულნა ერთგზის, უკ-მოდგა. ჰრქუა მას ძმამან მან: არლა
მგბარ არს, მამაო. ხოლო ბერმან ჰრქუა მას: არა კმა არსა შენდა,
რამეთუ ყოლადვე იხილა ცეცხლი, რამეთუ ესეცა ნუგეშინის-ცემჲა
არს. M₆

6. მერმე კულად თქუა: რაჲმს უნებნ სულისა შეწყნარებაჲ
ღმერთსა, და იგი განუდგებინ¹, მიუტევის იგი და შევარდის ვნებასა
რასმე, რომელი მას არა უნებნ, რაჲთა ესრეთ² მოიქცეს და ეძიებ-
დეს ღმერთსა. M₇

7. მერმე თქუა: უკუეთუ ვიამე უნდეს, რაჲთამცა ბოროტისა
წილ ბოროტი მიაგო, შემძლებელ არს წამის-ყოფითაცა ვნებად გო-
ნებასა ძმისასა¹, არათუ მიემსგავსოს ძეგლსა ღუმლითა, ვერ იყოს
იგი მოყუსისა თანა. M₈

მამისა ელიადსთჲს

1. თქუა მამამან ელია: მე სამისა საქმისაგან მეშინის: ოდეს
სული ჩემი გუამისაგან გამოვიდოდის, და ოდეს მიჰყვანდეს წარდ-
გომად¹ წინაშე ღმრთისა, და ოდეს გამოვიდოდის² განჩინებაჲ ჩემ-
თვს. M₁

2. ეტყოდეს ბერნი მამასა ელიას მამისა აგათონისთვს, ვითარ-
მედ: კეთილი ძმაჲ არს. ხოლო ბერმან ჰრქუა მათ: ამას ნათესავსა
შორის [42] კეთილ არს. ხოლო ვითარ-იგი პირველნი იყვნეს, ვიხი-
ლე კაცი სკიტეს, რომელი შემძლებელ იყო მზისა დადგინებად ცა-
თა შინა, ვითარცა-იგი ისუ ნავესმან ყო. M₂

5. — BC.

6. B: 283; — C. ¹ + და ნებას თვსსა შეუდგებინ B. 2 ესრთ B.

7. B: 283; — C. ¹ ძმისსა B.

1. B: 283; — C. ¹ წარდგინებად B. ² გამოვიდოლი B.

2. — BC.

3. თქუა მამამან ელია, რომელი იყო სამსახურებელსა ზედა: რაჲ ძალ-უც ცოდვასა, სადა სინანული არს¹, ანუ რაჲ სარგებელ არს სიყუარული, სადა ამპარტავანებაჲ თანა არს? M₃

4. თქუა მამამან ელია, რამეთუ: ვიხილე ვინმე, რომელმან აყი-
 5 რომთა ღვწოჲ შეიღგა ღლიასა და რაჲთამცა განვაქიქე ეშმაკი, ვა-
 რქუე მას: ყავ სიყუარული, ძმაო, და ფრთჳ ეგე განიკადე. და ვი-
 თარცა განიკადა, არარაჲ იბოა მის თანა, რამეთუ უცნებით იყო.
 ესე ამისთვის ვთქუე: დაღათუ თუალითა იხილოთ, გინათუ გესმეს
 რაჲმე, ნუ შეიწყნარებთ, რამეთუ რაჲ ოდენ გვლირს კრძალვაჲ გუ-
 10 ლის-სიტყუათათვს და განზრახვათათვს გონებისათა, ცნობითა და-
 აცადეთ, რამეთუ მათ შემოგვთვისიან იგი, რაჲთა შეავინონ სული
 განზრახვითა მით, რომელი არა შეჰგვანდა, რაჲთა უცალო იქმნას
 გონებაჲ და არა აცალონ მოკსენებად ღმრთისა, გინა თვსთა ცოდ-
 ვათა. M₄

15 5. მერმე თქუა კუალად: [V] უკუეთუ გონებაჲ არა ფსალმუ-
 ნებდეს კორცთა თანა, ცული შრომაჲ არს, რამეთუ რომელსა უყუ-
 არდეს ჰირო, უკუანაჲსკენელ იქმნეს იგი მისა განსუენება და სიხა-
 რულ. M₅

6. მერმე კუალად თქუა, ვითარმედ: ბერი ვინმე იყოფვოდა
 20 და საკერპოსა შინა ძუელსა მოუტდეს მას ეშმაკნი და ეტყოდეს:
 წარვედ ადგილით ჩუენით. ხოლო ბერმან ჰრქუა მათ: თქუენ ადგი-
 ლი არა-გიც. და იწყეს ბაიამსა მის განზნევიად ერთ სახედ, ხოლო
 ბერი იგი დაითმენდა მას და შეჰკრებდა. უკუანაჲსკენელ ეშმაკთა
 მათ ჳელი უჰყრეს მას და გამოზიდვიდეს გარე, და ვითარ მოიწია იგი
 25 კარად, ბერმან ერთი ფერკი მოჰკიდა კარსა მას და კმა-ყო: იესუ.
 შემიწყალე. და მუნთქუესევე ეშმაკნი იგი ივლტოდეს. და ბერმან
 იწყო ტირილად, ხოლო უფალმან ჰრქუა მას: რაჲსა სტირ? ხოლო
 მან ჰრქუა, რამეთუ: ესრეთ ჳელმწიფედ შეიპყრობენ კაცსა და ეს-
 30 თუ არა ესე ოდეს მეძიებდ, იხილე, ვითარ-ესე მეყსეულად გეპოე

3. B : 283; — C; ¹ აქუს B.

4. — BC. 5. B : 283;—C. 6. — BC.

შენ. ესე ამისთვის ვთქუ, ვითარმედ მრავალი შრომაჲ ჯამს და თუ ვინმე [43] შრომაჲ არა ყოს, ვერცა მოიპოოს ღმერთი თვისი, რამეთუ იგი ჭუარს-ეტუა ჩუენთვის. M₇

ორნი ძმანი მივიდეს¹ მამისა ელიაჲსა, რამეთუ ჰბრძოდა მათ ეშმაკი სიძვისაჲ. და ვითარცა იხილნა იგინი ბერმან კორცითა შეუ- 5
ებულნი, რეცა თუ ღიმილით ჰრქუა მოწაფესა თვისსა: ძმაო, მრცხუ-
ენის მე შენდა², რამეთუ ესრეთ განზარდენ კორცინი შენნი, რომელსა მონაზონებაჲ აღგიტქუამს. რამეთუ სიყვთლჳ სიმდაბლესა
თანა სამკაულ არს მონაზონისა. M₈

მამისა ზენონისთვის

1. თქუა მამამან ზენონ¹, მოწაფემან ნეტარისა სილოანესმან²:
ნუ დაეშენებ³ სახელოანსა⁴ აღგილსა, ნუცა დაშჯდები⁵ კაცისა თა-
ნა, რომლისა სახელი⁶ განთქმულ⁷ იყოს ღიდად⁸, ნუცა⁹ დასდებ
საფუძველსა თავისა თვისისასა აღშენებად სენაკსა¹⁰. M₁

2. იტყოდეს მისთვისვე მამისა ზენონისა, რამეთუ დასაბამსა 15
არარაჲ ვისგან მიიღის და ამის სახისათვის, რომელთა-იგი მიაქუნდა,
გულ-კლებულად წარვიდიან, რამეთუ არა დაიყენის. და სხუანი მო-
ივლენედ მისსა და უნებნ მიღებისა, ვითარცა ღიდასა ბერისაგან,
[v] და არარაჲ აქუნ, რაჲმცა მისცა. და იგინი მწუხარენი წარვი-
დიან და თქუა ბერმან: რაჲ-მე ვყო, რამეთუ რომელთა მოაქუს, მა- 20
თცა გულსა აკლს, და რომელთა მიღების უნებს, მათცა გულსავე
აკლს? ვითარ ვჰგონებ, ესე უმჯობეს არს, რაჲთა რომელთა მოი-
ღონ, დავიყენო და რომელი ითხოვდეს, მივსცე. და ვითარცა ესე
ყო, განისუენა და მათსაცა გულსა ახარა. M₂

3. მო-ვინმე-ვიდა ძმაჲ ერთი მეგვპტელი ასურეთად მამისა ზე- 25
ნონისსა და აბრალედა გულის-სიტყუათა თვისთა წინაშე ბერისა.
ხოლო მას დაუკვრდა და თქუა: მეგვპტელთა სათნოებაჲ, რომელი

7. B: 283; — C ¹ მოვიდეს B. ² შენთვის B.

1. B : 281v; — C. ¹ ზენონ B. ² სოლოვანქსმან B. ³ დაეშენები B. ⁴ სახელოვანსა
B. ⁵ დასჯდები B. ⁶ + ღიდად B. ⁷ განთქმულ B. ⁸ ღიდად — B. ⁹ ნუცა B.
¹⁰ აღშენებად სენაკისა B.

2. — BC. 3. — BC.

აქუნ, დაიმალიან და ბრალი, რომელი არა აქუნ, მას იჩემებედ. ხოლო ასურთა და ბერძენთა სათნოებაჲ, რომელი არა აქუნ, მას იჩემებედ და ბრალი რომელი აქუნდა. M₃

4. მი-ვინმე-ვიდა ძმაჲ მამისა ზენონისა¹ გულის-სიტყუათა კითხვად, ჰრქუა მას ბერმან: სადა სზი²? ხოლო მან ჰრქუა³: მრავალთა თანა ვიყოფვი⁴ და მაქუს ესერა ოცდაათი წელი. და მან ჰრქუა⁵: ოცდაათი წელი დაგიყო[44]ფიეს მრავალთა თანა და ზენონისსა⁶ მოხუალა⁷ კითხვად გულის-სიტყუათათს?

5. იტყოდეს მამისა ზენონისთვის, ვითარმედ: ჯდა იგი სკიტეს და გამოვიდა ღამე სენაკით თვსით, რაჲთამცა მივიდა ჰალაკად და შესცთა გზასა. და ვიდოდა სამსა ღღესა და სამსა ღამესა. და დავარდა, და მიიწია სიკუდილდ. აჰა ესერა ყრმაჲ დგა მის წინაშე და აქუნდა პური და სტამნითა წყალი. და ჰრქუა მას: აღდეგ და ჰამე. ხოლო მას ეგონა, ვითარმედ საოცარი რაჲმე არს და აღდგა და ილოცვიდა. ხოლო მან ჰრქუა მას: კეთილად ჰყავ. და მერმე კუალად ილოცვიდა მეორედ და მესამედ. და ჰრქუა: კეთილად ჰყავ. მერმე აღდგა, მოილო და ჰამა, და მისა შემდგომად ჰრქუა მას: რაოდენ-ეგე გივლიეს, ეგოდენ შორს ხარ სენაკსა მას შენსა, არამედ აღდეგ და შემომიდეგ მე. და მეყსეულად იპოა სენაკსა თვსსა და ჰრქუა მას ბერმან: შემოვედ და გვლოცე. და ვითარცა შევიდა ბერი, უჩინო იქმნა იგი. M₅

6. მერმე კუალად იგივე მამაჲ ზენონ პალესტინეს ვიდოდა გზასა და დაშურა [v] და დაჯდა იგი მახლობელად ნესუ-ხავარტონსა თანა, რაჲთამცა პური ჰამა. ჰრქუა მას გულის-სიტყუამან თვსმან: მოსწყვდე ნესუ-ხავარტი ეგე და შეაპყარ პურსა მაგას თანა, რაჲ გიყოს? ხოლო მან მიუგო გულის-სიტყუასა მას თვსსა და ჰრქუა: მპარავნი სატანჯველსა მიეცნიან, გამოიცადე თავი შენი აქავე, თუ ძალ-გიც სატანჯველისა დათმენაჲ. და დაყო სიცხესა მას ქუეშე ხუთი ღღჳ ზედგომით. და ვითარცა დაიწუა გუამი მისი სი-

4. B : 281v;—C ¹ ზენონისა B. ² ჰზი B. ³ + მას B. ⁴ ვიყოფი B. ⁵ ჰრქუა + მას B. ⁶ ზენონისა B. ⁷ მოხუელა B.

5. — BC. 6. — BC.

ცხითა, თქუა: ვერ ძალ-გიც სატანჯველისა მის დათმენად. მერმე ჰრქუა გულის-სიტყუასა თვისსა: უკუეთუ ვერ ძალ-გიც, ნუცა იპარავ და შკამ. M₆

7. იტყოდეს მამისა ზენონისთვის, ვითარმედ: მკუდარნიცა აღედ-
გინნეს, რამეთუ იყო ვინმე პალესტინეს ქრისტეს-მოყუარჴ ერისა-
კაცი მასვე სოფელსა შინა, რომელსა ნეტარსა მამასა აქუნდა მო-
ნასტერი, და დიდი სარწმუნოებაჲ აქუნდა ბერისა მიმართ. უშვი-
ლო იყო და არა ესუა შვილი. ევედრა ბერსა, რაჲთა ილოცოს მის-
თვის და [45] მოსცეს მას ღმერთმან შვილი. და ილოცა ბერმან, და 10
შეისმინა მისი ღმერთმან, და მოსცა მათ ძჴ. და ოდეს სძესა განე-
ყენა ყრმაჲ იგი, პური მზა-უყვეს მამა-ღედათა მისთა მდაბურთა
მის ადგილისათა. და მასვე ღღესა შეეღმა თავი ყრმასა მას და მი-
აწვინა იგი ღედამან მისმან ცხედარსა ზედა და მოკუდა. და ვითარ-
ცა შემოვიდა მამაჲ მისი ველით, და იკითხვიდა ძესა თვისსა, ხოლო
ცოლმან მისმან ჰრქუა მას: აჰა ესერა ცხედარსა ზედა წვეს. და ვი- 15
თარ შევიდა მამაჲ მისი, პოა იგი მკუდარი. ჰრქუა მას ცოლმან მის-
მან: ნურას ჰკმობ, ნუცა იტყვ რას, არამედ მიიღე ეგე ბერისა. და
რომელნი პურად მოვიდენ, მათ მე ვმსახურო. და მან მოილო ყრმაჲ
იგი და მას თანა შეაყო ვენაქისა ფურცელი ნედლი, რამეთუ ეგე-
ვითარი ჟამი იყო და შედვა იგი არდაგსა და მიილო ნეტარისა ზენო- 20
ნისა. და ჰრქუა მას მოწაფემან ბერისამან: რაჲ გინებს? ხოლო ერი-
საგანმან ჰრქუა მას: პირველი ნაყოფთა ჩემთაჲ მომიღებიეს ბერისა.
და მოწაფემან უთხრა ბერსა და ბერმან ბრძანა შეყვანებაჲ მისი.
და ვითარ [V] შევიდა, ევედრა ბერსა, რაჲთა მოწაფჴ იგი განავლი-
ნოს გარე, რამეთუ მარტოდ უნდა ჩუენებად. და მან ყო ეგრე. 25

მაშინ აღდგა და განჰქსნა არდაგი იგი, შეურდა მას და ეტყოდა:
შენ იტოდე, რამეთუ ჩუენ შვილი არა გუესუა და ღმერთმან ლოც-
ვითა შენითა წმიდითა მოგუჲმადლა ყრმაჲ ესე. აჰა ესერა ესე შენ
თანა არს, ვითარცა გნებავს, ეგრეცა ყავ. ხოლო ბერი ეტყოდა: რა-
ჲსა დამიმძიმებ მე, რამეთუ არა არს ესე საქმჴ ჩემვითარისა კაცი- 30
საჲ. ხოლო მან ჰრქუა მას: ვითარცა მარჯულჴ გიჩს, ეგრეცა ყავ, აჰა
ეგერა გველია. და თუთ გამოვიდა. ხოლო მამამან ზენონ დაჰქუა კა-
რი და აღილო ყრმაჲ იგი და ილოცვიდა მისთვის ღმრთისა მიმართ.
და შეისმინა მისი ღმერთმან და აღადგინა იგი. და მოუწოდა მამასა
მისსა, ამცნო და ჰრქუა: აჰა ესერა ძჴ შენი შენ თანა არს, არამედ 35

იხილე, საშჯელსამცა თანა-მდებ ხარ წინაშე ღმრთისა, უკუეთუ ვის-
მე უთხრა ცხორებასა ჩემსა. ხოლო მან წარიყვანა ძმ თვისი ცოც-
ხალი და წარვიდა. და ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ ესევეითარი
აღადგინა ბერმან. თქუეს ვიეთმე, რამეთუ: ვიხილეთ [46] იგი გან-
მწესებული ჰასაკითა.

8. მერმე კუალად მდიდარი ვინმე იყო სოფელსა აესიტელთასა
ღმრთისა-მსახური და ესუა მას ძმ ერთი მხოლოდ-შობილი. ესე წა-
✓ რიყვანა და მივიდა მამისა ზენონისა, რაათა იკურთხოს მისგან, რა-
I მეთუ ესმინა მისთვის, ვითარმედ დიდი კაცი არს. და ვითარცა ჯდა
10 მამამ მის ყრმისაჲ ზენონის თანა, და ყრმამ იგი განუქდა მონათა
თვსთა თანა, და ვითარ იმღერდა მახლობელად ხესა მას, რომელი
იყო მტილსა მას შინა, გამოვიდა გუელი კურელით ძირსა მის ხი-
15 ს[ა]სა, რამეთუ დიდი იყო ხმ იგი, დაუტა ყრმასა მას და მუნთქუ-
ესვე მოკუდა. და შევიდა ერთი მონათაგანი და უთხრა უფალსა
თვსსა, რაჲ იგი შეემთხვა, ჯდა რაჲ იგი ბერისა თანა. და ვითარ
შეუფოთნა მამამ მის ყრმისაჲ, ჰრქუა მას ბერმან: ნუ იურვი, რა-
20 ბეთუ ესე ეშმაკმან ყო, რაათა დაგაბრკოლოს სიტყუასა ზედა
ღმრთისასა. რამეთუ ჯდა და ისმენდა იგი წადიერად სწავლასა მას
ბერისასა. მაშინ აღდგა ბერი და ჰრქუა მათ: მიჩუენეთ მე, ვინაჲ
25 გამოქდა გუელი იგი? ხოლო მათ უჩუენეს. და დადგა [v] მას ზე-
და და ილოცვიდა ღმრთისა მიმართ. და ისმინა მისი ღმერთმან და
აღადგინა ყრმამ იგი. და მივიდა გუელისა მის და შეჰრისხნა მას
სახელითა უფლისაჲთა და მოაკუდინა გუელი იგი უფალმან. ხოლო
მამამან მის ყრმისამან მიიყვანა ძმ თვისი ცოცხალი და წარვიდა და
30 ჰმადლობდა ღმერთსა.

9. იტყოდეს მამისა ზენონისთვის¹, რამეთუ ჰასაკითა მცირემ იყო,
და კორცითა თხელ, და გონებითა შემკულ², და ყოლადვე ღმრთისა
მიმართ გულს-მოდგინებითა და³ მკურვალეებითა სავსემ³, და კაცთა
30 მიმართ მოწყალე იყო. [ამისსა ყოვლით კერძო მივიდოდეს ერისა
კაცნი და მონაზონნი და უთხრობდეს გულის-სიტყუათა მათთა და
ევედრებოდეს მას, რაათა ლოცვა ყოს მათთვის და ყოველნი განი-
კურნებოდეს]*.

8. — BC.

9. B: 281v; — C. ¹ ზენონისთვის B. ² ჯა შეკრძალულ B. ³ და — B. ³ სავსე B.

* კავებში ჩასმული ტექსტი B ნუსხაში არ აღმოჩნდა.

10. ერთსა ვისმე მამათაგანსა, რომელი¹ მახლობელად მყოფ იყო ოდესმე წმიდისა მამისა ზენონისსა², შევემთხვენით³ და ვითარცა იწყო⁴, იტყოდა ჩუენდა მომართ სარგებელისათჳს სულისა. ვჰკითხეთ რადმე მას⁵ გულის-სიტყუაჲ ესრეთ და ვარქუთ⁶: უკუეთუ ვისმე ჰქონდის გულის-სიტყუაჲ [47] და იხილოს თავი თვისი, რამეთუ ზედაჲს-ზედა იძლევის მათ შინა და ჰკითხვიდეს⁶, გინათუ სხუათაგან ესმოდის, ვითარ-იგი თქუეს მამათა სიწმიდისათჳს და უნდეს, რადთამცა მოიპოა⁷ იგი და ვერ შეუძლოს, კეთილ არსა, რადთა ვისმე უთხრას მამათაგანსა? ანუ რადთა გულს-მოდგინებასა მას ჰყოფდეს, ვითარცა-იგი იკითხავს და კმა-ეყოს თჳსსა მას მეცნიერებასა? ხოლო მან გურქუა⁸ ჩუენ: უღირს, რადთა უთხრას სხუასა შემძლეებელსა, და რადთა⁹ არა ესვიდეს თავსა თჳსსა, რამეთუ ვერვის ძალ-უც შეწევნად თავსა თჳსსა¹⁰. [უფროჲს-ლა იგი, უკუეთუ ვინმე ძლეულ იყოს ბრძოლათაგან და გვთხრა მისი, სიჰაბუყესა მე შემემთხვა ეგე და თქუა, ვითარმედ: სიჰაბუყესა მაქუნდა გულის-სიტყუაჲ და ვიძლეოდე მათგან. და მესმინა მამისა ზენონისთჳს, ვითარმედ მრავალნი განეკურნნეს. და მომიკდა გულსა, რადთა მეცა მივიდე და წარმოუთხრა მას და დამაბრკოლის მე ეშმაკმან და მეტყუნ: ვინაჲთგან იცი თვთ, რაჲ საყოფელ არს გულის-სიტყუათათჳს. ჰყოფდ; ვითარცა-[v] იგი იკითხავ და რად მიხუალ და დააბრკოლებ ბერსა? და ოდეს ვაზმნი მისლვად და თხრობად ბერსა, მცირედ აღმნიმცირდის ბრძოლაჲ იგი, რადთამცა არა მიტევა მისლვად ბერისა. და ოდეს მივერჩიდი გულის-სიტყუასა მას არა მისლვად ბერისა, კუალად დავინთქმოდნი ვნებისა მისგან და კუალად ვაიძულებდი თავსა თჳსსა მისლვად. და მასვე მზაყუავნ მტერი და არა მიტევენ, რადთამცა უთხარ ბერსა საქმშ იგი, და მრავალგზის მეცა სრულ ვიყავ თხრობად მისა და სირცხვლი გულსა მომივლინის მტერმან და არა მიტევის თხრობად, და ნეტყუნ: ვინაჲთგან იცი თავისა შენისა კურნებაჲ, რაჲ ჯამს სხესა თხრობაჲ? შენ უღებ-გიყოფიეს თავი შენი, რამეთუ იცი, ვითარ-იგი თქუეს მამათა: ამას მომივლენ წინამოსაჯული იგი ჩემი, რადთამცა არა გამოუცხადე ვნებაჲ იგი ჩემი მკურნალსა მას და განვიკურნე. და ბერმან ცნის არს(!), რამეთუ გულის-სიტყუანი მქონან და მამხილის არა, არამედ მოელოდა, რადთამცა მე თავით [48] ჩემით უთხარ და მასწავებნცა სიწმიდით ცხო-

10. B : 281v;—C. ¹ + ოდესმე B. ² ზენონისა B. ³ შევემთხვენით B. ⁴ იწყო + და B. ⁵ არს B. ^{6a} ესრეთ და ვარქუთ B. ⁶ იკითხვიდეს B. ⁷ მოიპოვა B. ⁸ მარქუა B. ⁹ რადთა — B. ¹⁰ + უფროჲს ღმრთისა B.

რებასა. ხოლო შიშულად არა გამომიცხადის საქმე იგი. ვითარ უკუანადასკნელ ცხად იქმნა საქმე იგი, რამეთუ, მე ვითარცა ვთქუ, მრავალგზის მომიტდის გულსა, რაათამცა უთხარ ბერსა და დაეკბ-
 5 რკოლდი მტერისაგან და დადგრომილ ვიყავ მას ზედა და დავინთ-
 ქმოდე ვნებისა მისგან. ხოლო უკუანადასკნელ ვიურვოდე და ვტი-
 როდე წინაშე ღმრთისა და ვარქუ სულსა ჩემსა: ვიდრემდის, უბად-
 რუკო სულო ჩემო, არა გინებს განკურნების? შორით მოვლენან
 10 ბერისა და განიკურნებიან და შენ არა გრცხუენისა, რამეთუ ახლოს
 გაქუს და არა განიკურნები? ისწრაფე აწ უკუე, ვიდრე-ესე გაქუს
 მკურნალი. და აღვდეგ და ვთქუ: უკუეთუ მივიდე ბერისა და არავინ
 იყოს მის თანა, არამედ მე მარტოჲ, ვიცი, რამეთუ ნებაჲ ღმრთისაჲ
 არს, რაათა უთხარნე მას გულის-სიტყუანი ჩემნი. და ვითარ მივედ,
 15 ვაოე ვინმე მის თანა, რომელი იჯმნიდა გამოსლვად, და ვითარ გა-
 მოვიდა იგი ბერი, მსგავსად ჩუეულებისა, [v] მასწავებდა მე სარ-
 გებელისათჳს სულისა და ვითარ-იგი ჯერ-არს კაცისა განწმედად
 საძაგელთაგან გულის-სიტყუათა და ვნებათა. და მას საქმესა არავე
 20 მამხილებდა. და მე ვლუმენ და არა უთხარ, არამედ სირცხვლსავე
 ვმიზეზობდ და მერმე ვევედრე მას, რაათამცა მიჯმნა. ხოლო იგი
 აღდგა და ლოცვა ყო და გამომიძღუა მე, ვიდრე ეზოჲსა კარადმდე.
 20 რაათამცა წარმგზავნა. და მე დავიგუემებოდე გულის-სიტყუათა
 მათგან, ვითარმედ ვყო, უთხარა მე ბერსა ანუ არა? და ნელიად უკუ-
 ანა მიუდეგ. ხოლო ბერი არა მხედვიდა მე, არამედ დაედვა ჭელი
 კარსა, რაათა უკუნ-აღოს და ვითარ მყოარ ვიტანჯებოდე გულის-
 25 სიტყუათა მათგან და მათრვებდა მტერი, მოიქცა ჩემდა და მიხილა
 ბერმან, მცა მე მკერდსა და მრქუა: რაჲ ჰყავ, მეც რაჲმე კაცი ვარ.
 და ვითარცა მრქუა მე ბერმან, მუნთქუესვე ვცან, ვითარ გონებაჲ
 განმელო და დავვარდი პირსა ჩემსა ზედა და შეუჰყრენ ფერკნი და
 30 ვევედრებოდე მას და ვეტყოდე: შემი[49]წყალე ღმრთისათჳს, ხო-
 ლო იგი მეტყოდა: რაჲ ჰყავ, რაჲ გინებს? და მე ვარქუ: შენ იცი.
 რაჲ-იგი მიქმს მე. და კუალად მრქუა მე: ყოველნი ჯამს, რაათა
 30 სთქუა, რაჲ გიქმს. და მაკურთხა და აღვდეგ და ვითარ სირცხვლით
 უთხრობდ ვნებასა მას, მრქუა მე: და რაჲსა გრცხუენოდა ჩემდა
 თხრობად, მე არა კაცივე ვარა? და უკუეთუ გინებს, გითხრა მეცა,
 ანუ არა მესამე წელი არს, ვინაჲთგან ეგე გულის-სიტყუანი გქონან
 35 და მოხვდი აქა და მითხარი არა? და ვითარ შეურდი მას მერმეცა
 და ვევედრებოდე და ვეტყოდე: შემიწყალე ღმრთისათჳს. და მრქუა
 მე: ვიდოდე და ნუ უღებ იქმნები ლოცვისა შენსა და ნუცა ძკრსა

ვისსა იტყვ. და ვითარ მივედ სენაკად ჩემდა და არა უღებ ვყავ
მცნებაჲ იგი ბერისაჲ და მადლითა ღმრთისაჲთა და ლოცვითა მის
ბერისაჲთა არლარა მომიტდა მე ვნებაჲ იგი. და შემდგომად წელი-
წადისა ერთისა შემომიტდა მე ესევეითარი გულის-სიტყუაჲ, ვითარ-
მედ ნუუჟუე ღმერთმან ყო ჩემ ზედა წყალობაჲ და ბერი არად [v] 5
სარგებელ მეყო, რამეთუ დიდი ჰამბავი განსრულიყო მისთვის. და
მივედ ბერისა, რაჲთამცა გამოვცადე იგი და განვიყვანე იგი თვსა-
გან და ვარქუ მას: ვევედრები ღმრთის-მოყუარებასა შენსა, რაჲთა
ლოცვა ჰყო ჩემთვის მათ გულის-სიტყუათათს, რომელნი ოდესმე
გიახზრენ შენ. და დამიტევა მე მღებარაჲ ქუეშე ფერკთა მისთა და 10
დადუმნა მცირედ და მრქუა მე: აღდეგ და სახაჲ განიგე. ხოლო მე
რაჲ მესმა ესე, მინდა, თუმცა ქუეყანამან დამილო. და აღდეგე და
სირცხვლითა ვერ ვაკადრებდი მიხედვად ბერისა. და წარმოვედ და
დამიკვრდა სათნობეჲ იგი ბერისაჲ მის. და მანვე ბერმან დასამტ-
კიცებელად სიტყვსა მისისა და ჩუენისა სარგებელისათს გვთხრა 15
ესეცა, ვითარმედ: ოდესმე იყოფვოდეს ორნი ძმანი გარე უდაბნოსა,
თითოეული თვსსა სენაკსა. და მოვიდეს ერთმანერთისა და ჰრქუა
ერთმან მან: მინებს, რაჲთამცა მივედ მამისა ზენონისა და უთხარ
მას გულის-სიტყუაჲ რაჲმე. და ერთმან მანცა თქუა: მეცა [50]
მინებს, რაჲთამცა მივედ და უთხარ გულის-სიტყუაჲ ჩემი. და მი- 20
ვიდეს ორნივე ზოგად. და განიღგიხა იგი თითოეულმან თვსაგან და
წარმოუთხრა მას გულის-სიტყუაჲ თვსი. და ერთი იგი შეურდა ბე-
რსა დილითა ცრემლითა და შემდგომად თხრობისა, ევედრებოდა
მას, რაჲთა შეიწყალოს იგი და ლოცვა ყოს მისთვის. ხოლო ბერმან
ჰრქუა მას: ვილოდე და ნუ განსცემ თავსა შენსა, ნუცა ძკრსა ვის- 25
თვის იტყვ, და ნუცა უღებ იქმნები ლოცვასა შენსა. და ვითარცა წარ-
ვიდა, განიკურნა. ხოლო ერთმან მან უთხრნა გულის-სიტყუანი თვსნი
და ჰრქუა: ლოცვა ყავ ჩემთვის. და არა ლმობიერად ითხოა ბერისაგან
და წარვიდა. და რავდენისაჲმე ჟამისა შემდგომად შეიმთხვნეს და
ჰრქუეს ერთმანერთსა: ოდეს-იგი მივედით ბერისა, უთხარა გულის- 30
სიტყუაჲ იგი, რომელი სთქუ, ვითარმედ მინებს თხრობის? ხოლო
მან ჰრქუა: უთხარ. და ჰრქუა მას: და სარგებელ გეყოა, უთხარ-
ლა ბერსა იგი? ხოლო მან ჰრქუა: ვჰმადლობ ღმერთსა და ლოცვასა მის
ბერისასა, [v] რამეთუ მიერითგან განვიკურნე. და მან ჰრქუა: რაჲ
არქუ ბერსა, უთხარ-ლა გულის-სიტყუაჲ იგი? ხოლო მან თქუა: ვა- 35
რქუ მას, ლოცვა ყავ ჩემთვის, რამეთუ ესე გულის-სიტყუაჲ მაქუს.
ხოლო მეორემან ჰრქუა მას: მე ოდეს უთხარ გულის-სიტყუაჲ იგი

ჩემი, ვევედრებოდე და დავალტვენ ცრემლითა ფერკნი მისნი, რა-
 5 ათა მარადის ვაქსოდი ლოცვასა და ლოცვითა მის ბერისათა გან-
 ეკურნა მე ღმერთმან. და რომელსა-იგი არა სარგებელ ეყო, თქუა,
 რამეთუ: ლმობიერად ითხოე მისგან და მისთვისა ყო ღმერთმან
 წყალობაჲ მისი შენ თანა, ძმავო. და აღიდებდა ღმერთსა.

ამას გვთხრობდა ბერი იგი, ვითარმედ: რომელი ევედრებოდის
 ვისმე მამათაგანსა, უღირს, რაათა ლმობიერად და ყოვლითა გუ-
 ლითა სთხოვდეს მას.

მერმე გვთხრობდეს სხუანიცა ბერნი, რომელნი მრავალგზის
 10 მისრულ იყვნეს მამისა ზენონისა, რამეთუ: მი-ვინმე-სრულ იყო ბე-
 რისა და ჰკითხვიდა, უკუეთუ ყოველსა ცოდვასა აქუს მოტევებაჲ?
 ხოლო იგი ეტყოდა: უკუეთუ ვინმე ღირსად ცოდვისა [51] მის შე-
 ინანოს, აქუს მოტევებაჲ. და რომელი-იგი ჰკითხვიდა, რამეთუ შე-
 ეცნა თავსა თვისსა დიდი ცოდვაჲ, ეტყოდა ბერსა: მიკვრს მე, მამავო,
 15 უკუეთუ ჩემსა ამას ცოდვასა აქუს მოტევებაჲ? ხოლო ბერმან
 ჰრქუა მას: გარქუ, შვილო, რამეთუ ყოველსა ცოდვასა აქუს მო-
 ტევებაჲ, უკუეთუ ვინმე ღირსად შეინანოს. ხოლო რაჲ არს ცოდ-
 ვაჲ ეგე შენი, თქუ, ნუ გრცხუენინ, რამეთუ რომელსა ჰრცხუენინ
 შეცოდებაჲ თვისი, ვერ განიკურნის. ხოლო იგი კადნიერ იქმნა სიტ-
 20 ყუასა მას ზედა და უთხრა ბერსა, ვითარმედ: სიძვასა შევევარდი.
 ჰრქუა მას ბერმან: დიდ არს ცოდვაჲ ეგე შენი, არამედ უკუეთუ
 ღირსად შეინანო, ვესაე ღმერთსა, რამეთუ მიგიტევენს შენ ღმერთ-
 25 მან. ხოლო მან ჰრქუა: რაჲცა ბრძანო და მრქუა მე, და ვყო. და
 ბერმან განიყვანა იგი მტილად და უჩუენა მას ძირი ლელუსულელი-
 საჲ. რომელი ძუელითგან აღმოფხურვილ იყო და იდვა მტილსა მას
 შინა. ჰრქუა მას ბერმან: მივედ უდაბნოდ და შეეყავ ერთსა მამათა-
 30 განსა, და იმარხევდ ორ-ორით [v] და ილოცევდ გულსმოდგინედ, და
 შემდგომად წელიწადისა ერთისა მოვედ აქა. ხოლო ესე უწყოდე,
 ვიდრემდის არა იხილო ესე ძირი განედლებული, არა მოგიტევენა შენ
 35 ღმერთმან ცოდვანი შენნი. ხოლო იგი წარვიდა და ყო ეგრე. და
 შემდგომად აღსრულებისა მის წელიწადისა მოვიდა და ჰრქუა ბერ-
 სა: მომიტევენა ღმერთმან? ხოლო მან ჰრქუა მას: მივედ და იხილე
 ძირი იგი. და მივიდა და იხილა ძირი იგი, რამეთუ არღა აღმო-
 40 ცენებულ იყო. და მოვიდა და უთხრა ბერსა, ვითარმედ: არღა აღ-
 მოსცენდა. ხოლო მან ჰრქუა: ვიდოდე და ეკრძალე თავსა შენსა. და
 წარვიდა და კუალად მოვიდა აღსრულებასა მის წელიწადისასა. და
 ჰრქუა მას ბერმან: მივედ და იხილე ძირი იგი. და მან იხილა ძირი

იგი და თქუა: არღა აღმოცენებულ არს. და ბერმან ჰრქუა: ეკრძა-
 ლე გულის-სიტყუათა შენთა და ნუ უდებ-ჰყოფ ლოცვასა შენსა,
 და ვითარცა მოვიდა მესამესა წელსა, ჰრქუა მას ბერმან: იხილე
 ძირი იგი. ხოლო მან, ვითარცა იხილა, უთხრა ბერსა, რამეთუ აღ-
 მოსცენდა. მაშინ ჰრქუა მას ბერმან: [52] აჰა ეგერა ცოცხალ იქმენ,
 ნუღარა სცოდავ, რადთა არა უძკრესი გეყოს. და წარვიდა და ჰმად-
 ლობდა ღმერთსა და მას ბერსა]*.

11. გვთხრობდეს ბერნი, ვითარმედ არა სთნაენ მამასა ზენონსა,
 რაჟამს იხილნის ჰაბუკნი მონაზონნი, გინათუ უცებნი, რომელნი
 მარტოდ იყოფებიდ². [და წარმოგვთხრეს ჩუენ ესრეთ, ვითარ- 10
 მედ: მივედით ჩუენ ბერისა და შეკრებულ იყვნეს მრავალნი მამა-
 სახლისნი მონასტრებისანი მოწფითურთ მათით და გარემო-სხდეს
 ბერსა და შემდგომითი-შემდგომად ისმენდეს სიტყუათა სულიერე-
 ბისათა და ეტყუედ მამანი იგი მამასა ზენონს]*: ეტყოდე ნურას
 ძმათა ამათ სიტყუასა? ხოლო მან ჰრქუა მათ: კრავსა ოდეს უნებნ 15
 წოენის, სცის დედასა თვსსა ძუძუთა და გამოსცის სძჴ; მათცა, უკუ-
 ეთუ უნებს საზრდელი, ითხოვდინ და მიიღონ, თქუედ გულის-სიტ-
 ყუანი თვსნი და ესრეთ საკურნებელი მიიღონ. და ამას რად იტყო-
 და ბერი, ყოველთა სარგებელ ეყოფვოდა, დაღათუ ვის დაუკლიენ
 საკითხავი, მერმე გა-ვე-სრულებად სცის. [v] და მათ თანა სხუანი 20
 ორნი ძმანი იყვნეს, რომელნი თვს-თვს იყოფოდეს. ჰკითხა ბერ-
 მან თითოეულსა მამასახლისსა: რომლისა ადგილისაჲ ხარ? და უთ-
 ხრის მათ სარგებელი სულისაჲ. და მოწაფეთა მათთა და სხუათა
 ჰკითხის და ეგრეთვე მიღმართ ეტყუნ. ვითარ მოიწია, მათ ორთა ძმა-
 თა ჰკითხა: ვინანი ხართ ანუ სადა იყოფვით? მონასტერსა შინა იყო- 25
 ფვითა? ხოლო მათ ადგილსა ერთსა სახელ-სდევს და ჰრქუეს მას: მას
 ადგილსა ვიყოფვით და თითოეული ჩუენი თვსსა ვიყოფვით. და-
 დუმნა ბერი და არაჲ მიუგო. მერმე კულად სხუათა მათ ბერთა
 ჰკითხვიდა ბერი და მიღმართ ასწავებდა სულისა სარგებელსა. და
 ვითარ მოიწი[ი]ს მათ ორთა ძმათა, ეგრევე ყვის, არაჲ მიუგის. 30

12. ერთმან ვინმე მუნ მჯღომარეთაგანმან დახედნა, ვითარ-იგი

* კაეებში ჩასმული ტექსტი B ნუსხას არ აღმოაჩნდა.

11. B : 282; — C. 1 ზწონს B. 2 იყოფიედ B.

12. — BC.

თანა-წარჰკდის ერთგზის და ორგზის ორთა მათ ძმათა, ევედრა ბერსა და ჰრქუა: ყავ სიყუარული, ნუ უგულეებელს [53]-ჰყოფ ამას-ცა, არამედ არქუ რაჲ სიტყუაჲ. ხოლო მან ჰრქუა მათ: რაჲ ვჰრქუა მათ მე, არა ვიცი. ანუ ეშმაკი მომკუდარ არს, ანუ ეგე არა სხენან, ვითარცა სხუანი მონაზონნი სენაკსა შინა მიაგათსა.

13. იტყოდეს მამანი, რამეთუ ყოველთა მათ კეთილთა, რომელნი ჰქონდეს მამასა ზენონს, და ესეცა დიდივე სათნოებაჲ აქუნდა, უკუეთუ სადამე ესმის, ვითარმედ არიან ვინმე მოწაფეთა მათ ბერთაგანნი, უცნოდ მივიდის ხილვად მათდა.

- 10 14. ჰკითხეს ბერსა ვისმე, რომელი შემეცნიერებულ იყო ნეტარისა მამისა ზენონისა: ნეტარისა ზენონისთვის მითხარ, მამაო, უკუეთუ რაჲმე გეხილვა, გინა გესმინა და გაკსოვს რაჲმე ბერისაჲ. ხოლო მან ჰრქუა: ვითხრა მისი, რომელი სასწაული ქმნა ჩემთვის. სიჰაბუეკსა, ვიდრე ვიყავ სახლსა შინა მშობელთა ჩემთასა, დაეს-
 15 ნეულდი სნეულებითა დიდითა და შემდგომად რავედენისამე ჟამისა ყოველი იგი სიძიმე შთამიკრბა ფერცხალთა და ვერცა წოლად მეძლო მშვდობით, ვერცა გარდაქევეად ძალ-მედვა ცხედარსა ზედა [v] და ყოველნი იტყოდეს, ვითარმედ სული არს. ხოლო მამამან ჩემმან მოიხუნა ორნი ძაძანი და აღავ[ს]ნა იგინი ბზითა და მოაჰი-
 20 რა ჰალანთა კარაულისათა ორკერძოვე და დამიგო მას ზედა, ვითარცა ცხედარსა და ესრეთ დამდვეს მას ზედა. და ორთა კაცთა ვეპყარ იმიერ და ამიერ და ერთი კაცი წინა მიპყრობდა კარაულსა მას და ესრეთ დიდითა ჰირითა და ურვითა მიმიდეს ორსა მას მილიონსა, რომელსა ეშენა სენაკი ბერისაჲ მის. და ვითარცა ჰრეკა
 25 კარსა მამამან ჩემმან, გამოვიდა მოწაფჴ მისი და იცნა მამაჲ ჩემი, რამეთუ მრავალგზის მივიდის მისსა. და შევიდა, რაჲთა უთხრას ბერსა. ხოლო მან გინა დაყუდებისათვის, გინა საქმჴ იგი გამოეცხადა, არა განულო. და ვითარ ფრიად ევედრებოდა მამაჲ ჩემი, განგვლეს და ამიღეს და დამაგდეს მე ეზოსა ბერისასა, ხოლო თავადი გამოვიდოდა სენაკით და მკითხვიდა და მრქუა: რაჲ გელმის? და ვითარცა უთხარ, კელი შემოყო შინაგან სამოსელსა და შემახო ფერცხალთა. და მე ვარქუ: ნუუკუე სული არს? და [54] მან თქუა: არა, უკუეთუმცა სული იყო, ემხილამცა აწ. და შევიდა სენაკად თვისა,

ხოლო მოწაფე მისი იტყოდა: ვინაჲთგან კელი შეახო მაგას ბერმან, წარიყვანეთ და ნურას ზრუნავთ. ხოლო ბერმან დაამტკიცა ესრეთ, ვითარმედ მუნთქუესვე განვცოცხლდი. და დავჯედ კარაულსა ზედა, ვითარცა ცოცხალი და წარვედ სახედ თვსა. და მერმე ვჰკითხე მას და ვარქუე: უკუეთუ მიერთგან აგრძნობდ რასა საღმობასა მას? ხოლო მან დაამტკიცა და თქუა: ყოლადვე არა შემეგონა საღმობაჲ იგი, გარნა მუნთქუესვე რეცა დაბუშებულ იყო იგი ადგილი, ეგრე ვაგრძნობდი.

15. იყვნეს ვინმე მამანი პალესტინეს დღეთა მამისა ზენონისთა: მამაჲ ნიკოლას¹ და მამაჲ დეოგინე² და მამაჲ პავლე, — სამნივე ძმანი. და თუ ვინმე მივიდის მამისა ზენონისა, ეტყვნ: მივედით წინაწარმეტყუელთა იმათ, მივედით მოციქულთა იმათ³ თანა, რამეთუ მამასა ნიკოლას⁴ წინაწარმეტყუელად უწესნ, რამეთუ იყო სიტყუაჲ მისი მამხილებელ, ხოლო მამასა დეოგინეს⁵ და [v] მამასა^{5a} პავლეს მოციქულით⁶ ხადინ, რამეთუ იყო სიტყუაჲ მათი ნუგეშინის-მცემელ.

16. ამასვე მამასა ნიკოლას¹ აღსრულებისა ჟამსა გარე-მოადგეს მოწაფენი მისნი, ტიროდეს და ევედრებოდეს, რაჲთა ლოცვა ყოს მათთვის. და მათ თანა მამაჲ ანტიოქეცა, რომელსა თუალნი დადგომილ იყვნეს, ეტყოდა მას: ვის დამიტევებ მე, მამაო ჩემო, ესრეთ უძღურსა?² ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ ვპოვო კადნიერებაჲ წინაშე ქრისტესა, ჩემსა შვდსა სახარებაჲ შენ იკითხო³, რამეთუ ხუცესი იყო⁴. და ვითარ მეშვდეს დღეს მოიწია, ჯდა ბრმაჲ იგი საფლავსა თანა ბერისასა^{4a} და ტიროდა. და ვითარ დაჰრეკეს კრებისა ჟამსა, აეხილნეს⁵ თუალნი და ჟამის-წირვასა სახარებაჲ მან წაიკითხა⁶. და რომელთა იხილეს, აღიდებდეს ღმერთსა, რომელმან მოსცის ესევეითარი კადნიერებაჲ წმიდათა მისთა⁷.

17. ზედაჲს-ზედა ეტყვნ მამაჲ ზენონ¹, რომელნი მივლენდ მისსა² მონაზონნი, ვითარმედ: მამათა ჩუენთა ზამთრის გებულად

15. — BC. 2 2: — C. 1 ზენონისთა B. 1a ნიკოლას B. 2 დიოგინი B. 3 იმათ — B. 4 ნიკოლას B. 5 დეოგინეს B. 5a მ.პასი — B. 6 მოციქულად B.

16. B: 282; — C. 1 ნიკოლასს B. 2 ეს: მთ უძღურსა + ამას B. 3 წაიკითხო B. 4 + იგი B. 4a ბე⁴ ისსა B. 5 აღეხილნეს B. 6 წარიკითხა B. 7 მისთა — B.

17. B: 282; — C. 1 ზენონ B. 2 მისა B.

განად[55]გინეს ნავები მათი არმურისაგან მდევართაჲსა, რომელი მოიწეოდა მათ ზედა ეშმაკთაგან და კაცთაგან, და ჩუენ ნავთ-სად-
ვურთა დაყუდებულთაჲ შინა ვალთ³ და დაეინთქმით⁵.

მამისა ზაქარიასთვის!

5 1. თქუა მამამან კარიონ, რამეთუ: მრავალნი შრომანი კორცი-
ელნი² ვყვენ უფროჲს შვილისა ჩემისა ზაქარიასა და ვერ მივს-
წუეთ³ საზომსა მისსა სიმდაბლითა მისითა და ღუმილითა.

2. პრქუა მამამან მაკარი მამასა ზაქარიას: მითხარ მე, რაჲ არს
საქმჲ მონაზონისაჲ? ხოლო მან პრქუა¹: და შენ მე მკითხავა მამაო?
1 10 და მამამან მაკარი პრქუა მას: დამიჯერებიეს შენი, შვილო² ზაქა-
1 რია, რამეთუ არს, რომელი მაიძულებს მე³ კითხვად შენდა. მაშინ
პრქუა მან ზაქარია: მე⁴ ესრეთ მგონიეს, მამაო, რომელი აიძულე-
დეს თავსა თვისსა ყოველსა შინა, ესე არს მონაზონებაჲ. M₁

3. მივიდა ოდესმე მამაჲ მოსე ესებად წყლისა და პოა¹ ძმაჲ
15 ზაქარია, [V] რამეთუ ილოცვიდა იგი წყლის შესაკრებელსა² მას
ზედა და სული ღმრთისაჲ განისუენებდა მის ზედა. პრქუა³ მამამან
მოსე მამასა ზაქარიას: მითხარ მე, რაჲ ვყო? ხოლო იგი შეუვრდა
ფერკთა მისთა და პრქუა მას: შენ მე მკითხავა, მამაო⁴? პრქუა მას
ბერმან: დაიჯერე, შვილო ჩემო ზაქარია, რამეთუ ვიხილე სული
20 წმიდაჲ, გარდამომავალი შენ ზედა, და⁵ ამისთვისა ვიიძულე⁶
კითხვად შენდა. მაშინ აღიჭადა ზაქარია⁷ კუკული⁸ თავისაგან თვისი-
სა და დააგდო იგი ფერკთა ქუეშე თვისთა⁹, სტკებნიდა და იტყოდა:
უკუეთუ არა ესრეთ¹⁰ შეიმუხროს კაცი, ვერ ძალ-უც მონაზონ ყო-
ფად. M₂₋₃

25 4. ჯდა რაჲ¹ ოდესმე მამაჲ ზაქარია სკიტეს, და მოიწია მის ზე-
და ხილვაჲ. და მივიდა და² უთხრა მამასა თვისსა³ კარიონს. ხოლო

³ დაყუდებულთასა B. ⁴ ვღეით B. ⁵ დავითქმით. B.

1. B : 282; — C. ¹ ზაქარიასთვის B. ² კორციელებისნი B. ³ მივსწუედ B.

2. B : 282; — C. ¹ მონაზონებისა B. ² ა + მას B. ³ + ჩემო B. ⁴ მე—B.

⁴ ზაქარია მე — B] ჩემდა ესრე B.

3. B : 282; — C. ¹ პოვა B. ² დასაკრებელსა B. ³ + ოდესმე B. ⁴ მამაო—B.

⁵ და — B. ⁶ ვიიძულე B. ⁷ ზაქარია — B. ⁸ ~ კუკული ზაქარია B. ⁹ + და B
¹⁰ ესრეთ B.

4. B : 282 v; — C. ¹ რაჲ— B. ² და —B. ³ თვისსა — B.

ბერი იგი ჭორცითა მშრომელ⁴ იყო, ესე იგი არს, რამეთუ მმარხველი იყო და მღვდარე⁵. ხოლო ესევეითარსა ზედა⁶ ვერ მიწვეულ იყო⁷. აღდგა და სცემდა მას და ეტყოდა: ეშმაკნი გემღერიან, ხოლო გულის-სიტყუაჲ იგი დაადგრა მის თანა. [56] მაშინ აღდგა ლამე და მივიდა მამისა პიმენისსა⁸ და უთხრა საქმე⁹ იგი. და ვითარ აღგზებულ¹⁰ იყო შინაგანი მისი და იცოდა ბერმან, რამეთუ ღმრთისა მიერ არს გულის-სიტყუაჲ იგი მისი, და სახელ-სდგა ბერსა ვისმე და ჰრქუა მას: მივედ მისა და რაჲცა გრქუას. ყავ. და ვითარცა მივიდა ბერიისა მის. პირველ კითხვადმდე მისა უსწრო ბერმან და უთხრა მას¹¹: ყოველი გულის-სიტყუაჲ¹² შენი ღმრთისაგან არს, არამედ მივედ და დაემორჩილე მამასა შენსა. M₄

5. თქუა მამამან პიმენ მამისა ზაქარიაჲსთვის. ვითარმედ¹: ჰკითხა მამამან მოსე აღსრულებისა ჟამსა და ჰრქუა მას: რასა ხედავ? და² მან ჰრქუა³: არა უმჯობეს⁴ არსა⁵ დუმილინ, მამაო? ხოლო მან ჰრქუა: ჰქ⁷, შვილო ჩემო, დადუმენ. და ვითარცა მოიწია ჟამი სიკუდილისა მისისაჲ, მუნ ჯდა მამაჲ ისიდორეცა⁸ და⁹ ახედნა ზეცად¹⁰ და თქუა: იხარებდ, იხარებდ, შვილო ზაქარია, რამეთუ განგებუნეს შენ ბჳენი სასუფეველისა ცათაჲსანი. M₅

მამისა ირაკლისტნს

1. ძმასა ვისმე [V] ბრძოლაჲ აქუნდა და უთხრა მამასა ჰერაკლეს, ხოლო მან მისისა განმტკიცებისათჳს ჰრქუა მას: ბერსა ვისმე მოწაფჳ ესუა, ფრიად მორჩილი ჰრავალთა წელთა. დღესა ერთსა შინა მოუქდა ბრძოლაჲ და მივიდა და უთხრა. ბერსა და ჰრქუა: ბრძანე, რაჲთა ვიყოფვოდი მარტოჲ, და ბერმან ჰრქუა: იძიე ადგილი და გიქმნე შენ სენაკი. და წარვიდა მილიონით ერთით, პოა. და მოვიდეს და აღუშენეს სახლი და ჰრქუა ძმასა მას: რომელი გამცნო, დაიმარხე, ოდეს მოგემშოოს, ჰამე, სუ და დაიძინე, გარნა სენაკით ნუ გამოხუალ, ვიდრე შაბათადმდე, და მაშინ ხოლო მოწვედე ჩემდა. და ძმამან მან ორსა დღესა ყო, ხოლო მესამესა შეაუროვა და თქუა: რაჲ ესე მიყო ბერმან? და აღდგა და წართქუა მრავა-

⁴ მშრომელი B. ⁵ მღვდარე+იყო B. ⁶ ზედა — B. ⁷ + და B. ⁸ პიმენისა B. ⁹ საქმე B. ¹⁰ აგზებულ B. ¹¹ მას — B. ¹² + ეგე B.
5. B : 282v;—C. ¹ ვითარმედ—B. ² და| ხოლო B. ³ თქუა B. ⁴ არარაჲ არს უმჯობეს B. ⁵ არსა—B. ⁶ დუმილისა B. ⁷ ჰე B. ⁸ ისიდორეცა B. ⁹ და—B. ¹⁰ ცად B.
1. — BC.

- ლი ფსალმუნნი და ვითარ მზღ დაჰქდა, მაშინ პური ჰამა. და ვითარ-
 ცა შევიდოდა დაწოლად, მიხედნა და იხილა ჰილსა ზედა თვს[ს]ა
 ✓ ჰინდოდა, რომელი წვა და იღრჰენდა მისა მიმართ [57] კბილთა
 მისთა. ხოლო მას შეეშინა და სრბით მსწრაფლ მივიდა ბერისა, დაჰ-
 5 რეკა კარსა და ჰრქუა: მამაო, შემიწყალე მე, და განმიღე კარი. ხო-
 ლო ბერმან ცნა, რამეთუ არა დაიმარხა სიტყუაჲ იგი მისი და არა
 განულო ვიდრე განთენებადმდე. მერმე განულო და პოა იგი, ვითარ
 ევედრებოდა მას და მან შეიწყნარა იგი შინა. ხოლო მან ჰრქუა მას:
 ✓ გევედრები შენ, მამაო, შავი ვინმე ვიხილე ჰილსა ზედა ჩემსა, მი-
 10 რაჲ-ვიდოდე დაწოლად. ხოლო ბერმან ჰრქუა: ესე მით შეგემთხვა
 შენ, რამეთუ არა დაიმარხე სიტყუაჲ ჩემი. მაშინ გამოუსახა მას
 წესი მარტოდ-მყოფებისაჲ და ესრეთ მცირედ-მცირედ გამოჰქდა კე-
 თილად მონაზონად. M

მამისა თევდორესთჳს ფერმელისა

- 15 1. მამასა თევდორეს ფერმელსა სამი წიგნი მოეგო კეთილი და
 ✓ მივიდა მამისა მკაარისსა და ჰრქუა: მამაო, სამი წიგნი მიც კეთილი
 და სარგებელ მეყვის მათგან, და ძმათაჲ მიილიან და სარგებელ
 ✓ ეყვის. აწ მითხარ, რაჲ [v] მილირს ყოფად? დავიყენო თავისა ჩემი-
 სად და სარგებელისათჳს ძმათაჲსა, ანუ განვიყო და სასყიდელი
 20 მისი მივსცე გლახაკთა? მიუგო ბერმან და ჰრქუა: კეთილ არიან
 ✓ საქმენი ეგე. არამედ უფროჲს არს ყოველთასა უპუარებაჲ. და მას
 ვითარცა ესმა ესე, წარვიდა და განყიდა წიგნები იგი და მისცა სას-
 ყიდელი მისი, ვიეთჲა საქმარ იყო. M₁

2. ძჲაჲ ვინმე ჯდა სენაკსა მარტოჲ და ვითარ ეურვებოდა მას
 ✓ 25 მოწყინებისაგან¹, მივიდა მამისა თევდორესსა და² ჰრქუა მას ბერ-
 მან³: მივედ და დაიმდაბლე⁴ გულის-სიტყუაჲ⁵ შენინ⁶, და დაემორ-
 ჩილე და იყოფვოდე⁷ სხუათა თანა. მერმე კუალად-მიიქცა და ჰრქუა
 მას: ვერცა სხუათა თანა განვისუენებ. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ
 სხუათა თანა ვერ განისუენებ და ვერცა მარტოჲ, რაჲსათჳს გამო-
 30 ხუედ მონაზონებად, არა რაჲთა ჰირი დაითმინოა? ხოლო მითხარ-
 ლა⁸, რაოდენი⁹ წელი გაქუს მონაზონებასა შინა? და მან ჰრქუა:

1. — BC.

2. B:283; — C. ¹ მოწყინებესაგან — B. ² და — B. ³ მას ბერმან — B. ⁴ დაი-
 მდაბლენ B. ⁵ გულის — სიტყუანი B. ⁶ შენნი B. ⁷ იყოფოდე B. ⁸ მითხარ მე B.
⁹ რადენი B.

რვაჲ. მაშინ ჰრქუა მას [58] ბერმან: ზ საკვრელი ესე, მაქუს მე სამოცდაათი წელი მონაზონებასა შინა და ვერცა ერთსა დღესა ვპოე¹⁰ განსუენებაჲ და შენ რვასა წელსამცა გაქუნდაა განსუენებაჲ? ესე რაჲ ესმა, განმტყინა და წარვიდა ძმაჲ იგი. M₂

3. მივიდა ოდესმე ძმაჲ მამისა თევდორესა, და დაყო მის თანა სამი დღჳ, და ევედრებოდა, და რაჲთამცა ესმა მისგან სიტყუაჲ. ხოლო მან არაჲ მიუგო, და გამოვიდა გულკლებული. მაშინ ჰრქუა ბოწაფემან თვსმან: მამაო, ვითარ არაჲ არქუ სიტყუაჲ? ხოლო ბერმან ჰრქუა მას: სამართლად არა ვარქუ მას, რამეთუ ვაჰარი არს და უნებს, რაჲთამცა სხვსა სიტყუათა ზედა იდიდებოდა. M₃

4. მერმე კუალად თქუა: უკუეთუ ვის თანამე სიყუარული გაქუნდეს და შევარდეს სიძვასა და ძალ-გედვას, მიეც კელი და შენდავე მოიზიდე; ხოლო უკუეთუ წვალეზასა მიეცეს და არა მოგერჩდეს, რაჲთამცა მოაქციე იგი, აღრე მოიკუეთე¹, ნუუკუე დაჰყოვნი მის თანა და შენცა შთაიჰრე მთხრეპლსა² მის თანა. M₄

იტყოდეს მამისა თევდორესთვის¹, რომელი იყო [v] ფერმისაჲ, ვითარმედ სამი ესე თავად აქუნდა უფროჲს ყოველთასა: უპოარებაჲ² მარხვაჲ და კაცთაგან სიელტოლაჲ. M₅

6. მოიცალა ოდესმე მამამან თევდორე ძმათა თანა და ვითარჲჲამდეს მოშიშებით და სასუმელიცა მღუმრიად მიილიან და არა თქვან: მომიტევე. M₆

7. თქუა მამამან თევდორე: წარწყმიდეს მონაზონთა აზნაურებაჲ თვისი, რამეთუ არა თქვან „მომიტევე“ და ესრეთ¹ მოღებად. და სხუამან ბერმან თქუა: კეთილ არს თქუმად „მომიტევე“ და ესრეთ² მოღებად, რამეთუ ხატი არს მონაზონებისაჲ. [ჰკითხა მას ძმამან და ჰრქუა: გინებსა, რაჲთა მცირედთა დღეთა პური არა ვჰპომო? და ბერმან ჰრქუა: კეთილად ჰყო, მეცა მიყოფიეს ეგრეთ. და

¹⁰ ვპოე B.

3. — BC.

4. B: 283v; — C. ¹ † იგი B. ² მთხრებსა B.

5. B: 283v; — C. ¹ თევდორმთჳ B. ² უპოვარებაჲ B.

6. B: 283v; — C.

7. B: 283v; — C. ¹ ესრეთ B. ² ესრეთ B.

✓ ძმამან მან ჰრქუა: მივართუა ფარულად ერვინდი ჩემი მეპურესა და დაპიფქვეს ფქვილად. ხოლო ბერმან ჰრქუა მას: უკუეთუ მერმე საპურედვე მიხულ. შეიქმენ პური შენი და საცინელ რადლა იქმნები?]*.

5 8. მო-ვინმე-უქდა მამასა თველორეს ფერმელსა [59] და უთხრა მას ძმისა ვისთვისმე, ვითარმედ მიიქცა სოფლად. ჰრქუა მას ბერმან: და ამას ზედა გიკვრსა? ნუ გიკვრს, არამედ უკუეთუ ვისიმე გესმეს, ვითარმედ შეუძლო და განერა პირსა მტერისასა, ამას ზედა გიკვრდინ. M₈

10 9. იგივე ოდესმე მოუქდა მამასა იოვანეს, შობითგან საქურისსა, და ოდეს ზრახვიდეს, თქუა: ოდეს ვიყავ სკიტეს, სულისა საქმშ იყო ჩუენდა საქმარად, ხოლო ჯორცთა საქმარი გარეწარად გუაქუნდა. ხოლო აწ სულისა საქმშ ვითარცა გარეწარი იქმნა. M₁₀

15 10. ძმამან ვინმე ჰკითხა მას და ჰრქუა; რომელი არს აწ სულისა საქმშ, რომელი-ეგე, ვითარ სთქუ, გარეწარად გუაქუს, ანუ რომელი არს გარეწარი, რომელი აწ საქმედ გვპყრიეს? ჰრქუა მას ბერმან: ყოველი, რომელი მცნებისა მისთვის იქმნებოდის, ესე საქმშ სულისაჲ არს, ხოლო თავისა თვისისათვის საქმშ და შეკრებაჲ. ვითარცა გარეწარი შესარაცხელ არს. ხოლო ძმამან მან ჰრქუა მას: 20 მითხარ მე გამოცხადებულად სიტყუაჲ ეგე. ხოლო ბერმან ჰრქუა მას: აჰა ეგერა გესმა ჩემთვის, რამეთუ უძლურ ვარ და გი[V]ღირს, რაჲთამცა მოხუედ და მიხილე მე, და შენ სთქუ გონებასა შენსა: დაუტეო საქმშ ესე ჩემი და მივიდე არა, არამედ ესე და-ხოლო-ვასრულო და მივიდე. შემოგივრდეს შენ სხუაჲცა მიზეზი რაჲმე და, 25 ვინ უწყის, მიცა-არა-ხვდე. მერმე კუალად სხუამან ძმამან გრქუას: მოვედ და შემეწიე მე, ძმაო, და შენ სთქუა, ვითარმედ: დაუტეო საქმშ ჩემი და მივიდე და ვიქმოდო მის თანა. უკუეთუ არა მიხვდე, დაუტევე მცნებაჲ იგი ღმრთისაჲ. რომელი არს საქმშ სულისაჲ და იქმ გარეწარსა მას, რომელი არს საქმშ თავისაჲ. M₁₁

30 11. თქუა მამამან თველორე ფერმელმან, რამეთუ: კაცი, რომე-

* კავებში მოთავსებული ტექსტი B ნუსხაში არ აღმოჩნდა.

8. — BC. 9. — BC. 10. — BC. 11. B:283v; — C.

ლი სინანულსა შინა არს, იესუ მას არა მოჰკდის მცნებასა მუშაკობისასა. M_{12}

12. მერმე კუალად თქუა: მრავალთა ამასვე ჟამსა აღირჩიეს განსუენებად, ვიდრე ღმრთისა მოცემადმდე¹ მათა. M_{16}

13. მერმე თქუა: ნუ დასდგები ადგილსა, რომელსა დედაკაცი იყოს. M_{17}

14. ძმამან ვინმე ჰკითხა მამასა თევდორეს და ჰრქუა: მინებს, რაჲთამცა აღვასრულე ყოველი მცნებაჲ. ხოლო ბერმან უთხრა მამისა თეონაჲსთვის: მანცა [60] თქუა, მინებს, რაჲთამცა სრულ ვყავ გულის-სიტყუაჲ ჩემი ღმრთისა მიმართ. და წარმოიღო ღუემლისა ერთისა პური საპურედ და შექმნა პურად. ვითარ სთხოვდეს გლახაკნი, განუყო მათ პური იგი. და ვითარ სთხოვდეს მას სხუანი იგი, მისცა მათ სფურიდები იგი და მისცა სამოსელიცა თვისი, რომელი ემოსა. და შე-რაჲ-ვიდა სენაკად, მოირტყა მათური და ესრეთცა აბრალებდა თავსა თვისსა და ეტყოდა, ვითარმედ: არა აღასრულე მცნებაჲ იგი ღმრთისაჲ. M_{18}

15. დასნეულდა ოდესმე მამაჲ იოსებ და მიუვლინა მამასა თევდორეს: მოვედ და გიხილო ვიდრე კორცთაგან განსლვადმდე. და იყო განზოგებასა ოდენ მის კვრიაკისასა და არა მივიდა, არამედ მიავლინა მისა და ჰრქუა მას: უკუეთუ სდგე შაბათამდე, მოვიდე, უკუეთუ წარბჰვდე მას სოფელსა, ვიხილნეთ თავნი თვისნი ურთიერთას. M_{19}

16. ძმამან ჰრქუა მამასა თევდორეს: მითხარ რაჲ¹ სიტყუაჲ, რამეთუ წარვწყდები ძნიად. ჰრქუა მას²: თვთ მივაზ და შენ რაჲ გითხრა? M_{20}

17. ძმაჲ მოვიდა მამისა თევდორესსა, [v] ჰლოცვიდა მას, რაჲთა კერვაჲ ასწავოს მას და მოართუა მას სირაჲცა იგი. ჰრქუა

12. B : 283v; — C. ¹ მოცემად B.

13. B : 283v; — C. 14. — BC. 15. — BC.

16. B : 283; — C. ¹ ნურაჲ B. ² † მე B.

17. — BC.

მას ბერმან: წარვედ აწ და დილეულ მოვედ. ხოლო ბერმან დააღბო სირაჲ იგი და ვითარცა მოვიდა, უჩუენა მას წინაჲთ, ვითარ იწყოს და ჰრქუა: ესრჳთ და ესრჳთ ჰყვი. და დაუტევა იგი ბერმან და შევიდა სენაკად თჳსა და დაჯდა, და პურისა ჟამსა სცა მას პური. და 5 ჰამა და წარვიდა, და ხვალისა დღჳ კუალად მოვიდა. ჰრქუა მას ბერმან: აღიღე სირაჲ შენი და ვილოდე, რამეთუ მოხუედ აქა, რაჲთა განსაცდელსა შემავლო მე და ზრუნვასა. და არა უტევა იგი შინა. M₂₁

18. თქუა მოწაფემან მამისა თევდორესმან, ვითარმედ: მო-ვინ- 10 მე-ვიდა ოდესმე ხახვსა მსყიდელი, აღმივსო მე სარქუანი. და მრქუა მე ბერმან: აღუვსე ეგე იფქლითა და მიეც მას. და იღვა ორგან ხუ- 15 ავად იფქლი, ერთგან დაწმედილი და ერთგან უწმედელი. და მე აღვავეს უწმედელითა მით. და მომხედნა მე ბერმან მოკვრნედ [61] და გულის-კლებით. ხოლო მე შემეშინა და დავეცი და შევმუს- 15 რე სარქუანი იგი და მივედ და შეუვრდი. ხოლო ბერმან მრქუა მე: აღდგე, არა შენი ბრალი არს, არამედ მე ვცოდე, რამეთუ გარ- 20 ქუ შენ. მაშინ თვთ ბერი შევიდა და გამოართუა წილითა სავსე იფქლი წმიდისა მისგან და მისცა მას, და ხახვ იგი უკუნ-სცა. M₂₂

19. ჰკითხა ვინმე მამასა თევდორეს: უკუეთუ მყის მოიწიოს 20 დაქცევაჲ, შენ გეშინოდისევა, მამაო? ხოლო ბერმან ჰრქუა მას: და-ლათუ ცაჲ ქუეყანასა დაეწებოს, თევდორეს არავე შეეშინოს. რა-მეთუ ვედრებულ იყო ღმრთისა, რაჲთა მიეღოს შიში. ამისთვისცა ჰკითხა მას. M₂₄

20. იტყოდეს მისთვისე, რამეთუ ოდეს იქმნა იგი დიაკონ სკი- 25 ტეს, არა თავს იღებდა იგი დიაკონებად და მრავალსა ადგილსა მი-ივლტოდა, და მუნვე უკ-მოიყვანიან ბერთა მათ და ეტყუედ: ნუ და-უტევებ მსახურებასა შენსა. ხოლო მამამან თევდორე ჰრქუა მათ: მაკადეთ მე, რაჲთა ვევედრო ღმერთსა, უკუეთუ [v] დამაჯეროს მე ღმერთმან დადგომად ადგილსა მას მსახურებისა ჩემისასა. და 30 ევედრებოდა ღმერთსა და ეტყოდა: უკუეთუ სათნო არს შენდა, რაჲთა დავდგე ადგილსა ჩემსა, გამომიცხადე მე. და უჩუენა მას სუეტი ცეცხლისაჲ, რომელი აღიწეოდა ქუეყანით ცად. და ესმა

ქმაჲ, რომელმან ჰრქუა მას: უკუეთუ ძალ-გიც ყოფად, ვითარცა ესე სუეტი, მივედ და დიაკონებდ. ხოლო მას რაჲ ესმა ესე, დაამტკიცა, რაჲთა არა თავს-იღვას. და მო-რაჲ-ვიდეს ეკლესიად, შეუვრდეს მას ძმანი და ეტყოდეს: უკუეთუ არა გნებავს დიაკონების, ბარძიმი ოდენ იპყრი. და არავე თავს-იღვა, არამედ თქუა: უკუეთუ არა მაცადოთ, წარვიდე ამიერ აღგილით. და ესრეთ დაუტევეს იგი. *M₂₅*

21. იტყოდეს მისთვისვე, რამეთუ ოდეს მოოქრდა სკიტჲ, მოვიდა ფერმედ და მუნ იყოფვოდა, რამეთუ დაბერებულ იყო და მოუძღურებულ. და მოართუმიდეს საღუაწსა. და რომელი პირველმან მოართვს, მისცის იგი მეორესა და ესრეთ [62] შემდგომითი-შემდგომად. რომელი მოიღის პირველისაგან, მისცის იგი სხუასა და რომელმან პურის ჭამასა ოდენ მოართვს, მისგანი ჭამის. *M₂₆*

თქუა მამამან თევდორე: საკვრველ არს, რამეთუ ლოცვისა ჟამსა ეგრე ვილოცვიდით, ვითარცა¹ თანა იყო ღმერთი და ისმენდა² მაცა სიტყუათა ჩუენთა. ხოლო ცოდვისა ჟამსა, ვითარმცა-იგი არა გუხედვიდა, ეგრეთ² ვიქმოდით.

23. გვთხრობდა ვინმე მამათაგანი ფერმელი, ვითარმედ: მივედ ოდესმე მამისა თევდორესა და ვპოე, რამეთუ დაჭრილი კუართი ეცუა და მკერდი შიშუელი ედგა და კუკული წინაჲთ მოექცია. და აჰა ესერა კომსი ვინმე მოვიდა ხილვად მისა და ვითარ ჰრქეა კარსა, გამოვიდა ბერი, რაჲთამცა განულო და ვითარ შეიმთხვა იგი, და-ხოლო-ჳდა კარსა ზედა, და ზრახვიდა მას. მოვილე მათური მცირე და დავბურე ბექთა ზედა, ხოლო ბერმან კელი განყარა და განაგდო იგი. და ვითარ წარვიდა კომსი იგი, ვარქუ მას: მამაო, რაჲ-ესე ჰყავ, მოვიდა კაცი აღშენებისათვის ნუჟუე [v] დაბრკოლებისათვისა? ხოლო ბერმან მრქუა მე: რასა იტყვ, ამბა, აწ კაცთა-მე ვჰმონებდეთა? ვყავ, რაჲ-იგი ჯმდა: ვის უნებს აღშენების, აღეშენოს და რომელსა უნებს დაბრკოლების, დაბრკოლდინ. მე ვითარცა დავეპყრა, ეგრეცა შევემთხვო. ამცნო მოწაფესა თვისსა და ჰრქუა: უკუეთუ ვინმე მოვიდეს ხილვად ჩემდა, ნურას იტყვ კაცობრივისა, არამედ უკუეთუ ვჰამდე, არქუ ჭამს და უკუეთუ მეძინოს, არქუ სძინავს. *M₂₈*

21. — BC. 22. B : 283v;—C.¹ ვითარმცა B. ² ეგრეთ B. 23. — BC.

24. შეუტდეს მას საშინი ავაზაკნი. ორთა იგი ეპყრა და ერთი ჭურქელსა გამოჰკრებდა. და ვითარ გამოკრება წიგნები, უნდა, რაჲთამცა კუართიცა მისი გამოიღეს. ჰრქუა მათ: ეგე ხოლო უტევეთ. და მათ არა ინებეს. მაშინ განიყარნა კელნი და ორნივე დაეცნეს, და ვითარცა იხილეს ესე, შეშინდეს. ჰრქუა მათ ბერმან: ნურას შეშინდებით, არამედ განყავთ ეგე ოთხად ნაწილად და წარიღეთ სამი ნაწილი და ერთი დაუტევეთ. და ყვეს ეგრჭთ. უნდა ბერსა, [63] რაჲთამცა დაიყენა კუართი იგი თვსა ნაწილად, რომლითა ჟამსა ეზიარის. M₂₉

c მამისა თევდორესთჳს, რომელი იყოფოდა მცხხრასა მილიონსა ალექსანდრიისასა

1. თქუა მამამან თევდორე მეცხრისა მილიონისამან, ვითარმედ: სიჭაბუკესა ვიყოფოდე რაჲ უდაბნოსა გარე, მივედ საპურესა, რაჲთამცა შევექმენ ორი თორნჭ პური და ეპოე მუნ ძმაჲ, რომელსა უნდა პურისა საქმჭ და არავინ აქუნდა, ვინმცა შესწია. ხოლო მე ჩემი იგი დაუტევე და მას შევესწიე. და ვითარ მოვიცალე, მოვიდა სხუაჲ ძმაჲ და მასცა შევესწიე და შეუქმენ პური. მერბე კუალად შესამჭ მოვიდა და ეგრეთვე სახედ მასცა შეუქმენ. და ესრეთ თითოეულსა, ვინცა მოვიდის, შეუქმნი. და შევექმენ ექუსი თორნე. და უკუანაძსკნელ ყოველთაჲსა შევიქმენ ორი თორნე, ოდეს არღარავინ მოვიდა. M₁

2. იტყოდეს მამისა თევდორესთჳს და მამისა ლუკისთჳს, რომელი იყენეს მეცხრისა მილიონისანი, ვითარმედ დაყვეს ერგასისი წელი და ეტყოდეს¹ გულის-სიტყუათა [v] თვსთა², ვითარმედ: ზამთარი ესე გარდაქდეს და წარიღეთ ამიერ ადგილით. და ესრჭთ³ აღასრულნეს ყოველნი ჟამნი მათნი მარადის მოსაკსენებელთა მათ მიმართ⁴. M₂

3. თქუა მანვე მამამან თევდორე: უკუეთუ შეგკრაცხოს ღმერთმან ლოცვასა ზედა უდებეა¹ და მიმოტაცებეა გონებისაჲ ფსალმუნებასა ზედა, ვერ შემძლებელ ვართ² ცხორებად. M₃

24. — BC.

1. — BC.

2. B : 283 v; — C. ¹ იტყოდეს B. ² მათთა B. ³ ესრ:თ B. ⁴ — ნეტართა მამათა B.

3. B : 283v; — C. ¹ უდებეაჲ B. ² არს B.

[მაშისა თიონადსთვს]

1. თქუა მამამან თეონა: ამისთვს .ტყუე¹ იქმნის გონებაჲ ვნება-
თაგან კორციელთა, რამეთუ არა მოიცალის გონებამან საღმრთოჲსა
პირმართ ხილვისა. M₁

თიოფილესთვს მთავარეპისკოპოსისა

5

1. ნეტარი თეოფილე, ალექსანდრი[ი]სა² მთავარეპისკოპოსი,
მივიდა ოდესმე ნიტრიისა³ მთასა და მოვიდა მისა მამასახლისი მის
მთისაჲ. ჰრქუა მას მთავარეპისკოპოსმან⁴: რაჲ ჰპოეთ⁵ უმეტესი⁶
მაგას გზასა, მამაო? ხოლო ბერმან თქუა⁷: რაჲთა პატიყუელად შევ-
რაცხო⁷ თავი ჩემი⁸ და ვაბრალობდე⁹ მას. ჰრქუა მას მამამან თეო-
ფილე: სხუაჲ გზაჲ არა არს, გარნა ეგე? M₁

10

2. [64] იგივე მთავარეპისკოპოსი იტყოდა აღსრულებისა ეამ-
სა: ნეტარ ხარ, მამაო არსენი, რამეთუ ესე ეამი გეცხენა ოდეს-
ვე. M₅

მაშისა თიოლოკადსთვს

15

1. თქუა მამამან თეოდორე², რომელი იყო სკიტეს: მოვიდის
გულის-სიტყუაჲ და³ აღმანჭოთის და უცალო მქმნის. საქმისა აღს-
რულებად ვერ შეუძლის, არამედ და-ხოლო-მაბრკოლის. ხოლო
ფრთხილმან კაცმან განიყარის იგი და აღდგის ლოცვად. M₁

მაშისა თივლოკადსთვს ელემთერიკოლოვლისა

20

1. ჰკითხა მამამან აბრაჰამ ქართველმან მამასა თევდორეს ელევ-
თეროპოლელსა¹ და ჰრქუა: რომელი უმჯობეს² არს, მამაო, დიდებაჲ
მოვატყუა თავსა ჩემსა ანუ უპატიოებაჲ? ჰრქუა მას ბერმან: მე
ეგრე მინებს, რაჲთა დიდებაჲ მოვატყუა თავსა ჩემსა, ვიდრე არა
უპატიოებაჲ. უკუეთუ ვქმნე კეთილისა³ საქმე და ვიდიდებოდი, 25

1. B: 284; — C. ¹ ტყუე A.

1. B: 284;—C. ¹ მთავარ ეპისკოპოსისა B. ² ალექსანდროჲსა B. ³ ნიტრიასა B.
⁴ მთავარეპისკოპოსმან B. ⁵ ჰპოეთ B. ⁶ უმეტესი B. ⁷ რქუაჲჲსა B. ⁸ შევ-
რაცხოთ B. ⁹ თვის B. ⁹ ვაბრალებდეთ B.

2. — BC.

1. B: 284; — C. ¹ თვისთვს A. ² თე A. ³ და—B.

1. B: 284; — C. ¹ ელევთეროპოლელსა B. ² უმჯობეს B. ³ კეთილი B.

ძალ-მიც დასჯად გულის-სიტყუასა ჩემსა, ვითარმედ⁴ ღირს ვარ დიდებასა⁵ ამას⁶. ხოლო უპატიო[V]ებაჲ ბოროტთაგან საქმეთა იქმნების⁷, ვითარ უკუე⁸ შეუძლო ნუგეშინის-ცემად სულისა⁹ ჩემისა¹⁰, რაჟამს უკუე დაბრკოლდენ ჩემდამო კაცნი? აწ უკუე უმჯობეს¹¹ არს, რაჲთა კეთილსა ვიქმოდნი და ვიდიდებოდნი, ვიდრე არა ბოროტსა¹² საქმესა, ხოლო მამამან აბრაჰამ ჰრქუა მას: კეთილად სთქუე, მამაო! M₁

2. თქუა მამამან თევდორე: მოკლებამან პურისამან დაადნენის¹ კორცნი მონაზონისანი². ხოლო სხუამან ბერმან თქუა: მღვდარებაჲ უფროჲს³ დაადნობს კორცთა. M₂

მამისა იოვანესთჳს მოკლისა

1. იყო ვინმე ბერი თეზაიდელი სკიტეს, რომელსა აქუნდა მოწაფე — იოვანე მოკლჲ. და ჯდა იგი უდაბნოსა გარე და მოილო ბერმან ძიძი ქმელი და დაჰნერგა და ჰრქუა მოწაფესა თჳსსა იოვანეს: დღითი-დღე უსხ ამას წყალი კოკითა, ვიდრემდის ნაყოფი გამოიღოს. და იყო მათგან შორს წყალი იგი, ვითარმცა მწუხრი წარვიდა და განთიად მოვიდა. [65] და შემდგომად სამისა წლისა განცოცხლდა. და ნაყოფი გამოიღო, და მოილო ბერმან ნაყოფი იგი და მოართუა ეკლესიად და ჰრქუა მათ: მიიღეთ და ქამეთ ნაყოფი ესე მორჩილებისაჲ. M₁

2. იტყოდეს მამისა იოვანესთჳს მოკლისა, ვითარმედ ჰრქუაოდესმე ძმასა თჳსსა უხუცესსა: მინებს უზრუნველ-ყოფის, ვითარცა-იგი ანგელოზნი არას ზრუნვენ და არცა იქმან რას, არამედ მოუკლებელად ჰმსახურებენ ღმერთსა. და განიძარცუა სამოსელი თჳსი და განვიდა უდაბნოდ. და ვითარ დაყო კკრიაჲს ერთი, მოიქცა ძმისავე თჳსისა და ვითარცა ჰრეკა კარსა მას, ჰკითხა მას პირველ განღებამდე: შენ ვინ ხარ? ხოლო მან ჰრქუა: მე ვარ იოვანე. მიუგო მას და ჰრქუა: იოვანე ანგელოზ იქმნა და არღარა არს კაცთა შორის. ხოლო იგი ევედრებოდა და ეტყოდა, ვითარმედ: მე ვარ. და არა განულო, არამედ უტევა ვიდრე განთიადმდე, რაჲთა იურვოდის.

⁴ + არა B. ⁵ დღებისა B. ⁶ ამის B. ⁷ შეიქმნის B. ⁸ უკუე A. ⁹ სულსა B
¹⁰ ჩემსა B. ¹¹ უმჯობეს B. ¹² ბოროტისა B.

2. B: 284; — C. ¹ დაადენის B. ² მონაზონისნი B. ³ + არს და B.

1. — BC. 2. — BC.

და მერმე განულო და ჰრქუა მას: კაცი ხარ, [v] მერმე გიკმს საქმე-
ცა, რაჲთა იზარდებოდი. ხოლო იგი შეუერდა ფერკთა მისთა და
ჰრქუა: შემინდვე მე. M₂

3. თქუა მამამან იოვანე მოკლემან, რამეთუ: ოდეს უნებნ მე-
ფესა, რაჲთამცა დაიპყრა ქალაქი მტერთაჲ, პირველად წყალი მო- 5
ულისა და საზრდელი, და ესრეთ² მტერნი იგი დაეცნიან სიყმილითა
და დაემორჩილნიან მას, ეგრეცა ვნებანი კორცთანი, უკუეთუ მარ-
ხვითა და სიყმილითა ცხონდებოდის კაცი, მაშინ მტერნი იგი³ მო-
უძლურდიან სულისა მისგან. M₃

4. მერმე თქუა: მაძლარი, რომელი ყრმასა ზრახვიდეს, მუნ- 10
აქუესვე ობიძვა გულის-სიტყვთა მის თანა. M₄

5. მერმე თქუა: აღვიდოდე ოდესმე გზასა მას სკიტისასა და
აღმაქუნდა სირაჲ და ვიხილე მეაქლემ⁴ იგი, რომელი მეტყოდა და
აღმძრვიდა მე გულის-წყრომად, დაუტევე სირაჲ იგი და ვივლტო- 15
დე. M₅

6. მერმე კუალად მკასა გარე იყო და ესმა ძმისაჲ, რომელი
ეტყოდა რისხვით სხუასა ძმასა [66] და ჰრქუა: ეჰა შენდა დაუტე-
ვა სამკალი იგი და ივლტოდა. M₆

7. შეკრებულ იყვნეს ბერნი სკიტეს და მათ თანა იყო იოვანე-
ცა. და აღდგა ხუცესი წდევად სტამნითა წყლისა და არავინ თავს- 20
იღვა მოღებად მისგან, გარნა მარტომან იოვანე მოკლემან. ხოლო
მათ განუკვრდა და ჰრქუეს მას: ყოველთა უმცირესი შენ ხარ, ვი-
თარ იკადრე მოღებად ხუცისაგან? და მან ჰრქუა მათ: მე ოდეს აღ-
ვდგი სტამნითა წდევად, მიხარინ, ოდეს ყოველთა მიილიან, რაჲთა
მაქუნდეს სასყიდელი და მეცა მოვიღე, რაჲთა მოვატყუა მაგას სას- 25
ყიდელი. ნუუკუე შეწუხნეს, რამეთუ არავინ მიილო მისგან. და ესე
ჰრქუა მათ და დაუკვრდა და აღეშენნეს. M₇

8. ჯდა რაჲ ოდესმე წინაშე ეკლესიასა, და გარე-მოასხდეს მას
ძმანი და ჰკითხვიდეს მას გულის-სიტყუათა მათთა. და იხილა იგი

3. B : 284; — C. ¹ მიულის B. ² ესრ^ტ ; B. ³ + მისნი B.

4. B : 284; — C; 5.—BC. 6. — BC. 7. — BC. 8. — BC.

ბერმან ვინმე და შეშურდა და ჰრქუა მას შურით: იოვანე, სარწყული ეგე შენი ნაგრძნებითა სავსე არს. ხოლო მამამან იოვანე ჰრქუა მას: [v] ეგრეთ არს, მამაო, ვითარცა-ეგე სთქუ, რამეთუ შენ გარეშესა ხოლო ხედავ. უკუეთუმცა შინაგანსა ხედევედ, რაადლა-მემცა 5 სთქუ? M₈

9. მოვიდეს ოდესმე ძმანი გამოცდად მისა, რამეთუ არა უტევის გულის-სიტყუათა თვისთა, არცა იტყუნ რას საქმესა ამის სოფლისასა, და ჰრქუეს მას: ვჰმადლობთ ღმერთსა, რამეთუ წელს წვმა ფრიად და ზუა დანაკის-კუდმან და იკადოს რტოჲ სპეტაკი და პოონ ძმათა კელთ-საქმარი თვისი. ხოლო მამამან იოვანე ჰრქუა მათ: ეგრეცა სული წმიდაჲ არს, რაჟამს გარდამოქდის გულთა ზედა კაცთასა, განახლდიან და გამოიხუნიან გულის-სიტყუანი ღმრთის მო- 10 შიშებისანი. M₁₀

10. იტყოდეს მისთვისე, ვითარმედ დათხზა ოდესმე სირაჲ ორი- 15 სა სფურიდისაჲ და შეეკრა იგი ერთად სფურიდად, და ვერ ცნა, ვიდრემდის არა შეეხო კედელსა, რამეთუ მოეცალა გულის-სიტყუასა მისსა ზილვათა მიმართ. M₁₁

11. თქუა მამამან იოვანე: მიმსგავსებულ ვარ მე კაცსა რომელი ზინ ხესა ქუეშე დიდსა [67] და ხედავენ მრავალთა მკეტთა და 20 ქუეწარმავალთა, მის ზედა მომავალთა². და ოდეს ვერ შეუძლის წინა-დადგომად³, შეივლტინ მას⁴ ზედა და განერის. ეგრეცა მე ვზი სენაკსა ჩემსა შინა⁵ და ვხედავ უკეთურთა გულის-სიტყუათა, მომავალთა ჩემ ზედა. და ოდეს ვერლარა შეუძლი წინა-დადგომად⁶, მივილტოდი⁷ ღმრთისა მიმართ⁸ ლოცვითა და განვერი მტერისა- 25 გან. M₁₂

12. თქუა მამამან იოვანე, ვითარმედ იხილა ვინმე განკვრებასა შინა ბერმან: და აჰა ესერა სამნი მონაზონნი დგეს წილ-კერძო ზღუასა და კმაჲ იყო მათდა მიმართ¹ ამიერ კერძოჲთ და თქუა: აღიხუენით ფრთენი ცეცხლისანი და მოვედით ჩემდა. და ორთა მათ

9. — BC. 10. — BC.

11. B. : 284; — C. ¹ — და B. ² ~ მომავალთა მის ზედა B. ³ აღდგომად B. ⁴ მის B. ⁵ ~ შინა ჩემსა B. ⁶ აღდგომად B. ⁷ მივილტოდი B. ⁸ მიმართ — B.

12. B: 284v; — C. ¹ მიმართ—B.

აღიხუნეს ფრთენი ცეცხლისანი და წიალ-კდეს² მიერ კერძო. ხოლო ერთი იგი დგა და ტიროდა მწარედ და ღალღებდა. უკუანამს-
 კნელ მოეცნეს მასცა ფრთენი, ხოლო არა³ ცეცხლისანი, არამედ
 უძღლურნი და უსუსურნი. [V] და დიდითა შრომითა, ქუე-ღანთქ-
 მით⁴ და ზე-აღმოსლვით, მრავლითა ჳირითა წიალ-მოკდა. ეგრეცა 5
 ამან ნათესავმან დაღათუ მოიხუნეს ფრთენი, არავე ცეცხლისანი,
 არამედ უძღლურნი და უსუსურნი მოიხუნეს. M₁₄

13. ძმამამან ჳკითხა მამასა იოვანეს და ჳრქუა: ვითარ სუღსა
 ჩემსა აქუს წყლულეზაჲ და არა ჳრცხუენის ძკრისა სიტყუად მოყუ-
 სისა თვისისათვის? ხოლო ბერმან ივაი უთხრა ძკრისა სიტყვისათვის 10
 და თქუა: კაცი ვინმე იყო გლაზაკი და ესუა მას ცოლი. იხილა სხუ-
 ადცა პირშუენიერი და შეირთო იგიცა ცოლად. და იყვნეს ორნივე
 იგი შიშუელ. და ვითარცა იყო კრებაჲ ადგილსა ერთსა, ევედრე-
 ზოდეს მას და ეტყოდეს, მიმიყვანენ ჩუენ შენ თანა. ხოლო მან მი-
 იყვანნა იგინი და შთაადგინნა იგინი ჳურსა ორნივე. და აღკდა ნავსა 15
 და აღვილსა მას მივიღა და ვითარცა დასხდა ყოველი ერი და დაე-
 ყუდა, აღმო[68]იჭურითნა ერთმან მან და ვითარ არავენი ხედვიდა,
 აღმოკდა და მიმოვიდოდა სკორეთა ზედა. და შეკრიბა ძუელი ძონძი
 და შეიქმნა წელთა მოსარტყმელი და მიერითგან კანნიერად იქცე-
 ოდა. ხოლო ერთი იგი შიშუელი, რომელი შინა ჳდა, იტყოდა: ევა 20
 ისი, ვითარ არა ჳრცხუენის იმას მეძაესა და იქცევის შიშუელი გა-
 რე? გული განუწყრა ქმარსა მისსა და ჳრქუა მას: ევა საკვარელი, მას
 ლათუ სარცხვნელი დაუფარავს, ხოლო შენ ყოლად შიშუელ ხარ
 და არა გრცხუენის და მაგას იტყვ. ესრე სახედ არს ძკრის-სიტ- 25
 ყუაჲ. M₁₅

14. მერმე ეტყოდა ბერი ძმათა სინანულისათვის, რომელსა უნ-
 დეს შენანების, ვითარმედ: მეძაეი ერთი იყო ქალაქსა შინა ქმნულ-
 კეთილი ფრად და მრავალნი ტრფიალნი ესხნეს. მოვიდა მთავარი
 ერთი და ჳრქუა მას: აღმოთქე მე, რაჲთა წალმართ სახშ განიგო და
 მე მოგიყვანო ჩემდა ცოლად. და მან აღუთქუა მას და მან წარიყვანა 30
 [V] იგი სახედ თვსა. და ტრფიალნი მისნი ეძიებდეს მას, ვითარცა
 ცნეს, ვითარმედ მან მთავარმან მიიყვანა იგი სახედ თვსა, ხოლო
 მათ თქუეს: უკუეთუ მივიდეთ კარსა მისსა, აგრძნეს და გუტანჯნეს

² წიალ ფრენდეს B. ³ არავე B. ⁴ ქუე-ღანთქით B.

ჩუენ, არამედ მივიდეთ უკუანა კერძო სახლსა მისსა და უსტკნოთ მას, და მან იცნას კმაჲ იგი სტკნვისა ჩუენისაჲ და გამოვიდეს ჩუენდა და ჩუენ უბრალო ვიპოვნეთ. ხოლო მას ვითარცა ესმა სტკნვაჲ იგი, დაიბეჭდნა ყურნი მისნი და შევიდა შინაგანსა სასუენებელსა და კარნი გამოუჭმნა და იტყოდა, ვითარმედ: მეძავე იგი სული არს და ტრფიალნი იგი მისნი ვნებანიჲ, ხოლო მთავარი იგი ქრისტე არს და შინაგანი სახლი საუკუნოჲ სადგური არს და რომელნი-იგი უსტკნვენ მას, უკეთურნი ეშმაკნიჲ, ხოლო იგი ყოვლით კერძოვე უფლისა მიივლტინ. M₁₆

- 10 15. მერმე თქუა ბერმან, ვითარმედ: სამნი სიბრძნის-მოყუარენი იყვნეს მეგობარ ურთიერთას. ერთი მათგანი მოკუდებოდა და დაუტევა ძმ თვისი [69] ერთსა მეგობარსა თვისსა. ხოლო იგი, ვითარცა იქმნა მამაკაც, მივიდა ცოლისა მისისა, რომელმანცა აღზარდა იგი. და მან ვითარცა ცნა, განკადა იგი მისგან. ხოლო იგი ინანდა და ფრიად და არა შეუენდო მას, არამედ ჰრქუა მას: მივედ და იქმენ საჰსა წელსა მერუვე და ესრეთ შეგინდო შენ. და მო-რად-ვიდა სამისა წლისა შემდგომად, ჰრქუა მას: არა შეგინანებოეს, მივედ და დაყავ სამი წელი სხუაჲ, სასყიდელსა მისცემდი და იგინებოდე. და ყო ეგრე სამ წელ. მაშინ ჰრქუა მას: მივედ ათინელთა ქალაქსა და 20 ისწავე სიბრძნმ. და იყო ვინ მუნ მოხუცებული, რომელი ზინ ბჳეთა ზედა, ვითარცა სიბრძნის-მოყუარმ და აგინებნ შემავალთა და გამომავალთა, და ვითარცა აგინა ჰაბუკი იგი, ხოლო მან განიცინნა. ჰრქუა მას ბერმან მან: გაგინებ და შენ იცინი? და მან ჰრქუა მას: არა გინებბა, რადთა ვიცინოდნი? აჰა ესერა სამი წელი არს სასყიდელსა მივსცემდი, რადთა მაგინებდენ და დღეს ცუდად ვიგინებნი, 25 მისთვის [v] განმეცინა. ჰრქუა მას მოხუცებულმან მან: აღვედ და შევედ ქალაქად.

16. თქუა მამამან იოვანე: ესე არს ბჳმ ღმრთისაჲ და მამანი ჩუენნი დიდითა გინებითა შევიდეს სიხარულით ქალაქსა მას ღმრთისასა. 30

17. აღმო-რად-ვიდა მამაჲ იოვანე სკიტით სხუათა თანა ძმათა, შესცთა წინამძღუარი იგი გზასა, რამეთუ ღამე იყო. ჰრქუეს ძმათა

მათ მამასა იოვანეს: რაჲ ვყოთ, მამაო? შესტა ძმაჲ ესე გზასა. ჰრქუა მათ ბერმან: უკუეთუ ვარქუათ მაგას, შეწუნენს და ჰრცხუნენოდის, არამედ მიზეზ ვყო მე უძღურებაჲ და ვაქუა: ვერ ძალ-მიც, არამედ ვკგებდეთ აქა, ვიღრე განთენებადმდე. და ყო ეგრე. და სხუათა მათ თქუეს: ვერცა ჩუენ წარვიდეთ, არამედ ვახდეთ შენ თანა და ძმასა მას არა ამხილეს. M17

18. იყო ვინმე სკიტეს კორცითა მშრომელი, ხოლო გულის-სიტყუათა ვერ მეცნიერ იყო. და მოუქდა მამასა იოვანეს, რაჲთა ჰკითხოს დავიწყებისათვის. და იტყოდა ბერი სიტყუათა და წარვიდა. [70] და ვითარ მიიწია სენაკად, დაავიწყდა სიტყუაჲ იგი ბერისაჲ და კუალად უკ-მოიქცა მუნვე ბერისა. და ეგრევე ეტყოდა ბერი სიტყუასა მას. და ვითარ გარე-შეიქცა, მივიდა სენაკად, კუალად დაავიწყდა სიტყუაჲ იგი და კუალად მიიქცა ბერისა. და ეტყოდა ბერი სიტყუასა მას. და კუალად ვითარ წარვიდა, დაავიწყდა, და ესრეთ ჰყოფდა მრავალგზის, და დაავიწყდის და მისსა შემდგომად კუალად შეემთხვა მას და ჰრქუა: უწყია, მამაო? კუალად დამავიწყდა და შენისა წყინებისათვის არღარა მოვედ. ჰრქუა მას მამანან იოვანე: მივედ და აღანთე სანთელი. და მან ყო ეგრე და მერმე ჰრქუა მას: მოიხუენ სანთელნი და აღანთენ მაგისგან. და ყო ეგრეთ. მაშინ ჰრქუა მას მამანან იოვანე: ეენო რაჲა სანთელსა მაგას, რამეთუ აღანთენ მაგისგან სხუანი? ხოლო მან თქუა: არაჲ. ჰრქუა მას ბერმან: ეგრე სახედცა იყვნეს, დაღათუ მოკრბეს ჩემდა ყოველი სკიტჳ, [v] ვერ დამაბრკოლონ მე მადლსა ქრისტჳსსა. ამიერითგან, ოდეს მოხვდოდე, უეჭუელად მოხვდი. და ორთავე მოთჳინებითა განაშორა ღმერთმან მისგან დავიწყებაჲ იგი. რამეთუ ესე საქმარი აქუნდა სკიტელთა: გულს-მოდგინებასა სცემედ, რომელნი ბრძოლასა შინა არიან, და რომელნი იძღულებენ მტერისაგან, რაჲთა შეიძინებდენ ურთიერთას კეთილისათვის.

19. ჰკითხა¹ ძმამან მამასა² იოვანეს და ჰრქუა: რაჲ ვყო, რამეთუ მრავალგზის მოვიდის ძმაჲ, რაჲთამცა მივჰყევ საქმედ და მე უსუსური ვარ და უძღური და დავშურო³ საქმესა მას, რაჲმე უკუე ვყო მცნებისა მისთვის? ხოლო ბერმან ჰრქუა მას: ქალებ ჰრქუა ისუს ძესა ნავესსა: ორმოცის წლის ვიყავ, რაჲამს წარმოგუავლინ-

18. — BC.

19. B: 284v; — C. 1 +რაჲ B. 2 მამასა — B. 3 დავშურო B.

6. შუა საუკუნეთა ნოელები...

ნა მოსე, მონამან უფლისამან, უდაბნოათ მე და შენ ქუეყანასა მას და აწ ესერა ოთხმეოცდახუთის წლის⁴ ვარ და ვითარცა მაშინ ვიყავ. ეგრეთა აწ ძალ-გიც შესლვად და გამოსლვად ბრძოლასა⁵. [71] ეგრეთა შენ, უკუეთუ ძალ-გიც, ვითარცა შეხვდე, ეგრეთა გამოხვდე, მივედ⁶. უკუეთუ ვერ ძალ-გიც ყოფად ეგრე, ჯედ სენაკსა შინა შენსა და სტიროდე ცოდვათა შენთა და თუ გპოონ შენ გლოასა⁷ შინა, არავინ გაიძულოს შენ გამოსლვად.

20. თქუა მამამან იოვანე: ვინ განყიდა იოსებ? მიუგო ძმამან ვინმე და ჰრქუა: ძმათა თვისთა. ხოლო ბერმან თქუა: არა, არამედ სიმდაბლემან თვსმან განყიდა იგი, რამეთუ ძალ-ედვა თქუმად, ვითარმედ ძმა მათი ვარ და სიტყუასამცა უგებდა. არამედ² დუბილითა თავი განიყიდა და მანვე დუმილმან დაადგინა იგი მთავრად ეგვიპტესა ზედა. M₂₀

15 21. თქუა მამამან იოვანე: სულმცირჱ ტვრთი დაუტევეს¹ ძმათა², რომელ არს თავისა თვისისა ბრალობაჲ და მძიმჱ აღვილით, რომელ³ არს თავისა თვისისა განმართლებაჲ. M₂₁

20 22. მანვე თქუა: პატივ-[ვ]სცეთ ერთსა მას, რაათა პატივ-გუტემდენ ჩუენ ყოველნი და¹ უკუეთუ შეურაცხ-ვეყოთ ერთი იგი, რომელ² არს ღმერთი, შეურაცხ-გუყვენენ³ ყოველთა და წარსაწყმედელსა მივეცნეთ.

25 23. [v] იტყოდეს მამისა იოვანესთვის, რამეთუ მოვიდოდა ეკლესიად სკიტეს. და ესმა სიტყუს-გებაჲ ვიეთიმე ძმათაჲ. უკუნ-იქცა სენაკადვე თვისსა, გარე-შეელო სამგზის და ესრეთ შევიდა. ძმათა ვიეთიმე იხილეს და ჰრქუეს: რაჲსთვისმე ყო ესრეთ? მოვიდეს და ჰრქუეს მას. ხოლო მან ჰრქუა მათ: ყურნი აღმევსნეს ცილობითა მით, შევლე გარე, რაათა აღმოვიწმიდნე და ესრეთ შევიდე დაწყნარებულთა გულითა სენაკად ჩემდა. M₂₃

⁴ ხუთისა წლისაჲ B. ⁵ ბრძოლად B. ⁶ + თუ ძალ გიც. B. ⁷ გლოვისა B.

20. B: 284v; — C. ¹ იოსები B. ² + დუნა და B.

21. B: 285; — C. ¹ დაუტევით B. ² ძმათა — B. ³ რომელი B.

22. B: 285; — C. ¹ და—B. ² რომელი B. ³ + ჩუენ B.

23. — BC.

24. მოვიდა ძმად მამისა იოვანესა მიმწუხრი¹ და ისწრაფდა წარსლვად, და ვითარ ზრახვიდეს სათნოებისათჳს², განთენა და ვერ აგრძნეს, და ვითარ აღდგა, რადთამცა წარგზავნა³ იგი, კულად დგეს და ზრახვიდეს⁴ მეექუსედ ჟამადმდე⁵. მაშინ შეიყვანა იგი⁶ ბერმან. პური ჭამა და წარვიდა. M₂₆

5

25. იტყოდა მამად პიშენ. რამეთუ თქუა მამამან იოვანე, ვითარმედ: მისგავსებულ არიან ყოველნი წმიდანი ხეთა სამოთხისათა, რომელთა თითო-ფერი აქუნ ნაყოფი [72] და ერთისაგან წყაროჲსა ირწყვებიედ, რამეთუ¹ სხუად საქმარი აქუს სხუასა წმიდასა და სხუად — სხუასა², არამედ ერთი სული არს, რომელი შეეწევის ყოველთა შორის.

10

26. თქუა მამამან იოვანე, ვითარმედ: საცოჲ არს მონაზონისაჲ სენაკსა შინა ჯდომაჲ და ქსენებაჲ ღმრთისაჲ მარადის. და ესე იგი არს, ვითარმედ საპყრობილესა¹ შინა² ვიყავ და მოხუციდით ჩემდა. M₂₇

15

27. მანვე თქუა: უკუეთუ აქუნდეს კაცსა სულსა შინა თვისსა ჭურჭელი ღმრთისაჲ, შეუძლოს სენაკსა შინა ჯდომაჲ; და კუ[ალ]ად აქუნდეს თუ ჭურჭელი ამის სოფლისაჲ და არა აქუნდეს ჭურჭელი ღმრთისაჲ, ამის სოფლისა ჭურჭლითა ჯდეს-ვე¹; ხოლო რომელსა არა აქუნდეს ყოლადვე ჭურჭელი არცა ღმრთისაჲ, არცა კაცთაჲ, ეგევითარსა მას ყოლადვე არა ძალ-უც სენაკსა შინა ჯდომაჲ.

20

28. მერმე თქუა ბერმან: ხედავა, რამეთუ ეშმაკმან პირველად იწყო იობის ზედა დაწყულულებაჲ იგი, რომელი მოაწია მონაგებთა¹ ზედა, იწყო და იხილა, რამეთუ არა შეწუხნა არცა განეშორა ღმერთსა. [v] მაშინ მეორე იგი წყულულებაჲ კორცთა მისთა შეახო და არცა² ესრეთ მკნემან მოლუაწემან არა ცოდა სიტყუთა პირისაჲთა³, რამეთუ აქუნდა შინაგან მონაგები იგი⁴ ღმრთისაჲ და ოდესვე მას შინა ეგო.

25

24. B: 285; — C. ¹ მიმწუხრი. B. ² სათნოებათათჳს B. ³ წარგზავნა B. ⁴ + იგი B. ⁵ ჟამადმის B. ⁶ + შინა B.

25. B: 285; — C. ¹ რამეთუ და B. ² ~სხუასა სხუად B

26. B: 285; — C. ¹ საპყრობილეს B. ² შინა — B.

27. B: 285; — C. ¹ ჯდეს B.

28. B: 285; — C. ¹ +მისთა B. ² არცადა B. ³ პირისა+მისისაჲთა B. ⁴ იგი—B.

მერმე თქუა: რაჲ უძლიერეს არს ლომისა? და მუცლისათჳს⁵ შვევარდის⁶ მახესა და ყოველი ძალი მისი დამდაბლდის.

მერმე კუალად თქუა, ვითარმედ: ჳამდეს მამანი სკიტეს პურსა და მარლისა და იტყოდეს: ნუმცა ვაძლევეთ თავთა თჳსთა პურსა ზე-
5 და და მარლისა. და ესრეთ: ძლიერ იყვენეს საღმრთოჲსა? მისგან საქ-
მისა.

29. მო-ვინმე-უქდა ძმად სფურიდისა თხოად მამასა იოვანეს. განვიდა და ჰრქუა ძმას: მას: რაჲ გინებს? და მან ჰრქუა: სფურიდი იგი მომართუ. და შევიდა გამორთუმად და დაავიწყდა და დაჯდა
10 კერვად. და კუალად ჰრეკა და გამოვიდა. ჰრქუა მას: მომართუ სფურიდი იგი, მამაო! და შევიდა და კუალად დაჯდა კერვად სირასა. და კუალად ჰრეკა, გამოვიდა [73] და ჰრქუა მას: რაჲ გინებს, ძმაო? ხოლო მან ჰრქუა მას: სფურიდი იგი მომართუ, მამაო! მა-
თაგან სულთა. ხოლო მაკარი არა თავს-იდევა დადრგომამ მუნ. არამედ ჰრქუა მათ, რამეთუ: მიღირს მე მოყვანებაჲ მათი აქა, რაჲთა ფუფუნებასა ამას განისუენონ. და წარბოემართა იგი სოფლად და ნაყოფისა მისგან მოილო საჩუენებელად და ბაჲჲ მრავალი გამო- 15
ირჩია და აღიკიდა, სასწავლელად მისგანი დაასუის უდაბნოსა მას. რაჲთა არა სცთუეს ადგილსა მას, შე-რაჲ-ვიდოდეს იგი მუნ. ვითარ დაიძინა მცირედ უდაბნოსა მას და განილუძია, პოვა ყოველი იგი ბაჲჲ, თავით კერძო მისა შეკრებული ეშმაკთა მათგან. ამისთუის თქუა მამამან მაკარი: უკუეთუ ნებაჲ ღმრთისაჲ არს, ვერ შემძლე- 20
ბელ ხართ, ეშმაკნო, ჩემდა დაყენებად შესლვად სამოთხესა მას. და ვითარ მოვიდა იგი სოფლად, უჩუენა ნაყოფი იგი ყოველთა მონაზონთა და აიძულებდა მათ [32] შესლვად სამოთხესა მას. ვითარ შეკრბეს ამისთუის მრავალნი მონაზონნი, ჰრქუეს მას: ნუუკუე მოსასრველად სულთა ჩუენთათუის სამოთხე იგი იქმნას. უკუეთუ აქა გავასუენოთ, მოვილოთ კეთილი ჩუენი ქუეყანასა მას და რომელი სასყიდელი ამისა შემდგომად მოვილოთ. ღმრთისაღა მივედეთ. 25
ანუ რომლისა სათნოებისათუის ამიერითგან პატივეცემულ ვიქმნეთ. და დაარწმუნეს მაკარის დაცხრომამ ექევითარისა ამის ზრახვისაჲ შეურაცხ-ყოფად, რომელი-იგი იხილა სამოთხე. უკუანაჲსკენელ მოილო ყურძენი იგი სხუამან ძმამან და კუალად მაკარისვე მიუძღუენა. რეცათუ დიდი ძღუენი მას მიართუა. ვითარ იცნა იგი მაკარი და გამოიკითხა მათი, დაჰკუირდა და ჰმადლობდა უფალსა ესევითარსა 30
მას მოთმინებასა ყოველთასა.

მერმე მაკარი ქუაბსა შინა რაჲ იყოფოდა უდაბნოსა გარე და ილოცვიდა, და იყო მუნ, მახლობელად მისა, კურელი აფთარი-

საჲ. და ვითარ ილოცვიდა იგი, მოვიდა მისა აფთარი იგი და შეუფ-
 რდა ფერკთა მისთა და უპყრა კბილითა ფესუი სამოსლისა მისისაჲ
 და ქურელად მისა მიზიდვიდა მას. ხოლო იგი შეუდგა მას და თქუა,
 ვითარმედ: რაჲ-მე ეგულეზბის მკეცსა ამას ყოფად ჩემდა? ვითარ
 მიიყვანა იგი ქურელადმდე, შევიდა შინა და გამოართუნა მას თუისნი
 ლეკუნი, ბრმანი შობითგან. [v] ხოლო მან, ვითარცა ილოცა მათ-
 სუის, მხედვარნი ლეკუნი იგი აფთარსა მას მისცნა. ხოლო მან, ვი-
 თარცა ძლუენი, სამადლობელად კაცსა მას ღმრთისასა მობართუა
 ტყავი ცხოვრისა დიდისა ვერძისაჲ, ფერკთა მისთა ქუეშე დაუდვა.
 ხოლო მაკარი ვითარცა იხილა, ეცინოდა მას, რეცათუ მეცნიერე-
 ბაჲ და ცნობაჲ რაჲმე აქუს, რამეთუ მობართუა და დაუფინა მას.
 ხოლო ტყავი იგი ვიდრე აქამომდე მოწაფეთა მისთა აქუს.

მერმე კუალად გუითხრობდეს ჩუენ ამის წმიდისათუის, ვითარ-
 მედ მზაკუარმან ვინმე ქალწული ერთი ქალი გრძნებითა კდლად
 გარდააქცია. და მამა-დედათა მისთა მაკარისა მოიყვანეს. და ვი-
 თარ ევედრებოდეს მას ფრიად, რაჲთა ლოცვა ყოს მისთუის და ღე-
 დაკაცადვე მოაქციოს. ხოლო წმიდამან მამამან მაკარი შკდთა მათ
 დღეთა შეაყენა იგი თუისაგან. და მამა-დედანი მისნი ელოდეს მას.
 ხოლო იგი წარვიდა სხუასა სახლსა და ევედრებოდა ღმერთსა მის-
 თუის. მეშუიდესა დღესა შევიდა იგი მამა-დედათა მისთა თანა ქა-
 ლისა მის და სცხო ზეთი ყოველთა ასოთა მისთა და მოიდრიკნა
 მუკლნი და ევედრებოდა ღმერთსა მრავალ ჟამ მისთვს. და ვითარ
 აღდგეს, პოვეს იგი ქალადვე მოქცეული ძალითა ქრისტესითა. რა-
 მეთუ განიდევნა მისგან ბოროტი იგი სული მაცთური.

25

ცხორებაჲ მაკარი მოქალაქისაჲ

1. სხუადცა ვინმე მაკარი იყო, რომელმან სკიტეს პირველად
 მონასტერი აღაშენა. და არს ადგილი იგი უდაბნო და მიახ მიერ
 ნიტრიად დღისა და ღამისა სავალ¹ დიდსა მას უდაბნოსა. და არს
 პირი დიდი [122] მუნ მიმავალთაჲ, უკუეთუ ვინმე მცირედ სტოის²
 გზასა მას, ყოლადვე შესტოის³ დიდსა მას უდაბნოსა. და არიან მუნ
 ყოველნივე კაცნი სრულნი, რამეთუ ვერვინ უსუსური შემძლებელ
 არს ყოფად⁴, რამეთუ ფიცხელ არს ადგილი იგი და ნუგეშინის-სა-
 ცემელი ყოვლადვე⁵ არაჲ⁶ არს მუნ. ხოლო რომელსა-ესე პირვე-

1. — B. C : 32v. ¹ სავალი C. ² სტოის C. ³ შესტოის C. ⁴ + მუნ C. ⁵ ყოლადვე
 C. ⁶ არარაჲ C.

ლად სახელ-ვსდევ⁷ მაკარის მოქალაქესა, მივიდა იგი მუნ⁸ ოდესმე
 საკმრისათვის დიდისა⁹ მაკარისა. და ვითარ ეგულებოდა მათ წიად-
 სლვად ნილოსსა, შევიდეს ესენი ერთად ნავსა¹⁰, სადა-იგი იყვნენ¹¹
 ორნი¹² კომსნი, მრავლითა ერთთა შესრულ იყვნეს¹³ იგინი და სამ-
 სახურებელი აქუნდა მათ მუნ შინა ვეცხლისა¹⁴ და ოქრომსაჲ, 5
 აღვრები ცხენთა მათთაჲ და მსახურნი ვინმე ერისაგანნი და ფარ-
 ლელი¹⁵ ოქრომსაჲ¹⁶ მონათა მათთა. და ოქრომსა სარტყელი¹⁷ ემო-
 სა¹⁸ ვიეთმე მათგანთა. და ვითარცა¹⁹ იხილნეს მონაზონნი იგი აზ-
 ნაურთა მათ [v] ძაძითა რაჲთმე ძუელითა შემოსილნი, შეურაც-
 ხად მსხდომარენი ყურესა ერთსა ნავისასა, კნატრიდეს იგინი მათ- 10
 სა მას ცხორებასა და სიმდაბლესა. ერთმან მათგანმან აზნაურმან
 მიუგო²⁰ და ჰრქუა მათ²¹: ნეტარ ხართ თქუენ, კაცნო ღმრთისანო,
 რომელნი სოფელსა ამას ემღერით. მიუგო²² მაკარი მოქალაქემან და
 ჰრქუა მათ: ჩუენ სამე სოფელსა ვემღერით, ხოლო ნანდილვე²³
 თქუენ სოფელი²⁴ გემღერის. ვულისკმა-ყავთ²⁵, რამეთუ არა ნეფ- 15
 სით²⁶, არამედ უფრომს-და²⁷ წინაწარმეტყუელებით სთქუთ²⁸ ჩუ-
 ენდა მომართ, ორთავე სახელი მაკარი გურქვან. ხოლო მან კაცმან
 შეიკდიმა სიტყუაჲ ესე²⁹, წარვიდა სახედ თვსა³⁰, განიძარცუა სამო-
 სელი და ყოველი სამკაული თვისი. და შფოთი იგი განიშორა და გა-
 ნუყო ყოველი მონაგები³¹ გლახაკთა და მონაზონ იქმნა. 20

2. იტყოდეს მისვე მამისა მაკარისთვის, ვითარმედ: მოიყვა-
 ნეს მისა ხუცესი ვინმე სოფლისაჲ, რომლისაჲ თავი იყო
 შექ[123]მულ ვნებისა მისგან, რომელსა ჰრქვან კარკინოა¹ და
 ჩნდა² ძუალი თავისა მისისაჲ. და ევედრებოდეს ყოველნი³ წმიდა-
 სა⁴ მაკარის, რაჲთა ყოს მისთვის ლოცვაჲ და განიკურნოს. ხოლო
 მან არა ინება, არამედ თქუა⁵: არა ჯერ-არს განკურნებაჲ მაგისი,
 რამეთუ ისიძაჲს და ჟამსა წირავს და მისთვის⁶ ისწავების⁷. არწმუ-
 ნეთ მაგას განშორებაჲ მსახურებისაგან საიდუმლოთა ღმრთისათა,
 რაჲთა არღარა მღდელობდეს. და ღმერთმან ყოს კურნებაჲ. ხოლო

7 + მამისა C. 8 მუნ—C. 9 + მამისა C. 10 + მას C. 11 იუენეს C. 12 + ი. C.
 13 იუენეს C. 14 ვეცხლისა C. 15 ფარლები C. 16 + ემოსა C. 17 სარტყელები C.
 18 ემოსა] ერტყა C. 19 და ვითარცა] ვითარ C. 20 + მათ C. 21 მათ — C. 22 +
 კამამან C. 23 ნამდოვილვე C. 24 + ესე C. 25 ყავ C. 26 ნებსით C. 27 უფრომსდა — C.
 28 სთქუ C. 29 ესე] იგი C. 30 თუისად + და C. 31 + თუისი C.

2. — B; C: 33 v. 1 კარკინოს C. 2 ჩნდა] უჩნდა C. 3 ყოველნი] იგი C. 4 + მამისა
 C. 5 თქუა] ჰრქუა + მათ ვითარმედ C. 6 ამისთვის C. 7 ისწავლების C.

მან ძკრ-ხილულმან აღუთქუა ფიცით ესე ყოფად, რაათა არღარა მღდელობდეს⁸. ჰრქუა მას წმიდამან⁹ მაკარი: გრწამსა, ვითარმედ¹⁰ არს ღმერთი? ხოლო მან თქუა: ჰმ¹¹. და ჰრქუა მას კუალად წმიდამან მაკარი: ნუ შემძლებელ ხარა კიცხევად? ხოლო მან ჰრქუა: არა.

5 ჰრქუა მას წმიდამან¹² მაკარი: უკუეთუ გიცნობიეს ცოდვაჲ და სწავლაჲ ღმრთისა მიერ¹³, რომელ¹⁴ არს შენ ზედა, ამიერთგან ეკრძალე და ნულარა იქმ მას. [V] ხოლო მან აღუარა¹⁵ მას¹⁶ შეცოდებაჲ თვისი და აღუთქუა, რაათა არღარა ცოდვიდეს და არცა¹⁷ მღდელობდეს, არამედ რაათა იყოს იგი ერისა-კაცად¹⁸. და დაასხნა მას¹⁹

10 ზედა კელნი მისნი წმიდამან მაკარი და ყო მისთვის ლოცვაჲ. და მცირედთა დღეთა შემდგომად განიკურნა, და კუალად მოეგო თმამ თავისა მისისაჲ და წარვიდა ცოცხალი სახედ თვსა²⁰.

8. გვთხრა ჩუენ ესეცა მანვე მაკარი, ვითარმედ: ყამსა მას მოღებისასა საიდუმლოთა ღმრთისათა არათუ კელითა ჩემითა მივსცი

15 ზიარებდა მარკოზს მარტოდ-მყოფსა, არამედ ანგელოზმან მისცის საკურთხეველისაგან, გარნა მარჯუენასა¹ მას² ხოლო³ ვხედვიდი მიმცემელისასა.

4. მო-ვინამდე-ვიდოდა მამაჲ მაკარი სენაკად თვსა¹ და ეკიდა ბაჲაჲ და შეემთხვა მას ეშმაკი გზასა ზედა და აქუნდა რაჲმე კელთა

20 მისთა². და უნდა ცემაჲ მისი³ და ვერ შეუძლო მიახლებად⁴. და⁵ ჰრქუა მას ეშმაკ[124]მან მან: დიდი მადლი არს შენ თანა, მაკარი, რამეთუ ვერ შემძლებელ ვიქმენ მიახლებად შენდა. რომელსა შენ აყოფ, მეცა ვპყოფ: შენ იმარხავ, მე თავადი⁶ ყოლადვე⁷ არა ვკვამ: შენ იღვძებ, მე ყოლადვე არა დავიძინებ, არამედ ერთითა საქმითა

25 მძლევ. ჰრქუა მას მამამან მაკარი: რომელი საქმე არს? ჰრქუა მას ეშმაკმან⁸: სიმდაბლითა შენითა ვერ შემძლებელ ვარ შენდა მიახლებად. ხოლო მაკარი აღიპყრნა კელნი ღმრთისა მიმართ და ეშმაკი იგი ივლტოდა⁹ სირცხვლეული.

⁸ -† და C. ⁹ -† მამამან C. ¹⁰ ვითარმედ| რამეთუ C. ¹¹ მრწამს C. ¹² -† მამამან C. ¹³ მიერი C. ¹⁴ რომელი C. ¹⁵ აღუარა C. ¹⁶ მა, — C. ¹⁷ არცა-ლა C. ¹⁸ ერისა კაცად| ერის კაცებრ C. ¹⁹ მის C. ²⁰ თუისად C.

3. B : 290; C : 34. ¹ მარჯუენესა BC. ² მას — BC. ³ ხოლო — C.

4. B : 290; C : 34. ¹ თუისად C. ² მისთა — BC. ³ ცუმაჲ მისი| ცუმაჲ მისა BC.

⁴ -† მისა BC. ⁵ და — C. ⁶ თავადად BC. ⁷ ყოლადვე — BC. ⁸ -† მან BC. ⁹ ევლტოდა B.

მამისა მოსესთჳს, რომელი იყო კლდესა შინა

1. ჰბრძოდა ოდესმე მამასა მოსეს, რომელი იყო კლდესა¹ შინა, სული სიძვისაჲ ძლიერად. და ვითარ ვერღარა უძლო² ჳდომად სენაკსა შინა თჳსა, მოვიდა³ და უთხრა მამასა ისიდორეს. და ევედრებოდა მას ბერი, რაჲთამცა მიიქცა სენაკადვე თჳსა⁴. ხოლო⁵ არა ინება, არამედ თქუა⁶: ვერღარა შემძლებელ [V]ეარ, მამაო. და გამოიყვანა იგი მის თანა და აღიყვანა იგი ერდოსა ზედა და ჰრქუა მას: მიხედენ დასავალით კერძო! და მიხედნა და იხილა სიმრავლჳ ეშმაკთაჲ ურიცხჳ⁷, რომელნი აღშფოთებულ იყვნეს და აღძრულ ბრძოლად კაცთა. მერმე ჰრქუა მას: მიხედენ აწ აღმოსავალით კერძო! და მიხედნა და იხილა სიმრავლჳ ანგელოზთაჲ დიდებითა⁸. და ჰრქუა მას მამამან ისიდორე: აჰა ესერა ესენი არიან, რომელნი მოვლინებულ არიან უფლისა მიერ წმიდათა შემწედ. ხოლო რომელნი დასავალით კერძო⁹, იგინი მბრძოლნი მათნ¹⁰ არიან. და ესრეთ ჰმადლობდა ღმერთსა მამაჲ მოსე და წარვიდა კადნიერად¹¹ სენაკად თჳსა¹². M₁

2. ძმამან ვინმე ცოდა სკიტეს. და ვითარ შეკრბეს, მიუვლინეს მამასა მოსეს. ხოლო მას არა უნდა მოსლვის. მაშინ მიაელინა მისა ხუცესმან¹: მოვედ, რამეთუ შენ გელის ყოველი ესე ერი. ხოლო იგი აღდგა და წარმოემართა და მოიღო [125] სფურიდი განჯურეტილი² და აღავსო იგი ქჳშითა და წარმოიკიდა იგი ზურგსა. და რომელნი მიეგებოდეს, ჰკითხვიდეს: რაჲ არს ეგე³. მამაო? ხოლო ბერმან ჰრქუა მათ: ცოდვანი ჩემნი არიან, რომელნი ზურგით ჩემსა დამკვეციან და ვერ ვხედავ მათ. და მოსრულ ვარ მე დღეს სხჳსა ცოდვათა განკითხვად. ხოლო მათ. რაჲ ესმა ესე. განუტევეს ძმაჲ იგი. M₂

3. მერმე შე-ოდესმე-კრებულ¹ იყვნეს კუალად სკიტეს და უნდა ვითემე გამოცდაჲ მისი. შეურაცხ-ყვეს იგი და ჰრქუეს მას: ესე-

1. — B; C: 27. ¹ + მას C. ² ეძლო C. ³ მივიდა C. ⁴ თვისად C. ⁵ + მან C. ⁶ ჰრქუა + მას C. ⁷ ~ ურიცხუი ეშმაკთაჲ C. ⁸ დიდებითა/დიდებულთაჲ C. ⁹ + არიან C. ¹⁰ ~ მათნი მბრძოლნი C. ¹¹ კადნიერებით C. ¹² თჳსად C.

2. — B; C: 27v. ¹ + და ჰრქუა C. ² განჯურეტილი/ განხუთილი C. ³ ეგი/ ესე C.

3. — B; C: 27v. ¹ შე-ოდესმე-კრებულ/ შეკრებულ + ოდესმე C.

და ჰინდოა რადმე მოსრულ არს ჩუენ თანა? ხოლო მას რაჲ ესმა ესე, დაღუმნა². და ოდეს განუტევეს კრებული იგი, ჰრქუეს³: მამაო მოსე, აწ არავე განგიწყრა გული? ხოლო მან თქუა⁴: დაღათუ⁵ გან-პიწყრა, არამედ არა ვერაჲ ვთქუ. M₃.

5 4. თქუა მამამან მოსე, ვითარმედ: თავი ყოველთა სათნობე-თაჲ სიყუარული არს, რამეთუ თანა-წარჰვეალს ყოველთა ვნებათა.

6. იტყოდეს კუალად მამისა მოსესთვის: [v] ოდეს იქმნა იგი¹ დიაკონ, გარდასდევს მას² ოლარი. ჰრქუა მას მთავარ-ეპისკოპოს-მან³: აჰა ესერა იქმენ ყოლადვე სპეტაკ, მამაო მოსე! ჰრქუა მას ბერმან: გარეშე ხოლო-მეა⁴, უფალო ეპისკოპოს, აწუ შინაგანცა? და მერმე კუალად ეპისკოპოსსა⁵ უნდა გამოცდაჲ მისი. ჰრქუა დია-კონსა: ოდეს აღმოკდეს მამაჲ მოსე სამღდელოდ, გარდააჲეთ იგი და შეუდევით მას და ისმენდით⁶, რასა-ძი იტყოდის. და ვითარ აღქდა ბერი, შეჰრი[ს]ხნეს მას⁷ და გარდამოაქეს და ეტყოდეს მას⁸: განკედ გარე, ჰინდოო შავო⁹. და ვითარ გამოვიდა იგი გარე¹⁰, ეტყოდა თავსა თვსსა: კეთილად გიყვეს, ტყავო¹¹ ნაცრისფერო, შავო¹², ხარ არარაჲ და ვითარცა კაცი კაცთა თანა შეერთი¹³. M₄

7. ესმა ოდესმე მთავარსა მამისა მოსესთვის და მივიდა სკიტედ ხილვად მისა. და უთხრეს ვიეთმე ბერსა მისლვაჲ მისი. და¹ აღღვა² და მიივლტოდა ჭალაკად. ხოლო იგინი³ შეემთხვნეს მას [126] და ჰრქუეს: მითხარ ჩუენ, ბერო, სადა არს სენაკი მამისა მოსესი? და მან ჰრქუა მათ: რაჲ გნებავს მისგან, რამეთუ კაცი იგი⁴ გონებასა მიტომილ⁵ არს? მაშინ მოვიდა მთავარი იგი ეკლესიად და ჰრქუა ეკლესიისა⁶ მის⁷ მონაწილესა⁸: მესმა მამისა მოსესთვის და მოვედ⁹ ხილვად მისა. და შე-ვინმე-გუემთხვა¹⁰ ბერი მიმავალი ეგვპტედ და ვარქვთ მას: სადა არს სენაკი მამისა მოსესი? და მან თქუა¹¹: რაჲ

² დაღუმნა C. ³ - მას C. ⁴ + მათ C. ⁵ დაღათუ C.

4. B: 289v; C: 27 v.

5. — B; C: 28. ¹ იგი — C. ² მას — C. ³ ეპისკოპოსმან C. ⁴ გარეშე ხოლო-მეა [გარეშე მე არსა C. ⁵ ეპისკოპოსსა C. ⁶ მას და ისმენდით — C. ⁷ მას — C. ⁸ მას — C. ⁹ შავო — C. ¹⁰ იგი გარე — C. ¹¹ ტყავ C. ¹² შავო C. ¹³ შეერთი C.

6. — B; C: 28. ¹ მისი და [იგი მთავრისაჲ C. ² + ბერი C. ³ იგი A. ⁴ იგი — C. ⁵ ცთომილ C. ⁶ ეკლესიასა C. ⁷ მის — C. ⁸ მონაწილეთა C. ⁹ მოვილოდე C. ¹⁰ შე-ვინმე-გუემთხვა C. ¹¹ თქუა [ჰრქუა ვითარმედ C.

გნებავს მისგან, რამეთუ გონებასა¹² მიღებულ არს იგი?¹³ ვითარცა ესმა ესე მონაწილეთა მათ, შეწუხნეს და ჰრქვეს: ვითარ სახმ იყო ბერი იგი, რომელი ამას იტყოდა წმიდისა მისთვის? ხოლო მათ თქუეს: კაცი ბერი იყო ძუელითა მოსილი, ჰასაკითა გრძელი, ფერითა შავი. და მათ თქუეს¹⁴: იგი არს მამაჲ მოსე და თქუენისა შემთხუვისათჳს ეგრე იტყოდა. და ფრიად სარგებელ ეყო მთავარსა მას და წარვიდა. M₈

7. იტყოდა მამაჲ მოსე სკიტეს: უკუეთუ ვიმარხვიდეთ მცნებასა¹ მამათა ჩუენთასა, [v] მე თავს-მღებ გექმნა² თქუენ³ ღმრთისა თანა⁴, რამეთუ წარმართნი არა⁵ მოვიდენ აქა. უკუეთუ არა იმარხვიდეთ, მოოკრებად არს ადგილი ესე. M₉

8. სხდეს რაჲ ოდესმე ძმანი მის თანა, ეტყოდა მათ: აჰა ესერა, წარმართნი სკიტეს დღეს¹ შემოვიდენ². არამედ³ აღდგეით და ივლტოდეთ! ჰრქვეს მას: და⁴ შენ არა ივლტია, მამო? ხოლო მან თქუა⁵: მე ესოდენტა წელთა მოველოდე ამას დღესა, რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი მაცხოვრისაჲ, რომელსა იტყოდან: „ყოველმან, რომელმან აღიღოს მახვლი, მახვლითაცა მოსწყდეს“*. ჰრქვეს მას: არცა ჩუენ ვივლტოდით⁷, არამედ შენ თანა⁸ მოვსწყდეთ. ხოლო მან ჰრქუა მათ: მემცა უბრალო ვარ. თითოეულმან იგულებ⁹, ვითარ ვინ ზის¹⁰. ხოლო იყვენეს შვდნი¹¹ ძმანი იგი და ჰრქუა მათ: აჰა ესერა წარმართნი მოახლებულ არიან კართა ზედა. და შევიდეს და მოსწყდნეს იგინი. ხოლო ერთსა მათგანსა შეეშინა და დაიძალა დანაქისკუდისა ფურცელსა ქუეშე და იხილნა შვდნი გვრგვნი, დადგმულნი მათ ზედა. M₁₀.

9. [127] ძმაჲ მოუქდა მამასა მოსეს სკიტეს და ითხოვდა მისგან სიტყუასა. ჰრქუა მას ბერმან: მივედ და დაჯედ სენაკსა შინა შენსა¹ და სენაკმან შენმან გასწავოს² ყოველი³. M₆

¹² გონება C. ¹³ იგი — C. ¹⁴ თქუეს] ჰრქვეს ვითარჲედ C.

7. — B; C : 28v. ¹ მცნებათა C. ² ეოქმენ C. ³ თქუენთვის C. ⁴ თანა — C. ⁵ არაჲ C.

8. — B; C : 28v. ¹ დღს — C. ² შემოვიდენ] შემოვიდნან C. ³ არამედ — C. ⁴ და — C. ⁵ თქუა] ჰრქუა მათ C. ⁶ რომელსა იტყოდა — C. ⁷ ვივლტოთ C. ⁸ შენთანავე C. ⁹ იგულებთ C. ¹⁰ ზის C. ¹¹ შვიდ C.

9. B: 289v; C : 29. ¹ ~ შენსა შინა B. ² გასწავოს + შენ BC. ³ ყოველივე C.

* შლი. მ. 26. 52.

10. ძმამან ჰკითხა მამასა მოსეს: ვიხილი¹ ნუ რაჲ წინაშე ჩემსა საქმეშ და ვერ დავითმინი. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ არა იქმნე ვითარცა მკუდარი, რომელი დადებულ არნ საფლავსა, ვერ შეუძლო დათმენად.

11. მერმე თქუა: რომელი აიძულებდეს¹ თავსა თვსსა უფლისათვს, მსგავს არს იგი კაცსა აღმსარებელსა².

მერმე თქუა: რომელი აიძულებდეს³ თავსა თვსსა ძისათვს ღმრთისა, არა დაივიწყოს⁴ იგი ძემან ღმრთისამან.

10 მერმე თქუა: რომელი სულელ იქმნეს უფლისათვს, უფალმან განაბრძნოს იგი.

12. იტყოდეს მამისა მოსესთვს, რამეთუ შე-რაჲ-ვიდოდა კლდესა მას დაყუდებად, დაშურა სლვითა და ეტყოდა თავსა თვსსა: ვინაჲ¹ შეუძლო წყლისა შემოღებად აქა? და მოიწია მისა კმაჲ და ჰრქუა²: შევედ³, ნურას ზრუნავ! მაშინ შევიდა და მო-[v]-ვინმე-უქდეს მას⁴ მამათაგანნი. და არა ედგა მას წყალი, გარნა ერთითა⁵ ხოლო სტამნითა⁶. და ვითარ იქმოდა მათთვს მცირედ⁷ ოსპნსა, დაესრულა⁸ წყალი⁹ იგი. ხოლო ბერი იურვოდა და შევიდის და გამოვიდის¹⁰ და ილოცვიდა ღმრთისა მიმართ, და, აჰა ესერა, ღრუბელი, წვიმითა¹¹ საესე, მოდგა კლდესა მას ზედა და ესრეთ აღავსო ყოველი სარწყული მისი. და მისსა¹² შემდგომად ჰრქუეს ბერსა¹³: მითხარ ჩუენ, რაჲსათვს შემოხვდი და განხვდი? ხოლო მან ჰრქუა მათ: ვერჩოდე ღმერთსა, ვითარმედ მომიყვანე აქა და აჰა¹⁴ წყალი არა მაქუს, რაჲმცა სუეს მონათა შენთა. ამისთვს შემოვიდი და განვიდი¹⁵ და ვევედრებოდე ღმერთსა, ვიდრემდის მოგვკვლინა ჩუენ ესე წყალი¹⁶. M₁₃

13. ძმაჲ ვინმე მოვიდა ბერისა და ჰკითხვიდა ცხორებისათვს სულისა. ჰრქუა მას ბერმან: შევედ სენაკსა შენსა და გარდაველენ

10. B:289; C: 29; ¹ ვიხილე C.

11. B:289; C: 29. ¹ აიძულებდეს C. ² აღმსარებელსა C. ³ აიძულებდეს C. ⁴ დაივიწყოს C.

12.—B; C: 29. ¹ ვინა C. ² + მას C. ³ + და C. ⁴ მას—C. ⁵ ერთი C. ⁶ სტამანი C. ⁷ მცირედ — C. ⁸ დაესრულა] დაელო C. ⁹ წყალი — C. ¹⁰ შევიდის და გამოვიდის] შედა-გამო-ვიდოდა C. ¹¹ წვიმითა] ნათლისაჲ წუიშითა C. ¹² მისა C. ¹³ +მამათა მათ C. ¹⁴ + ესერა C. ¹⁵ გავიდი C. ¹⁶ წყალი] წუიჰაჲ C.

13. B:289v; C 30.

ერგასისნი ესე მარხვით¹. ერთგზის ხოლო უჰამი² [128] დღესა შინა პური კმელი მარილსა თანა, და მერმე მოვედ და გითხრა შენ³ სხუაჲ სახმ⁴. ხოლო იგი წარვიდა და ყო ეგრე. და მერმე მოვიდა ბერისა. ვითარცა იხილან⁵ ბერმან, რამეთუ მუშაკი არს⁶, უთხრა მას⁷, ვითარ⁸ ჯერ-არს სენაკსა შინა ჯდომამ. მაშინ მივიდა⁹ ძმამ იგი სენაკად¹⁰ თვისა¹¹ და დავარდა პირსა ზედა თვისსა ქუეყანასა ზედა. სამ დღმ¹² და სამ ღამე ტიროდა წინაშე ღმრთისა¹³. მისა შემდგომად ეტყოდა მას გულის-სიტყუაჲ თვისი, ვითარმედ¹⁴: აჰმალღდი აწ და დიდ კაც იქმენ. მიუგის მან გულის-სიტყუათა მათ¹⁵. რამეთუ წარმოიხუნის ცოდვანი თვისნი წინაშე მისსა¹⁶ და ჰრქვს: სადა არიან ყოველნი ბრალნი ჩემნი? ოდესმე კუალად ჰრქვან¹⁷: მრავალი ჟამი წარჰკადე უღებებით. ჰრქვს მათცა¹⁸: არამედ ვევედრებოდი აწ მსგავსად ძალისა ჩემისა და ყოს ჩემ თანა ღმერთმან წყალობამ. და ვითარ მოუძღლურდა მისგან, სულეები [v] იგი კორციელად გამოუჩნდეს მას და ეტყოდეს: სულმოკლე ვიქმენით ჩუენ შენგან. ჰრქუა მათ: რაჲსათვის? ჰრქუეს მას: უკუეთუ აგამალლით, გექმნის იგი სიმდაბლე და აუ დაგამდაბლით, აღიყვანიო¹⁹ სიმალღედ.

14. თქუა მამამან პომენ, ვითარმედ: ძმამ მოუქდა მამასა მოსეს და ითხოვდა მისგან სიტყუასა, და დაყო მის თანა შვედი დღმ და არაჲ¹ მიუგო მას სიტყუაჲ. და ვითარ წარჰგზავნიდა, ეტყოდა მას: ვიდოდე და ეკრძალე თავსა შენა, რამეთუ მე² ერთი ჯერი ცოდვანი ჩემნი ზღუდე ბნელისა³ მექმნეს ჩემ შორის და ღმრთისა.

15. იტყოდა მამამ მოსე, რამეთუ: განკითხვამ ზღუდმ არს რვალისაჲ, რომელი გარე-მოადგს¹ კაცსა და სცავს მას².

მამისა მოსესთჳს, რომელსა ერჳთა ეთიოპ

1. გვთხრობდეს ნეტარისა მოსესთვის, რომელსა¹ ერქუა ეთიოპ, რამეთუ ნათესავი არს შავი კორციოთა, ვითარმედ: ესე მონამ იყო

¹ მარხვანი BC. ² ჰამე C. ³ შენ — C. ⁴ სახმ [საქმე BC. ⁵ იხილა] უბრძანა მას BC. ⁶ + და BC. ⁷ + ბერმან C. ⁸ ვითარ — C. ⁹ შევიდა C. ¹⁰ სენაკსა BC. ¹¹ თვისსა BC. ¹² სამ ღამე — A. ¹³ უფლისა ამისა BC. ¹⁴ + ამა ესერა BC. ¹⁵ გულის-სიტყუასა მას BC. ¹⁶ მისა C. ¹⁷ + ვითარმედ C. ¹⁸ მანცა BC. ¹⁹ აღიყვანი + თაჲ შენი BC.

14. B: 290; C: 30. ¹ არარაჲ BC. ² + ამა ესერა BC. ³ ბნელის B.

15. B: 290; C: 30. ¹ გარემოათქს B. ² + მარადის BC.

1. — B. C: 118v. ¹ + იგი C.

- მოქალაქისა ვისიმე და დიდითა მით² თავკედლობითა³ [129] და სი-
 ღიცბლითა დაუტევა უფალი იგი თვისი. და ვიდრე კაცის-კლვამდე
 მიწვევული⁴ იყო⁵, ვიძულე⁶ სიტყუად ბოროტთა მათ მისთა ზე-
 და⁷, არამედ გიჩუენო კუალად სათნობაჲ იგი მისი და სინანული,
 5 რამეთუ ოდეს იყო იგი ავაზაკი, ჰქონდეს მის ქუეშე ავაზაკნი, რიც-
 ხვთ სამეოცნა. აქუნდა ვიეთმე⁸ მიმართ მწყემსთა ძკრის-კსენებაჲ.
 რამეთუ დააბრკოლეს იგი ძალთა მათთა საქმესა რომელსამე ლა-
 ნესა⁹, და უნდა მოწყუედაჲ მათი. გუეუწყა¹⁰ ადგილი¹¹, სადა დაად-
 გინიან მათ¹² ცხოვარნი იგი¹³ წიალ ნილოსსა. და რაჟამს აღდგომილ
 10 იყო მდინარე იგი და დაეპყრა სივრცესა მისსა მილიონ ერთ¹⁴, და-
 იკრიბა სამოსელი თვისი თავსა მისსა¹⁵, ხოლო კრძალი ეპყრა¹⁶ კბი-
 ლითა და ესრეთ წიალ-ჲდა მდინარესა მას ცურვით. და წიალ-რაჲ-
 ეილოდა¹⁷, იხილეს¹⁸ მწყემსთა¹⁹ შორით და დაემალნეს²⁰ ქვშასა
 შინა²¹. და ვითარ წიალ-ვიდა²², არა პოვნა იგინი, გამოირჩინა ორნი
 15 ვერძნი დიდნი და დაკლნა [v] იგინი და შეკრნა და წიალ-მოიხუნა²³
 მდინარესა მას ცურვით. და მოვიდა იგი შორის ადგილსა მას, გან-
 ჰკსნნა იგინი და ჰამა კორცი რჩეული და სხუაჲ იგი განყიდა ღვნოდ
 და შესუა ათურამეტი კნინდონი²⁴ და ერგასსა²⁵ მილიონსა სრბით
 მიიწია, სადა-იგი იყო კრებული²⁶ მისი. და რაჟამს ნებითა ღმრთი-
 20 საათა მოიქცა იგი, და იქმნა მონაზონ, დაჲდა რაჲ იგი სენაკსა თვს-
 სა სკიტეს, შეუტდეს მას ავაზაკნი ოთხნი, რამეთუ არა უწყოდეს,
 ვინ იყო იგი. ხოლო მან შეიპყრნა იგინი და შეკრნა ყოველნი და
 აღიკიდნა იგინი²⁷ ზურგსა, ვითარცა ბზგ²⁸ და მიიხუნა იგინი ეკლე-
 სიად შორის კრებულსა²⁹ და ჰრქუა³⁰: ჩემდა არა ჯერ-არს განკითხ-
 25 ვაჲ, რაჲ ჰბრძანოთ ამათვს, რამეთუ შემომიკდეს მე მოკლვად?
 და იყო იგი მარხულ კვრიაკესა სრულიად³¹, ხოლო მათ აღიარეს
 და ცნეს³², რამეთუ იგი არს მოსე, რომელი-იგი ოდესმე განთქმულ
 იყო³³ [130] ავაზაკთა³⁴ მთავრად და აღიღებდეს ღმერთსა და იტ-
 ყოდეს: უკუეთუ ესევეითარი განთქმული ძლიერი ესრეთ მოიქცა

² მით — C. ³ + მისითა C. ⁴ მიწვევულ C. ⁵ + იგი C. ⁶ ვიძულე C. ⁷ ზედა —
 C. ⁸ ვიეთამე C. ⁹ ღამე C. ¹⁰ ეუწყა C. ¹¹ + იგი C. ¹² მათ — C. ¹³ იგი] მათნი C.
¹⁴ მილიონი ერთი C. ¹⁵ თვისსა + ზედა C. ¹⁶ იპყრა C. ¹⁷ წიალ-რაჲ-ვიდა C. ¹⁸ + იგი
 C. ¹⁹ + მათ C. ²⁰ დაემალნეს C. ²¹ შინა] ქუეშე C. ²² წიალ-ჲდა C. ²³ + ივინი C.
²⁴ კნინდონი C. ²⁵ ერგასისსა C. ²⁶ + იგი C. ²⁷ ივინი — C. ²⁸ ბზგ C. ²⁹ + მას C.
³⁰ ჰრქუა] თქვა C. ³¹ და იყო იგი მარხულ კვრიაკესა სრულიად — C. ³² ცნეს]
 ჰრქუეს C. ³³ ~ იყო ოდესმე განთქმულ C. ³⁴ ავაზაკთ C.

და შიშსა ღმრთისასა შევარდა, რაჲსათჳს არა ჩუენცა ვისწრაფოთ ცხოვრებისათჳს ჩუენისა? და მოიქცეჳ ივინი და იქმნეს მონაზონ.

2. ამასვე ნეტარსა მოსეს ჰბრძოდეს ეშმაკნი უცნებითა სიზ-
მართაგან, ხოლო მან შესძინა შრომაჲ ესევეითარი: ექუსსა წელსა
სენაკსა თჳსსა შინა¹ დგა ლოცვასა ყოველთა ღღეთა დაუჯდომე- 5
ლად და დაუძინებელად და არცა-ლა დაიწუნხნა² თჳლნი თჳსნი. და
კუალად სხუადცა³ შრომაჲ შე-ლა ვე-სძინა, რამეთუ გამოვიდის ღა-
მე და მივიდის სენაკებსა ბერთასა უმოღუაწეთასა და მოიღის სარ-
წყული⁴ და აღავსის⁵ წყლითა, რამეთუ შორით მოჰქონდა წყალი:
რომელთამე ორით⁶ მილიონით⁷, რომელთამე სამით და რომელთამე 10
ხუთით. და ღამესა ერთსა დაუშობირა⁸ ეშმაკმან, რაჲთამცა მოკლა
იგი ჯურღმულსა [v] ზედა და სცა მას წალთითა⁹ ფერცხალთა¹⁰
ზედა და დაავდო იგი ვითარცა მკუდარი. და არავინ იხილა იგი და
არცა უწყოდა ვინ. მეორესა ღღესა მო-ვინმე-ვიდა ძმათაგანი ვსე-
ბად წყლისა და იხილა იგი მდებარე და წარვიდა და უთხრა ისიდო- 15
რეს, ხუცესსა სკიტისასა. და მოვიდეს ძმანი და წარმოიღეს¹¹ ეკ-
ლესიად. და წელიწადსა მას ეგრეთ¹² იყო უძღურებასა¹³ შინა და
ძნიად კორცნი და სულნი მისნი მოევნეს სიმრთელესა. არამედ არ-
ლარა აქუნდა მას ძალი იგი კორცთაჲ. არამედ¹⁴ ჰრქუა მას დიდმან
ისიდორე: დასცხერ, მოსე, ცილობაჲ ეშმაკთა და ნუ ზედა-მიუვალ 20
მათ, რამეთუ საზომი აქუს სიმკნესაცა და მოღუაწებასაცა. ხოლო
მან ჰრქუა მას¹⁵: ვესაჲ ღმერთსა, არა დავსცხრე შექჳრვად ეშმაკთა
მიმართ, ვიდრემდის დასცხრენ უცნებანი მათნი ჩემდა მომართ.
ჰრქუა მას ისიდორე: სახელითა იესუ ქრისტესითა დაცხრომილ
არაინ¹⁶ უცნებანი იგი შენნი¹⁷, მივედ [131] და ეზიარე გულდებუ- 25
ლად წმიდასა მას საიდუმლოსა¹⁸ და განწმიდენ ყოვლისაგან¹⁹ შე-
გინებისა სულთაჲსა²⁰ და კორცთაჲსა და ნუ იქადი, ვითარცა შემ-
ძღებელი, რამეთუ ესე უმჯობესისა შენისათჳს იქმნა. და წარვიდა
იგი სენაკად თჳსა²¹. და შემდგომად ორისა თჳსა ჰკითხა²² დიდმან
ისიდორე ვნებისა მისათჳს. ხოლო მან თქუა²³: ეგრეთ ვარი, ვითარ- 30

2. — B; C: 119v. 1- შინა თჳსა C. 2 დაიწუნხნის C. 3 სხუად C. 4 სარწყული
C. 5 აღუვის C. 6 ორით — C. 7 + და C. 8 + მას C. 9 წათთა C. 10 + მისთა C.
11 წარიღეს + იგი C. 12 ეგრე C. 13 + მას C. 14 არამედ — C. 15 მას — C. 16 და-
ცხრომილ არაინ დასცხრე C. 17 შენნი მათნი შენგან C. 18 წმიდათა მათ სა ღუმლო-
თა C. 19 ყოვლისა C. 20 სულთა C. 21 თუისად C. 22 + მას C. 23 თქუა ჰრქუა მას C.

ცა ყოლად უენებელი. და მიერთგან ღირს იქმნა მადლსა²⁴ ეშმაკ-
თა შეურაცხ-ყოფად²⁵.

ესე არს ცხორებაჲ ნეტარისა მოსესი, რომელსა ერქუა ეთიოპ,
რამეთუ იგიცა იყო შერაცხილ რიცხუსა თანა დიდთა მამათასა.
5 აღესრულა ესე სამეოცდაათურამეტისა წლისაჲ სკიტეს მღღელობა-
სა შინა და დაუტევნა მოწაფენი წმიდანი, რიცხვთ სამეოცდაათნი,
რამეთუ ოდეს იგი²⁶ იყო ავაზაკთ-მთავარ²⁷, ჰქონდეს მის ქუეშე
სამეოცნი კაცნი რჩეულნი, ხოლო შემდგომად უმრავლეს²⁸ იყვნეს
მო[v]წაფენი მისნი, წმიდანი და მოშიშნი ღმრთისანი.

გამისა გაბრიელის

10

1. იტყოდა მამაჲ მატო: მინებს¹ საქმშ სულ-მცირშ, რომელი
ეგოს მიმდემი, ვიდრე-ლა არა მძიმე დასაბამსავე და მსწრაფლ² და-
ტევებული. M₁

10

2. მერმე თქუა: რავდენცა მიეახლებინ¹ კაცი ღმერთსა, ეგო-
დენცა ცოდვილად იხილის თავი თვისი, რამეთუ ესაია წინაწარმეტ-
ყუელმან რაჲ იხილა უფალი², უბადრუკად და არა წმიდად იტყოდა
თავსა თვისსა. M₂

20

3. მერმე იტყოდა¹: ოდეს ვიყავ კაბუჲ, ვჰგონებდი თავსა ჩემსა,
ვითარმედ ვეჰმ რასმე კეთილსა. ხოლო აწ და-რაჲ ესე-ვებრდი²,
ვხედავ, რამეთუ არარაჲ კეთილი მაქუს თავსა შინა ჩემსა. M₃

20

4. მერმე თქუა: ვერ იცის ეშმაკმან, თუ რომლითა საქმითა იძ-
ლიის¹ სული. დასთესის, არამედ არა უწყინ², თუ მოიმიკის³. რამე-
თუ რომელთამე შორის სიძვისათა⁴ და ძკრის-სიტყვისათს დასთე-
ხის და ყოველსა ზედა ვნებასა ეგრეთვე⁵. და⁶ რომელსაცა ვნებასა⁷
იხილის⁸ სული იგი მიდრეკილი, მითცა ჰბრძანენ⁹ მას¹⁰. M₄

²⁴ + ღმრთისა მიერ C. ²⁵ შეურაცხებად C. ²⁶ იგი — C. ²⁷ მთავარი C. ²⁸ უმ-
რავლესნი C.

1. B : 290; C : 34v. ¹ + მე C. ² მწრაფლ B, მწლაფრ C.

2. B : 290; C : 34; ¹ მიახლებინ B. ² უფალი B. ღმერთი C.

3. B : 290; C : 35. ¹ + თავისა თვისისათს BC. ² ბერდი B.

4. B : 290; C : 35. ¹ იძლის B, იძლევის C. ² უწყის B, უწყი C. ³ მოიმიკის B.

⁴ სიძვისათს BC. ⁵ ეგრეთვე BC. ⁶ და — C. ⁷ + ზედა C. ⁸ იხილოს C. ⁹ ჰბრძანენ B.
¹⁰ მას — C.

[133] ძმა ვინმე მოუკდა მამასა მატოსი და ჰრქუა მას: ვითარ სიკიტელნი ჰყოფდეს უფროასცა¹ წერილისა, რამეთუ უყუარდეს მტერნი მათნი უფროას თავისა მათისა?² ჰრქუა მას³ მამამან მატოი: მე ერთი ჯერი მოყუარენიცა ჩემნი ვერ⁴ მიყუარან უფროას თავისა ჩემისა. M₅

5

6. თქუა¹ მამამან მატოი, ვითარმედ: ძმა ვინმე მოვიდა ჩემდა და მრქუა მე, ვითარმედ²: ძკრის-სიტყუა უბოროტეს არს³ სიძვა-სა⁴? და ბოროტ არს სიტყუა ესე. და მე ვარქუე მას⁵: ვითარ სცნობ მას⁶ საქმესა, მამაო? ხოლო მან მრქუა მე: ძკრის-სიტყუა არს ბო-როტ, არამედ აღრე აქუს კურნებაჲ, რამეთუ შე-ცა-ინანის და 10 თქვს, ვითარმედ ბოროტად ვიტყოდე, ხოლო სიძვაჲ კორცთაჲ არს და ბუნებით სიკუდილი⁷ არს. M₆

7. თქუა მამამან იაკობ: მისრულ ოდესმე ვიყავ მამისა მატოი-სა, და ვითარ გამოვიდოდე, ვარქუე: მინებს მისლვის სენაკებადცა. ხოლო მან მრქუა მე: მოიკითხე ჩემ მიერ² მამაჲ [v] იოვანეცა. და 15 ვითარ მივედ მამისა იოვანესა, ვარქუე³: გიკითხავს შენ მამაჲ მატოჲ. და მან თქუა: აჰა მამაჲ მატოი ჰეშმარიტად კაცი ისრაიტელი, რომლისა თანა არა არს ზაკუეაჲ⁴. და აღსრულებასა⁵ მის წე-ლიწადისასა კუალად მივედ მამისა მატოისა⁶ და უთხარ სიტყუაჲ იგი⁷. და თქუა ბერმან: მე⁸ არა ღირს ვარ სიტყუასა მას ბერისასა, 20 არამედ ესე უწყოდე, ოდეს გესმეს ბერისაგან დიდებაჲ მოყუსისა თვისისაჲ უფროას თავისა თვისისა, საზომსა დიდსა⁹ მიწევნულ არს, რამეთუ ესე არს სრულებაჲ, რაჲთა მოყუასსა თვისსა მისცეს დიდებაჲ უფროას თავისა თვისისა¹⁰. M₇

8. მივიდა¹ ოდესმე მამაჲ მატოი რაჲთით გებელით² კერძო და 25 მის თანა იყო ძმაჲცა მისი. და შეიპყრნა³ იგინი ებისკოპოსმან და აკურ-რთნა იგი ხუცად. და ვითარ ჰამდეს იგინი ზოგად, ჰრქუა ებისკოპოს-

5. — B. C: 35. ¹ უფროას C. ² მათისა] თვისისა C. ³ მას — C. ⁴ ვერვე C.

6. B: 290v; C: 35. ¹ თქუა] მრქუა მე BC. ² ვითარმედ—BC. ³ + უფროას BC. ⁴ სიძვისა C. ⁵ + შენ B, + და შენ C. ⁶ ამას BC. ⁷ სიკუდილი BC.

7. — B. C: 35; ¹ + მას C. ² ჩემ მიერ] ჩემ მაგიერ C. ³ + მას C. ⁴ ~ ზაკუეაჲ არა არს C. ⁵ + ოდენ C. ⁶ მატოისა C. ⁷ და უთხარ სიტყუაჲ იგი — C. ⁸ და თქუა ბერმან მე] და მრქუა მე ბერმან მე C. ⁹ დიდსა — C. ¹⁰ თვისისა C.

8.—B; C: 35 ¹ მივიდოდა C. ² რით გებალით A. ³ შეიპყრა C.

მან: მოჰიტევე⁴, მამაო! ვიცი, რამეთუ არა გინდა საქმე [133] ესე, არამედ რაათა ვიკურთხო მე შენგან და ვიკადრე ესე ყოფად.

3 ჰრქუა მას ბერმან სიმდაბლით: გონებასაცა უნდა მცირედ, არამედ ესე ხოლო მეურვეების, რამეთუ განყენებად ვარ მშისა ამისგან, რომელ⁵ არს ჩემ თანა, რამეთუ ვერ თავს-ვიღვა ლოცვად ყოვლისა ლოცვისა⁶:

10 ჰრქუა მას ებისკოპოსმან: უკუეთუ ღირს არს, მე ვაკურთხო ეგეცა⁷. ჰრქუა მას მამამან მატოი: უკუეთუ ღირს არს, მე⁸ არა ვიცი. ხოლო ერთი ესე ვიცი, რამეთუ ჩემსა უმჯობეს არს. მაშინ იგიცა აკურთხა. და დაიძინეს ორთავე, ვიდრე არლა წარდგომილ იყვნეს საკურთხეველსა ჟამის-წირვად. მაშინ იტყოდა ბერი: ვესავ ღმერთსა, რამეთუ არა მაქუნდეს სასჯელი დიდი მღდელობისათვის, ვინაჲთგან არა შემიწირავს საიდუმლოჲ, რამეთუ უბრალოთაჲ არს მღდელობაჲ. M₉

✓ 15 9. თქუა მამამან მატოი, რამეთუ სამნი ბერნი მოუქდეს მამასა პატნოტის, რომელსა ერქუა [V] კეფალას¹, რაათა ჰკითხონ მას სიტყუაჲ. ჰრქუა მათ ბერმან: ვითარ გინებს და გითხრა² სულერი ანუ კორციელი? და მათ თქუეს³: კორციელი. მაშინ ჰრქუა მათ ბერმან: ვიდოდეთ და გიყუარდინ⁴ ჰირი უფროჲს განსუენებისა და უპატიობაჲ უფროჲს დიდებისა და მიცემაჲ უფროჲს მოღებინა. M₁₀

25 10. ძმამან ჰკითხა მამასა მატოის და ჰრქუა¹: მითხარ მე სიტყუაჲ. ჰრქუა მას ბერმან: მივედ და ევედრე ღმერთსა, რაათა მოგცეს გლოაჲ² გულსა შენსა და სიმდაბლჲ. და ხედვედ მარადის ცოდვათა შენთა და სხუასა ნუვის განიკითხავ, არამედ იქმენ ყოველთა ქუემო კერძო. და ნუ გაქუნ სიყუარული ყრმისა თანა³, ნუცა შემეცნიერებაჲ დედაკაცისა თანა და ნუცა მეგობრებაჲ⁴ მწვალებელისა თანა. და შორს ყავ კადნიერებაჲ შენგან⁵ და შეიკრძალე ენაჲ შენი და მუცელი და ღვნისაგანცა ეკრძალე. და თუ [134] ვინმე იტყოდის, საქმისათვის რამე⁶, ნუ აცილობ მას. უკუეთუ კეთილად იტყოდის, არქუ მას: ეგრეთ არს. უკუეთუ ბოროტად⁷—არქუ მას: შენ

4 + მე C. 5 რუელი C. 6 ~ყოვლისა ლოცვისა ლოცვად C. 7 ეგე C. 8 მე—C. 9. B:290v; C:36. 1 კეუალის C. 2+ თქუენ BC. 3 + მას BC. 4 გიყუარდენ C. 10. B:290v; C:35. 1+მას BC. 2 მოკეს გლოაჲ| მოსეს გლოაჲ BC. 3 + და BC. 4 მეგობრობაჲ C. 5 ~შენგან კადნიერებაჲ BC. 6 რაისამე C. 7 + იტყოდის CB.

იცი, ვითარ⁸ იტყვ. და ნუ უქდები მას, რომლისათვის-იგი იტყოდის, რამეთუ ესე არს სიმდაბლ⁹. M₁₁

11. ჰკითხა¹ ძმამან მამასა მატოის და ჰრქუა: მითხარ მე სიტყუაჲ². ჰრქუა მას: ყოველი ცილობაჲ ყოვლისაგან საქმისა მოისპე³ შენგან.

მანვე თქუა: ტიროდე, იგლოვდი⁴, ვიდრე გაქუს-ლა უამი სინა-ნულისაჲ⁵. M₁₂

გამისა მელისთჳს

1. თანა-წარჰვიდოდა რომელსამე ადგილსა მამაჲ მელი და იხილა ვინმე მონაზონი, რომელი შეეპყრა ვიეთმე, რეცათუ კაცის კლვისათვის. ხოლო ბერი მიეახლა ძმასა მას, გამოჰკითხვიდა¹ და ცნა, რამეთუ ცილსა შესწამებენ. ჰრქუა შემპყრობელთა მათ: სადა არს მკუდარი² იგი? და³ უჩუენეს მას. მაშინ მიეახლა მოკლულსა მას და თქუა: ილოცეთ ყოველთა. და მან [v] განიპყრნა კელნი⁴ ღმრთისა მიმართ. და⁵ აღდგა მოკლული⁶ იგი და ჰრქუა მას: ყოველ-თა წინაშე⁷ მითხარ ჩუენ, ვინ არს⁸, რომელმან მოგკლა შენ? ხოლო მან თქუა, ვითარმედ: შევედ⁹ ეკლესიად¹⁰ და მივეც საფას¹¹ ჩემი ხუცესსა. ხოლო იგი აღდგა და მოგკლა მე და მომილო და დამადლო მონასტერსა ამას თანა. არაჲედ გლოცავ თქუენ, მოიღეთ საფას¹² იგი და მიეცით შეილთა ჩემთა. მაშინ ჰრქუა მას ბერმან: მივედ და დაიძინე, ვიდრემდის მოვიდეს უფალი და აღვადგინოს შენ. M₁

2. და მუნთქუესვე დაიძინა. მერმე კუალად იქცეოდა იგი ორ-თა მოწაფეთა მისთა თანა საზღვართა სპარსეთისათა. გამოვიდეს ორნი ძენი მეფისანი ნადირობად მსგავსად ჩუეულეებისა¹ მათისა და განაბეს ბაღ² დიდად³. შორად ვითარ ორმეოცდაათ მილიონად-მდე⁴, რაჲთა, რაჲცა იპოოს⁵ შინაგან⁶ ბადესა მას⁷, მოინადირონ.

⁸ ვითარ] რასა C.

11. B : 290v; C: 36v. ¹+ ოდესმე BC. ²+ ხოლო მან BC. ³ მოისპენ B. ⁴ იგლოედ BC. ⁵ სინანულსაჲ — BC.

1. — B; C : 36v. ¹ გამოჰკითხა C. ² მკუდარი] მოკლული C. ³ და] ხმით C. ⁴+ თესნი C. ⁵+ მეესეულად C. ⁶ მკუდარი C. ⁷ ~ წინაშე ყოფილა C. ⁸ ვინ არს — C. ⁹ მივედ C. ¹⁰ ეკლესიად — C.

2. — B; C: 36v. ¹ ჩუეულეებისაგებრ C. ² დიდი C. ³ მილიონოდენ C. ⁴ პოვონ C. ⁵ შინაგან—C. ⁶+ შინა C.

და მას შინა იპოა⁷ ბერი იგი ორთა მოწაფეთა მისთა თანა. და ვითარ [135] იხილეს იგი, თმაგარდატევებულად⁸ და ველურად, შეეშინა და ჰრქუეს მას: კაცი ხარ⁹, ანუ სული¹⁰? რაა ხარ, მითხარ ჩუენ. ჰრქუა მათ: კაცი ვარ ცოდვილი და გამოსრულ ვარ ტირილად ცოდვათა ჩემთა და თაყუანის-ვსცემ¹¹ იესუ ქრისტესა, ძესა ღმრთისა ცხოველისასა. და მათ ჰრქუეს: არა არს სხუაჲ ღმერთი, გარნა მზისა და ცეცხლისა და წყლისა, რომელსაცა ჰმსახურებდეს¹². არამედ მოვედ და უზორე მათ! ხოლო მან ჰრქუა¹³: ესე დაბადებულნი არიან და თქუენ სცთებით, არამედ გლოცავ თქუენ, მოიქეცით და იცანთ ჰეშმარიტი ღმერთი, რომელსა შეუქმნიეს ესეცა და სხუაჲ¹⁴ ყოველი. და მათ განიციინეს და თქუეს: ჭუარცუმულსა მას იტყუა¹⁵ ყოფად ღმრთად? და მან თქუა: ჰე, რომელმანი იგი ჭუარს-აცუა ცოდვაჲ და მოკლა სიკუდილი, მას ვიტყუე ჰეშმარიტად ღმერთად¹⁶. ხოლო იგინი სტანჯვიდეს მას ძმათა თანა და აიძულებდეს¹⁷ ზორვად. და ვითარ მრავალ[v]ჟამ ტანჯნეს იგინი, ორთა მათ ძმათა თავი წარჰკუეთეს. ხოლო ბერსა მას მრავალთა დღეთა¹⁸ სტანჯვიდეს და უკუანაჲსკნელ კელოვნებისაებრ მათისა წარმოადგინეს იგი შუა და სტყორცეს ისარი¹⁹, ერთმან პირით კერძო და ერთმან ზურგიით კერძო²⁰ მისსა. ხოლო ბერმან ჰრქუა მათ ამისთვის, რამეთუ: შეითქუენით ერთობით დათხევად²¹ სისხლისა უბრალოჲსა²² წამსა ერთსა ხვალე²³ ამას²⁴ ჟამსა უშვილო იქმნეს დედაჲ თქუენი თქუენგან და კუებულ იქმნეს²⁵ სიყუარულისაგან თქუენისა და თვისითა ისრითა²⁶ სისხლი თქუენი დაითხიოს. ხოლო მათ შეურაცხ-ყვეს სიტყუაჲ იგი მისი. და განვიდეს ხვალისა დღესა²⁷ ნადირობად. და განერა მათგან ირემი ერთი და ასხდეს ცხენთა და დევნა უყვეს, რათამცა ეწინეს მას. და სტყორცეს მას ისარი²⁸ და ეცა ერთმანერთისაჲ გულსა ზედა სიტყუსა მისებრ²⁹ ბერისა, ვითარცა ჰრქუა მათ წყე[136]ვასა მას შინა მისსა³⁰, ეგრეცა შეემთხვა. M₂

⁷ იპოვა C. ⁸ გარდატეობულად C. ⁹ ხარა C. ¹⁰ სული C. ¹¹ თაყუანის—ცემად C. ¹² + იგინი C. ¹³ + მათ ვითარჲედ C. ¹⁴ სხუაჲცა C. ¹⁵ იტყუის C. ¹⁶ + ყოფად C. ¹⁷ + მათ C. ¹⁸ მრავალთა დღეთა] მრავალ ჟამ C. ¹⁹ + მას C. ²⁰ კერძო — C. ²¹ დათხევთ] და დასთხევთ C. ²² სისხლისა უბრალოჲსა] სისხლსა უბრალოჲსა C. ²³ ~ ხვალე წამსა ერთსა C. ²⁴ ამასვე C. ²⁵ იქმნას C. ²⁶ + ურთუე ერთს. ²⁷ დღე C. ²⁸ + ერთბამად C. ²⁹ მისებრ] სიტყუისაებრ C. ³⁰ მისა — C.

მამისა მოტიხისთჳს

1. ძმამან ჰკითხა მამასა მოტს¹ და ჰრქუა: უკუეთუ ვიყოფო-
 დი² ადგილსა რომელსამე³, ვითარ ვცხონდებოდი? ჰრქუა მას ბერ-
 მან: რომელსაცა ადგილსა იყოფოდი, ნურას განითქუამ სახელსა,
 ვითარმედ კრებად არა მიხულა⁴, გინა⁵ აღაბად არა განხულა⁶, გინა⁷
 ღვნოსა არა სუამ⁸. რამეთუ⁹ ამან სახელი განთქკს ცუდი და უკუა-
 ნაძაქნელ პოის¹⁰ შფოთი, რამეთუ კაცთა, სადაცა პოიან¹¹ ესევი-
 თარი, მუნცა მივლენედ. და ჰრქუა მას ძმამან მან: და¹² ვითარ¹³
 ვყო? ჰრქუა მას ბერმან: სადაცა შჯდე¹⁴, სხუათა სწორად იქცეო-
 დე. და რაჲ¹⁵ იხილო ღმრთის-მოშიშთა თანა საქმჳ, რომელთა სახჳ
 გონებასა შენსა დაეჭროს, ჰყოფდი¹⁶ შენცა. და განისუენო, რამე-
 თუ ესე სიმდაბლეცა არს ყოფაჲ შენი სწორად მათდა. და კაცთა
 გიხილონ შენ¹⁷ სხუათა [v] თანა მავალი და ყოველთა სწორად
 შეგრაცხონ და არავინ გაწყინებდეს. M₁

2. მითხრობდა ჩუენ მამაჲ ისაჲ მამისა მოტიხისთჳს, ვითარმედ: 15
 პირველად აღაშენა ბერმან მონასტერი ჰერაკლეონს¹. და ვითარ
 აწყინებდეს მუნ, წარვიდა სხუასა ადგილსა და კულად მუნ აღა-
 შენა². და ეშმაკისა ბრძოლითა იპოა³ ვინმე ძმაჲ, რომელი მტე-
 რად აღუდგა და აჰირვებდა მას. მაშინ აღდგა ბერი და მივიდა თვს-
 სავე⁴ დაბად და აღიქმნა თავისა თვისისა⁵ მონასტერი და შეეყენა⁶
 შინა. და შემდგომად რავდენისამე ჟამისა შეკრბეს მოხუცებულნი.
 ვინაჲ⁷-იგი გამოსრულ იყო და ძმაჲცა იგი, რომლისა თანა აქუნდა
 გულის-კლებაჲ, წარიყვანეს. და მივიდეს მისსა⁸. ხოლო მან არა
 შეუტევის კაცი სენაკსა თვისსა. და არცა იგი გამოვიდის გარე. და
 ვითარცა ჰრქევს კარსა, გარდმოიხილა ბერმან და ჰრქუა მათ: 25
 [137] სადა არს მახალაკები თქუენი? ხოლო მათ სახელ-სდევს ძმა-
 სა მას, მის თანა არს⁹. და¹⁰ ვითარცა ესმა ბერსა სახელი ძმისაჲ
 მის¹¹, სიხარულითა¹² აღიღო სათხროლი და უკ-მოარღვა კარი¹³ და

1. B. 291; C. 38. ¹ მოტიხ BC. ² + ეროსა C. ³ რომელსამე — C. ⁴ მივალ
 A, განვალ C. ⁵ გინათუ BC. ⁶ განვალ B, მივალ C. ⁷ გინათუ C. ⁸ ესუამ C. ⁹ რაჲთა
 C. ¹⁰ იპოო BC. ¹¹ პოიან B. ¹² და — C. ¹³ + მე BC. ¹⁴ სჯდე C. ¹⁵ რაჲცა BC.
¹⁶ ჰყოფდ BC. ¹⁷ — შენ C.

2. — B; C. 38. ¹ ჰერაკლეონს C. ² + მონასტერი C. ³ იპოვა C. ⁴ თვისსა C.
⁵ თვისისათჳს C. ⁶ + მას C. ⁷ ვინაჲცა C. ⁸ მისა C. ⁹ და ეჲჲ ჰრქევს კარსა... მის თანა
 არს — C. ¹⁰ და| ხოლო C. ¹¹ ესმა ბერსა სახელი ძმისაჲ მის| იხილა ბერმან ძმაჲ იგი
 C. ¹² სიხარულით C. ¹³ + იგი C.

გამოვიდა და მირბიოდა, სადა იყო ძმა იგი. და შეურდა¹⁴ ფერკთა მისთა და წარიყვანა იგი სენაკად თვისსა¹⁵. და იხარებდეს სამ დღს და თვთ ივიცა მათ¹⁶ თანა, რომელსა წინაჲთ არა აქუნდა ჩუეულე-ბაჲ ყოფად ესევეთარისა. M₂

5

მამისა მებეთისთვის

1. იტყოდეს დიდისა მეგეთისთვის, ვითარმედ: ოდეს გამოვი-
დის სენაკით თვისით და თუ მოუტდის გონებასა წარსლვაჲ მიერ აღ-
გილით, არღარა მოიქცის¹ სენაკად თვისა². რამეთუ არცა აქუნდა
10 რაჲ ამის სოფლისაჲ, გარნა ნემსი, რომლითა დანაკისკუდისა ფურ-
ცელი დააპის. რამეთუ შექმნის დღითი-დღედ³ სამი სფურიდი, რომ-
ლისა სასყიდელი [v] საზრდელად ეყოფინ⁴. M₁

2. იტყოდეს მეორისა მეგეთისთვის¹, რამეთუ სიმდაბლს აქუნ-
და დიდი, და იყოფოდა იგი მდინარესა ზედა სენაკსა შინა თვისსა²
და მი-ვინმე-ვიდა მისა წმიდათაგანი და ჰრქუა მას: ვითარ სცხო-
15 ნდები³, ძმაო, ამას უდაბნოსა? ხოლო მან თქუა⁴: ვიმარხავ ორ-ორით
და ერთი პური შეეჭამი. და⁵ მრქუა მე: ჰ, შეილო, უკუეთუ გნე-
ბავს⁶, ისმინე⁷ ჩემი, შექამე დღითი-დღედ⁸ ნახევარი⁹ პურისაჲ. და
ეჭყოფდ¹⁰ ეგრე¹¹ და პოე განსუენებაჲ¹². M₂

ნებარისა მარკოზ მონაზონისაჲ

20 1. ვითარცა-იგი წყალთა შინა ცეცხლსა დაყოვნებაჲ ვერ ძალ-
უც, ეგრეცა გულის-სიტყუანი ბოროტნი გულსა ღმრთის-მოყუარო-
სასა. და ვითარცა არა არს ცხოვართა და მგელთა ერთად ყოფაჲ,
ეგრევე შეუძლებელ არს წყალობასა მიმთხუევად, რომელი ზაკუ-
ვიდეს მოყუასსა თვისსა [138], რომელი ეძიებენ მოტევებასა ცოდ-
25 ვათასა, უყუარნ სიმდაბლს. ხოლო რომელი განიკითხავნ მოყუასსა
თვისსა, დაჰბეჭდის თავისა თვისისა ბოროტთა.

¹⁴ შეურდა C. ¹⁵ თუისად. ¹⁶ მათ] მის.

1. — B; C : 38v. ¹ მოიქცის C. ² თუისად C. ³ დღითი-დღედ C. ⁴ ეყოფინ C.

2. B:291; C:38. ¹ მეგეთისთვის C. ² სენაკსა შინა თვისსა] სენაკი მისი BC. ³ სცხოვნდები C. ⁴ + მას B. ⁵ + მან BC. ⁶ გინებს + და BC. ⁷ ისმინო BC. ⁸ დღითი-
დღედ C. ⁹ ნახევარი] ნატეხი B. ¹⁰ ეყოფიდი BC. ¹¹ ეგრეთ BC. ¹² ~ განსუენებაჲ
ეპოვე B. ეპოვო C.

1. — BC.

განრღვეული იგი, რომელი ერდოათ შთაუტევეს, ცოდვილი, რომელი სარწმუნოებით ღმრთისა მიერ ემზილებს და მათითა მით სარწმუნოებითა მიიღიან მოტევებაჲ, რომელსამე უნდეს საქმედ რაჲსამე და ვერ შეუძლოს, იგი ვითარცა მოქმედი არს გულთ-მეც-ნიერისა მიერ ღმრთისა. და ესე კეთილსაცა ზედადა ბოროტსაცა ზე- და საცნაურ არს, რამეთუ გონებამან თვნიერ ქორცთა კეთილიცა და ბოროტიცა აღასრულა მრავალი. ხოლო ქორცი თვნიერ გონე- ბისა არას შემძლებელ არიან აღსრულებად. ამისთვისცა შჩული იგი თავისუფლებისაჲ პირველ საქმეთა აღმოიკითხვების. რომელნიმე არა ჰყოფენ მცნებათა სარწმუნოებით, ხოლო განმართლებასა ჰგონებენ.

[v] მამისა ნისტერემონისტჳს

1. მამაჲ ნისტერეონ დიდი იქცეოდა უდაბნოსა¹ გარე ძმისა ვის თანამე. და იხილეს ვეშაპი და ივლტოდეს. ჰრქუა მას ძმამან მან: შენცა გეშინისა, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: არა მეშინის, შვი- 15
ლო, არამედ უმჯობეს იყო, რამეთუ ვივლტოდე. უკუეთუ არა, ვერ-
ცა განვერი გულის-სიტყუათა² ცუდად მზუაობრებისათა³. M₁

2. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: რომელი კეთილი¹ საქმე² არა³ და⁴ ვქმნე, რაჲთა⁵ ვცხონდე⁶? მაშინ⁷ ჰრქუა მას ბერმან: ღმერთმან იცის, რომელი კეთილი არს⁸, არამედ მესმა, ვითარმედ⁹ 20
ჰკითხა ვინმე მამათაგანმან¹⁰ დიდსა მამასა ნისტერეონს¹¹, მეგობარ-
სა ანტონისსა და ჰრქუა მას: რომელი კეთილი¹² საქმე არს და
ვქმნე? ხოლო მან ჰრქუა: არა არიან ყოველნი საქმენი სწორ? რამე-
თუ წიგნი იტყვს, ვითარმედ: აბრაჰამ უცხოთ¹³-მოყუარე იყო და
ღმერთი იყო მის თანა. და დავით მდაბალი¹⁴ იყო და ღმერთი იყო 25
მის თანა. აწ უკუე რომელიცა [139] შეაქნა სულსა შენსა, ვითარ-
მედ უნებს საღმრთოთჲთ კერძო, მასცა იქმოდე და ეკრძაღე გონე-
ბასა შენსა. M₂

1. — B; C: 39. ¹ უდაბნოს C. ² გულის-სიტყუათაგან C. ³ ცუდად მზუაობრე-
ბისათა ცუდათა და მზუაობართა C.

2. B: 291; C: 39. ¹ კეთილის B. ² საქმე B. ³ + რაჲთა C. ⁴ და—C. ⁵ რაჲთა და C.
⁶ ვცხონდე C. ⁷ მაშინ მას შინა BC. ⁸ კეთილი არს კეთილისა საქმე არს C. ⁹ ვითარ-
მედ რამეთუ BC. ¹⁰ მამასა C. ¹¹ ~ მამასა ნისტერეონს დიდსა BC. ¹² კეთილის B.
¹³ უცხოთ + სტუმართ-C. ¹⁴ დავით მდაბალი ელია დაყვლების მოყვარე, B. ელია
დაყულების მოყვარე C.

3. ჰრქუა მამამან იოსებ მამასა ნისტერეონს¹: რაჲ უყო ენასა ჩემსა, რამეთუ ვერ შეუძლი² შეკრძალვად მისა? ჰრქუა მას მამამან ნისტერეონს³: იტყოდი-ლა, გაქუნა⁴ განსუენებაჲ? ხოლო მან ჰრქუა: არა. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ იტყოდი-ლა⁵, არა⁶ გაქუნ⁷ განსუენებაჲ, რაჲსათჳს⁸ იტყოდი? და⁹ თქუა მამამან იოსებ: და რაჲ ეყო, რამეთუ ვერ შეუძლე¹⁰ წინა-აღდგომად? ჰრქუა მას ბერმან: განისუენი, არსა, ანუ არა? ხოლო მან თქუა: არა. მაშინ ჰრქუა მას: დაღუმენ! M₃

4. ძმამან იხილა მამაჲ ნისტერეონ, რამეთუ ორი კუართი ეცუა
 10 უსაკლოჲ. ჰკითხა მას ძმამან მან და ჰრქუა: უკუეთუ მოვიდეს გლახაკი და გთხოვდეს სამოსელსა, რომელი მისცე მას? და თქუა: უკეთესი ესე. ჰრქუა მას ძმამან მან: უკუეთუ სხუაჲ მოვიდეს და გთხოვდეს, რაჲ მისცე მას? და² თქუა: [V] ზოგი ესე ერთისაჲ ამის. ჰრქუა მას ძმამან მან: უკუეთუ კულად სხუაჲ³ გთხოვდეს, რაჲ მისცე
 15 მას? ჰრქუა მას ბერმან: განვიხიო ზოგიცა ესე და მივსცე ნახევარი და ნახევარი მე წარმოვირტყა. ჰრქუა⁴ ძმამან: უკუეთუ იგიცა მიგთხოოს, რაჲ ჰყო? ჰრქუა მას ბერმან: მივსცე ესეცა მას⁶ და⁷ მივიღე და დავეჭდე ერთსა აღგილსა, ვიდრემდის ღმერთმან მოავლინოს ანგელოზი⁸ და შემშოსოს მე, ხოლო სხვსა არავისგან მოვილო
 20 მე⁹. M₄

მამისა ნისტერეონისთვის, რომელი იყო ძმათა შორის

1. მამისა ნისტერეონისა¹ მივიდა² ოდესმე საქმისა განმგებელი იგი და უთბრნა გულის-სიტყუანი თვისნი და განიკურნა იგი, ამისა შემდგომად ჰკითხვიდა ძმაჲ იგი მამასა ნისტერეონს³: ვინაჲ მოიგე სათნოებაჲ ესე, რამეთუ ოდეს მოიწიის გულის-კლებაჲ ძმათა შორის, არას⁴ იტყოდი, არცა დააზავნი? და ვითარ ფრიად აიძულელებდა, ჰრქუა მას⁵ ნისტერეონ: [140] შემინდვე, მამაო, რამეთუ

3. B: 291; C: 39v; ¹~მამამან იოსებ რქუა მამასა ნისტერეონს B, მამამან მოსებ ჰრქუა მამასა ნისტერეონს C. ² შეუძლე BC. ³ ნისტერეონ B. ⁴ გაქუნა C. ⁵ + და BC. ⁶ არაჲ C. ⁷ გაქუნ C. ⁸ რაჲსათჳსილა C. ⁹ — და B. ¹⁰ შეუძლი C.

4.—B. C: 39v. ¹ და თქუა ხოლო მან ჰრქუა C. ² + მან C. ³ + მოვიდეს და კულად C. ⁴+მას C. ⁵+მან—C. ⁶ მას მას + იგიცა C. ⁷ + მე C. ⁸ ანგელოზი — C. ⁹ მე — C.

1. B: 291v; C: 40. ¹ ნისტერეონისა B. ² მოვიდა B. ³ ნისტერეონს B. ⁴ არას BC. ⁵ + მამამან BC.

ოდეს შემოვიდოდე წინაფთვე⁶ მონასტრად⁷, ვარქუ თავსა ჩემსა, ვითარმედ: შენ და ისი ვირი ერთ⁸ ხართ. ვითარცა-იგი ვირსა მას სცემედ და⁹ არას¹⁰ იტყვნ, ავინებედ და მან არავე რაჲ¹¹ მიუგის, ეგრეცა შენ. ვითარცა ფსალმუნი იტყვს: „ვითარცა საცხოვარი შე-ვირაცხე მე შენ წინაშე და მე მარადის შენ თანა¹² ვარ“*.

5

2. იტყოდა მამაჲ პიმენ მამისა ნისტერეონისთვის, რომელი იყო ძმათა შორის, რამეთუ ვითარცა-იგი გუელი რვალისაჲ, რომელი ქმნა მოსე, საკურნებელ იყო ერისა მისი, ეგრეცა იყო ბერი¹ იგი, რამეთუ ყოვლითა სათნოებითა შემკულ² იყო და ღუმილით ყოველ-თა კურნებდა. M₁

10

მამისა ნიკონისთვის

1. ძმამან ჰკითხა ვისმე¹ მამათაგანსა და ჰრქუა: ვითარ ეშმაკ-მან განსაცდელი წმიდათა ზედა მოაწიის²? ჰრქუა მას ბერმან: იყო ვინმე მამათაგანი, რომელი იყოფოდა³ მთასა სინასა. და აჰა ესე-რა, მი-ვინმე-ვიდა კარავსა ფარანელისა [v] ვისამე და პოა ასული მისი მარტოჲ და დაეცა მის თანა და ჰრქუა⁴: თქუ, ვითარმედ მარტოდ-ყოფმან მან მონაზონმან⁵ ქმნა ესე ჩემ თანა. და ვითარ მოვიდა მამაჲ მისი და ცნა, აილო⁶ მახვლი. და ვითარ ჰრეკა კარსა, გამოვიდა ბერი იგი. და მიჰყარა მახვლი თვისი, რაჲთამცა მოკლა ბერი იგი. და მეყსეულად შეჰქმა კელი მისი. მაშინ მივიდა ფარანელი იგი ეკლესიად და უთხრა მღღელთა მათ. და მათ მიუვლინეს და მოვიდა⁷ ბერი იგი და ტანჯეს⁸ იგი და უნდა გამოძებაჲ⁹ მისი. ხოლო იგი ვევედრებოდა და ეტყოდა: მიტევეთ მე აჲა ღმრთისათვის, რაჲთა შევიწინაო. და განაყენეს იგი¹⁰ მათგან სამ წელ და მისცეს მცნებაჲ, რაჲთა არავინ მივიდეს მისა. და მოვიდის სამსა მას წელსა კვრიაკედ-კვრიაკედ და შეურდებინ მათ სინანულით და¹¹ ევედრებოდა¹² და ეტყოდა¹³: ლოცვა ყავთ [141] ჩემთვის. და ამისა შემ-

15

20

25

⁶ წინაჲთ BC. ⁷ მონასტრად—B. ⁸ ერთსწორ BC. ⁹ + იგი BC. ¹⁰ არარას B. ¹¹ არა-ვე-რაჲ არარაჲ BC. ¹² თანა] წინაშე BC.

2. B : 291v; C : 40. ¹ ბერიცა BC. ² შემკული C.

1. — B; C:40v. ¹ ძმამან ჰკითხა ვისმე] ჰკითხა ვინმე ძმამან C. ² ~მოაწიის წმიდათაჲ ზედა C. ³ იყოფოდა C. ⁴ +მას C. ⁵ მონაზონმან] ნიკუნ C. ⁶ აილო C. ⁷ მოვიდა C. ⁸ + ბერი C. ⁹ განძებაჲ C. ¹⁰ იგი—C. ¹¹ და — C. ¹² ევედრებინ C. ¹³ ეტყუინ C.

* ფს. 72, 22—23.

- დგომად ეშმაკეულ იქმნა. რომელმან-იგი ცოდვამ ქმნა და ბრალი მარტოდ-ყოფისა მას მიჰკრიბა, და აღიარა ეკლესიასა შინა, ვითარ-
 5 ნედ: მე ვქმენ ცოდვამ ესე და ვარქუ¹⁴, რამათა ცილი დასდევან¹⁵ მონასა მას ღმრთისასა. მაშინ მოვიდა ყოველი იგი ერი და შეუტრ-
 დეს¹⁶ ბერსა მას სინანულით და ეტყოდეს: შემინდვე ჩუენ, მამაო.
 ხოლო მან თქუა: შენდობისათვს შენდობილ იყავნ¹⁷. ხოლო დგო-
 მად მე¹⁸ არღარა ვდგე თქუენ თანა, რამეთუ არავინ იპოა ერთიცა
 10 თქუენგანი¹⁹, რომელსამცა ცნობამ აქუნდა და ელმოლა ჩემ თანა²⁰.
 და ესრეთ წარვიდა მიერ. და თქუა ბერმან: ხედავა²¹, ვითარ მტერ-
 მან მოაწიის განსაცდელი²² წმიდათა ზელა? M₁

მამისა ნიტრიადსთჳს

1. გვთხრობდეს მამისა¹ ნიტრიადსთჳს, რომელი იყო მოწაფე
 მამისა¹ სილოანესი², რამეთუ ოდეს ჯდა სენაკსა თჳს[ს]ა მთასა
 სინასა, [v] წესიერად იპყრობდა თავსა თჳსსა³, ხოლო
 15 ოდეს იქმნა ებისკოპოს, დიდძალი⁴ და ფიცხელი მოიპოა მარხვამ.
 მაშინ ჰრქუა მოწაფემან თჳსმან⁵; მამაო, ოდეს ვიყვენით უღაბნოს,
 არა იმარხვედ ესრეთ. მაშინ ჰრქუა⁶ ბერმან⁷: მუნ უღაბნოა იყო
 და დაყუდებამ და სიმდაბლჳს საკმარ იყო⁸ და მიკმდა ჯორცთა
 20 კრძალვამ, რამთამცა არა მოუძღურდი და ვეძიებდ, რომელი-იგი
 არა მაქუნდა. ხოლო აქა სოფელი არს⁹. დაღათუ მოუძღურდე, საქ-
 მარიცა აქუს აქა¹⁰, რომლითა კულად განვძლიერდე, რამათა არა
 მონაზონებამ ჩემი¹¹ წარვწყმდილო. M₁

მამისა მპირიქისთჳს

1. თქუა მამან იპერიქე: ვითარცა ლომი კანჯართა ზელა² საში-
 25 ნელ არს, ეგრეცა გამოცდილი მონაზონი გულის-სიტყუათა³ სიძვი-
 სათა.

მერმე თქუა: მარხვამ აღვრი არს მონაზონისამ ცოდვათა მი-
 მართ.

¹⁴ ვარქუ] ეთქუ C. ¹⁵ დაესდვა C. ¹⁶ შევერდეს C. ¹⁷ + თქუენდა C
¹⁸ მე — C. ¹⁹ ერთიცა თქუენგანი] თქუენ თანა C. ²⁰ ჩემთჳს C. ²¹ ჰხედავა C.
²² განსაცდელიცა C.

1. — B; C: 41. ¹ მამისა — C. ² სილოვანესი C. ³ + ჯორცთასა მამისათჳს C.
⁴ დიდძალი დიდ და ძნელი C. ⁵ თჳსმან] მისმან C. ⁶ + მას C. ⁷ + შეილო C. ⁸ საკმარ
 იყო — C. ⁹ + და საკმარიცა აქუს C. ¹⁰ საკმარიცა აქუს აქა] აქა არს C. ¹¹ ჩემი — C.
 1. B: 307; C: 103v. ¹ ეპირიქესთჳს C. ² ზელა — BC. ³ გულის — სიტყუა-
 თათჳს B.

მერმე თქუა: მარხვითა განკმელმან გუამმან [142] მონაზონი-სამან სული მღვმითა⁴ აღმოიყენის და განკმნის⁵ გულის-სიტყუანი საძაგელნი.

მერმე თქუა: სიტყუასა ბოროტსა ნუ წარმოიღებ პირით შე-
ნით, რამეთუ ვენაკმან ეკალი არა გამოიღის.

მერმე თქუა: მონაზონმან, რომელმან ენაჲ თვისი არა შეიკრძა-
ლოს⁶ გულის-წყრომისა ჟამსა⁷, ეგვევითარმან მან⁸ ვერცა სხუასა
ვნებასა ზედა⁹ შეიკრძალოს თავი თვისი¹⁰.

მამისა იოვანესთჳს საბაწმიღელისა

1. გვთხრობდა ჩუენ თავისა თვისისასა მამაჲ იოვანე საბაწმი- 10
ღელი და თქუა, ვითარმედ: ვჯედ ოდესმე დასასრულსა უდაბნოჲ-
სასა. და მოვიდა ძმაჲ მონასტრით დღესა შაბათსა, რაჲთა მითუა-
ლოს მე პურად. და ვითარ მოვიკითხე იგი და ვჰკითხე ყოველთა
ძმათაჲ და ვარქუე: ვითარ არიან ძმანი? ხოლო მან თქუა: კეთილ
ლოცვითა შენითა, მამაო. და უკუნადასკნელ ვიკითხე ერთისა ძმი- 15
საჲ, რომლისა ჰამბავი ბოროტი და საზრა[v]ხავი ითქუმოდა და
ვთქუე: ვითარ არს ძმაჲ იგი? ხოლო მან თქუა: დაიჯერე, მამაო, რა-
მეთუ არაჲ შეუცვალებიეს საქმისა მისგან. და მე ვითარცა მესმა
ესე, ვთქუე ჰ! და თქუმასა მას ჩემსა წარვიტაცე, ვითარცა რომელსა
პრუღინ ძილისაგან, და მივიტაცე წინაშე წმიდასა გოლგოთასა და 20
ვიხილე უფალი ჭუარტუმული შორის ორთა ავაზაკთა. და მივისწ-
რაფე, რაჲთამცა შევემთხვე მას. ხოლო მან უბრძანა კმითჲ დიდითა
ანგელოზთა, რომელნი დგეს გარემოჲს მისსა: განაძეთ ეგე გარე,
რამეთუ ანტეჰრისტე არს ეგე. რამეთუ უწინარეს განშჯისა ჩემისა
მაგან დასაჯა ძმაჲ. და გამო-რაჲ-ვიდოდე, შეპყრობილ იქმნა ზეწა- 25
რი ჩემი სუეტთა მათგან და განმეძუარცა. და მოვეგე გონებასა
ჩემსა და ვიხილე ძმაჲ იგი, რომელი მოსრულ იყო დაკვრეხული
და მდგომარჴ ჩემ ზედა. და ვარქუე: ძმაო, დღჴ ესე დღჴ ბოროტი
არს ჩემთვის. და მან [143] თქუა: რაჲსათვის, მამაო? ხოლო მე უთ-
ხარ ჩუენებაჲ იგი და ვარქუე: გრწმენინ ჩემი, ძმაო, რამეთუ ზეწა- 30
რი იგი საფარველი ღმრთისაჲ იყო, რომელი განმეძუარცა ჩემგან.

⁴ მღვმით B. ⁵ განაკმნის B. ⁶ არა შეიკრძალოს — B. ⁷ + ვერ შეიკრძალოს B.
⁸ მან — B. ⁹ სხუასა ვნებასა ზედა| ვნებისაგან B, სხუისა ვნებისათვის C.
¹⁰ + ძმანო C.
1. — BC.

და შვდსა წელსა არცა სენაკსა ჩემსა შევედ, არცა გუერდსა ჩემსა ზედა დავწევ, არცა კაცთაგანსა ვის შევემთხვე, არცა პურისა გემოჲ ვიხილე, ვიდრემდის არა ვიხილე უფალი მუნვე ჭუარცუმული. და უბრძანა ანგელოზთა და შემმოსეს მე ზეწარი იგი. და ჩუენ ვითარ-

5 ცა გუესმა ესე იოვანესგან საბაწმიდელისა, ვთქუთ: უკუეთუ ნელ-
 ლსა მას ესრეთ ევნო, კმელსა მას და რომელნი განფრდილ არიან სიძვასა შინა, საღამე-ლა იპოვნენ?

მამისა ისტამონისთვის, რომელი იყო სანაკებას

1. ძმაჲ ვინმე იყო სენაკებას, რომელსა სახელი ერქუა ისტამონ.

10 მრავალგზის ჰბრძოდა მას ეშმაკი და დაეცემოდა სიძვითა. და იყო იგი ჰირვეულ თავით თვისით და იტყოდა გონებასა თვისსა: არა [v] განვიძარცო სქემაჲ ესე წმიდაჲ. და ჰყოფდა იგი მცირედ-მცირედ ლოცვასა და ევედრებოდა იგი სულ-თქუმით ღმერთსა და იტყოდა: უფალო, იხილე ჰირი ჩემი და შემეწიე მე, ვითარცა ვარ თიჲაჲ, მი-

15 ყუარს ცოდვაჲ. გარნა შენ, ვითარცა ღმერთ ხარ, შემიპყარ და ნუ განმიტევებ, ვითარცა ძლიერ ხარ. უკუეთუ მართალი შეიწყალო, არაჲ დიდ არს. და უკუეთუ წმიდაჲ იქსნა, არაჲვე საკვრველ არს, რამეთუ ღირს არიან მოწყალებასა შენსა, უფალო, არამედ ჩემ ზე-

20 და აჩუენე მოწყალებაჲ შენი, უფალო, და კაცთ-მოყუარებაჲ, რამეთუ შენ გევედრები. და თუ დაცემულ იყო, თუ არა დაეცა იგი დამესა ერთსა, ჩუეულებითა თვისითა და განთიად ვითარ აღდგა. იტყო-

25 და იგი ლოცვასავე თვისსა. განკვრდა ეშმაკი კადნიერებასა მას მისსა დაუცხროშელად ლოცვასა ღმრთისა მიმართ. გამოეცხადა მას თუ-

30 ალთა წინაშე და ჰრქუა: ვითარ იკადრებ და სდგა ღმრთისა მიმართ, [144] ვითარ აღმოვაღს სახელი მისი პირსა შენსა და არა ძრწიან კორცნი შენნი? მიუგო ძმამან მან და ჰრქუა: სენაკი ესე სამჰედ-

ლოჲ არს და ერთითა კუერთა შენ სცემდი და ერთითა მე დავით-

მენდე შენ თანა ბრძოლასა. და გეფუცები შენ ღმრთისა მიმართ, არა დავსცხრე სინანულითა შესმენად შენდა ღმრთისა მიმართ. და

30 ვიხილო შენ-ძი აჯობო, ანუ ღმერთმან? ესმა რაჲ ესე ეშმაკსა, ჰოქუა: ამიერითგან არღარა გებრძოდი შენ, ნუუკუე სულგრძელე-

ბითა შენითა მოიღო შენ გვრგვნი. და წარვიდა მისგან მიერ ღლით-

გან. იხილეთ, ვითარ კეთილ არს სულგრძელებაჲ და არა მოწყინე-

ბაჲ თავით თვისით, უკუეთუ ვინმე შესცვკვეთ დაცემასა ბრძოლასა.

და ცოდვასა. და ვითარცა დასცხრა ძმაჲ იგი, მოიქცა და ტიროდა ცოდვათა თვსთათვს და ჰრქუა გუ[v]ლას-სიტყუმან თვსმან: კეთილად სტირ. და იგი ეტყოდა: წყეულმცა არს კეთილი ესე. და რად უნებს ღმერთსა, უკუეთუ წარიწყმიდოს კაცმან თავი თვისი და მერმე დაჯდეს და ტიროდის, ანუ იქსნეს ანუ არა?

მამისა ორისთჳს

1. თქუეს მამისა ორისთვს² და მამისა თევდორესთვს, ვითარნედ საფუძველი დაედვა სენაკისაჲ. და თქუეს ურთიერთას: აწ უკუეთუ³ მოხედვა ყოს ჩუენ ზედა ღმერთმან, რაჲ-მე ვყოთ? და ტიროდეს და დაუტევეს თიქაჲ იგი და წარვიდეს. M₁

10

2. იტყოდეს მამისა ორისთვს¹, რომელი იყოფოდა კლდესა შინა, ვითარმედ არასადა ნაცილი² სიტყუაჲ თქვს³, არცა ფუცა, არცა სწყევა⁴ კაცსა, არცა თვნიერ საკმარსა⁵ იტყოდა რას. M₂

3. ჰრქუა მამამან ორ მოწაფესა თვსსა პავლეს: ნუსადა შემოღლი სიტყუაჲ სხვსაჲ: ამას სენაკსა და ნუ გიყუარნ¹ სოფელი ესე. [145] თქუმულ არს: ნუცა რაჲ არს მას შინა რაჲსათვს-ვე², რაჲ-თა არა³ რაჲმე გუევენოს⁴ მათგან⁵ და შევწუხნეთ⁶, რამეთუ არა ჯერ-არს კაცისა, რომელი ღმრთისა მონაჲ არს და ქრისტეს მოწაფე⁷, ვითარცა შეწუხნა⁸. დაღათუ ყოველი მონაგები თვისი⁹ მიეღოს, გინა¹⁰ ივინოს, გინა ასოცა მოჰვარდეს, გინა ყოველივე¹¹, რაჲცა ევენოს და არცა განრისხება¹², არცა ერთისაგან ვნებისა აღძრვაჲ, ამისთვსცა ვნება წოდებულ არს, რამეთუ გარეშე ბუნებისა¹³ არიან¹⁴. M₄

15

20

[მამისა კლემენტოსთვს]*

1. იტყოდა ნეტარი კლემენტოს, პეტრეს¹ მოციქულისა მოწაფე², ჰრომისა ებისკოპოსის³, რომელი მისსა⁴ შემდგომად დაედ-

25

1. — B; C : 105 ¹ ორესთვს C. ² ორესთვს C. ³ უკეთუ C.

2. — B; C : 105. ¹ ორესთვს C. ² ცილის C. ³ თქუა C. ⁴ სწყვეის C. ⁵ საკმარსა +სიტყუასა C.

3. B : 307; ტ. C : 105. ¹ გიყუარს BC. ² რაჲ-სათვს-მე BC. ³ და B. ⁴ გუევენოს] გუაკლდეს BC. ⁵ მათგანი BC. ⁶ შევწუხნეთ C. ⁷ მოწაფე C. ⁸ შეწუხნა C. ⁹ თვისი მისი BC. ¹⁰ გინათუ BC. ¹¹ ყოველი C. ¹² + და BC. ¹³ ბუნებისა] გონებისა C. ¹⁴ + შეილო. C.

* A, B, C ხელნაწერებში კლემენტოს მოსდევს ორის თხრობებს.

1. B : 307; C : 105v. ¹ პეტრეს B. ² მოწაფე B. ³ ეპისკოპოზი B. ⁴ მისა BC.

გინა მოციქულსა პეტრეს: გარნა მკურნალისაჲ ხოლო ჯერ-არს გან-
 რისხებაჲ და ეგრეთცა⁵ ტყუილი⁶ და ესეცა მოლუაწებისათვისვე
 რაჲსამე⁷, ხოლო სხვისა არავისსა⁸, რამეთუ არა არს განრისხებაჲ
 5 სამართლად, გარნა [v] ეშმაკთა მიმართ ხოლო⁹ მარტოდ. ხოლო
 სხუაჲ გარეშე¹⁰, რამეთუ იტყვის: აჩუენებდით ყოველსავე სიმშ-
 დესა ყოველთა მიმართ კაცთა. აწ უკუე კაცთა მიმართ განრისხებაჲ
 კაცისაჲ¹¹ გარეშე ბუნებისა არს.

7. ჰბრძოდა ოდესმე სული სიძვისაჲ მოწაფესა დიდისა ვისმე ბერისასა. ჰრქუა მას ბერმან: გნებაჲსა, შვილო, რაჲთა ვევედრო ღმერთსა შენთვის და აღილოს შენგან ბრძოლაჲ ეგე? [116] ხოლო მან ჰრქუა: ვხედავ, მამაო, დაღათუ ვშურები, არამედ ნაყოფსაცა მოველი მისგან, არამედ ამისთვის ევედრე ღმერთსა ლოცვათა შინა შენთა, რაჲთა მომცეს მე მოთმინებაჲ და შეუძლო დათმენად. ჰრქუა მას ბერმან: დღეს ვცან, რამეთუ წარებატე და უფროჲს ჩემსა. ხარ, შვილო.

8. ძმაჲ ვინმე მივიდა და ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: მამაო, რაჲ ვყო, რამეთუ ძმაჲ ჩემი დამქსნის მე, მიმოვალს აქა და იქი და მე ვიურავი. ხოლო ბერი ჰლოცვიდა მას და ეტყოდა: იტუიროთ, შვი-

¹¹ ქმ-სი B.

5. B:309. ¹ + და B. ² ცხორებად B. ³ სიტყუად B. ⁴ ღმერთსა B.

6. B:316v ¹ ქუეყანისა B. ² ჩუენისა B. ³ ღმერთსა B. ⁴ იცინი B.

7. — B

8. — B.

- ლო, და ღმერთმან იხილოს შრომაჲ შენი და მოდრიკოს გული მისი, რამეთუ არა სიფიცხით კეთილი რაჲმე იქმნების, არცა-ლა ეშმაკმან ეშმაკი განაძის, არამედ უფროჲსლა ღმრთისა სიტკბობებამან მოაქციის იგი, რამეთუ ღმერთმანცა ნუგეშინის-ცემით მოიყვანის კაცი.
- 5 და მიუთხრა მას ესრეთ, ვითარმედ: თეზაიდას იყუნეს ორნი ძმანი, და ერთსა მათგანსა ჰბრძოდა სული სიძვისაჲ და თქუა: მოვიქცე მე სოფლად. ხოლო ძმაჲ იგი ევედრებოდა მას და ეტყოდა: არა განგიტეო, ძმაო, შენ წარსლვად, ვითარმცა წარსწყმიდე შრომაჲ შენი. ხოლო იგი არა ერჩდა მას, არამედ ჰრქუა: ანუ მოვედ ჩემ თანა
- 10 და კუალად-მოვიქცე მე შენ თანა, გინათუ განმიტევე მე, რაჲთა დავადგრე¹ სოფელსა შინა. [v] და წარვიდა ძმაჲ იგი და უთხრა ესე ყოველი დიდსა ვისმე ბერსა. და ბერმან ჰრქუა მას: მივედ მის თანა და ღმერთმან შრომისა შენისათჳს არა მიუტეოს იგი დაცემად. და აღდგეს ორნივე და წარემართნეს სოფლად. და ღმერთმან იხილა
- 15 შრომაჲ იგი მათი და აღილო ბრძოლაჲ იგი ძმისა მისგან. და თქუა: ძმაო, გუალე კუალად უდაბნოდვე. აჰა, რეცათუ ვყავ, რაჲ შევიძინე ამისგან? და მადლითა ღმრთისაჲთა მოიქცეს კუალად სენაკად-ვე უვნებელად.

9. ჰკითხა ვინმე მამათაგანმან¹ და ჰრქუა: რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ გულის-სიტყუაჲ ჩემი მარადის სიძვასა შინა არს და არა მიტევებს მე განსუენებად ჟამ ერთცა და იურვის სული ჩემი. ხოლო მან ჰრქუა მას: რაჲჲმს ეშმაკთა დასთესონ გულის-სიტყუაჲ შენ თანა, ნუ ჰზრახავ მათ, რამეთუ მათი არს მარადის თესვაჲ. არამედ არა იძულებით ხოლო შენი არს შეწყნარებაჲ და არა შეწყნარებაჲ.
- 25 იხილე რაჲ² ყვეს სომანიტელთა³ მათ, რამეთუ შეამკენეს ასულნი მათნი და დაადგინნეს წინაშე ისრაიტელთა მათ. ხოლო არავის აიძულებდეს, არამედ რომელთა უნდა, დაეცნეს მათ თანა. ხოლო სხუანი იგი განრისხნეს გულის-წყრომით მათდა მიმართ და მოსრგვაჲ აღადგინნეს მათ ზედა. ესრეთ არს გულის-სიტყუათა მიმართ.
- 30 [117] მიუგო ძმამან და ჰრქუა ბერსა: და რაჲ ვყო, რამეთუ უძლურ ვარ და ვნებაჲ იგი მძლევს? ხოლო ბერმან ჰრქუა მას: იხილე იგი და რაჲჲმს დასაბამი იწყოს სიტყუად შენდა, ნუ მიუგებ მას, არამედ აღდეგ და ილოცევედ და თქუ: ძეო ღმრთისაო, შემიწყა-

¹ დაჲდარჲე C.

9. B:309. ¹ მამათაგანსა C. ² + იგი B. ³ სომანიტელთა] არანიტელთა B.

ლე მე! ხოლო ძმამან⁴ ჰრქუა: აჰა, ვიწურთი და ვფსალმუნებ და არა არს სინანული გულსა ჩემსა, რამეთუ არა ვიცი ძალი იგი სიტყუისაჲ მის. ჰრქუა მას ბერმან: შენ ხოლო იწურთიდ, რამეთუ მესმა, ვითარმედ თქუა მამამან პიმენ და სხუათაცა მრავალთა სიტყუაჲ ესე, ვითარმედ მსახრვალმან არა იცინ ძალი იგი სიტყუისაჲ მის, რომელსა იტყუინ. არამედ მკეცსა მას ესმის და იცის ძალი სიტყუისაჲ მის და დაემორჩილის და დამდაბლდის. ეგრეცა ჩუენ დაღაცათუ არა ვიცით ძალი სიტყუისაჲ მის⁵, რომელსა ვიტყუით, არამედ ეშმაკთა ესმის და შიშით განეშორნიან.

10. ჰკითხა ვინმე ბერსა და ჰრქუა: ვითარ ვბოვო ღმერთი მარხვითა ანუ შრომითა ანუ ღამის-თევითა ანუ მოწყალეებითა? ხოლო მან ჰრქუა მას: განკითხვითა იბოების. ხოლო გეტყუი თქუენ, რამეთუ მრავალთა აქირვეს კორცთა მათთა განუკითხველად და წარვიდეს ცუდნი და არარაჲ პოვეს. პირთა ჩუენთა დავიყროლებთ [v] მარხვითა, და წერილთა აღმოვიკითხავთ, „დავითი“ ზეპირით დაგუისწყავლიეს, ხოლო სიყუარული არა გუაქუს და სიმშუიდე, რომელსა იგი ღმერთი ეძიებს ჩუენგან.

11. ძმამან ვინმე ჰკითხა ბერსა და ჰრქუა მას: რაჲ ვყო, რამეთუ მრავალნი გულის-სიტყუანი მბრძვანან და არა ვიცი, ვითარ ვჰბრძოდი მათ? ჰრქუა მას ბერმან: ნუ ჰბრძავ ყოველთა მიმართ, არამედ ერთსა ხოლო მარტოდ, რამეთუ ყოველთა გულის-სიტყუათა მონაზონისათა თავი ერთი არს. მისა მიმართ უკუე ჯერ-არს განცდაჲ, რომელი არს თავი, და ბრძოლად მას, და სხუანი იგი გულის-სიტყუანი თუით დამდაბლდენ, ვითარცა-იგი განწყობილსა¹ შინა და ბრძოლასა, რამეთუ² რაჟამს-იგი იხილიან ძლიერი წინაშე მათსა, დაადგინნიან უძლიერესნი³ მისა მიმართ ამიერ⁴ და⁵ უკუეთუ შეუძლიან ახონანსა⁶ მას და დასციან თავი იგი, ყოველნივე ივლტოდ და სხუანი იგი დემორჩილნიან მას⁷. ესრეთ⁸ არიან გულის-სიტყუანი მონაზონისანი, რამეთუ ერთი თავი აქუს: გინათუ სიძვაჲ, გინათუ⁹ ვეცხლის-მოყუარებაჲ, გინა¹⁰ მიმოსლვაჲ ადგილითი-ადგილად. და უკუეთუ მიხუიდე და სცნა იგი და არა განსდევნო იგი, გაცთუნოს შენ სხუად მიმართ [118] და კუალად თავი იგი მოვი-

⁴ + მან B. ⁵ [იტყუისაჲ მის] იგი B.

10. — B.

11. B:309. ¹ განწყობასა B. ² რამეთუ — B. ³ უძლიერესნი B. ⁴ — ამიერ მისა მიმართ B. ⁵ და—. ⁶ ახონანსა B. ⁷ მათ B. ⁸ ესრეთ B. ⁹ გინა B. ¹⁰ გინათუ B.

დის¹¹ და დადგეს ბრძოლად მისა. ცან, რომელი იგი არს თავი, და მისა მიმართ ყავ ბრძოლაჲ.

12. გუითხრობდა ვინმე, ვითარმედ მივიდოდეს ოდესმე ძმანი მივილინებულნი სოფელსა რომელსამე ეგუიპტისასა და ეშმაკი
 5 ჰბრძოდა უფრომასა შუიდ-გზის ცოდვასა შეგდებად. ხოლო იგი იღუწიდა ჟამად-ჟამად და ჰყოფდა ლოცვასა. და მო-რაჲ-იქცეს¹ მამისა მათისა² და იყო პირი მისი განრისხებულ. და შეუერდა ბერსა და ჰრქუა მას: ლოცვა ყავ ჩემთვის, მამაო, რამეთუ დავეცი³ სიძვითა. და უთხრა მას, ვითარ-იგი ჰბრძოდა მას გულის-სიტყუაჲ. ხოლო
 10 ბერი იგი იყო შინაგან მცნობელ და ხედვიდა თავსა მისსა შუიდთა გუირგუინთა⁴. ჰრქუა მას: ნუ გეშინინ, შვილო, რამეთუ მორაჲ-ხუედ შენ, ვიხილენ შუიდნი გუირგუინნი თავსა ზედა შენსა⁵. არა იძლეე, არამედ უფრომას-ლა სძლე⁶, ვინაჲთგან არა აღასრულე საქმით, არამედ დიდი ღუაწლი არს, რაჟამს მოიცალოს კაცმან მარხვად, მაშინ უძლიერესად ჰბრძავნ მას მტერი და ძნად არს სილტოლაჲ⁷ მახეთაგან მისთა. ვითარ უკუე ჰგონებ ნეტარისა იოსებისსა, რამეთუ საკუირველ იყო საქმე იგი და სახილველ ყოფილი იგი, [V] რამეთუ ღმერთი და ანგელოზნი ყოველნი ხედვიდეს ღუაწლსა მას მისსა⁸. და ეშმაკნი უფრომასად აღსძრვიდეს და განაძლიერებდეს მისა მიმართ მართლისა დედაკაცსა მას. და რაჟამს სძლო
 20 მოლუაწემან მან, ყოველთა ანგელოზთა მისცეს დიდებაჲ ღმერთსა და იტყოდეს: სძლო უცხოჲ ძლევაჲ მოლუაწემან მან⁹. ჰბრძოდა და განძლიერდა, დასცა და სირცხუილელუ ყო ეშმაკი და ყოველი ძალი მისი, კეთილ არს გულსავე არა მოსლვად საქმე ბოროტი, და
 25 და-ლა-თუ მოვიდეს, მოლუაწებჲა ჯერ-არს, რაჲთა არა იძლიოს¹⁰.

13. მონაზონი ვინმე იყოფოდა მარტოჲ უდაბნოს და აქუნდა მას სხუაჲ მონაზონი. და ეშორა იგი ათით მილიონით და ერთად აქუნდა მათ პური და მიაართუის მას. მერმე ჰრქუა მას გულის-სიტყუამან თვისმან: არქუ ძმასა მას და თუით წარილოს საზრდელი
 30 თუისი. და თქუა: რაჲსათუის შევაწუხო ძმაჲ იგი ჩემი? არამედ უფრომას-ლა მივიართუა მას პური თვისი. და აღიკიდა პური იგი და წა-

¹¹ მოვიდეს B.

12. B: 309v. ¹ მო-რაჲ-იქცა B. ² მათისა] თვისისა B. ³ + მე B. ⁴ + და B. ⁵ ზედა შენსა] შ-ნსა B. ⁶ სძლე უფრომას-ლა B. ⁷ სიელტოლაჲ B. ⁸ მისა C. ⁹ მან — B. * ამის მომდევნო ტექსტი (ხელნაწერის 118v—120v) იხ. ჩენი წიგნის 143—146 გვერდებზე სათაურით: „მამია მოსესთვის, რომელსა ეუქუა ეთიოპ“.

13. B : 315.

რემართა ძმისა მის. და ვითარ მივიდოდა¹, წარჰკეთეთა ფერკი² თვისი³ ქვასა⁴ და სისხლი დასდიოდა ფრიად. მივიდოდა და ტიროდა ტკივილისა მისგან. და მოვიდა მისა ანგელოზი უფლისაჲ და ჰრქუა მას: რაჲსათუის სტირ, ძმაო?⁵ [121] ჰრქუა მონაზონმან მან: ფერკი წარგვჰკეთეთ⁶ ქვასა და მტკივის. ჰრქუა მას ანგელოზმან: და ამისთვის სტირა? ნუ სტირ, რამეთუ სლვაჲ ეგე შენი და შრომაჲ, რომელსა ღმრთისათვის ჰყოფ, აღიწერების და დიდი სასყიდელი წინაშე ღმრთისა განგემზადების და შრომაჲ ეგე შენი აღვალს წინაშე ღმრთისა. და რაჲთა გულისკმა-ჰყო, აჰა ესერა სისხლსა ამას⁷ შენსა აღვჰკრებ და აღვიღებ⁸ წინაშე ღმრთისა⁹. და ვითარცა იხილა ესე ყოველი, ჰმადლობდა ღმერთსა. და მიართუა პური ძმასა მას და უთხრა მას ესე ყოველი სიტკბოებაჲ ღმრთისაჲ, და წარვიდა იგი სიხარულით სახედ თუისა¹⁰.

14. ძმამან ვინმე ჰკითხა წმიდასა პიმენს და ჰრქუა: კორცნი ჩემნი უძლურ არიან და ვერ შემძლებელ ვარ მარხვად, მითხარ მე სიტყუაჲ, რომლითა ვცხოვნდე¹, მამაო². ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ მარხვად არა ძალ-გიც, ამას შემძლებელ ხარ: დაიმარხე ენაჲ შენი და დაიმარხენ გულის-სიტყუანი შენნი გულითა წმიდითა და ნუ მიმოხუალ სხუისა სახლსა. ესე ყავ და სცხოვნდე ღმრთისა მიერ.

15. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: მითხარ მე სიტყუაჲ, მამაო, რომლითა ვცხოვნდე¹. ჰრქუა მას ბერმან: პირველად განიწმიდენ გული შენი ყოვლისაგან ბოროტისა და დააყენე ენაჲ შენი და სრული სიყუარული [V] გაქუნდინ ყოველთა მიმართ კაცთა სიტყუით და საქმით. და რადენცა² შემძლებელ იყო, მიეც თავი შენი შრომასა და მორჩილებასა. მერმე უკუეთუ გინდეს, რაჲთამცა სრულ იყავ, მოიცალე სოფლისაგან და თავი თვისი შეურაცხ-ყავ ვიდრე სიკუდილამდე³. და მარაღის წინაშე ღმრთისა დეგ ყოველითა სულითა და ყოველითა გონებითა შენითა, ჰმსახურებდ და აღიდებდ სულითა და ყოველი საქმარი შენი და ზრუნვაჲ⁴ უფალსა მიუტე-

¹ + ვხასა B. ² ფერკისა თითი B. ³ თვისი—B. ⁴ ქვამან B. ⁵ ძმაო—B. ⁶ წარვიკუეთუ B. ⁷ მას B. ⁸ აღვიღო B. ⁹ ღმრთისა უფლისა B. ¹⁰ ~სახედ თუას სიხარულით B.

14. B:310. ¹ ეცხონდე B. ² მამაო — B.

15. B:310. ¹ ეცხონე B. ² რადენ B. ³ სიკუდილამდე B. ⁴ ~საქმარი და ზრუნვაჲ შენი B.

ვე და მან მოგცეს და აღასრულოს ყოველი⁵ ნებაჲ შენი აჲ საწუთ-
როსა ამას და მერმე საუკუნესა⁶.

10. ბერი ვინმე იყოფოდა მარტოდ სახლსა შინა მისსა. ნათე-
ლი დადრგომილ იყო დღე და ღამე და ვითარცა დღისი იქმნ კელთ-
5 საქმარსა და წიგნსა იკითხავნ, ეგრეცა ღამე.

17. სხდეს ოდესმე წმიდანი მამანი და ზრახვიდეს სიტყუათა
სულიერებისათა. და ერთი მათგანი ხედვიდა წმიდათა ანგელოზთა
ღმრთისათა, გარე-მოადგეს მათ და ვითარ მიდრკიან ამის სოფლი-
სასა ზრახვად, განეშორნიან მათგან წმიდანი იგი ანგელოზნი, და
✓ 10 ეშმაკნი მოვიდიან და მსგავსად ღორთა ჩხრეკდიან მწუიერესა და ას-
ხურებედ მათ. და ვითარცა მოიქციედ კუალად სიტყუასა ცხოვრე-
✓ ბისასა, მოვიდიან იგივე წმიდანი ანგელოზნი და აქებდიან მათ.

18. [122] ბერსა ვისმე ეჩუენა ეშმაკი ანგელოზად ნათლისად
და თქუა: მე ვარ გაბრიელ ანგელოზი, ღმერთმან მომავლინა მე
15 შენდა. ჰრქუა მას ბერმან მან: მე ცოდვილი ვარ და არადირსი,
სხუისა ვისსამე მიგავლინა. და ვითარცა იხილა დიდი იგი სიმდაბლე
ბერისაჲ მის, მეყსეულად უჩინო იქმნა ეშმაკი იგი.

19. ორნი ბერნი იყოფოდეს ერთად. მოუქდა მათ ეშმაკი, რა-
მათამცა შეალანა იგინი ურთიერთას. და ვითარ აღანთო სანთელი
20 ერთმან მან ძმამან, ხოლო ეშმაკმან დაუმტუა, და ერთი იგი ძმაჲ
განურისხნა ძმასა მას და შეელალა მას ფრიად. ხოლო იგი შეუვრ-
და ფერკთა მისთა და ჰრქუა მას: სულგრძელ იქმენ, ძმაო, ხოლო
მე კუალად აღვანთო. და იხილა ღმერთმან სიმდაბლე ძმისაჲ მის
და მოვიდა ძალი ღმრთისაჲ და გუემა ეშმაკი იგი და ივლტოდა
25 მათგან. და უთხრობდა ეშმაკი იგი მთავარსა მათსა. და ესმოდა
თხრობასა მას ქურუმსა კერპთასა. და გამოვიდა იგი და იქმნა მო-
ნაზონ და პირველად მოიბოა მან სიმდაბლე და თქუა, რამეთუ: სიმ-
დაბლე დაჰქსნის ძალსა მტერთასა. რამეთუ ესმოდა მას ზრახვაჲ
იგი ეშმაკთაჲ, ვითარ-იგი იტყოდეს, რამეთუ: რაჟამს შევალანით
30 მონაზონნი და ერთი მათგანი მოიქცის მშუიღობად და დაუვრდის

⁵ ყოველი — B. ⁶ საუკუნოსა B.

16. — B. 17. — B. 18. — B. 19. — B.

ქუეშე ფერკთა მისთა, [v]* დაჰქსნიან ყოველი ტყუვილი და ძალი ჩუენი.

20. ბერი ვინმე იყოფოდა სენაკსა შინა თვსსა. მივიდა მისა ეშმაკი, იცვალა ხატი და ჰრქუა: მე ვარ ქრისტე. ჰრქუა მას ბერმან: მე ცოდვილი ვარ და არა ღირს ვარ ხილვად ქრისტესა. ვითარცა ესმა ესე ეშმაკსა მას, მეყსეულად უჩინო იქმნა სიმდაბლითა მით ბერისაჲთა. ხოლო ბერი ჰმადლობდა ღმერთსა.

21. ჰრქუა ბერმან მოწაფესა თვსსა: მე რაჲმს ვფსალმუნებდი, ვითარცა საკუმილი ცეცხლისაჲ, გარე-მომადგის მე და გონებაჲ ჩემი არა მიდრკის სხუად. შენი გონებაჲ სადა არს, ჰფსალმუნებდი-ლა და ილოცვიდი? ანუ არა უწყია, რამეთუ რაჲმს ილოცავ და ჰფსალმუნებ, წინაშე ღმრთისა სდგა და ღმერთსა ჰზრახავ? 10 v

22. ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: რომელნი იმარხვენ და ილოცვენ, რაჲ საყოფელ არს, ანუ რაჲ¹ კამს მათთუის? ჰრქუა მას ბერმან: რაჲთა სიმდაბლე² და მორჩილებაჲ³ მოიპოვონ, ვითარცა წერილ არს: იხილე სიმდაბლე⁴ ჩემი და შრომაჲ ჩემი და შენ მომიტევენ მე ყოველნი ცოდვანი ჩემნი. 15

23. მონაზონი ვინმე ჯდა სენაკსა შინა თვსსა და შეუქდა მას გულის-სიტყუაჲ და ჰრქუა: მივიდე ბერისა. და დააბრკოლა იგი ეშმაკმან და ჰრქუა მას: რად მიხუალ ბერისა? აღდეგ და ვიდოდე სოფლად! [124] და სწრაფით აღდგა და გამოვიდა და წარემართა სოფლად. და იხილა იგი ბერმან და ჰრქუა: წარტყუენულო, ვიდრე ხუალ? მელოდე-ლა. ხოლო მან უთხრა გულის-სიტყუაჲ თვსი. ჰრქუა მას ბერმან: მივედ და დაჯედ თუისსა სენაკსა! ხოლო ძმაჲ იგი, ვითარ შე-ოდენ-ვიდა თვსსა სენაკსა, მეყსეულად კმა-ყო ეშმაკმან მან და თქუა: გუძღეთ, გუძღეთ, მონაზონნო! და იხილა სარეცელი მისი ქილისაჲ, ვითარცა ცეცხლითა დამწუარი, და ეშმაკი 20 25 v

* 123 r და v იხ. გვ. 281—282.

20. — B. 21. — B.

22. B:310. ¹ + ღმერთსა B. ² სიმდაბლშ B. ³ მორჩილებაჲ C. ⁴ სიმდაბლშ B. 23. — B.

იგი უჩინო იქმნა, ხოლო ძმად იგი განმტკიცნა და ჰმადლობდა ღმერთსა.

24. ჰრქუა ბერმან: საყუარელო, განიშორე შენგან ყოველი ბოროტი და არაწმიდებდა, და შეიმოსე კეთილი სათნოებად და სრული სარწმუნოებდა. უკუეთუ მრავალთა შორის იყო, ისმინე ღმრთისაჲ, რომელსა იტყუის, ვითარმედ: „რომელსა უნდეს დიდ ყოფაჲ. სასუფეველსა ცათასა იყავნ იგი ყოველთა მრწემ¹ და მსასურ²“. და დაიშარხე ენაჲ შენი და განიწმიდე გული შენი და იყავ მდაბალ და ტკბილ ყოველთა მიმართ. და რავდენ შემძლებელ იყო, შეეწიე ძმასა შენსა საკმრითა. ხოლო გონებდა შენი ღმრთისა თანა იყავნ მარადის. უკუეთუ მარტო იყო, ისმინე, რასა იტყუის უფალი: „ნუ ზრუნავ საზრდელისაათვის და სამოსლისა³. პირველად ეძიებდიჲ სასუფეველსა ცათასა, და⁴ ესე ყოველი მოგენიქოს⁵ თქუენ⁶“.

[v] მერმე თქუა: იყვენ⁷ წელნი თქუენნი მორტყმულ და სანთელნი თქუენნი აღნთებულ⁸, მოიცადეთ და გულისკმა-ჰყოფდით⁹ ღმერთსა⁵, რამეთუ ვითარცა მზე ნათელ არს და ბრწყინვალე და წმიდა⁶ გულისხმის-ყოფითა და სათნოებითა ღმრთისაჲთა. ვითარცა ღრუბელმან რაჲ დააბნელის ნათელი მზისაჲ, ეგრეცა გულის-სიტყუათა ბოროტთა დაშრიტიან სული⁷ იგი ბრწყინვალეებისაჲ⁸. არამედ განიშორე შენგან ყოველი გულის-სიტყუაჲ ბოროტი და მოიპოენ გულის-სიტყუანი საღმრთონი და კეთილად თანა-იქმოდე მათ. და მათ აღგიყვანონ შენ ზეცას⁹ წინაშე ღმრთისა და მკუიდრ გყონ შენ სასუფეველსა ღმრთისასა რჩეულთა მისთა თანა.

25. ჰრქუა ბერმან: საყუარელო, განიშორე შენგან ყოველი უკეთურებაჲ და არაწმიდებდა, და მოიპოვე სიყუარული ღმრთისაჲ და სრული სიყუარული მოყუისისაჲ. და გულისკმა-ჰყოფდი სიტყუათა ღმრთისათა, რამეთუ თქუა უფალმან: „ყოველსავე, რასაცა ითხოვდეთ, გრწმენინ და მოილოთ¹. და მერმე თქუა: რომელსა უყუარდე მე, მცნებანი ჩემნი დაიშარხნეს და საყუარელ იყოს იგი

24. B:310. ¹ მწემ B. ² არამედ B. ³ ღმრთისასა B. ⁴ შეეძინოს B. ⁵ იყენელ B. ⁶ + მარადის B. ⁷ ყუთ B. ⁸ ღმერთი + მარადის B. ⁹ + ეგრეცა გული კაცისაჲ განწმიდნების B. ¹⁰ სულისაჲ B. ¹¹ ბრწყინვალეება B. ¹² ზეცად B.

25. B:310v. ¹ მიილოთ B.

* შდრ. მარკოზ 9, 35.

** შდრ. მათე 6, 31—33.

წინაშე მამისა ჩემისა, და მეცა შევიყუარო იგი². და მოვიდეთ² მისა და მის თანა საეანე ვყოთ³. აწ გულისკმა-ყავ აღთქუმაჲ ღმრთისაჲ, რამეთუ აღგუთიქუშამს ჩუენ ძე ღმრთის ყოფად და მკუიღრ ყოფად ყოველსა ზედა სიმდიდრესა მისსა⁴. [125] უკუეთუ გამოუთქუშელი იგი ზეცისა კეთილი გრწმენეს დამკუიღრებად, რაჲსა მცირი-სათვს საკმრისა ჰზრუნავთ⁵, რამეთუ თქუა უფალმან: „ნუ ზრუნავთ ზვალისათვს“⁶. და რომელი მცირესა ზედა სარწმუნო იპოვოს, იგი დიდსაცა ზედა სარწმუნო იყოს. აწ განვიფრთხოთ და მოვიცალოთ ღმრთისა, ვითარცა იტყუის: მოიცალებთ და გულისკმა-ყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი. და მერმე იტყუის: მიუტევე უფალსა ყოველი ზრუნვაჲ შენი და მან გამოგზარდოს⁶ შენ. ყოველსა ზედა მოთმინე იყავ, ვითარცა თქუა უფალმან: „რომელმან დაითმინოს. იგი სრულიად ცხოვნდეს“⁷.

მერმე თქუა: უწინარეს ყოველთა სათნოებათა არს სიმდაბლე და უწინარეს ყოველთა ბოროტთა არს ამპარტავანობაჲ. ხოლო სრული სათნოებაჲ არს სიყუარული ღმრთისაჲ და მოყუსისაჲ. და დიდი ვნებაჲ არს თავისა თვისა განმართლებაჲ. მარადის მოიქცენებდ სასუფეველსა ცათასა, რაჲთა გულის-თქუმაჲ შენი მისა მიმართ იყოს მარადის. და მერმე მოიქცენებდ გეჰენისასა მას. რაჲთა მოიძულნე საქმენი მისნი და განჰმზადე თავი შენი შემთხუევედ ღმრთისა.

26. იყო ვინმე ბერი უძლური და რეცა თუ არაჲ აქუნდა საქნარი. და შეიწყნარა იგი მამასახლისმან საკრებულოსა შინა და განუსუენა მას. [v] და ეტყოდა ძმათა ყოველთა მამასახლისი: აიძულეთ მცირედ ნურაჲ განასუენებელი. რამეთუ სნეულ არს. ხოლო უძლურსა მას აქუნდა დრაჰკანი, ქოთანი სავსე. და მოთხარა ქუეშე სარეცელსა მისსა და დამალა იგი. და შეზუდა მას სიკუდილი და არა აღიარა. და შემდგომად სიკუდილისა მისისა და დაფლვისა ჰრქუა მამასახლისმან ძმათა: აღიღეთ საგებელი მისი ამიერ! და ვითარცა აღჰკრებდეს მას, პოეს ოქროჲ იგი. ჰრქუა მამასახლისმან: უკუეთუ ცხოვრებასა მისსა არა აღიარა და არცა ჟამსა სიკუდილისა მისისასა თქუა, არამედ მისა აქუნდა სასოებაჲ, არა შევეზო მე შავს, არამედ მივედიოთ და დაჰვალთ ევე მის თანა! და ყვეს ეგრე,

² მოვიდეთ B. ³ საეანე ვყო B. ⁴ მისა C. ⁵ ზრუნავ B. ⁶ გამოგზარდო C. ⁷ ცხოვნდეს B. 26. — B.

* შტრ. იოანე 15, 9—10.

** მათე 6, 34.

*** მათე 10, 22.

ვითარცა უბრძანა მათ, და გარდამოკდა ცეცხლი ზეცით და დღეთა მრავალთა იწუებოდნა საფლავი იგი წინაშე ყოველთასა.

27. თქუა ვინმე წმიდათაგანმან, რამეთუ: შეუძლებელ არს კაცისა, რავდენ ჟამ აქუნდეს სიტკბოებაჲ ამის სოფლისაჲ, ვითარმცა აქუნდა სიტკბოებაჲ ღმრთისაჲ. უკუეთუ იხილოს კაცმან სიტკბოებაჲ ღმრთისაჲ, მოიძულოს ყოველივე ამის სოფლისაჲ, ვითარცა იგი წერილ არს წმიდასა სახარებასა, [126] ვითარმედ: „ვერვინ შემძლებელ არს ორთა უფალთა მონებად“*. და ჩუენ ვიდრემდის გუნებავეს კაცობრივი ბყრობად და განსუენებაჲ ჯორციელი, ვერ შემძლებელ ვართ საშუებელსა და სიტკბოებასა საღმრთოსა. ამან ვიტყუი: უკუეთუ ვინმე ჯდეს სენაკსა შინა თუისსა დუმილით და დაყუდებით ლოცვასა და საქმესა სულიერსა მიხედოს, ჟამსა მას შემძლებელ იყოს ცხობრებად.

28. ჰკითხნა ვინმე სტრატიოტთაგანმან ბერსა და ჰრქუა: უკუეთუ ღმერთი შეიწყნარებსა მონანულთა? ხოლო ბერმან მიუგო: მრავლისა სწავლისა შემდგომად, და ჰრქუა მას: უკუეთუ განიპის ქლამინდი შენი, განაგდია იგი? ხოლო მან ჰრქუა: არა, არამედ შევეკერი და კუალად ვიქუმი იგი. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ შენ სამოსელსა შენსა ჰრიდებ, ღმერთმან დაბადებულთა თვსთამცა არა ჰრიდაა? რომელმან-იგი ამცნო პეტრეს ესე ყოფად, მან არა-მე უფროს ყოველსა? რამეთუ ამცნო მოციქულსა პეტრეს და ჰრქუა. ვითარმედ: სამეოცდაათჯერ შუიდგზის მიუტევე. ხოლო იგი აღეშენა და წარვიდა.

29. [v] თქუა ვინმე ბერმან: რომელი შევიდეს მენელსაცხებ-ღეთა თანა, დაღაცათუ¹ არა იყიდოს, არამედ განმადლარი სურნელებითა² გამოვიდეს მიერ, ეგრეცა რომელი მივიდეს სულიერთა თანა მამათა, რამეთუ ჟამსა სიმდაბლისა მისისასა მოიქსენის³ იგი და, უკუეთუ უნდეს იგი საქმედ, აუწყიან იგი. გზაჲ და ზღუდე მისა იყოს ზედა-მოსლვასა ეშმაკისასა.

30. ჰკითხეს ვისმე ბერსა ძმათა და თქუეს: რაოდენნი¹ კეთილნი აღუთქუენ ღმერთმან სულსა წერილთა მიერ და არა ჰნებავეს

27. B:311. 28. — B.

29. B:311. ¹ დაღათუ B. ² სულნელებითა B. ³ მოიქსენის C.

30. B:311. ¹ რავდენნი B.

* მათე 6, 24.

მას, არამედ არაწმიდებდასავე მიდრკეს. ხოლო მან ჰრქუა მათ: მე გითხრა თქუენ, რამეთუ არღა გემოე უხილავს, ამისთუჲს არაწმიდებდასა მიდრკის და გული უთქუამნ.

31. თქუა ვინმე მამათაგანმან, ვითარმედ: სამნი საქმენი არიან პატრიოსან მონაზონისათჳს, რომელიცა ჯერ-არს ჩუენდა: შიშით და ძრწოლით და სიხარულითა სულიერითა მოსლვად¹ ზიარებდასა წმიდასა საიდუმლოსა და ტაბლად² განმზადებად მმათათუის², დაბანაჲ ფერკტაჲ. [მოილო სახე ესევეითარი და თქუა: რამეთუ იყო ვინმე ბერი, რომელსა აქუნდა ცნობაჲ ღმრთისამიერი, და შეხუდა მას ჰამაჲ მმათა თანა. და ვითარ ჰამდეს, [127] მიხედნა მათ ბერმან სულითა, ჯდა რაჲ იგი მათ თანა, ტაბლასა ხედვიდა, რამეთუ რომელნიმე ჰამდეს თაფლსა და რომელნიმე პურსა და რომელნიმე სკორესა. და დაუკუთირდა ფრიად და ევედრებოდა ღმერთსა და თქუა: უფალო, გამომიცხადე მე საიდუმლოჲ ესე, რამეთუ საზრდელი ერთი წინა უც ყოველთა. და ესრეთ თითოეული³ ჩანს, რამეთუ რომელნიმე ჰამენ თაფლსა და რომელნიმე პურსა და რომელნიმე სკორესა. და მოიწია მისა ჰამაჲ, რომელმან ჰრქუა მას: რომელნი-იგი ჰამენ თაფლსა, ესენი არიან შიშითა ღმრთისაჲთა და ძრწოლით და სიხარულითა სულიერითა სხენან ტაბლასა ზედა, და ლოცვაჲ მათი აღვალს, ვითარცა საკუმეველი, წინაშე ღმრთისა, ამისთჳსცა თაფლსა ჰამენ; ხოლო რომელნი ესე პურსა ჰამენ, ესენი არიან, რომელნი მადლობით მიიღებენ ღმრთისა მოცემულსა მას საზრდელსა; ხოლო რომელნი სკორესა ჰამენ, ესენი არიან, რომელნი ღრტუინვენ — ესე კეთილი არს და ესე მედგარი. არა ჰამს ესე განზრახვად, არამედ უფროჲს-და მადლობაჲ ღმრთისაჲ და გალობისა შეწირვაჲ უმჯობეს არს, რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი, რომელსა იტყუის, ვითარმედ: გინათუ ვჰამდეთ, გინათუ ვსუმიდეთ, გინათუ რასაცა ვიჰმოდით, ყოველსავე სადიდებელად ღმრთისა ვიჰმოდით]*.

32. [v] მმაჲ ვინმე მივიდა დისა თუისისა, რომელი იყო მონასტერსა შინა, რაჲთა იხილოს, რამეთუ სნეული იყო. და ეყო სარწმუნოებით და არა თავს-იღვა და აუწყა მმასა თჳსსა და ჰრქუა: ვი-

31. B:311. ¹ მოსლვაჲ B. ² + და B. ³ თითოეული C.

* კაცებში მოთაესებული ტექსტი B ნუსხაში არ აღმოჩნდა.

32. — B.

დოდე, ძმაო, და ლოცვა ყავ ჩემთვის და მადლითა შენითა გიხილო სასუფეველსა ღმრთისასა.

33. ძმამან ვინმე ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: უკუეთუ დაეცეს პონაზონი, რომელსამე იურვინ, ვითარცა წარმატებისაგან უნაკლულევანესისა¹ მიიცვალა², და შურებინ, ვიდრემდის აღდგეს. ხოლო ერისა-კაცობისაგან მომავალმან ვითარცა დასაბამსა იწყის³ წარმატებად? ხოლო ბერმან მიუგო და ჰრქუა მას: მონაზონი ცოდვილი ვითარცა სახლი დარღუეული არს, უკუეთუ განიფრთხოს გონებამან მისმან აღშენებად დაცემულისა მის სახლისა, მრავალი საკმარი 10 პოვოს, საკმარი ქვაჲ და მიწაჲ შემზადებად და აღრე წარმატებად უფროჲს მისა⁴, რომელსა იგი მოვე-არა-ეთხაროს დადებად საფუძველსა⁵, რაჲთა სრულ-ვითარ რაჲ-ყოს. ესრეთ არს მონაზონისა საქმე⁶: უკუეთუ შევარდეს და მოაქციოს, აქუს მრავალი საკმარი, წურთაჲ ფსალმუნთაჲ და კელთ-საკმარი, [128] რომელ არს სა- 15 ფუძველი. ხოლო ერის-კაცობისაგან მომავალი ვიდრე ამას ისწავებდეს, მოხუდიღე შენ პირველსავე მას წესსა.

34. თქუა ბერმან: არს კაცი, რომელი ჰჰამნ დიად¹ და კუალად შიინ-ლა² და იმარხავნ არა განძლებად. და არნ³ სხუაჲ, რომელი მცირედ ჰჰამნ და განძლებინ. ამას უმრაველსი⁴ სასყიდელი აქუნ, ვიდრე 20 არა რომელი-იგი მცირედ ჰჰამნ და განძლებინ.

35. თქუა ბერმან: უკუეთუ იცის მონაზონმან აღვილი, რომელსა აქუს წარმატებაჲ სულისაჲ, ხოლო კორცთა საკმარი შრომით, და ივლტოდის¹ მიერ, ესევითარსა მას არა ჰრწამს, უკუეთუ არს ღმერთი. 25 უკუეთუ სიძვაჲ გბრძოდის გულსა შენსა, ანუ თუ კორცთა შენთა, გან-ლა-იზრახნე, ვინაჲ მოვიდა შენდა ბრძოლაჲ იგი და აღემართე: ნუთუ ნაყროვნებისაგან ანუ ძილისაგან ანუ სიმალლისაგან, ანუ თუ ეგრე იტყუი, ვითარმედ: ყოველთა უფროჲს არს საქმე ჩემი წინაშე ღმრთისა, ანუ განიკითხავ სხუისა ცოდვათა, გარეშე ამათ- 30 სა ვერ შევალს სიძვაჲ კაცსა თანა.

33. B:311. ¹ უნაკლევანშისა B. ² მიიცვალა—B. ³ დასაბამსა იწყის] და-სამე-იწყის B. ⁴ მისსა B. ⁵ საფუძველისა B. ⁶ საქმე B.

34. B:311v. ¹ დიად B. ² შინდა B. ³ არს B. ⁴ უმრაველსი B.

35. B:311v. ¹ ივლტის B.

უკუეთუ ძმამან გითხრას გულის-სიტყუაჲ თუისი და სხუაჲ ვინმე გაფიცებდეს, [v] ვითარმედ: მიტხარ. ნუ გამოგაქუნ სიტყუაჲ იგი ძმისაჲ მის, ნუ შეშინდები ფიცისა მისგან, მის ზედავე იყავნ² ფიცი იგი.

უკუეთუ არა იყოს შენ თანა ტირილი, ცან თუ ამპარტავნები-საგან³ არს ანუ ნაყროვნებისაგან⁴. ესენი არა უტევებენ კაცსა და-ლონებად. უკუეთუ გიბოძოს ღმერთმან ტირილი, ნუ იტყუი გულსა შენსა, ვითარმედ დიდ ძალ რაჲმე არს ტირილი ესე: ნეტარ არს, რომელსა არა უქმს ტირილი. უკუეთუ იხილოს ღმერთმან გული კაცისაჲ, რომელი ზუაობნ ცრემლთა თვათა, აღილოს⁵ მისგან და მერ-მე არნ გული მისი, ვითარცა ქვაჲ ფიცხელი, და წარწყმიდის.

უკუეთუ დაეცე სიძვითა და იყოს ახლოს ადგილი იგი, რომელსა დაცემულ იყო, წარვედ ადგილისა მისგან. უკუეთუ არა, ვერ შეინანო.

უკუეთუ იხილო თუალითა შენითა ძმაჲ შენი ბრძოლასა რას-მე, თქუ: წყუღმცა ხარ, ეშმაკო, შენ ხარ ბრალეული! არა არს საქმე ეგე ძმისა მაგისი. იხილე და დაჰკაშ გული შენი. და ნუ აბრალებ ძმასა მას, უკუეთუ არა, წარვიდეს სული წმიდაჲ შენგან.

26. გუითხრობდა ბერი, ვითარმედ: ძმაჲ ვინმე იყო სკიტეს და მოსწრაფე იყო ლოცვასა ყოველთა ჟამთა. [129] ხოლო სხუისა საქმისათვის უდები¹ იყო. დღესა ერთსა მოვიდა ეშმაკი ბერისა და ჰრქუა მას: ზ საკუირველი, რამეთუ² ძმასა იმას ღლიასა ქუეშე და-უმჭირავ³ და არა განმიტევებს⁴ და ნებასა ჩემსა აღასრულებს და ყოველთა ჟამთა ეტყუის ღმერთსა: უფალო, მიქსენ მე ბოროტი-საგან.

37. იყუნეს ვინმე ორნი ძმანი მონასტერსა შინა დიდსა და ღირს იქმნეს მადლსა ხილვად ერთი-ერთისა მიმართ, რომელ აქუნდა ღმერთისა მიმართ. და იყო ოდესმე ერთი მათგანი გამოვიდა გარეშე მონასტერსა დღესა პარასკევსა და იხილა ვინმე, რომელი ჰურსა კამდა, და ჰრქუა მას: დილეულ ჰქუამა პარასკევსა? და იყო შეკრებაჲ ძმათაჲ ეკლესიად მსგავსად ჩუეულებისა. და მიხედნა მას ერთმან მან და იხილა მადლი იგი განყენებული მისგან და შე-

² იყავ B. ³ ამპარტავნებისაგან B. ⁴ † არს B. ⁵ აღილის B.
36. B:315v. ¹ უდებ B. ² რამეთუ — B. ³ დაუჭირავ B. ⁴ განმიტეობს B.
37. — B.

წუხნა ფრიად და შე-რად-ვიდეს სენაკად, ჰრქუა მას: რ[აჲ] გიქ-
 1 მნიეს, ძმაო, რამეთუ არღა ვიხილე მადლი იგი შენ ზედა, ვითარ-
 1 იგი პირველ? ხოლო მან ჰრქუა მას: არარად მიქმნიეს და არცა გუ-
 1 ლის-სიტყუად რად შემეცნობიეს თავსაჲ ჩემსა ბოროტი. ჰრქუა მას
 5 ძმამან მან: არცა სიტყუად რად არქუ ვისა? ხოლო მან მოიგსენა და
 თქუა: ვიხილე გუშინ გარეშე [მ]ონასტერსა, რომელი ჰამდა და
 ✓ ვარქუ მას ჟამი: შჰამა პარასკევსა დილეულ? [v] და ესე არს შე-
 ცოდებაჲ ჩემი. არამედ დაშუერ ჩემ თანა ორსა კუირიაკესა და ვე-
 ვედრნეთ ღმერთსა, რადთა შემინდოს მე შეცოდებაჲ იგი. და ვი-
 10 თარცა ესე ყვეს, შემდგომად ორისა კუირიაკისა მიხედნა ძმამან მან
 და იხილა მადლი იგი ძმისა მის ზედა და ნუგეშინის-ცემულ იქმნეს
 მიერთვან.

38. თქუა ბერმან: ჯერ-არს მონაზონისა, რადთა ყოველსა მწუხ-
 ✓ რსა და დილეულსა სიტყუად ყოს თავისა თუისისათუის, ვითარმედ:
 15 რად-იგი¹ უნდა ღმერთსა და არა ვყავ? და რადთა ესრეთ განიკით-
 ხო² თავი თუისი ყოველთა ჟამთა ცხოვრებისა შენისათა. რამეთუ
 ესრე³ შეჰგავს მონაზონისა. რამეთუ ესრე³ ცხოვნდებოდა⁴ ნეტარი
 მამაჲ⁵ არსენი და ისწრაფდა თავსა თუისსა წარდგინებად ქრისტესა
 20 თუინიერ ცოდვისა. ესრეთ ილოცევდ ღმრთისა მიმართ, ვითარმცა
 მახლობელად თანა-გიდგს⁶. და რამეთუ ჰეშმარიტად თანა არს, ნუ
 იყოფი სჯულის⁶-მდებელ თავით თუისით, ნუცა გან-ვის-იკითხავ,
 არამედ მიუტევე ღმერთსა, სასჯელისა შემძლებელსა. და მერმე
 თქუა: უცხო არს მონაზონისაგან ფიცი და ტყუილი გინებაჲ და გან-
 რისხებაჲ ვისთუისმე.

39. ჰრქუა ბერმან ძმასა ვისმე, ვითარმედ: ეშმაკი არს მტერი
 და შენ სახლი. და მტერი არა დასცხრების შებნევად სახლსა მას,
 რომელი-რად პოვოს [130] ყოვლისაგან არაწმიდებისა. ხოლო შენ-
 და ჯერ-ა¹, რადთა არა უდებ იყო განბნევად გარე. უკუეთუ უდებ
 იყო, აღავსოს სასახლე² იგი შენი ყოვლითა არაწმიდებითა და ვერ-
 35 ლარა შეუძლო შესლვად მას შინა, არამედ პირველი პირველვე გა-
 ნაბნიე მცირე-მცირედ, რადთა იყოს სახლი იგი წმიდა მადლითა
 ღმრთისადათა.

38. B:312. ¹ იგი — B. ² განიკითხოს C. ³ ესრეთ B. ⁴ ცხოვნდებოდა B. ⁵ მამა — B. ⁶ გითქს B. ⁶ სჯულის B.

39. B:312. ¹ ჯერ-არს B. ² სახლი B.

40. ორნი ვინმე ძმანი შეიბყრნეს და მიჰყვანდეს მარტული-
ბად. და აქუნდა გულის-კლებაჲ ერთი-ერთისა მიმართ. და ვითარ-
ცა ტანჯნეს იგინი და შესხნეს საპყრობილესა, ერთი იგი ძმაჲ
ევ[ე]ლდრებოდა მოყუასსა თვისსა და ჰრქუა მას: ძმაო, ხვალე სიკუ-
დილი შეგუხუდების. ჩუენ განვჰქსნეთ თავით თვისით მწუხარებაჲ 5
იგი, რომელი გაქუს ჩემდა მომართ. ხოლო მან არა ისმინა. და მოი-
ყვანნეს იგინი და ტანჯნეს. ხოლო რომელმან არა შეიწყინარა ვედრე-
ბაჲ ძმისაჲ მის, ვითარცა იწყეს მისა ტანჯვად, მეყსეულად იძლია.
მიუგო მსაჯულმან მან და ჰრქუა მას: რაჲსათვის გუშინ იტანჯე და
არა მერჩიდი მე? ხოლო მან ჰრქუა მას, რამეთუ: ძმისა ჩემისა მი- 10
მართ მაქუნდა ძუირის-ჰსენებაჲ და ამისთვის დამაკლო მე ღმერ-
თმან ნუგეშინის-ცემაჲ მისი.

41. იყო ოდესმე დღესასწაული სენაკებს [v] და ჰამდეს ძმანი
ეკლესიას. და იყო მუნ ძმაჲ, რომელმან ჰრქუა ზემდგომელსა: არა
ვჰამ წუენსა, არამედ მომართ[უ] მცირედ მარილი. და უწოდა მსა- 15
სურმან წინაშე ყოველთა მოყუასსა და ჰრქუა: ძმაჲ ვინმე არა ჰამს
წუენსა, მოართუ მას მარილი.

42. აღ-ვინმე-დგა ერთი ბერთაგანი და ჰრქუა მას: უმჯობეს
იყო შენდა დღეს სენაკსა შინა ჰამაჲ ჯორცისაჲ, ვიდრე-ლა არა-
სმენაჲ სიტყუისაჲ ამის წინაშე ყოველსა ერსა*. 20

43. გულის-სიტყუათათვის მწინკულევანთა ჰკითხა ვინმე ძმამან
ბერსა. ხოლო ბერმან ჰრქუა მას: მე არასადა ბრძოლილ ვარ ამას
საქმესა. ხოლო ძმაჲ იგი დაჰბრკოლდა ამას ზედა და მივიდა სხუი-
სა ვისამე ბერისა და უთხრა მას ესე ყოველი. ჰრქუა მას: მი-ვისამე-
ვედ კითხვად და დამაბრკოლა მე, რამეთუ უფროჲს ბუნებისა იტ- 25
ყოდა. ხოლო ბერმან ჰრქუა მას: აჰა ეგერა გრქუა შენ კაცმან
ღმრთისამან, არამედ აღდეგ და მივედ მისა და შეუვრდი მას, რაჲ-
თა გითხრას შენ ძალი იგი სიტყუისაჲ მის. და მივიდა ძმაჲ იგი
ბერისა მის კუალად და შეუვრდა ფერჯთა მისთა და ჰრქუა მას: შე- 30
მინდევ მე, მამაო, რამეთუ უცნობელად ვყავ და უკითხვად წარ-
ვედ. არამედ გევედრები შენ, გამოშითარგმანე მე სიტყუაჲ იგო,
[131] რომელ არასადა იბრძოლე სიძვისაგან. ჰრქუა მას ბერმან:

40. — B. 41. — B. 42. — B. * 41-ე და 42-ე თხრობები ერთმანეთის გა-
გრძელებას წარმოადგენს.

43. — B.

18. შუა საუკუნეთა ნოველები...

- ✓ ვინაიდან ვიქმენ მონაზონ, არასადა განვქელ პურითა, არცა წყლი-
თა და კსენებაა ამისი მაურვებს მე ფრიად. და არა მიტევებენ მე
2 ზიხედვად საქმესა მაგას, რომლისათვის-ეგე შენ მე მკითხავ. ხოლო
5 ძმასა მას სარგებელ ეყო სიტყუაჲ იგი და წარვიდა და აღეშენა
ფრიად.

44. ბერი ვინმე იყო სკიტეს და შევარდა უძლურებასა დიდსა.
და ძმანი ჰმსახურებდეს მას. და ხედვიდა ბერი იგი, რამეთუ შუ-
რებიან მისთვის, და იტყოდა: წარვიდე ეგუიპტეს, რამეთუ დავჰქსნი
ძმათა და ვაურვებ მათ. ჰრქუა მას ნეტარმან მოსე: ნუ წარხუალ,
10 რადთა არა დაეცე სიძვითა. ხოლო იგი შეწუნხნა ამას ზედა და ჰრქუა:
მოწყდეს კორკნი ჩემნი და შენ ვითარ მეტყუი ამას? და ვითარცა
წარვიდა ეგუიპტედ, ესმა კაცთა და მოართუმიდეს საკმარსა ფრიად.
მოვიდა ვინმე ქალწული და ჰმსახურებდა მას სარწმუნოებით. და
✓ შემდგომად მცირედისა ჟამისა, ვითარცა განმრთელდა უძრულეზი-
15 სა მისგან, დაეცა იგი ქალწულისა მის თანა. და ვითარცა იხილეს
კაცთა მათ ქალწული იგი მიდგომილ იყო, ჰკითხვიდეს მას და ეტ-
ყოდეს: ვინაჲ არს საქმე ესე? ხოლო მან ჰრქუა მათ, [v] ვითარ-
ზედ: ბერმან ყო ეგე ჩემ თანა. ხოლო მათ არა ჰრწმენა მისი. ხოლო
ბერმან ჰრქუა მათ: მე ვარ, რომელმან საქმე ეგე ვყავ, არამედ დაჰ-
10 მარხეთ ყრმაჲ ეგე, რომელ იშვეს. და რაჟამს სძესა განეყენა ყრმაჲ
იგი, და დღესასწაულისა ყოფასა სკიტეს ჩავიდა ბერი იგი, და აქუნ-
და ყრმაჲ იგი მკართა თვისთა ზედა, და შევიდა ეკლესიად წინაშე
✓ ყოვლისა მის ერისა და იტყოდა: იხილეთ ყრმაჲ ესე, რამეთუ შვი-
ლი ურჩებისაჲ არს ესე, ეკრძაღენით უკუე, ძმანო, რამეთუ სიბე-
25 რესა ჩემსა ესე ვყავ, არამედ ლოცვა ყავთ ჩემთვის! და წარვიდა
სენაკად თუისად და იწყო დასაბამი პირველისა შრომისა თუისისაჲ.

45. თქუა ბერმან: უპატიოება არს მონაზონისა სასჯელსა მის-
ლვაჲ! მოსაჯულისა თანა. და კუალად თქუა²: ადგილსა, რომელსა
✓ იყოს მონაზონი, დაცადოს კეთილისა რაჲსამე საქმე და ვერ წარი-
30 მართოს, ნუ ჰკონებნ, თუ³ სხუად ვიდრემე წარვიდეს და შეუძლოს
წარმატებად.

44. — B.

45. B:312. ¹მისილვაჲ საშქლად B. ²+ ვითარმედ B. ³ უკუეთუ B.

46. იყო ვინმე მონაზონი, კაცი ღმრთის-მოშიშო, რომელსა აქუნდა დიდი განკითხვაჲ. და მოჰვლიდა სენაკებსა, რაჲთამცა დაჴ- და მახლობელად ვისამე, და არა პოვა სენაკი.

47. იყო ვინმე ბერი, რომელსა აქუნდა სენაკი... [132]... არა- რაჲ ჰრქუთა, რომლისათვის-იგი მიგავლინე შენ მისა? ხოლო მან 5
ჰრქუა მას: არარაჲ. და განიზარა მას ზედა ფრიად. და მიიყვანა ბე- რი იგი სენაკად თუისად და განუს[უ]ენა მას. და ცნა, რამეთუ ეშ- ზაკისაგან იყო საქმე იგი შურობისაჲ. და შეუვრდა ბერი მოწაფე- სსა თვისსა და ჰრქუა მას: ამიერითგან შენ ხარ მამაჲ ჩემი, ხოლო მე 10
მოწაფე შენი. რამეთუ საქმეთა შენთაგან ღმრთისა მიერ აცხოვენე სული ჩემი.

48. ძმამან ვინმე ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: გულის-სიტყუანი ჩემნი მიმოიტაცებინ და ვიუტვი და არა უწყვი, თუ რაჲ ვყო. ჰრქუა მას ბერმან: ჯედ სენაკსა შინა შენსა და ივინი კულადვე მოიქცინ, 15
ვითარცა-იგი ვირი, რაჲჲმს დაბმულ არნ და კიცუი მისი რბინ და ჰკრთებინ აქა და იქი, და ვიდრეცა წარვიდის, კულად დედისავე თუისისა მოაქციის. ეგრეცა გულის-სიტყუანი, რამეთუ რომელი- იგი ღმრთისათვის დადგრომილ იყოს სენაკსა შინა თუისსა, დაღა- თუ განიზინენ მცირედ ჟამ, კულადცა შეკრბენვე.

49. იყო ვინმე ბერი, დაყუდებული სენაკსა შინა ალექსან- 20
დრიას, ადგილსა, რომელსა ჰრქუთან ირიმიგა¹. და იყო ბერი იგი ფრიად შფოთი და სულ-მოკლე. და ესმა ვისმე ჰაბუქსა ძმასა ბე- რისაჲ მის და ევედრებოდა ღმერთსა და იტყოდა: უფალო, რომე- ლი ცოდვაჲ მიქმნიეს წინაშე შენსა, ამისთვის [v] მივიდე და ვი- ყოფოდი² მის თანა და ვჰმსახურო³ ბერსა მას და განუსუენო. და 25
აღდგა და მივიდა ბერისა მის თანა. ავინებდა მას ბერი იგი ყოველ- თა ჟამთა, ვითარცა ძაღლსა. იხილა ღმერთმან სიმდაბლე და მორ- ჩილობაჲ⁴ ძმისაჲ მის. ექუსი წელი აღასრულა ბერისა მის თანა. იხილა ძმამან მან ხილვასა შინა საშინელი ვინმე და აქუნდა ჰელთა მისთა დიდი ჰარტაჲ და უჩუენა მას ნახევარი აკოცილი და ნახევა- 30

46. — B. 47. — B.

48. B:312. ¹ თუისსა — B.

49. B:315v. ¹ ითიმიგა B. ² ვიყოფი B. ³ ვმსახურებდე B. ⁴ მორჩილობაჲ მოთმინებაჲ B.

რი წერილი და ეტყოდა ძმასა მას: აჰა ესერა⁵ რომელი ზედა გედვა, ატოცა ნახევარი უფალმან. აწ ისწრაფე მისთუისცა.

✓ იყო ვინმე ბერი სულიერი მახლობელად მათსა და ესმოდა ყო-
 5 ლანდვე⁶ სულ-მოკლებამ⁷ ბერისაჲ მის და გინებამ ძმისა მის მი-
 მართ, და⁸ ვითარ იგი ყოლად შეუვრდებინ ფერკთა და ბერი იგი
 არა შეიწყნარებნ. და ოდეს შეემთხუის⁹ ბერი იგი, მახლობელი მა-
 თი, ჰკითხავნ მას: რაჲ არს, შვილო? ვითარ გარდაჲდა დღე ესე შე-
 ნი, შვილო?¹⁰ არაჲ ჰკოცეა ქარტისა მისგან მცირედიცა? და ცნა
 10 ძმამან მან ბერისაჲ მის, რამეთუ სულიერი არს და არარაჲ დაუ-
 ფარის მას. მიუვის¹¹ და ეტყოდის¹²: მამაო, შევიძინე მცირედ. და
 ოდეს უცალო არნ ბერი იგი მისი, და ვერ აგინის, არცა ჰნერწყუის
 სადა და არცა გარე განაძის, [133] მივიდის ბერისა მის სულიერისა
 ღამე და¹³ ტირნ და ეტყუნ¹⁴ ძმაჲ იგი: ვაჲმე, გარდაჲდა დღე ესე
 და ვერარაჲ¹⁵ შევიძინე. და სხუასა მეექუსესა წელსა დაიძინა ძმამან
 15 მან. და იხილა ბერმან სულიერმან, რამეთუ იყო იგი მარტულითა
 თანა და დიდითა კანდიერებითა ევედრებოდა ღმერთსა და ეტყო-
 და: უფალო, ვითარცა მე შემიწყალე, მისითა შეიწყალე იგიცა, რა-
 მეთუ კაცთ-მოყუარე ხარ და მოწყალე¹⁶. და მეორემოცესა დღესა
 წარიყვანა ბერიცა იგი ადგილსა განსასუენებელსა. იხილეთ, ვითარ
 20 კანდიერ არიან, რომელთა ქრისტესთუის მწუხარებამ დაითმინეს¹⁷.

50. ბერი ვინმე ჯდა უდაბნოსა გარე, შორს. და მო-ვინმე-ვიდა
 მისა ძმათაგანი და პოა¹ იგი უძღური და მოილო წყალი და დაჰბან-
 ნა ფერკნი. და რომელი მოელო მას საკმარი, უქმნა მისგანი მცი-
 რედ წუენი და დაუგო მან ბერსა. ხოლო ბერმან ჰრქუა მას: ძმაო,
 25 დავიწყებით დამავიწყდა, უკუეთუ აქუნდეს კაცთა ესეთი განსუენ-
 ნებამ. და მოართუა სასუმელი ერთი ღუინოჲ. იხილა რაჲ იგი ბერ-
 მან, ტიროდა და თქუა, რამეთუ: არა მოველოდე დღედმდე სიკუ-
 დილისა ჩემისა სუმად ღუინისა. და დაადგრა ბერი² ორმოც დღე
 და არა სუა. ოდეს იყო სიცხე ძლიერი, განრცხა სარწყული და აღავ-
 30 სო წყლითა და დაჰკიდა მახლობელად მისა. [v] ჰკითხეს ძმათა და
 ჰრქუეს: რომლისა სახისათჳს ჰყავ ესე? ხოლო მან ჰრქუა მათ: რა-

⁵ ესერა] კალი B. ⁶ ყოლად B. ⁷ + იგი B. ⁸ და — B. ⁹ შეემთხუს B. ¹⁰ შეი-
 ლო — B. ¹¹ მიუკო B. ¹² ეტყოდა B. ¹³ და — B. ¹⁴ იტყვნ B. ¹⁵ ვერაჲ B. ¹⁶ და
 მოწყალე — B. ¹⁷ დაითმინან B.

მა წყურბილსა ჩემსა უფროდსი შრომაჲ ვყო და უფროდსი სასყიდელი მოვილო ღმრთისა მიერ.

51. თქუა ბერმან: ნუ დასდგამ ტაბლასა უწინარეს ჟამისა, მარტოა¹ რაჲ იყო. და ნუ ჰზრახავ² პირველ კითხვამდე შენდა. და უკუეთუ ვინმე გკითხოს, თქუ, რომელი ჯერ-იყოს, და ნუ იტყუი უჯეროსა წარმდებალ³.

52. გულის-სიტყუათათვის სიძვისათა ჰკითხა ვინმე ძმამან მამათაგანსა ვისმე¹. ხოლო მან ჰრქუა მას: ესე უღბობისაგან შეგემთხუევის. უკუეთუმცა გურწმენა, ვითარმედ ღმერთი დამკუიდრებულ არს ჩუენ თანა, არამცა კურკელი სხუისაჲ შევიწყნარეთ ჩუენ შორის, რამეთუ უფალი იესუ ქრისტე დამკუიდრებულ არს ჩუენ შორის და თანა არს და ხედავს ჩუენსა ცხორებასა, ვინაჲცა ჩუენ გუმოსიეს იგი და ვხედავთ, უღბობაჲ არა შეგუთავს, არამედ წმიდად ყოფაჲ თავთა თუისთაჲ, ვითარცა-იგი წმიდა არს.

53. ძმაჲ ვინმე იყო, რომელსა აქუნდა ბრძოლაჲ სიძვისაჲ. და მივიდა ვისამე დიდისა ბერისა კითხვად. ევედრებოდა მას და ეტყოდა: ყავ ჩემთვის ლოცვაჲ, მამაო, რამეთუ მაურგებს მე სული სიძვისაჲ. ხოლო ბერი ევედრებოდა მისთვის ღმერთსა¹. და კუალად მეორედ მივიდა ბერისა და იგივე სიტყუაჲ ჰრქუა. [134] ხოლო ბერმან არა უგულეებელს-ყო ღმრთისა მიმართ ვედრებაჲ მისთვის და თქუა: უფალო, გამომიცხადე მე ჯდობაჲ ძმისაჲ მის და ვინაჲ არს საქმე ესე, რამეთუ გვეედრები შენ და არლა² ეპოა მას განსუენებაჲ. და გამოუცხადა მას ღმერთმან. და იხილა იგი ბერმან მჯდომარე და სული სიძვისაჲ მანლობელად მისა. და იგი ჰზრახვიდა³ მას და ანგელოზი უფლისაჲ დგა მოვლინებული შემწედ მისა. და განრისხნებოდა ძმაჲ იგი მისი, რამეთუ არა მიუგდო თავი თუისი ღმერთსა, არამედ გულის-თქუმასა ყოლადვე გონებასა თუისა თანა მიადევნებდა. და ცნა ბერმან, ვითარმედ ბრალი იგი მისი მისგან არს. და უთხრა მას და ჰრქუა, რამეთუ⁴: შენ ხარ, რომელი მიაცვანებ გონებასა შენსა. და ასწავა მას, ვითარ წინა-აღუდგეს გულის-სიტყუასა მას. და განიფრთხო ძმამან მან სწავლითა და ლოცვითა ბერისაჲთა და პოვა განსუენებაჲ.

51. B:312v. ¹ მარხვაჲ C. ² ზრახავ B. ³ და... წარმდებალ — B.

52. B:312 v. ¹ ვისმე — B.

53. B:312v. ¹ ღმერთსა მისთვის B. ² არლარა B. ³ ზრახვიდა B. ⁴ რამეთუ] ვითარმედ

54. ძმაჲ ვინმე იყო მონასტერსა შინა დაყუდებულად და ზე-
დაჲსზედა აღიძრვოდა რისხვად. და თქუა თავით თვისით: წარვიდე
და დავჯდე მარტოჲ. რაჲთა არავის აქუნდეს ძუირი და გულის-
წყრომაჲ დასცხრეს ჩემგან და ვნებაჲ. და ვითარცა გამოვიდა მიერ,
5 დაჯდა მარტოჲ ქუაბსა შინა. დღესა შინა ერთსა მოილო სარწყული
და ალავსო წყლითა და დადგა ქუეყანასა და მყის დაიმჭუა. მოილო
იგი და ალავსო [V] მეორედ და კუალად დაიმჭუა. და ალავსო მესა-
მედ და ეგრევე დაიმჭუა. და განრისხნა და დასცა ქუეყანასა და შე-
მუსრა იგი. და ვითარცა მოიგონა და ცნა, რამეთუ მოიკიცხა იგი
10 ეშმაკისაგან და თქუა: აჰა ესერა მარტოჲცა-ღა ხარ, იძლევი-ვე,
არამედ მიიქექ კუალად სენაკადვე და მონასტრად, რამეთუ სადავე
მოთმინებაჲ კამს და შრომაჲ, და ღმრთისა მიერ არს შეწყვენაჲ. და
აღდგა და მოიქცა თუისსავე ადგილსა.

55. იტყოდა ბერი, ვითარმედ: მივიდა ეშმაკი და ჰრეკა კარსა
15 მონასტრისასა. და მივიდა ყრმაჲ მიცემად პურისა. და იხილა რაჲ
იგი ეშმაკმან, თქუა: უკუეთუ შენ აჰა ხარ, მე არღარა ვკამ აჰა. და
თქუეს რომელთამე მამათაგანთა, ვითარმედ არა მოიყვანა ღმერთ-
მან ყრმაჲ უდაბნოდ, გარნა ეშმაკმან, რაჲთა დაარღუინეს იგინი,
რომელთა ჰნებაჲს ღმრთის-მსახურებით ცხორებაჲ.

56. მონაზონი ვინმე იყოფოდა მარტოჲ უდაბნოსა ზედა. შეკ-
რძალულ იყო იგი კეთილად მარხვითა და ლოცვითა და მღუიძარე-
ბითა. და მრავალთა სთნდა სათნოებაჲ მისი და აღიდებდეს ღმერ-
ქსა მისთუის. და იყუნეს ვინმე დედანი ქალაქსა შინა. და ერთსა
მათგანსა შეუქდა ეშმაკი და ჰრქუა მოყუასთა თვისთა: რაჲ მომცეთ,
25 უკუეთუ მე განვიდე [135] და გარდამოვაგდო განშორებული იგი
მონაზონი? და განვიდა იგი მათგან უდაბნოდ. და ვითარ დაღამდე-
ბოდა, მიადგა კარსა მონაზონსა მას, ტიროდა და ეტყოდა: შეცთო-
მილ ვარ მე უდაბნოსა ამას და ვერ განვიგებ, შემიწყალე მე და შე-
მიტევე შინაგან ეზოსა ღამესა ამას, რაჲთა არა მკეცთა შემკამონ
30 მე გარეშე, და შენდა დიდი ცოდვაჲ იყოს. ხოლო მონაზონმან მან,
ვითარ ისმინა ესე, შეეშინა და შეუტევა იგი ეზოსა. და იგი შევი-
და სენაკსა თვისსა და გამოჰკჷმა კარი. და მიადგა დედაკაცი იგი, ტი-
როდა და ეტყოდა: რაჲ სარგებელ არს შენი ეგე მონაზონებაჲ, აწ
შთამომიქდენ მე მკეცნი და შემკამონ და წარგიწყმდენ შრომანი

შენნი. და ვითარ შეაურვა ფრიად, თქუა მონაზონმან მან: განსაც-
დელი არს ესე ღიღი. და შეუტევა იგი შინაგანსა სახლსა. და დაჯ-
და ერთგან დედაკაცი იგი, ხოლო მონაზონსა მას შეუტდა ეშმაკი გუ-
ლის-თქმითა და თქუა მონაზონმან მან: გულის-თქმამა სიძვისაჲ და-
მაბნელებელი არს და სულისა წარმწყემდელი. ხოლო სიძე იგი ზე-
ცისაჲ ქრისტე ნათელ და ცხორება არს სულისა. და აღანთო სანთე-
ლი და მიუპყრნა თითნი თვისნი და თქუა: აქავე გამოიცადე თავი შე-
ნი, უკუეთუ შემძლებელ ხარ დათმენად [v] ცეცხლსა მას შინა საუ-
კუნესა. და დაიწუნა თითნი თვისნი ყოლადვე და თქუა: ესე გკირდინ
და ნუ გულის-თქუამა ბოროტი. ხოლო დედაკაცი იგი ხედვიდა ყო-
ველსა მას, შეძრწუნდა და მოკუდა. და ვითარცა განთენდა, მოვი-
დეს ხილვად მოყუასნი მისნი. ჰგონებდეს ხილვად და ყოფად, რაჲ-
იგი თქუა. და ჰრეკეს კარსა მონაზუნისასა და ჰრქუეს მას: დაჲ ჩუე-
ნი შესცთა უდაბნოსა ამას და არა ვიციოთ, თუ მკეცთა შექამეს სა-
და-იგი. ჰრქუა მათ მონაზონმან მან: ესერა შინა არს მტერი იგი და
ასული ეშმაკისაჲ. და არა იცოდა მან, რამეთუ მომკუდარ არს იგი.
და შევიდეს მოყუასნი იგი მისნი და იხილეს, რამეთუ მომკუდარ
იყო და ჰრქუეს: მამაო, ესე მომკუდარ არს. ხოლო მონაზონსა მას
დაუეუირდა ფრიად და უთხრა ყოველი იგი, რაჲცა ყო მან. და დე-
დათა მათ შეინანეს და აღიარეს ყოველი იგი, რაჲცა-რაჲ ზრახეს
მისთვის ბოროტი. და თქუა მონაზონმან მან, რამეთუ წერილ არს:
„ნუ მიაგებთ ბოროტსა ბოროტისა წილ, არამედ უფროდსა ულო-
ცვედით მტერთა თქუენთა“*. და აღიპყრნა კელნი და ილოცა მის-
თუის ღმრთისა მიმართ. და მეყსეულად აღდგა მკუდარი იგი. და
მისცა მოყუასთავე. და დედათა მათ ვითარცა იხილეს ესე, შეძრ-
წუნდეს ფრიად [136] და დაუერდეს მას და ევედრებოდეს: ლოცვა
ყავ ჩუენთვის, რაჲთა მოგუიტევენეს ჩუენ ღმერთმან შეცოდებანი
ჩუენნი. და აღდგეს და წარვიდეს იგინი და იქმნეს ღმრთის-მსახურ.
ხოლო მონაზონი იგი თვისსავე კანონსა აღაგებდა და სიხარულით
აღიდებდა ღმერთსა და ჰმადლობდა ყოველთა მათ საქმეთათვის.

5
10
15
20
25
30

57. გუითხრობდა ვინმე ბერთაგანი თებელი და თქუა, რამეთუ:
მე ძე ვიყავ მღღელისა წარმართისაჲ. მცირე ვიყავ და ვჯედ საკერ-
პოსა მას შინა და ვიხილე, რამეთუ მამამა ჩემი მრავალგზის შევი-
დის კერპთა გებად. ღღესა ერთსა შევედ ფარულად უკუანა მამისა
ჩემისა და ვიხილე ეშმაკი მჯდომარე და ყოველნი ერნი ღგეს წი-

35

57. — B.
* I თეს. 5, 15.

- ✓ ნაშე მისა, და აჰა ესერა ერთი მთავართა მისთავანი მოვიდა და თა-
ყუანის-სცა მას. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მას: ვინაჲ მოხუალ?
ხოლო მან ჰრქუა მას: სოფელსა, რომელსა მე ვიყავ და აღვადგინე
ბრძოლად და შფოთი დიდი და სისხლისა დათხევად ვქმენ, და მო-
5 ვედ თხრობად შენდა. ჰრქუა მას: რავდენსა ჟამსა ჰქმენ ესე? ხოლო
მან ჰრქუა: ოცდაათსა დღესა. და უბრძანა გუემამ მისი და ჰრქუა
მას: ესეოდენსა ჟამსა ესე ხოლო ჰქმენა? და აჰა, კუალად სხუად
მოვიდა და თაყუანის-სცა მას. და მან ჰრქუა: და შენ ვინაჲ მოხუალ?
და მან ჰრქუა მას: [V] მე ზღუასა შინა ვიყავ და აღვადგინე ლელ-
10 ვად და დავანთქენ ნავნი და მრავალნი სულნი წარვწყმიდენ და მო-
ვედ თხრობად შენდა. ხოლო მან ჰრქუა მას: რავდენსა ჟამსა ჰყავ
ესე? ხოლო მან ჰრქუა: ოცსა დღესა. და უბრძანა გუემამ მისი და
ჰრქუა: რახსათვს ესოდენთა დღეთა ესე ხოლო ჰქმენ? და აჰა ესე-
რა მესამე მოვიდა და თაყუანის სცა მას. და მან ჰრქუა: შენ ვინაჲ
15 მოხუალ? და მან ჰრქუა: ქალაქსა შინა ქორწილი იყო და აღვადგი-
ნე ბრძოლად და სისხლისა დათხევად დიდი ვყავ შორის სიძისა და
სძლისა და მოვედ თხრობად შენდა. ჰრქუა მას: რავდენსა ჟამსა
ჰქმენ ესე? ხოლო მან ჰრქუა: ათსა დღესა. და უბრძანა მისიცა
გუემამ დაყოვნებისა მისთუის. და აჰა კუალად მოვიდა სხუად და თა-
20 ყუანის-სცა მას. და მან ჰრქუა: შენ ვინაჲ მოხუალ? და მან ჰრქუა:
უდაბნოს გარე ვიყავ, ესე ორმეოცი წელი არს, ვჰბრძოდე მონა-
ზონსა ვისმე და ამას ღამესა დავეც იგი სიძვითა. და ვითარცა ესმა
ესე მთავარსა მას, მეყსეულად აღდგა და ამბორს-უყო და აღიჭადა
გუირგუინი და დაადგა მას და დაისუა იგი საყდართა და ჰრქუა მას.
25 რამეთუ: დიდსა საქმესა შემძლებელ იქმენ აღსრულებად. ხოლო
მე ესე რაჲ მესმა, ვთქუ თავით თუისით: [137] უკუეთუ ესრეთ
✓ დიდად არს წესი მონაზონებისაჲ, და ღმერთმან ჭერ-იჩინა ცხორე-
ბაჲ ჩემი. და გამოვედ მიერ და ვიქმენ მონაზონ.

- აგ. იყო ერთი ვინმე მამათავანი და ესუა მას ძმად ერისავანი.
30 და მოკუდა და დაუტევა ძე სამისა წლისაჲ. და მივიდა ბერი იგი
და წარმოიყვანა ყრმად იგი უდაბნოდ. და ჭამდა იგი მის თანა დანა-
კისკუდსა და მხალსა. და ვინაჲთვან განიყვანა უდაბნოდ, არასადა-
იხილა პირი კაცისაჲ, გარნა მამის-ძმისა თუისისაჲ¹, და არცა დედა-
კაცისაჲ, და არცა იცოდა² სოფელი, და არცა ეხილვა გემოჲ პური-
35 საჲ. და არცა იცოდა, თუ სოფელსა ამას ვითარ ცხოვნდებინა³ კაც-

ნი. და მამის-ძმისა მისისა თანა ფსალმუნებდა და ილოცვიდა და იმარხვიდა. და ცხოვნდა⁴ ათურამეტ წელ. და ამისა⁵ შემდგომად გარდაიცვალა და დაჰმარხა იგი ბერმან. და ამისა შემდგომად ილოცა ბერმან ღმრთისა მიმართ, რაჟთა უჩუენოს, თუ სადა მივიდა ყრმაჲ იგი და თუ შეერთო რიცხუსა წმიდათასა. და უჩუენა ძილსა შინა: იხილა ყრმაჲ იგი აღვილსა მყარალსა და ურვილსა⁶ და ურვასა შინა⁷ დიდსა. და ვითარცა განელუიძა ბერსა, დადგა და ესჯოდა⁸ ღმერთსა და ეტყოდა: უფალო, რაჲ არს ესე უსამართლოჲ, ანუ ყრმაჲ არა უბიწოჲ იყო? არა გმსახურებდა⁹ დღითი-დღედ?¹⁰ [V] არა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა იმარხვიდაა? და ვიდრე ამას ეტყოდა ბერი იგი ღმერთსა, ანგელოზი უფლისაჲ იხილა მის თანა მდგომარე და ჰრქუა მას: ბერო კეთილო, მართლი¹¹ ეგრე არს, გესწავა ყრმისა მისდა¹² მარხვაჲ და სიწმიდე და წესი, რაჲსათუის არა ასწავე სიმდაბლე? ამან მიიყვანა იგი აღვილსა ურვილსა და მყარალსა. ჰგონებდა თავსა თუისსა, ვითარმედ დიდი კაცი არს და წმიდაჲ. გარნა უწყოდე, ვითარმედ¹³ არა არს ღმრთისა თანა უსამართლოებაჲ¹⁴, რამეთუ წერილ არს: „საძულელ არს წინაშე ღმრთისა ყოველი კაცი გულითა მალალი“, ხოლო ბერი იგი ყოლადე ტიროდა წარწყმედასა ზედა მის ყრმისასა.

[137v] დაუფავალთა დიდთა ხართა ათორმეტიამ^{**}

1. დაყუდებულნი ვინმე დიდნი ბერნი ათორმეტნი¹ წმიდანი შეკრბეს ურთიერთას, და... ვითარ წარჰმართა თუითეულმან მათგანმან სათნოებაჲ სენაკსა შინა თქსსა, ანუ რომელი მარხვაჲ აქუნდა სულიერი. თქუა პირველმან, რომელიცა-იგი უბუცესი იყო მათ შორის: მე, ძმანო, ვინაჲთგან ვიწყე დაყუდებად, ყოლადე თავი ჩემი ჯუარს-ვაცუ გარეშეთავან საქმეთა. მოვიკსენე წერილი იგი, რომელსა იტყუის: „განვხეთქნეთ აჰაურნი მათნი და განვაგლოთ ჩუენგან უღელი მათი“^{***}, ვითარცა ზღუდე ვარემო-ვედგ შორის სულსა [123] და^{****} კორციელთა საქმეთა. და ვთქუ გონებასა ჩემსა: ვითარ-

¹ ცხოხდა B. ² ამი — B. ³ ურვილსა] ანა ჯამა B. ⁴ შინა — B. ⁵ ვერცოდა B. ⁶ გმსახურებდა B. ⁷ დღით და ღამით B. ⁸ მართლ — C. ⁹ შინა B. ¹⁰ ვითარმედ] რამეთუ B. ¹¹ უსამართლოჲ B.

* შდრ. ლუკა 16, 15.

** ეს თავი B ნუსხაში არ არის. ¹ ათურმეტნი C.

*** ფს. 2, 3.

**** ხელნაწერში საკითხავები არეული იყო. ისინი ჩვენ თანმიმდევრობით დავლაგეთ, რის გამოც ტექსტში ხელნაწერის გვერდების მიმდევრობა დარღვეულია.

ცა-იგი ზღუდესა გარეშე არა ხედავენ მდგომარესა შინაგანი იგი, ეგრეცა შენ ნუ გინებნ გარეშეთა საქმეთა, არამედ თავსა შენსა ეკრძაღე და მოელოდე ხილვად დღითი-დღე ქალაქსა მას ღმრთისასა. ეგრე შემირახციან გულის-სიტყუანი ბოროტნი, ვითარცა გუ⁵ელნი და ნაშობნი იქედნესანი. და რაჟამს ვიხილნე იგინი, გულსა ჩემსა აღმოცენებულნი, მივხედნი მათ თქუმიით და რისხვით განვაკმნი იგინი. და არასადა დავსცხრი შერისხვად კორცთა ჩემთა და სულსა ჩემსა, რაჟათა არა უჯეროსა რასმე იქმოდის.

2. თქუა მეორემან: მე ვარქუ თავსა ჩემსა, ვინაჲთგან ვიჭმენ 10 სოფლისაგან და ვიქმენ მონაზონ, რამეთუ დღეს იშევ და დღეს იწყე მონაზონებად და მონებად უფლისა, დღეს აქა მწირობად იწყე და ესრეთ იყავ დღითი-დღედ, ვითარცა უცხოჲ და ხვალე წარმაველი. და ამას თავით ჩემით დღითი-დღე განვიზრახვედ.

3. თქუა მესამემან: მე განთიად აღვიდი წინაშე ღმრთისა ჩემისა და თაყუანის-ვსცი მას და დავგადი თავი ჩემი წინაშე მისა და აღუვარებდი მას შეცოდებათა ჩემთა. და კუალად გარდამოვკდი და თაყუანის-ვსცი წმიდათა ანგელოზთა ღმრთისათა. [V] და ვევედრო მათ, რაჟათა მეოხ იყუნენ ღმრთისა მიმართ ჩემთვის და ყოვლისათუის დაბადებულისა. და რაჟამს აღვასრულო, შთავკდე მე უფს- 20 კრულად და, ვითა ჰურიათა ყვიან იჭრუსალემსა ზედა გოდებაჲ და დაიპიან სამოსელი მათი, ცრემლოვედ და იგლოვენ მოოკრებისათუის, ეგრეცა მე მიმოვალ სატანჯველთა და ვხედავ ასოთა ჩემთა ტანჯვასა შინა და ვტიროდი მტირალთა თანა.

4. თქუა მეოთხემან: მე ეგრე ვარ, ვითარცა მთასა ზეთის 25 ხილთასა მკდომარე უფალი მოწაფეთა მისთა თანა, და ვეტყუი თავსა ჩემსა: ამიერითგან ნულარავინ იცი კორციელად, არამედ ამათ თანა იყავ მარადის. შურსა მათსა და ცხორებასა მათსა ემსგავსე, ვითარცა ნეტარი მარიამ, მკდომარე ფერკთა თანა იესოისთა, რომელი ისმენდა სიტყუაჲთა მისთა. და მოვიკსენებდ წერილთა 30 მათ, რომელთა იტყუის: „წმიდა იყვენით, რამეთუ მე წმიდა ვარ: და იყვენით სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს; და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშუიდ ვარ და მდაბალ გულითა“*.

თქუა მეხუთემან: მე ანგელოზთა ვხედავ ყოველსა ჟამსა, აღმავალთა და გარდამომავალთა წოდებად სულთა. და მარადის

* მათე 11, 29.

წყალობასა ჩემსა მოველი და ვიტყუი: განმზადებულ არს გული ჩემი შენდამი, ღმერთო.

6. [138] თქუა მეექუსემან: მე დღითი-ღღედ ვჰგონებ სიტყუასა მას სმენად ღმრთისა: იქმოდე ჩემთვის და მე განგისუენო ჟქუენ, იღუაწეთ მცირედლა და იხილეთ მაცხოარებაჲ ჩემი. უკუეთუ გიყუარდე მე, შვილნი ჩემნი იყუნეთ. ვითარცა ვედრებისა მათისაგან შეიკდიმეთ და გულის-კმა ყავთ, რამეთუ მრავალი დავით-მინე მე თქუენტვს. იტყუის უფალი: უკუეთუ ცხოვარნი ხართ, ის-მინეთ კმაჲ მწყემსისაჲ, უკუეთუ მონანი ხართ, შეუდევით ვნება-თა მათ ქრისტესთა.

10

7. თქუა მეშუიდემან: მე სამთა მათ დაუცადებელად მარადის ვიწურთი და ვიტყუი თავით ჩემით: სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყუარული—რაჲთა სასოებასა მიხაროდას, ხოლო სიყუარულსა არავინ შევაწუხო და სარწმუნოებითა განვმტკიცენ.

8. თქუა მერუემან: მე შინაგანითა თუალითა ჩემითა ვხედავ ეშმაკთა მფრინვალეთა და უფალსა იესუ ქრისტესა შევემთხუევი მათთვის, რაჲთა უქმ იქმნენ ესენი და არას შემძლებელ მოშიშთა მიმართ უფლისათა.

15

9. თქუა მეცხრემან: მე დღითი-ღღე საცნაურსა მას ეკლესიასა პირმშოთასა ვხედავ და უფალსა დიდებისასა შორის მისა, უფროჲსად ბრწყინვალესა. და რაჲჲმს ბრწყინვალეჲჲ მომიკდის, აღვიდი ცად და ვხედვიდი [v] კეთილთა მათ ანგელოზთა საკუირველთა და ვისმენდი გალობასა მათსა, რომელსა შესწირვედ დაუცხრომელად ღმრთისა მიმართ. და ვიხარებდი ღმრთისა სიტკობითა მის კმისა მათისაჲთა და გულისკმა-ყყავ წერილი იგი: „ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა“* და ყოველი ქუეყანაჲ ნაცრად და მტუერად შევჰრაცხე.

25

10. მეათემან (ი) თქუა: მე გზასა ჩემსა ვხედავ მარადის, რომელი მახლობელად ჩემსა დგას და მელის. და ვიცავ თავსა ჩემსა და გულისკმა-ვჰყოფ წერილსა მას, რომელი იტყუის: წინაჲსწარ ვხედვედ უფალსა წინაშე ჩემსა. არს მარადის, რაჲთა არა შევიძრა და მეშინის მე, ვითარცა მცველისა გზათა ჩემთაჲსა, და დღითი-ღღედ აღმავ[ა]ლსა წინაშე ღმრთისა მითხრობად საქმეთა ჩემთა.

30

11. თქუა მეთათრმეტემან: მე პირსა წინაშე ჩემსა დაგ-
დევ სათნოებაჲ, მარხებაჲ, გოდებაჲ და მოთმინებაჲ; სიყუარული,
თავით ჩემით გარე-მოვიდგინე იგი. და ვითარცა წარვიდე, ვარქუა
თავსა ჩემსა: სადა არიან მზარდულნი შენნი? ნუ იურვი, ნუცა მო-
იწყინებ. გქონან იგინი მახლობელად შენსა მარადის. რომლისა მი-
მართ გნებავს სათნოებათათვის, ზრახვედ, რაჲთა შემდგომად სიკუ-
დილისა წამონ შენთვის წინაშე ღმრთისა და ვითარ-იგი პოეს გან-
სუენებაჲ შენ თანა.

12. თქუა მეთათრმეტემან: თქუენ, მამანო, ზეცისაჲ გაქუს
ცხორებაჲ და ზეცისაცა ზრახვაჲ მოიღეთ, და არა საკუირველ არს,
[139] რამეთუ აღმაღლებულთა ქუეყანით ხედავთ. თქუენ საქმე-
თაგან თქუენთა ზეცისასა მოელით. რაჲ ვთქუა, რამეთუ გარდა-
იცვალენით, რომელთა ყოლადვე თავნი თქუენნი უცხო ჰყვენით
მისგან. რაჲ ვთქუა, თქუენ, ქუეყანისა ანგელოზნო და ზეცისა კა-
ცნო? და ესე თუ ვთქუა, არა ვცოდო, ხოლო მე თავით თვისით არა
ღირს ვარ, ცოდვათა ჩემთა ვხედავ, ვიდრეცა მივიდე, წინა მისწრიან
მე მარადის მარჯუენით და მარცხენით და ქუესკნელამდე. დაესაჯე
თავი ჩემი და ვთქუ: აქა იყო და მცირედლა აქა დაისაჯო. და ვხე-
დავ მუნ მრავალთა, რომელი გარდამოადინებენ ცრემლთა მათთა.
რომელთა მითხრობად ვერვინ შემძლებელ არს.

ვხედავ ვისმე ღრვენასა კბილთასა, ღალადებასა და კრთომასა
ყოველთა კორცთასა და ძრწოლასა თავითგან ვიდრე ფერქამდე. და
დავევარდი მე ქუეყანასა პირსა ზედა ჩემსა და ნაცარი გარდავისს
თავსა ჩემსა და ვევედრე ღმერთსა ბოროტისა მისთვის, რაჲთა არა
მივეცე მე მას. ვხედავ კუალად ზღუასა ცეცხლისასა, უვარეს ცეც-
ხლად მდულარესა, რომელი ხედავს ვიდრე ცადმდე საგონებელად
ღელვათა მისთა ცეცხლისათა მიწვენასა, და საშინელსა მას ზღუა-
სა ცეცხლისასა, ურიცხუთა მათ კაცთა შთაბნეულთა ბოროტთაგან
ანგელოზთა, და ერთითა კმითა ყოველნივე იგი ღალადებენ, [v]
და იტყუიან ერთბამად, რომელი არავის სადა ესმეს ქუეყანასა ზე-
და ეგვევითარი კმაჲ. და ყოველნივე, ვითარცა ქარტანი. დაიწუე-
ბიან და მოწყალე ღმერთი გარე-მიიქცეოდა მათგან მრავალთაგან
უსჯულოებათა მათთა. და მაშინ ვეგლოვდ ნათესავსა კაცთასა, ვი-
თარ იკადრებენ სიტყუად, გინაცა მიხედვად ვისამე. ვითარმედ ესე-
ვითარი ბოროტი წინა უც სოფელსა, და ამას ზედა გონებითა ჩე-
მითა ვიგლოვ და ვიმარხავ თქმად სახელიცა კაცთაჲ და ქუეყანისა-

ცა, და არა ღირსად თავი ჩემი დამისჯიეს მე. და მოვიკსენებ წერილსა მას, რომელი იტყუის: „მექმნეს მე ცრემლნი ჩემნი საქმეულად დღე და ღამე“*.

ნებარისა ევსუპიისი

1. თქუა ნეტარმან ევსუქი: უკუეთუ სასუმელი წყალი გრილი განამართლებს მოწყალეთა მათ, რადენ უფროდისა მოსაგებელისა არიან ღირსნი¹, რომელთა-იგი ყოველი მონაგები განაბნიეს გლანაკათუის. 5

2. მერმე თქუა: საბანელ კეთილ არს სულისა ლოცვასა შინა ცრემლი. არამედ ლოცვისა შემდგომად მოიკსენე, რომლისა მადლისათუის სცრემლოოდე. მძლავრთა¹ ცხორებასა ნუ ჰნატრი, რამეთუ ძლიერნი ძლიერად განიკითხნენ, ვინაჲცა-იგი მსაჯულისა მის სასტიკისა მოიყვანნეს. 10

მერმე² თქუა: რომელმან არა მოიძულოს შეცოდებაჲ იგი, დაღაცათუ მან არა ცოდოს, არამედ ისაჯოს-ვე. [140] ვაჲ უღმრთოთა, რამეთუ³ რაჟამს ყოველნი განათლდენ, მაშინ იგინი დაბნელდენ. 15

ვაჲ მგმობელთა⁴, რამეთუ შეიკრას⁵ ენაჲ მათი და ვერ სიტყუის-მიმგებელ იყუნენ მსაჯულისა მის.

ვაჲ უსჯულოსა⁶, მსაჯულისა მისგან, სასტიკისა და მართლისა, მი-რაჲ-ვიდოდიან სჯულის⁷-მდებელისა მათისა. 20

ვაჲ ანგაპრთა, რამეთუ სიმდიდრე მათგან ივლტოდის და ცეცხლი მათ მიეგებვოდის.

ვაჲ უდებთა, რამეთუ ეძიებდენ იგინი ჟამსა მას მათსა, რომელი⁸-იგი ბოროტად წარწყმიდეს, და არა პოვონ⁹. 20

ვაჲ ამპარტაყანთა, რაჟამს შევიდენ იგინი საფლავად და არა იყოს მათდა¹⁰ სინანული.

ვაჲ მაგინებელთა და მათ თანა მომტრვალეთა, რამეთუ კაცის მკლველთა თანა შეირაცხნენ და მომრუშეთა თანა ისაჯნენ¹¹.

ვაჲ, რომელნი იშუებდენ მცირედთა¹² ამათ ჟამთა, რამეთუ ვითარცა ზუარაკნი ჭამებულნი განმზადებულ არიან კლვად. 30

1. B:312v. ¹ ღირს B.

2. B:312v. ¹ მძლავრთა¹ მრავალთა C. ² მერე B. ³ რამეთუ — C. ⁴ მგმობართა B. ⁵ შეეკრას B. ⁶ უსჯულოთა B. ⁷ მჯულის B. ⁸ რომელ B. ⁹ პოონ B. ¹⁰ მათა B. ¹¹ ესაჯნენ B. ¹² მცირეთა B.

* ფს. 41, 4.

ვაა ორგულთა, რამეთუ მწყემსმან მან მათმან უვარ-ყუნეს იგინი და მკეცი იგი მოსაჯული მათი გამოუჩნდეს მათ.

ნეტარ იყუნენ, რომელნი იწროსა მას გზასა მოგზაურ იქმნენ, რამეთუ გუირგუინოსანნი შევიდენ სასუფეველსა ცათასა.

5 ნეტარ იყუნენ, რომელთა დათრგუნონ გულის-თქუმაჲ, რამეთუ [v] ძრწოლიან მისგან¹³ ეშმაკნი.

ნეტარ იყუნენ, რომელნი სათნოებითა იყუნენ წმიდა და სულითა შეუორგულებელითა¹⁴, სჯასა¹⁵ მას სოფლისასა იგინი არა ისაჯნენ.

10 ნეტარ იყუნენ, რომელთა ცხორებაჲ აქუნდეს მართალი და ზრახვაჲ მდაბალი, რამეთუ იგინი ქრისტესა მიმსგავსებულ იყუნენ და მის თანა დასხდენ.

ნეტარ იყუნენ, რომელთა სჯულიერებაჲ¹⁶ ენისაჲ არა განიშორონ, რამეთუ კურთხევისა მათისაგან ღმერთი არა განეშოროს.

15 ნეტარ იყუნენ, რომელნი მრავალთა კეთილის-ყოფელ იყუნენ, რამეთუ მრავლად პოვონ¹⁷ მონაგები კეთილი.

v ნეტარ იყუნენ, რომელთა საქმენი მათნი შეამკვნენ პირველ აგზებამდე ცეცხლისა, რომლითა ყოველი გამოცდად არს.

20 ნეტარ იყუნენ, რომელნი ისწრაფდენ ცხორებისა მათისათვის¹⁸ მერმისა, რამეთუ აწინდელი ესე დაყროლდების კრწნილებითა და სიკუდილი¹⁹ მიიზიდავს მისა²⁰ მიმართ²¹.

ნეტარ იყუნენ, რომელთა არა შეაგინეს სათნოებაჲ მათი, რამეთუ ღღესა მას სასაჯელისასა²² არა ჰრცხუნოდის^{22a}.

25 ნეტარ იყუნენ, რომელთა გააბნიონ ბოროტი, რომელ-იგო აქუნდეს, და სიწმიდით წმიდასა მას სამშჯავროსა წარუდგენ თავსა მას სიტყუისასა²³.

[141] სული ნუმცა უდებ არს, რამეთუ რომელსა ეამსა არა ჰგონებდეს, სიკუდილი მომავალ არს.

30 მერმე თქუა: არცაღა ქუეყანისა კეთილთა თუინიერად შრომისა მიემთხუევის²⁴, რავდენ უფროჲს ზეცისასა მას ჯერ-არს ფრიადი მოლუაწებაჲ და შრომაჲ და განზრახვაჲ²⁵, რამეთუ შრომაჲ იგი საწუთრო არს, ხოლო სასყიდელი მისი საუკუნე არს.

¹³ მათგან B. ¹⁴ შეუორგულებელითა + რამეთუ B. ¹⁵ შჯასა B. ¹⁶ შეკულიერებაჲ B. ¹⁷ პოონ B. ¹⁸ მისთვის B. ¹⁹ სიკუდილისა B. ²⁰ მისა—B. ²¹ — მიმართ მიიზიდავს B. ²² სასაჯელისა B. ^{22a} რცხუნოდის B. ²³ სიტყუასა B + ქრისტე შეიწყალე გრიგოლ მღვდელი C. ²⁴ მიემთხვს B. ²⁵ განზრახვად B.

3. თქუა მამამან ბასილი: რომელსა ჰრწმენეს ქადაგებული ღმრთისაჲ¹ ჭეშმარიტად ცოდვილთათუის და ყოს იგი წინაშე თუ-
ალთა მისთა, მან მოიგოს შიში ღმრთისაჲ.

4. თქუა მამამან დიადოხოს¹: ვერ შემძლებელ არს კაცი მოგე-
ბად შიშსა ღმრთისასა, უკუეთუ არა განეშოროს ყოვლისაგან ურ-
ვისა, რომელ არს საწუთროსა ამას შინა, და დაჯდეს დაყუდებუ-
ლად.

5. თქუა მამამან კლემაქს: ცრემლითა მით. რომლითა ტირნ
კაცი სიკუდილისა მისისა ეამსა, ეგვეითარმან მან უშვის¹ შიში
ღმრთისაჲ.

10

6. თქუა მამამან ისაკ, ვითარმედ: პირველი კეთილი არს შიში
ღმრთისაჲ. და ესე იშვების სარწმუნოებისაგან და დასთვისს გულსა
შინა, ოდეს განაგდის კაცმან გონებისაგან თუისისა უცალოებაჲ და
ურვაჲ საწუთროჲსაჲ და შეიკრიბოს გულის-სიტყუაჲ თუისი, გან-
ბნეული ყოვლისაგან ქსენებისა საწუთროჲსა, და იურვოდის საუ-
კუნოჲსა მისთუის.

15

7. [v] თქუა მამამან ესაია¹: უღირს, რომელი-იგი დაეყუდე-
ბოდის, რაჲთა მოიგოს შიში ღმრთისაჲ. და ვიდრემდის ცოდვაჲ
მისდრეკდეს² გულსა მისსა მისა მიმართ და გული დაემორჩილებო-
დის მას, უწყოდენ ამან, ვითარმედ არა არს მის თანა შიში ღმრთი-
საჲ. და ვიდრემდის შიში ღმრთისაჲ არა არს. იგი შორავს წყალო-
ბასა ღმრთისასა.

20

8. თქუა მამამან კლემაქსი: რომელი არა ჰპოებს თავსა თუისსა
ყნოსით შიშსა ღმრთისასა, უწყოდენ. ვითარმედ სული მისი მკუ-
დარ არს. და კუალად თქუა, ვითარმედ: ღმერთი არა გუაბრალებს¹
ჩუენ, უკუეთუ არა ვქმნენით² სასწაულნი^{2ა}, და უკუეთუ არა ვიცო-
დეთ დაფარული და უკუეთუ არა მეცნიერ ვიყვენით³ სასჯელსა⁴

25

3. B:313v. ¹ ღ¹ C.4. B:313v. ¹ დიადიხოს ს..5. B:313v. ¹ უშევს C.

6. B:313v.

7. B:313v. ¹ ესაია C. ² მისდრეკეს B.8. B:313v. ¹ გუაბრალობს B. ² ვქმნეთ B. ^{2ა} სასწაული B. ³ ვიყვენეთ B. ⁴ სარ-
ჩელსა B.

და ცნობად ღმრთეებისა, გარნა გუაბრალებს ჩუენ, უკუეთუ არა დავადგრეთ⁵ გოდებასა შინა და ტირილსა ცოდვათა ჩუენთათჳს ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩუენისათა, ამას ზედა გუაბრალებს.

9. თქუა მამამან ბარსანაბოს¹ სიმდაბლოსათუის: სიმდაბლე
5 კორციელი ესე არს, რაათა არარად² შეჰრაცხოს³ კაცმან თავი თუ-
ისი⁴ და განიშოროს ნებაჲ თუისი ყოველსა შინა და მოითმინოს
უშფოთველად ყოველი შემთხუევაჲ, რომელი მოიწიოს მის ზედა
გარეთ⁵.

10. თქუა ბერმან¹ კლემაქსი²: რაჲ არს დედაჲ ჳსენებისა სიკუ-
დილისაჲ? რომელნი გარეშე არიან საწუთროსა ამას—განშორებაჲ
ურვისაჲ და ლოცვაჲ მარადის; და ესენი შვილნი არიან და დედანი
არიან სიკუდილისანი. და მერმე თქუა: რომელმან შეუძლოს მოკუ-
დინებად თავისა თუისისა ყოვლისაგან, იგი შემძლებელ არს ჳსენ-
ებად სიკუდილისა; და რომელსა უყუარს აღრევაჲ კაცთა თანა,
15 ვერ შემძლებელ არს [v] მოცალებად თავისა თუისისა. და ესევი-
თარი კაცი მავნებელი³ არს სულისა თუისისაჲ⁴. და მერმე თქუა,
ვითარმედ: ვერ შემძლებელ არს კაცი განვლად დღესა თუისისა, ვი-
თარ-იგი ჳერ-არს, უკუეთუ არა შეჰრაცხოს, ვითარმედ დასასრული
არს ცხორებისა მისისაჲ საწუთროსაგან.

20. 11. ამბა მაკარისთვის გუითხრობდა მოწაფე ამბა მაკარისი
აღექსანდრიელისაჲ, ვითარმედ: ვიდოდეთ ოდესმე ერთად უდაბ-
ნოსა შინა და იყო იგი წინა ჩემსა და მე უკუანა მისა. და ვიხილე,
ორნი ანგელოზნი: შეუდგეს ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით.
და ვიდოდეს მის თანა. და მიემთხუინეს მკუდარსა რასმე ცხოველ-
25 თაგანსა, დაყროლებულსა ფრიად. და ვითარცა აგრძნა მამამან მა-
კარი სიმყრალე იგი, დაიბურნა საყნოსელნი თჳსნი სულისა მისგან,
და ყვეს ანგელოზთაცა მათ ეგრევე. და რაჟამს იხილა ბერმან,
ჰრქუა მათ: და თქუენცა ესრევე გეცემისა სიმყრალე სოფლისაჲ
ვითარცა ჩუენ? მაშინ ჰრქუეს მათ: არა. არამედ ოდეს განახეთ,
30 ვყავთ ჩუენცა, ვითარცა შენ. ხოლო ჩუენ არა ვაგრძობთ სიმყრალე-

⁵ - ჩუენ B.

9. B: 314 ¹ ბარსანაბოს B. ² — არარად B. ³ შთარაცხოს B. ⁴ ჰარარად B. ⁵ გა-
რთ B.

10. B: 314 ¹ ბერმან მამამან B. ² კლემაქს B. ³ მავნებელ B. ⁴ თქისა B.

11. — B.

სა სოფლისასა, არამედ სიმყარაღესა სულთა ცოდვილთასა ვიყნოსებთ, ვითარცა შენ იყნოსე აწ სიმყარაღე ამის კორცისა მკუდარისაჲ. და დაუკუიღრა ბერსა და ჰრქუა მათ: ვითხოვე თქუენგან [143] და მაუწყეთ: ესე სიმყარაღე, რომელი არს სულთა ცოდვილთაჲ ცხორებასა მისსა, ამას სოფელსა აგრძნობთ ანუ შემდგომად სიკუდილისა? და მითხართ მე: უკუეთუ მიპოვნეის მადლი წინაშე თქუენსა, ვითარ გამოგყვანან სულნი კაცთანი კორცთაგან, რომელთა ჰრწამს უფალი და რომელთა არა ჰრწამს? მაშინ ჰრქუეს მას ანგელოზთა მათ: **ჰ** მაკარი, გამორჩეულო ღმრთისაო, რამეთუ სული ცოდვილი ვიდრე კორცთაღა შინა არს, გამოსცემს სულსა სიმყარაღისასა საქმეთაგან მისთა ბოროტთა, და კუალად შემდგომად სიკუდილისა ორკეცად. რამეთუ საქმენი ცხად არიან მის ზედა, რამეთუ ვითარცა ბნელმან და შავმან დაფარიან იგი, რამეთუ სული ბუნებით ნათელ არს, უბიწოჲ, რამეთუ შთაბერული არს ღმრთისა უკუდავისაჲ. არამედ ოდეს კორცთა შინა დაიმკუიდრის, მცირემცირედ შეიგინის ცოდვისაგან და მას შინა რომელნიმე მცირედ შეიგინიან და რომელნიმე დიდად. ხოლო ვითარ გამოგუყვანან სულნი კაცთანი კორცთაგან მორწმუნეთანი და ურწმუნოთანი, აწ ისმინე, მაკარი, მონაო ღმრთისაო, რამეთუ ყოველი ქუეყანისაჲ მცირედ მიემსგავსების ზეცისასა, და ვითარცა მკედარნი წარვიღინნიან მეფისაგან ქუეყანისაჲსა, რაჲთა მოიყვანონ კაცი, და ვითარ მიიწინიან მისა და შეიპყრიან და უთხრიან ბრძანებაჲ იგი მეფისაჲ [v] და მაშინ კაცი იგი შეშინდის სახელისაგან მეფისა და შეძრწუნდის მოსლვითა შემპყრობელთაჲთა და იგინი ასწრაფებედ უწყალოდ წარყვანებად. ეგრევე ოდეს მივიღინნიან ანგელოზნი, რაჲთა წარიყვანონ სული კაცისაჲ, გინათუ მართალი არიან, გინათუ ცოდვილი, შეძრწუნდის იგი შიშისა მისგან და ძრწინ მოსლვითა მით ანგელოზთა მოსწრაფეთაჲთა წარყვანებისა მისთვის სულისა. მაშინ ხელავენ ყოვლით კერძო მოდგომილსა ხუასტაგასა და ნათესავთა და მოყუარეთა უსუსურად და უკმრად და ურგებად. და აგრძნობნ ცრემლთა და გლოვასა, რომელნი მდგომარე იყუნიან გარემოჲს მისსა, რამეთუ არა ოდეს გამოცდილ იყო წოდებასა მისსა ესევითარსა საშინელსა. და კუალად შეშინდის სიძნელისაგან გზისა და გარდაცვალებისაგან და ჰჰირს განშორებაჲ, რომელთა ხელავენ მონაგებთა და სტიკიენ მოყუსობისათუის გუამისა და იგლოვენ განშორებასა მათგან, რამეთუ განეშორებინ, რომელსა თანა იგი ჩუეუღებაჲ აქუნ. ხოლო ნუგეშინის-ცემასა ერთსა შემძლებელ არს, რაჲ-

თა იყოს მისა, რომელი არნ თანა-მოსაჯულისაგან, უკუეთუ იცინ, თუ არა ჰქონან საქმენი კეთილნი. [144] ხოლო უკუეთუ იცინ სულმან, ვითარმედ თუინიერ არს საქმეთა კეთილთა ვიდრე გამოსლვამდე სასჯელისა მსაჯულისაგან მის ზედა, განიკითხვიან თანა-მოსაჯულისა მისგან დაუცხრომელად.

პრქუა მათ ამბა მკარო კუალად: ჰ უფალნო ჩემნო, ვითხოვთ თქუენგან და ესეცა კუალად გამომიცხადეთ, რამეთუ მამათაგან მოცემულ არს მორწმუნეთა, რაათა მიუპყრან შესაწირავე ღმერთსა ეკლესიასა შინა მესამესა დღესა და მეცხრესა და მეორემოცესა. მიუპყრობენ ღმერთსა შესაწირავსა ეკლესიასა შინა, რომლისა საქმისათვს დაიწესა ესე. და რაჲ სარგებელ ეყოფის სულსა, რომელი გარდაცვალებულ არს? მაშინ ჰრქუეს ანგელოზთა მათ: ისმინე, ჰ მკარო, პატიოსანო, წინაშე ღმრთისა არა მიუშუა უფალმან ცოდვასა რასმე და ურგებსა, რაათა იყოს ეკლესიასა შინა ღმრთისაჲა.

არამედ ყოველი საადრუმლოჲ ლოცვაჲ აღსრულებად ეკლესიასა შინა, რამეთუ დღესა მესამესა შემდგომად სიკუდილისა კაცისა, ოდეს იკვნის ეკლესიასა შინა და მიუპყრიან მისთვის შესაწირავე, მიიღის სულმან ნუგეშინის-ცემაჲ მწუხარებასა მას განშორებისა მისთვის კორცთაჲსა. რამეთუ ანგელოზმან, რომელმან გამოიყვანის, აუწყის, [v] ვითარმედ შეწირულა მისთვის შესაწირავე და ლოცვაჲ ეკლესიასა შინა ღმრთისასა და ექმნის იგი მას დიდ ნუგეშინის-ცემა და სასოება კეთილის, რამეთუ სული ორთა მათ დღეთა შინა განუტევიან ანგელოზთა მათ, რომელცა არიედ მის თანა, რაათა წარვიდეს, ვიდრეცა უნდეს ქუეყანასა ზედა. რამეთუ სულსა, რომელსა უყუარედ კორცნი იგი, წარვიდის ერთჯერ ადგილსა თვისსა, რომელსა განშორებულ არნ გუამისაგან. და კუალად წარვიდის გარემო საფლავსა მას, რომელსა დამარხულ არნ გუამი. და ესრეთ აღასრულის ორი იგი დღე და ეძიებნ გუამსა თუისსა, ვითარცა ეძიებნ მფრინველი თვისსა ბუდესა. და ეგრეთვე სული პატიოსანი წარვიდის ადგილთა მათ, რომელთა ჩუეულ იყო ყოფად სიმართლისა. და დღესა მესამესა ბრძანა ქრისტემან, ღმერთმან ყოველთამან, რომელი ადგადღესა მესამესა მკუდრეთით, რაათა აღიყვანონ ყოველი სული ქრისტეანე ქუეყანით ზეცად მსგავსად ადგომისა მისისა. და მას დღესა შინა აღიყვანიან სული, რაათა თაყუანის-სცეს მან ღმერთსა ყოველთასა. ამისთვის კეთილ არს, რომელთა უპყრია ეკლესიასა შინა მესამესა დღესა ყოფად ლოცვისა და შეწირვად მისთვის შესაწირავისა სულისა მისთვის. და შემდგომად თაყუანის-ცემისა ღმრთისა,

[145] უბრძანის, რაათა უჩუენონ მრავალფერი კარვები სიხარუ-
 ლისაჲ, რომელ არს წმიდათაჲ, რომელთა ყვეს ნებაჲ მისი, და შუ-
 ენიერებაჲ სამოთხისაჲ, და ესე ყოველი ცნის სულმან ექუსთა
 დღეთა შინა. დაუკუირდის ესე და უგალობნ ღმერთსა, რომელმან
 განჰმზადა ესევეითარი. ხოლო ოდეს იხილის ესე, გარდაიქცის და
 დაავიწყდის მწუხარებაჲ, რომელ იყო მის თანა განშორებისა მის-
 თუის კორცთაჲსა, და მოიწიის მისა მწუხარებაჲ სხუაჲ. უკუეთუ
 იცინ, ვითარმედ მოიწევის მის ზედა პატრიკი საქმეთა თვისთათჳს
 ბოროტთა. რამეთუ სულმან მან, ოდეს იხილის გალობაჲ წმიდათა
 მონათა ღმრთისათაჲ, იწყის მწუხარებად და მოსძაგდის თავი თჳსი
 და თქუის: ვითარ განეცოფდი, სოფელსა ამას შინა საწუთროსა
 უცალო ვიყავ და მას შინა აღვასრულენ დღენი ცხორებისა ჩემისა-
 ნი და არა ვჰმსახურე ღმერთსა, ვითარ შეჰკვანდა, რაათამცა ღირს
 ქმნულ ვიყავ მეცა ამას სიხარულსა და გალობასა. ვაჲ მე, ამას
 უბადრუკსა, რაჲსა-მე სარგებელ მეყო. რომელ-იგი ვიშენე სახლე-
 ბი? და არარას მერგების ნერგვაჲ ვენაქთაჲ და ზეთის-ხილთაჲ
 მუნ. რაჲ სარგებელ არს ჩემდა აწ ვეცხლი იგი, რომელი მოვიგე,
 და რაჲ ვირგო ოქროსა მისგან, [v] რომელ იგი დაუტყვე მუნ?
 ვაჲ ჩემდა, რამეთუ ცუდად დავშუერ, ვაჲ ჩემდა, რამეთუ უგუნუ-
 რად ვცხოვნდებოდე. ვაჲ ჩემდა, რამეთუ მცირედისათჳს შევიყუ-
 არე დიდებაჲ ცუდი და მოვიგე სიგლანაკე საუკუნოჲ და ტანჯვაჲ:
 ვაჲ მე, რაჲ-ესე შემემთხუია? ვაჲ მე, ვითარ დავბნელდი და არა
 ვცან? ვაჲ, რამეთუ არა არს აწ შემძლებელ კაცი მწე ჩემდა, რაჲ-
 თამცა მე უბადრუკი ესე მივემთხუიე წყალობასა უფლისასა.

და შემდგომად ვითარცა იხილის ერთბამად ყოველი სიხარუ-
 ლი წმიდათაჲ და შუენიერებაჲ სამოთხისაჲ მათ ექუსთა დღეთა ში-
 ნა, მიიყვანიან კუალად, რაათა თაყუანის-სცეს ღმერთსა. ამისთვის
 კეთილ არს პყრობაჲ ეკლესიასა და ყოფად დღესა მეცხრესა ლო-
 ცვაჲ და საქსენებელი გარდაცვალებულიათუის. და შემდგომად კუ-
 ალად მეორედ თაყუანის-ცემისათუის უბრძანის უფალმან ყოველთა-
 მან, რაათა შთაიყვანონ ჯოჯოხეთად და უჩუენნენ სატანჯველნი
 მუნნი და მრავალ-ფერნი ორმონი ჯოჯოხეთისანი და პირად-პირად-
 ნი სატანჯველნი, რომელნი განუშადებიან უსჯულოთათჳს, რომ-
 ლისა სულნი მათნი მსხდომარე არიან ახლოს მისა და იგლოვენ
 მარადის და იღრჳენენ კბილთა, უკუეთუ დასჯის თანა-მოსაჯული-
 სა. [146] და ესევეითართა მრავალსახეთა შინა იქცევიან სული ოც-
 დაათსა დღესა, ძრწინ და იგლოვენ გონებასა თჳსსა, რაათა არა გა-

- ნიბჭოს მის ზედა დამარხვად იგიცა ესევეთარსა ადგილსა. და განსრულებასა მეორმეოცისა დღისასა აღიყვანიან კუალად, რაათა თაყუანის-სცეს უფალსა. და მაშინ-ლა მსგავსად სულისა საქმეთა-ებრ უბრძანის მსაჯულმან ადგილი დაცვად, ვითარსაცა ღირს არიან
- 5 დაცვად სული იგი მუნ. და მეორმეოცესა დღესა არს სული ადგილსა თუისსა და მისთუის კეთილ არს, რაათა იყოს ეკლესიას საქსენებელი, მეორმეოცესა დღესა საქსენებელი ვარდაცვალბულისათუის, და ესე იყოფის სულთათუის, რომელთა თანა არს ნათლის-ღებაჲ. ხოლო რომელთა თანა არა არს ნათლის-ღებაჲ, არა ესრე არს, არა-
- 10 მედ ანგელოზთა ყოველთა სიქადულითა გამოიყვანიან სულნი და მიზიდვედ და სცემედ და კმობედ: მოვიდოდე, ჰ სულო უღმრთოვო. ცან, ვინ არს მეუფე შენი და უფალი ყოვლისაჲ, რომლისა არა გინდა ცნობაჲ. და შენ შუეებასა შინა იყავ საწუთროსა შინა, არამედ ცან აწ ვითარ ტანჯვად ხარ უკუნისამდე. და ვიდრე პირველად
- 15 ცადმდე მიაწიან და დააყენიან და უჩუენიან შორით გალობაჲ მთავარ-ანგელოზთა წმიდათაჲ და ეტყუიედ, ვითარმედ: იესუ ქრისტე ძელისა ცხოელისაჲ, [V] იგი არს უფალი ამათ ყოველთაჲ, რომლისაჲ არა გინდა ცნობაჲ და თაყუანის-ცემაჲ შენ და აწ წარგიყვანოთ უსჯულოთა თანა, რომელნი არიან მსგავსნი შენნი, რაათა
- 20 დაიმკუიდრო ცეცხლი საუკუნოჲ ეშმაკთა თანა და მთავართა მათთა თანა, რომელთა-იგი თაყუანის-სცემდი ცხორებასა შენსა, ვითარცა ღმერთთა.

ესე თქუეს ანგელოზთა მათ და მისცეს მშუილობაჲ, მკარის და უჩინო იქმნეს ჩუენგან და არღარა ჩნდეს. და წარვედით ჩუენ

25 გზასა ჩუენსა და ვჰმადლობდით ღმერთსა, მამასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ, მადლი და ძალი თანა ძით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნი-სამდე, ამენ.

12. იტყოდა ვინმე ბერთავანი და თქუა, ვითარმედ: მესმა მე
- 30 ერთისაგან ვისმე წმიდათავანისა, რამეთუ არიან ჰაბუკნი, რომელნი უძღლიან ბერთა ცხორებასა. და გუითხრა ესრეთ და თქუა, ვითარმედ: იყო ვინმე ბერი მომთრვალე და იქმოდა ფსიადსა და დღითი-დღე ვაჭრობდა სოფელსა შინა და შესუმიდა სასყიდელსა მის მისსა. უკუნანასკნელ მოვიდა მისა ძმაჲ და იყოფოდა მის თანა და

იქმონდა ფსიადსა. და წაროდის იგი ბერმან და განყიდის და შესუსის
 სასყიდელი იგი ორთაჲვე. და მოართუის ძმასა მას პური მწუხრი.
 და ესრეთ ჰყოფდა სამ წელ [147] ბერი იგი, ხოლო ძმამან არაჲაჲ
 ჰრქუა მას. და ამისა შემდგომად იტყოდა თავით თვისით ძმაჲ იგი:
 აჲა ესერა შიშუელ ვარ და პურსაცა ნაკლულევიანად შეეკჰმამ, აღ- 5 ✓
 ვდგე და წარვიდე ამიერ. განიზრახა კუალად გულსა თვისსა და
 თქუა: ვიდრე ვიდე აწ? არამედ დავადგრე-ლა კუალადცა ღმრთისა-
 თვის აჲა. და მეყსეულად გამოეცხადა მას ანგელოზი უფლისაჲ და
 ჰრქუა მას: ნუ წარხუალ ამიერ, რამეთუ მოვიდე ხვალე და წარ-
 გიყვანო შენ. და ევედრებოდა ძმაჲ იგი ბერსა მას დღისა მისთვის 10
 და ეტყოდა: ნუ წარხუალ, მამო, დღეს მოვლენ წარმყვანებელნი
 ჩემნი. და ვითარცა მოიწია ჟამი იგი წარსლვისაჲ, ბერი იგი ეტყო-
 და: არა მოვლენან, შვილო, ყოენეს. ჰრქუა მას: ჰე, მამო, რამეთუ
 მოვლენან განადა, არამედ მელოდე მცირედ. და ესე რაჲ თქუა,
 მეყსეულად შეისუენა. ხოლო ბერი იგი ტიროდა და იტყოდა: ვაჲ 15
 მე, შვილო, რამეთუ მრავალნი წელნი დავყვენ უდაბნოსა შინა. ხო-
 ლო შენ მცირედთა ჟამთა სული შენი აცხოვნე მოთმინებითა შენი-
 თა. და მიერიოვან განბრძნდა ბერი იგი და იქმნა გამოცდილ.

13. ძმამან ჰკითხა ბერსა და თქუა: უკუეთუ შეხედეს კაცსა
 განსაცდელსა შინა შევრდომაჲ შენდობითა ღმრთისაჲთა სარგებე- 20
 ლისათვის სულისა მისისა, [v] რაჲ ჯერ-არს მათთვის, რომელნი-
 იგი დაბრკოლდეს განსაცდელსა მას ზედა? ჰრქუა მას ბერმან:
 უკუეთუ შეინანონ, და სინანულსა მას შინა ჰმადლობდეს ღმერთსა
 და თქუას, რამეთუ: ჰეშმარტად დავმდაბლდი, — შემძლებელ არს 25
 ღმერთი დაბრკოლებულთაცა მათ განკურნებად. და მიუთხრა ბერ-
 მან ესევეთარი რაჲმე და ჰრქუა მას, ვითარმედ: დიაკონი ვინმე იყო
 სახელოვანი მონასტერსა შინა ეგუიპტეს, და ივლტოდა ვინმე მოქა-
 ლაქეთაგანი მთავრისაგან, და მოვიდა ყოვლით სახლუულით მისით
 მონასტერსა მას. და შეწვენითა ეშმაკისაჲთა დაეცა დიაკონი იგი 30
 ცოლისა თანა მის მოქალაქისა და შეიქმნა სირცხული დიდი ყო-
 ველთათვის. და მივიდა ბერისა ვისამე მოყუარისა და უთხრა საქმე
 თუისი. აქუნდა ბერსა მას სამალავი შინაგან სენაქსა თვისსა. ევედ-
 რებოდა მას დიაკონი იგი და ჰრქუა: დამფარე მე აჲა ცოცხალი და
 ნუვის უთხრობ. და შევიდა ბნელსა მას და შეინანა ყოვლითა გუ-

- ლითა მისითა ქეშმარიტად. და შემდგომად რაოდენისამე ქამისა არა აღდგა წყალი მდინარისაჲ მის და იყო ლოცვაჲ დიდი მისთვის. [148] და გამო-ვისმე-ეცხადა ერთსა წმიდათაგანსა ესრეთ, ვითარ-მელ: უკუეთუ არა მოვიდეს დიაკონი იგი, რომელი დამალულ არს
- ✓ 5 მონაზუნისა ვისამე, არა აღდგეს მდინარე ესე. ესმა რაჲ ესე კაცთა მათ, დაუკუთრდა ფრიად. მოვიდეს და გამოიყვანეს იგი ადგილისა მისგან, სადა-იგი დამალულ იყო. და ყო ლოცვაჲ და მეყსეულად აღდგა წყალი იგი მდინარისაჲ მის. და რომელნი-იგი ოდესმე დაბ-რკოლებულ იყუნეს მისა მიმართ, უფროჲსად აღეშენნეს სინანულსა
- 10 მისსა ზედა და აღიდებდეს ღმერთსა.

14. იტყოდეს ბერისა ვისთვისმე, რომელი მოკუდა სინას: და გარე-მოადგეს ძმანი ცხედარსა, შემოსეს იგი და ტიროდეს. ხოლო მან აღიხილნა თუალნი თვისნი და განიცივნა ორგზის და სამგზის. ევედრებოდეს მას ძმანი იგი და ეტყოდეს: მითხარ ჩუენ, მამაო,
- 15 რაჲსათუის ჩუენ ვტირთ და შენ იცინი? ხოლო მან პრქუა მათ: განვიციენენ, რომელთა გუეშინის სიკუდილისა, ხოლო მეორედ გან-ვიციენენ, რამეთუ არა ხართ განმზადებულ. განვიციენენ მესამედ ამისთვის, რამეთუ მე შრომისაგან განსუენებად მივალ. ხოლო თქუენ სტირთ. და მეყსეულად დაიწუხნა თუალნი ბერმან.
- ✓ ✓

- 20 15. [v]*... მონაზონი ვინმე კორციელად მო... მონასტერსა ვისამე და ერ...განი იყო მმარხველი, ხოლო მეორესა მას აქუნდა სორჩილე-ბაჲ დიდი. ეტყუენ მას მამასახლისი: ყავ ესე! და ყვის. ქმენ ესე! და ქმნის. ქამე დილეულ! და ქამის. და იდიდებოდა მონასტერსა მას შინა ყოველთა მიერ მორჩილებისა მისთვის დიდისა, რომელი
- 25 აქუნდა მას. იწყლა შურითა ეშმაკისაჲთა ძმაჲ იგი მისა მიმართ და თქუა გულსა თუისსა: გამოვეცადო იგი, თუ აქუს მორჩილობაჲ. მოვიდა წინაშე მამასახლისისა და პრქუა: მოავლინე ჩემ თანა ძმაჲ ესე ჩემი, რაჲთა მივიდე ვიდრე-ვე. და განუტევა მამასახლისმან და წარიყვანა მორჩილი იგი მმარხველმან მან. და უნდა გამოცდაჲ

მისი, და მოვიდა მდინარესა, სადა-იგი იყო სიმრავლე ხუთქთაჲ ფრიად, და ჰრქუა მას: შთაჲედ მდინარესა მას და წიალ-ჲედ. და ვითარცა შთაჲდა, მოვიდეს ხუთქნი იგი და ჰლოშნიდეს კორცთა მისთა და არარაჲ აენეს მას. იხილა რაჲ ესე ძმამან მისმან მმარხველმან, ჰრქუა მას: აღმოჲედ მაგიერ მდინარით და აღმოვი[და] [ვი- 5
დ]ოდეს იგინი...

III დანართი

1. B [314] თქუა მამამან ბასილი, ვითარმედ: შიში არს მო-
ლოდებოდა განსაცდელთაჲ. ამისთვისცა გუეშინიან მკეტოვან და
ჯელმწიფეთაგან, რაჲთა არა შეგუემთხვოს მათგან განსაცდელი.

2. თქუა მამამან გრიგოლი: შიში ღმრთისაჲ ესე არს, ოდეს
ვიხილოთ ქადაგებულსა სატანჯველი ჯოჯოხეთისაჲ და განვეშორ-
ნეთ ბოროტისაგან.

3. [314 v] თქუა წმიდამან ეფრემ: გრწმენინ ჩემი, ძჲო, დი-
ჯერე და დაირწმუნე, ვითარად არცა პატროსანი და არცა დიდებუ-
ლი, არცა წინამძღუარი და არცა შემდგომი, არცა მამასახლისი და
არცა პატივცემული კაცთაგან და არცა ჯელმწიფჴ და ყოველი
მსგავსი ამთი კაცთაგანი — არაეინ შევიდეს სასუფეველსა ღმრთი-
სასა და არცა მოეტევენ შეცოდებანი მათნი და ვერცა იქსნან სუ-
ლი თვისი ჯოჯოხეთისაგან და მწარეთაგან სატანჯველთა მისთა,
უკუეთუ პირველად არა მოიგონ სიმდაბლჴ და სიყუარული, მორ-
ჩილებოდა და მოთმინებოდა და სულგრძელებოდა. და უკუეთუ ესე საქ-
მენი არა იყვნენ კაცისა თანა, ნუ ატოუნებს იგი თავსა თვისსა, რა-
ნეთუ ვერსადა სათნო ეყოს იგი ღმერთსა.

მერმე თქუა: არა შემძლებელ არს კაცი ცნობად ძალსა ღმრთი-
სასა შუებითა და განსუენებითა. და არცა სახილველ არს თუალ-
ვაჲ და შეწეენაჲ მისი თვნიერ უდაბნოს და დაყუდებასა და აღ-
გილთა, განშორებულთა შფოთთაგან და თანა-ქცევისა კაცთაჲსა.

B [317] მამისა აგზა მოსცდი

1. თქუა აგზა მოსე: აწ ვითხრა თქუენ: ოდეს ვიყავ ჳაბუკ, ვი-
პოვე მე ნეტარისა ანტონის თანა. და მუნ შეკრებულ იყვნეს მამანი.
და იყო მათ შორის გამოძიებოდა, ვითარმედ რომელი სათნოებოდა
უფროჲს არს და რომელმანმე საქმემან განარინოს მონაზონი საც-
თურთაგან ეშმაკისათა. კაცად-კაცადი იტყოდა თვისისაებრ ძალისა.
რომელმანმე თქუა: მარხვაჲ და მღვძარებოდა და ლოცვაჲ, და ამით
განიწმიდნების გონებოდა და ადვილად მი[ე]ახლების ღმერთსა. და
სხუამან თქუა: უპოვარებოდა და შეურაცხებოდა ყოვლისა მონაგები-

საა, რამეთუ ესევეთარითა მოიცალის გონებამან და ადვილად მი-
 ა[ა]ხლის ღმერთსა. და სხუამან თქუა: წყალობაჲ უფროჲს არს,
 რამეთუ უფალი იტყვის სახარებასა შინა: „მშოდა და მეციით მე,
 მწყუროდა და მასკო მე“*, და შემდგომი ამისი. და ოდეს-იგი ამათ
 სათნოებათა კაცად-კაცადი იტყოდა, ძიებასა მას ღამშ იგი დიდად
 გარდაქდა. და ყოველთა უკუანა თქუა ნეტარმან ანტონი: ყოველი
 ესე, რომელ სთქუთ, საჩგებელ არს და სასწრაფელ კაცისა, რო-
 მელი ეძიებდეს ღმერთსა. გარნა ამათ სათნოებათა უფროსობაჲ
 არა მივსცეთ, რამეთუ მრავალნი ვიხილენ, რომელი მღვძარებასა და
 მარხვასა და უპოვრებასა ესოდენ მიიწინეს, რომელ დღესაცა ერთი- 10
 სა საზარდული არა აქუნდა და უდაბნოთა შინა იყვენეს. და სხუანი
 გლახაკთ-მოწყალე ესოდენ, რამეთუ უკუანამსკენელ არარაჲ აქუნ-
 და, რამცა მისცეს. და ამისა შემდგომად საწყალობელად დაეცნეს
 და გამოცკვეს. და რაჲთა-მე მათ ესევეთარი შეემთხვა და შესცოთეს
 ჰეშმარიტებისაგან გზისა? არა თუ სხვთა რაჲთ, რამეთუ განკითხვაჲ 15
 იგი მადლისაჲ არა აქუნდა. რამეთუ განკითხვაჲ იგი ასწავებს კაც-
 სა ორთავე მათ გზათა მარცხენით და მარჯუენით დატევებად და
 საშუვალსა გზასა სლვად. არცა დიდითა მით მარხვითა შეუდვის
 მარჯუენით ცთომიაჲ იგი და არცა კულად შეუებითა და დაქსნითა —
 მარცხენით. და ჰეშმარიტად ნათელი და სანთელი არს განკითხვაჲ 20
 სულისაჲ, ვითარცა წმიდაჲ სახარებაჲ იტყვის: „რამეთუ სანთელი
 გუამისაჲ არს თული“**, და შემდგომი ამისი. [v] და ჰეშმარიტად
 ეგრჭთ არს, რამეთუ ყოველი ვულისა-ზრახვაჲ და ყოველი საქმშ
 კაცისაჲ განკითხვამან გამოიძიის და განაშორის ყოველი სიცრუ-
 ვშ, ცთომიაჲ, რომელი არა სათნო არნ ღმრთისა. და ესე ყოველთა 25
 იცით წმიდათაგან წიგნთა, რამეთუ საულ, რომელსა-იგი პირველად
 მეფობაჲ მიეცა ისრაჴლსა ზედა, ამას განკითხვისა იგი მადლი არა
 აქუნდა და დაბნელდა გონებაჲ მისი და ვერ განიზრახა. უმჯობეშს
 იყო მისა შესაწირავთა, უკუეთუმცა სამო[ე]ლ წინაწარმეტყუელისა
 მცნებანი დაემარხნეს. და რომლითა-იგი ჰგონებდა, ვითარმედ სათ- 30
 ნო ეყოს ღმერთსა, მით ღმერთი განარისხნა და გამოვარდა მეფო-
 ბისაგან. არამცა ესე შეემთხვა ამას, უკუეთუმცა აქუნდა ნათელი
 იგი განკითხვისაჲ. ჩუენისა ცხობებისათვის ვიტყვი: ზედა-წერილ
 არს: რომელთა არა აქუნდეს კრძალვაჲ, დაცკვენ, ვითარცა ფურ-
 ცელნი, თვნიერ განკითხვისა წერილისათა... შეგვნდოს სუმაღ. იტ- 35

* შდრ. მათე 25, 35.

** მათე 6, 22.

- ყვს: განზრახვით ყოველსა ჰყოფდით, განზრახვით ღვნოსა სუემდ. და კუალად იტყვს: ვითარცა ქალაქი დარღუეული, რომელსა არა აქუნ ზღუდღ, ეგრეცა კაცი, რომელი არა განზრახვით არს და განკითხვით. აწ ამით ყოველითა საცნაურ არს და გამოჩნდების და
- 5 დამტკიცების, რამეთუ ყოველთა სათნოებათა მშობელი არს და ნიკველი აწ ესე წმიდისა ანტონის დადებული. და იგიცა მამანი შეკრებულნი მიეწამნეს და თქუეს: ჰეშმარიტად ეგრეცა არს, ამითცა დავამტკიცოთ თქუმული იგი ანტონისი. და მოიკსენეთ თქუენცა ბერისაჲ მის, რომელსა ერქუა სახელი ირონ და მისი იგი საწყალი
- 10 დაცემაჲ, რომელი-იგი ვიხილეთ თუალითა ჩუენითა. ამისი ჩუენ გუახსოს, რამეთუ ერგასისსა წელსა დიდად განშორებულსა უდაბნოსა დიდითა მარხვითა მარტოჲ იყოფოდა, რომელმან წარჰმატა ყოველთა მეუდაბნოეთა. ამისა შემდგომად შეიტყუეა იგი ეშმაკმან და საწყალობელად დაეცა. ყოველნი მამანი [318] მწუხარებასა და
- 15 გლოვასა შესთხინა. არამცა ესევეთარ მიემთხვა ამას, უკუეთუმცა აქუნდა მადლი იგი განკითხვისაჲ, რომელმანმცა ასწავა, რაჲთა არა თვისამცა ნებასა შეუდგა, გარნა რომელიმცა მამათა ასწავეს. აწ ესე ესრეცა შეუდგა თვისსა გონებასა, მარხვასა და განშორებასა კაცთაგან, არცა-ლა ახუსებასა მოვიდის ეკლესიად, რაჲთამცა იგი არა
- 20 დაეყენეს ჰამად. ესრეცა ჰგონებდა, ვითარმედ ამით წარწყმდეს ჩემი დადებული კანონი. და აწ ესე ესევეთართა უგუნურებითა შეიტყუეა ეშმაკმან და თაყუანის-სცა, ვითარცა ანგელოზსა ნათლისასა. მაშინ უბრძანა ჭურღმულსა შთავრდომაჲ და ამით სცნა, რამეთუ დიდ ხარო და არარაჲ გევნოს შენ. და ვერ განიკითხა თვისითა გონებითა. ვინ იყო, რომელი განაზრახებდა ესევეთარსა მას, დაბნელდა გონებაჲ მისი და შთაიჭრა შუალამეს მღვმესა მას. და ვითარ დიდი ჟამი წარკდა, აგრძენეს მამათა და აღმოიღეს სულიერი. და შესამესა ღღესა მოკუდა და დიდი გლოვაჲ დაუტევა მამათა და მამასა პაფნუტის.
- 30 და კუალად რაჲ-მე ვთქუათ მათ ორთა მათ ძმათაჲ, რომელნი თებაიდას იყვნეს? შეითქუნეს და დაამტკიცეს, რაჲთა წარვიდენ შორსა უდაბნოსა და არა მიიღონ კაცისაგან საზრდელი, უკუეთუ არა უფალმან მისცეს. და ოდეს-იგი ვიდოდეს უდაბნოსა მას შეცთომილნი და დაყმებოდეს, იხილნეს იგინი მარზიკთა მათ ბარბაროზთა, რომელ არიან უბოროტეს ყოველთა წარმართთა, ვითარცა ღმრთისა ბრძანებითა პურიითა მიეგებოდეს. ერთმან მათგანმან განიკითხა და თქუა: არა თუმცა უფალმან დააჭერა ესე ნათესავი,
- 35

თვნიერ მახვლისა არავის მიეგებენ. მოილო და ჰმადლობდა ღმერთსა და ცხონდა. ხოლო ერთმან არა მოილო და თქუა: რომელი დავდევ, არა გარდავჰკდე. დაღათუ ერთავე არა კეთილად განიზრახეს. არამედ ერთი იგი განკითხვიტა მით ცხონდა და ერთი იგი განუკითხველობიტა მით წარწყმდა.

5

და იყო კუალად სხუად მონაზონი, რომელსა აქუნდა ძმ მის თანა. ამას უჩუენებდა ჩუენებასა მრავალსა ეშმაკი და იგი შეიწყნარებდა, ვითარცა ქეშმარიტსა. და არა გამოუცხადა ბერთა, უკუანაჲსკნელ დააჯერა მას: შეწირე ძმ შენი და იქმენ ზედა აბრაჰამი. [V] მან მოილო დანაკი და ლესვიდა და საბელნი დაჰმზადნა. ვითარცნა ყრამამან მან, მიივლტოდა ბერთასა და უთხრა საქმმ იგი. და ვითარ უკუნ-იკითხეს მამათა, აღიარა ყოველი. და უკუეთუშცა აქუნდა მადლი იგი განკითხვისაჲ, არამცა შეეტყუვა.

10

და რაჲ-მე, რაჲ ვთქუათ მისთვის, რომელი-იგი შუამდინარესა იყო შეყენებული მონაზონი, რომელი წარემატებოდა მრავალსა უფროჲს ყოველთა მონაზონთა? ამას უჩუენებდა ეშმაკი სუენებასა მრავალსა და იგი შეიწყნარებდა, ვითარცა ქეშმარიტსა. და მით ესევეითარიტა შეიტყუა და ჰურიიებასა შევარდა. ამას ერთსა დამესა უჩუენნა ყოველნი ქრისტეანენი, მოციქულნი და მარტკლნი ბნელსა შინა და სირცხვლსა, მწუხარენი და მგლოარენი, და ერთ კერძო უჩუენნა ჰურიიანი მოსტს თანა და წინაწარმეტყუელთა ბრწყინვალენი. და გააზრახა მას: შეერთე შენცა ნეტარებასა ჰურიათასა და წინა-დაიკვთე. ვითარცა შესცთა და ყო. აწ ამათ ყოველთაჲსას არამცა ესრტთ საწყალობელად დაცემულ იყვნეს, უკუეთუშცა აქუნდა მადლი იგი განკითხვისაჲ.

15

20

25

და ამას ზედა მიუგო ამბა გერმანა ამბა მოსეს: შენითა სწავლიტა და წმიდათა მამათა გამოძიებითა ფრიად გამოჩინებულ არს, რამეთუ წყარო არს და თავ განკითხვაჲ უფროჲს ყოველთა სათნოებათა, ანუ ტყუვილნი იგი ეშმაკისანი. და თქუა ამბა მოსე: ქეშმარიტი იგი განკითხვაჲ არა მოუტდეს თვნიერ ქეშმარიტებისაგან სიმდაბლისა. გამოჩინებჲჲ ქეშმარიტისა სიმდაბლისაჲ არს, რაჲთა არა ხოლო თუ საქმენი, არამედ გულის-სიტყუანიშცა წმიდათა მამათა გამოუცხადენით. და არამცა თვისსა ნებასა შეუდევით, გარნა ყოლადვე სწავლასა მამათასა. და რომელიშცა-იგი მათ გამოძიეს და ამით ესევეითარიტა საქმითა არა ხოლო თუ ქეშმარიტთა გზათა ავლინნეს, არამედ საფრკეთაგანცა ამის სოფლისათა დაიკვის. და არავინ იხილო, რომელი სწავლასა მამათასა შეუდგეს და იგი ეშ-

30

35

მაკმან შეიტყუოს. დადაცათუ არავის მოეღოს მადლი იგი განკითხვისაჲ, არამედ გამოცხადებითა მამათაჲთა გულის-სიტყუანი იგი ბოროტნი დაჭნიან და განილვევიედ. და ვითარცა გუელი, რომელსა გამოითრევედ ბნელისაგან, და იგი მუნვე შეივლტინ, ეგრეცა გულის-სიტყუანი ბოროტნი აღსარებითა მამათა მიმართ ივლტინ კაცისაგან.

[319] ამპარტავანებისათჳს

სული ამპარტავანებისაჲ არს სული მრისხანებისაჲ და ბოროტებისაჲ. ესე არს, რომელმან გამოიყვანა პირველ დაბადებულადამი სამოთხით, რამეთუ თვთ გარდამოიჭრა დიდებისაგან ამპარტავანებითა. და იყოფის იგი ქუესკნელთა შინა და მთავრობს ყოველთა ზედა სულთა მავნებელთა. საშინელ არს. ამისთვის ჯერ-არს ვედრებაჲ და სივლტოლაჲ ღმრთისა მიმართ. ესე არს იგი, რომლისათჳს ჰკითხვენ მოწაფენი უფალსა: ნუუკუე სცოთენ და მის წილ ვისმე თაყუანის-სცენ. და ეტყჳს მათ: ეკრძალენით, ნუუკუე ეშმაკი გარდაიცვალოს ანგელოზად ნათლისად, არამედ უკუეთუ ვინმე გითხრას, აჲა ესერა არს ქრისტე აჲა. გინა იქი, ნუ გრწამნ, ნუცა განხუალთ მისა. ესე მოციქულთა ჩუენთვის ჰკითხეს, ნუუკუე მათ უკმდა, ანუ ეძიებდეს, რამეთუ თვთ მის თანა იყენეს. რამეთუ ეტყჳს მათ: ამიერითგან იხილოთ ძმ კაცისაჲ; მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა ძალითა და დიდებითა დიდითა, ესე იგი არს უკუა[ნა]მსკნელი იგი დიდებული მოსლვაჲ მისი. არამედ მოციქულთა ჩუენდა სამოძღურებელად ჰკითხეს, რამეთუ ეუწყა მათ მზაკუვარისაჲ მის, რომლისათჳს თვთ თავადსაცა იკადრა და გარდაიცვალა ნათლად, ვითარცა წერილ არს, და უჩუენა ყოველი სოფელი, ვითარცა სუფევაჲ თჳსი და რქუა მას: თაყუანის-მეც და მიგცე შენ ესე. ესეცა ჩუენთვისვე თავს-იდვა მან მხოლომან, ნუუკუე ეშმაკსა მას ბუნებასა თჳსსა ძალი რაჲ აქუსა განათლებად? რამეთუ ყოლადვე ბნელ არს და შავ. არამედ თავადმან შეუნდო უცნებაჲ იგი მისა მიმართ სახისა მის სამოძღურებელად ჩუენდა, რამეთუ ესრჳთ უკეთურ არს და ბოროტ. და თუ ვინმე შურებინ, გინა ჰყოფნ მარხვასა, გინა მღკძარებასა, პირველად ამათ ყოველთა ბრძოლად მიუტევის, რომელ ზემო წერილ არიან. და თუ მათ წინა-აღუდგეს და სძლოს შეწევნითა და ძალითა ღმრთისაჲთა, მერმე უკუანამსკნელ თვთ მოვიდის სული იგი ამპარტავანებისაჲ და მოაკსენის შრომაჲ თჳსი, და პირველთა მათ ბრძოლათაჲ წინა-აღდგომაჲ და ძლევაჲ

მათი და გამოცდილებამ და ესოდენთა წელთა შრომამ; ჰირი, მარ-
 ხვამ და მღვდარებამ. და მიაყვანნის სხუანი იგი ბრძოლანი [v] ✓
 და განუნათლის გონებამ. და რეცათუ უძლევიეს, მიერთგან ეს-
 რჭთ დააჯერის და უღებ-ყოფად სცის თავი თვისი და აღუმცირნის
 ქორცნი. უძილად დგან და განსუენებულად ილოცავნ, რეცა ფარ- 5
 თო არნ და სულ-მცირე. და თუ ესე შეიწყნარის, მერმე მცირე-
 ცირედ ღამე სიზმარი უჩუენის, რომელი ყოფადცა არნ. და ვითარ ✓
 იქმნის მიერთგან, მაშინ დაიმოწაფის. და ეგრევე რეცა მადლი იხი-
 ლის ჩუენებასა შინა და თუ ესეცა ჰრწამნ, მიერთგან დაიჯერის,
 რამეთუ სათნო იყო შრომამ მისი ღმერთმან და აღუმადლის გონე- 10
 ბამ და ესავნ თავსა თვსა დამარხვასა მას და მღვდარებასა და
 შრომასა. და მრავალნი სნეულნი და უძლურნი მოიყვანნის მისა და
 ლოცვითა მისითა განიკუ[რ]ნებიედ, რამეთუ შეუნდვის მას ღმერ-
 თმან, რამთა აღნათქუემი იგი აქვე მიიღოს დიდებისაგან კაცთაჲ- ✓
 სა, ვითარცა სახარებასა წერილ არს: „უფალო, არა სახელითა შენი- 15
 თა ვწინაწარმეტყუელბდით და სახელითა შენითა ეშმაკთა განვას-
 ხემდით და სახელითა შენითა ძალთა მრავალთა ვიქმოდეთ“*. და იტ-
 ყუს: მაშინ რქუა მათ: განმეშორენით ჩემგან, არა გიცნი თქუენ, ✓
 წყუელნო, წარვედით ცეცხლსა მას, რომელი განშადებულ არს
 თქუენდა და მამისა თქუენისა ეშმაკისათვს. ესე იგი არს, რამეთუ 20
 მიგეტ თქუენ სოფელსა შინა დიდებამ, რომელი ითხოვეთ მისაგე-
 ბელად თქუენდა. ესრე აუმაღლის და წმიდა უჩნ თავი თვისი და გა-
 ნიკითხავნ ცოდვათა სხვსათა. და ამისა შემდგომად მოიყვანნის უმ- ✓
 რავლ[შ]სნი ეშმაკნი ბრძოლად მისა და იგი, ვითარცა ნუგეშინის-
 ცემელი, მადლით მოვიდის მისა და ნუგეშინის-სცემნ. და სხუანი 25
 იგი განასხნის თულთა წინაშე მისთა. და ესრჭთ მიერთგან თანა-
 ეყვის. და იგი ესავნ და ნუგეშინის-მცემელად მას მოელინ და მოვი-
 დის და მის თანა ეამობნ და ფსალმუნებნ და, ვითარცა იგი ილოცავნ,
 ეგრეცა მან იკადრის ხადიდ მამისა და ძისა და სულისა წმიდისა. ამის- ✓
 თვს შეუნდვის მას ღმერთმან, რამეთუ ნეფსით თავი თვისი მისცა, ვი- 30
 თარცა თქუა მოციქულმან: მონანი ხართ, რომელსაცა დაემორჩილე-
 ნით. და მერმე: [320] რეცა თუ აზიარიან საიდუმლოსა ოცნებით, ვი-
 თარცა ქორცსა და სისხლსა ქრისტშსსა, რეცათუ კელითა ანგელო-
 ზისაჲთა ღირს იქმნა. და მისა შემდგომად გამოუჩნდის ვითარცა
 დიდებამ სამებისაჲ და მას ჰრწამნ და შეიწყნარის იგი და თაყუა- 35
 ნის-სცის. და მუნთქუესევე შევიდის მისა და დასცის იგი და პერი

* მათე 7, 22.

სდინ, და მიერთვან უკურნებელ იქმნის და ვერ შეუტრულეს მას, დაღათუ აღდგენ ნოე და დანიელ და იობ, ვერვე შეუძლონ მას, რამეთუ ნეფსით თავი თვისი მიანიჭა. და ესე არს, რომლისათვის იტყვს უფალი: ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოწყვდნენ კორცნი თქუენნი. არამედ მისა გეშინოდენ, რომელსა-მას უც წარწყმედაჲ სულისა და კორცთაჲ. რამეთუ ეშმაკი ესე კორცთა ოდენ მიეცემის საღმობიერისაჲ სამადლობელად. ხოლო ესე სულთა და კორცთა წარსწყმედს, რამეთუ მრავალნი ამასვე სოფელსა წარწყმიდნეს, რომელთა ესრჳთ შეიწყნარეს იგი. რომელნიმე უცნებით რეცა ეტლითა აღიტაცნეს და ზეცასა შთასთხინეს, რომელთამე სენაკსა თვისსა ცეცხლი აღუდევს და მუნ შინა დაიწუნეს და თუალთამე თავნი მახვლითა მოიკლნეს. რად*... ამას საყუარელნო ანუ... ..მცა გამოგუეცხადა ჩუენ მადლი, ანუ ანგელოზი. არა კმა არსა, ცოდვანი თუ მოგკტევენეს არა ღირსთა ამათსა? დაღათუ მოციქულთა, მის თანა ჯუარცუმულთა, ეტყვს უფალი: ოდეს ესე ყოველი ჰყოთ და აღასრულოთ, თქვთ მონანი ვართ ნარჩევენი და რომელ იგი თანა-გუედვა, ვყავთ რომელსა უნდეს გულის-კმის ყოფად ესე და მოციქულისაჲ, რომელსა ეტყვნ: ეკრძალენ, რომელი ჰკონებდეს დგომასა, ნუუკუე დაეცეს, ეკრძალენ მონაზონი გულის-წყრომასა ზედა და განკითხვასა ძმისასა, რამეთუ ესე სული ამით შეუუვალს კაცსა. სულ მრისხანების ერქუმის და სულ მთავრობის და შეუქდის თავის-მოთნეობით. არამედ ავინა ბრძოლის ქამი მის თანა, რაჲთა სრულიად განაშოროს ღმერთსა ზედა. იტყვს მოციქული: განცოფნეს და განლანეს ამპარტავანებითა. ამისთვისცა მისცნა ივინი ღმერთმან, ესრჳთ აღუმაღლის გონებაჲ და კუნესისა მისისაგან და სულთქუმისათვის შეურაცხითა მით სამოსლითა გარეშქ ოდენ იგი ხატი სიმდაბლე უჩნ. ხოლო შინა[v]განსა მას თვისსა წმიდად ხედავენ და თავით თვისით პატივსა შეაბამნ და ეკრძალებინ სამოსელსა და თმასა თავისა თვისისასა გარდაუტევებედ გრძელად და შეიმოსიან რკინაჲ, რეცათუ ამით სათნო ეყვენენ ღმერთსა და თავით თვისით მისცემედ თმასა თავისა თვისისასა და ფესუსა სამოსლისა მათისასა საკურნებელად სხუათა, რაჲთა დიდებაჲ იგი შრომათაჲ მათთაჲ სასყიდლის კუალად-გებისა წილ მათ მიერ აქუნდეს. ხოლო შენ განეშორე მას და ლიტონითა სამოსლითა და დლითი-დღედ მარხვითა, რომელ ზემო წერილ არს, იყოფოდე და ივლტოდე კაცთაგან, სადა შფოთი და დიდებაჲ მცირედ ოდენ მოგივიდოდის. ნუ

* აქედან ტექსტი დაზიანებულია, ძნელად იყითხება.

დაშჯდები, არამედ ივლტოდე და ნუვის განიკითხავ დაბადებულსა ღმრთისასა, დაღათუ იხილო კაცის-მკლველი, გინა მეძავი. უფროჲს თავისა შენისა შეპრაცხე, რამეთუ ღმერთი არს განმკითხველი და იგი მხოლოჲ არს დამრჩელი, ვითარცა თქუა: ჩემი არს შჯაჲ და მე მივაგო. ეგრძალე გონებასა, დაღათუ ქეშმარიტი ანგელოზი გეჩუენოს. ნუ შეიწყნარებ, არამედ შეპრისხენ მას, რამეთუ ესე სათნო არს მისა. ეგრეცა ყოველი, რომელი იხილო, ნუ შეიწყნარებ მას, არამედ აღდეგ და ილოცევდ. უკუეთუ ქეშმარიტი იყო, დაადგრეს შენ თანა სიხარული და უფროჲსად განგამტკიცოს შენ. უკუეთუ კულა არაწმიდათაგანი იყოს, ერთსავე მას თქუმასა უჩინო იქმნეს. 10 დაღაცათუ და-ვე-ადგრეს, ნუვე სარწმუნო იქმნები, არამედ მივედ და გამოცდილთა ბერთა მრავალთა უთხარ, რაჲთა იკვ განქარდეს და სარწმუნოებაჲ დაემტკიცოს და შენ სრული სიმტკიცჲ გაქუნდეს.

სიტყუანი სჲმასტინნი

15

ღმრთისა სათნოჲ იგი არს, რომელმან არასათნოჲ ღმრთისაჲ საქმჲ არა ქმნეს, რომელმან და ვიდრე კნინადმდე ქეშმარიტებით ქცევაჲ თვისი აღასრულოს, რამეთუ არარაჲ არს კნინი სოფელსა აჲს, რომლისაჲ თქუას ვინმე, თუ მცირედ-ლა რაჲმე უქმდა. რაჲდენი რაჲ გაქუნდეს სოფლისაჲ, ამისგან უკუეთუ ვინმე მიგიღებდეს, ნუ განპრისკნები. ბრძენი უპოვარი, უნათესვოჲ, უმახლობლოჲ მსგავს არს ღმრთისა. თავი შენი განიმტკიცე, უკუეთუ აღ- 20 თქუმად მიგიღებდეს.

ლექსნიკონი

ა

აგზება დანთება: „პირველ აგზებამდე ცეცხლისა“ 286,18.

არგან-ი 21821 ჭოხი, კვერთხი.

არღაგ-ი (ἀργήσιον, τὸ) ტილო. სულარა: „აღღა და განიქსნა არღაგ იგი“ 57,26; 96,23.

აღამ-ი (ἀγώνη, ἡ) 151,5 სივეარულის ტრაპეზი, პურობა.

აღგება (γέμισμα) დატვირთვა, ტვირთის აკიდება: „პოვნა იგინი, რამეთუ აღაგებდეს აქლემსა...“ 128,30.

აღღინება 22,27 აღღგენა, გააცოცხლება.

აღღგომილ-ი აქ: აღიდებული: „რაჟამს აღღგომილ იყო მდინარე იგი“ 144,9.

აღმობერვა (ფსძა) 17,14 შებერვა, ამობერვა.

აღმცირება 113,2 შემსუბუქება: „ვეთარ უთხრა საქმს ესე, მუნთქუენსე აღმცირდა“ 179,1.

აღსრულება 75,12; 231,8 გარდაცვალება, აღსასრული: „აღესრულა ესე სამეოცდაათურამეტისა წლისაჲ სკიტეს“ 146,5.

აღსრულებულ-ი მკვდარი: „გპოეთ იგი აღსრულებული“ 39,21.

აღტვეება ამოწვება: „აღტვეე ქმაჲ და ღალადებდ ქრისტეს“ 109,18.

აღტულოჲ ანთება, აგიზგიზება: „ეითარცა ცეცხლი აღატყდა მას ზელა“ 43,3.

აჟირო (ἀποχύσειον τὸ) გოგრა, ხაპი: „რომელმან აჟიროთთა ღვნოჲ შეიდგა ღლიასა“ 54,4.

აჟროთმა (ἀψ-τροψία) 17,15 შეჟროთმა, შეშინება.

ბ

ბავრუა-ი „მარილს ჰგავს, ოქრომკვდელნი კმარობენ ოქროსა დასადნობად“ (აბა). „პოა მცირს გზასა ზელა ბავრუკი და მოართუა იგი მას“ 22,3.

ბაია 27,15; 30,5 ფინიკი.

ბარსომ-ი (βασίλειον, τὸ) საამისი, ზიარების კურკელი: „უკუეთუ არა გნებაჲს დიკონების, ბარსომი ოდენ იპყრი“ 73,5.

ბერწ-ი 107,2 უშვილო, უნაყოფო.

ბორგვა 9,15 გაგიჟება.

ბოროტ-ი 208,25 ცუდა, ავი.

ბრალ-ი 9,15 დანაშაული, მიზეზი.

ბრჭალ-ი ტერფი, ქუსლი, ფეხი: „ბრჭალამდე ოდენ ვაგონე წყალი“ 38,25.

ბუნება 201,5 არსება, თვისება.

გ

გამოთარგმანება 160,20 განმარტება, ახსნა.

გამოტევაება გამოშვება: „მამაო, წყალი იგი გამოტევე და მტილი იგი მოირწყოს“ 228,5.

გამოქმნა 86,10 ქმნა, კეთება.

გამოჩინება 259,6 გამოჩენა.

გამოცდა გასინჯვა, შემოწმება: „მართუა მამასა ველასის, რაათა გამოცდაოს იგი“ 42,5.

გამოხილვა (ჯურჯა) გამოკვლევა, გამოძიება, აქ: გაჩხრევა: „უბრძანა გამოხილვად სენაქისაჲ“ 28,21.

გამოხუმა 78,12 გამოღება (ობ. მრ.).

გამოქშვა 121,16 გამოხურება: „გამოქშა კარი და გამოვიდა“ 226,9.

განგება 61,11 მოწესრიგება.

განგმობა 49,12 დაგმობა, უარყოფა.

განზოგება (მუჯუ) მუზეზ გაყოფა, განახევრება: „და იყო განზოგებასა ოდენ მის კვრიასისაჲ“ 71,19.

განზოგებულ-ი 232,17 განახევრებული, შუაზე გაყოფილი.

განზრდა გამოზრდა, გამოკება: „განზარდენ კორცი შენნი, რომელსა მონაზონებაჲ აღგიტუჲას“ 55,7.

განთქუმა 151,4 თქმა, თხრობა.

განმარტებულ-ი 8,18 გაშლილი: „უბოე იგი ლოცვასა ზელა და ჭელნი მისნი განმარტებულ იყვნეს“ 38,32.

განმსყიდელ-ი 42,6 ეპქარი.

განმწესებულ-ი გაზრდილი: „რამეთუ ვიხილეთ იგი განმწესებულნი ჰასაკითა“ 58,4.

განოტება 171,10 გაძევა, განდევნა.

განპყრობა გაშლა, აღმართვა: „აღდგა და განიპყრნა ჭელნი ზეცად“ 214,6.

განრომა 33,5; 51,33 ვადარჩენა, თავის დაღწევა: „და განერა მათგან ირემო ერთი“ 150,25.

განრღუეულ-ი 124,5; 153,1 კუტი, საპყარი.

განსოქლომა 26,11 გახეთქა, გაპობა.

განსრულება 229,24 დამთავრება, დასრულება.

განტევაება 106,12 გაშვება, განთავისუფლება.

განფრდილ-ი აქ: მყოფი, მდგომარე: „რომელნი განფრდილ არიან სიძვასა შინა“ 158,6.

განქიქება 54,5 გამელაენება, შერცხვენა.

განყენება 148,4 განდგომა, გაცლა: „განაყენა ყოველი კაცობრივი საქმჲ“ 51,24.

განყენებულ-ი 10,1 გამდგარი, გამოვრებული.

განჩება 130,22 განკუთვნება, გამოჩევა.

განცემა 61,25 ლალატი.

განწყობა 20,17 განლაგება, განრიგება.

განქლომა 140,15 ვასვლა.

გარდავლა 234,15 გადავლა, გასვლა.

გარდამოთხევა გადმოფრქვევა, გადმოღერა: „ცრემლნი გარდამოთხინა“ 16,10.

გარდაცუმა ფეხის-ფეხზე გადადება, მორთხმა: „ფერკნი გარდაცუნა მას ზედა“ 233,18.

გარეშე 255,19 გარეთ გარეგან.

გარეწარი-ი 70,13 გარეშე, ზედმეტი.

გბოლვილ-ი 48,5 მოხარშული წენიანი საქმელი.

გება 51,11 მოცდა, დალოდება.

გებულ-ი აქ: მისაღები, შესაწყნარებელი: „ღმერთმან დაუმარბოს შრომაჲ იგი მისი გებულად“ 37,23.

გონება (αἰσθησιμαί) გრძნობა, შემჩნევა, გაგება: „ბრქალაღე ოდენ ვაგონე წყალი იგი“ 38,25.

გონჯ-ი 23,26 კეთროვანი.

გრკალ-ი (χρῖσος, ὀ) 118,4 რგოლი, რკალი.

გრძნება 28,14 ჭადოქრობა, გრძნეულება.

გუემა 47,4 ცემა, ტანჯვა.

გუმერა (γῦσθα) დარტყმა, კერა: „უგმირა უხუცესმან მრწემსა მას“ 128,2.

გულდებულ-ი გულდანდობილი: „ეზიარე გულდებულად წმიდასა მას საი-საიდუმლოსა“ 145,25.

გულის-კლება 22,13 წყენა, წუხილი.

გულპურობილ-ი (ψαρξῆσ) 24,22 იმედიანი.

დ

დაბრკოლება 58,17 ხელის შეშლა, შეფერხება.

დაბეკულ-ი 233,16 დაგლეჯილი, დაფლეთილი: „ემოსა ნემსითა წულილად დაბეკული სამოსელი“ 230,12.

დადგინება 53,25 დადგენა, დანიშვნა: „დადამიდგინეს ჰე ხუცად დაბასა“ 119,6.

დადნობა დაღვენა, დაცვეთა: „მოკლებამან პურისამან დაადნენის კორცნი მონაზონისანი“ 76,8.

დავარდნა 14,25 დაცემა.

დავრდომილ-ი 24,3 დაცემული, დავარდნილი.

დათმენა 108,9 მოთმენა.

დათხევა 45,5; 113,18 დარჩენა: „განვაფრთხე სული მისი, რადთა არა მწუხარებითა დაითხოოს“ 29,24.

დამარხვა 23,3; 24,18 შენახვა, დაცვა: „დაიმარხე ენაჲ შენი და დაიმარხენ გულის-სიტყუანი შენნი გულითა წმიდითა“ 263,17.

დამაშურად-ი 134,11 დაქანცული, დაღლილი.

დამზერა 173,11 თვალთვალი, დაყურება.

დამოკიდებულ-ი ჩამოკიდებული: „ეჩუენა მას კელი კაცისაჲ დამოკიდებულ-ი ზეცით“ 27,25.

დამარჩილ-ი 303,4 განმსჯელი.

დამტკიცება 220,23 დადასტურება.

დამტკიცებულ-ი 101,10 ასაკში შესული, მოხუცი.

დანდალ-ი 52,24 ლაგამი, აღვირი.

დარღვევა (უტრეფა) დაქცევა, დამხოვა: „დაირღვენ საკერპონი, და იუო ეგრე და დაირღვენ 39,17.

დასაბამ-ი 31,12; 129,17 დასაწყისი. თავი: „ყოველსა საქმესა დასაბამი აქუს შრომაჲ“ 113,7.

დასხმა (ფუტანა) 11,23 დარგვა.

დაპყრობა დაქერა: „შევიქმენ სირცხვლითა, ვითარმცა ვინმე სიძვასა ზედა დამაპყრა“ 210,4.

დაუცადებელად განუწყვეტლივ: „ესრეთ დაუცადებელად ტირს“ 122,9.

დაფხურა (ღჳ რღწა) 11,21 ამოგლეჯა.

დაუენება (ღამუბანა) დაქერა, შებოკვა: „მემედეს და იტუოდეს: ...დაუყავთ მაგას, დაუყავთ!“ 119,16.

დაუუღება (ჩესუჯღა) მყუდროება, სიმშვიდე: „არა მიტეევენ ჩუნ დაუუღებად დღე ყოელ?“ 211,12.

დაუუღებულ-ი (ჩესუჯღოვ, ივთი) 218,14 დამშვიდებელი, დაწყნარებელი.

დაშენება 55,12 დასახლება, ჯდომა.

დაშობა დახრჩობა: „დათუსა დაეაშობდ“ 183,1.

დაშურომა 56,23; 81,31 დაღლა.

დაცხრომა 135,27 დამშვიდება, დაწყნარება.

დაჩეჩვლ-ი 103,6 დამსხვერუელი, დაჩეჩველი.

დაწულვა 19,2 დაქერა.

დაქსნა 10,10; 255,12 დახსნა, დარღვევა. მოშლა.

ღებავი 14,14 აბრეშუმი.

ღევნა 98,9 მიღვენა, მიყოლა.

ღვრე 183,11 მორი, ძელი.

ღიასპანი 43,21 მოციქული.

ღიღეულ 72,1 დილით.

ღრკუ 85,10 მრუდე, ვახრილი: „არა ჰრქვან მართალი სიტყუაჲ, არამედ ღრკუი. და თუ იხილიან, რამეთუ ჰყოფედ ღრკუსა მას, არღარა ღრკუსა ეტყუედ“ 93,22.

ღრაჰკანი 34,17 ოქროს ფული.

ღრეკა 260,1 მოხრა, მოქცევა.

ე

ერგასის-ი ასის ნახევარი, ორმოცდაათი: „დაეყო ერგასისი წელი“ 35,18.

ერდო 153,1 ბანი: „და აღიყვანა იგი ერდოსა ზედა“ 139,7.

ერვინდ-ი მცენარე: „მივართუა ფარულად ერვინდი ჩემი მგებურესა“ 70,1.

ერთბამად 114,6 ერთად.

ერთ ბერ (ბჳმ) 15,7 ერთად.

3

ვასხება 96,19 სესხება.

ვნება 194,27 ზიანის მიყენება.

ვნებულ-ი 198,17 დაშავებული.

ზ

ზაკუვა ცბიერება: „მზაკუვენ მტერი და არა მიტყევენ...“ 59,25.

ზებენ-ი (ζεβενιον, τὸ) პალაის ქერქი: „ცანდალნი ზებენისანი“ 17,1.

ზელა-დაკრება (βλάκω) აღება, ტვირთვა: „რამათა ბრალი თვისი თავსა თვისსა

ზელა-დაიკრიბოს წინაშე ღმრთისა“ 8,12.

ზეღგომით 52,10 ფეხზე, ზეზე.

ზმნობა 42,27 განზრახვა, ნდომბა: „ვაზმნი მისლვად და თხრობად“ 59,21.

ზოგ-ი ნახევარი: „განეხო ზოგიცა ესე და მივსცე ნახევარი და ნახევარი მე წარმოვირტყა“ 154,15.

ზორვა 117,3 მსხვერპლის შეწირვა.

ზრახება რჩევა, დარიგება: „ტიმოთე აზრახა ხუცესსა, რამათა განჯაღოს იგი“ 175,11.

ზრახვა საუბარი, ლაპარაკი: „არა ზრახავთ მართალსა“ 130,29.

ზუაობა 271,10 მედიდურობა.

ზღვევა 34,23 სასჯელი, დასჯა.

თ

თვად-ი 115,10 თვით, თვითონ.

თანამზრახვად-ი მრჩეველი: „მთავარსა ვისმე, მეფისა თანამზრახვალსა, სამეუფოს ცოლი ესუა ქმნულეებითა შუენიერი“ 115,16.

თარგმან-ი (ἐρμηνεύς, εἰς, ἄ) თარჯიმანი: „ბერმან არა იცოდა ბერძული და თარგმანი არა გუაქუნდა“ 162,19.

თვსაგან (τῶν) ცალკე, განკერძოებით: „დაჯღის თვსაგან“ 168,2.

თხზვა 27,15 ქსოვა.

ი

ისარნა გობი; აუზი: „შთაასხმიდა ისარნასა გამდინარესა“ 13,6.

იფქლ-ი 31,29; 72,11 ხორბალი: „შემუსრა თავი ერთი იფქლისა და შექამა“ 90,17.

იშვთ 16,18; 35,19 დრო და დრო.

იძულეება 28,29; 81,27 ძალის დატანება, შეწუხება.

კ

კაბო (κάβος, ος, ἄ) საწყაო: „ორითა კაბოთა ქრთილისა. ფქვილითა გარდავლო ორი თუქ“ 32,14.

კადნიერება 204,22 მხნეობა, გაბედულება.

კალო: „ანუ გგონივსა, ვითარმედ კალოდ მოსრულ ხარ?“ 36,15.

კამას-ი (კამასი) გარკვეული ჯიშის თევზისა: „სამოსელი ხალხისა და თმისა კამასისა სპეტაკი“ 17,1.

კანჭარი-ი გარეული ვირი: „ვითარცა ლომი კანჭართა ზედა საშინელ არს“ 156,24.

კარაულ-ი 42,30 სახეღარი: „მოიგო საკმრად მონასტრისა კარაულე ბიცა სატვრთველად“ 45,33.

კაფა 30,5 ჭრა.

კდემა 85,20; 93,18 მორცხეობა, რიდება.

კერაბ-ი წვრილი ფული: „მოვიგებ ორსა კერატსა დღესა შინა“ 202,9.

კერმა (კერმა, ტბ) ფულის ერთეული: „სცა მას ოქროს და კერმაჲ“ 47,22. 258,14 ?

კესტ-ი (კისტე, ჯ) ყუთი: „მომართუეს ჩუენ ალექსანდრიოჲთ კაცულ-კაცადმან კესტითა ზეთი, დავოზილი ცარცითა“ 210,17.

კეც-ი 36,1 თიხა, თიხის ფირფიტა.

კინდონ-ი მხრებზე მოსასხამი: „მცირე კინდონი იყო მქართა მისთა“ 235,2.

კიცხევა 21,6; 130,11 დაცინვა, მასხრად აგდება.

კმა საკმარისი: „კმა არს მონაზონისათეს უამიცა ერთი“ 11,16.

კოლოზ-ი (კოლოზ, ოს, ბ) 255,13; „ერთი კოლოზი ემოსა უსაქლოჲ“ 235,2.

კომხ-ი (კომე, ჯ) 73,21; 137,4 მთავარი.

კრებულ-ი საზოგადოება, ხალხის თავყრილობა: „აჲა ესერა კრებული მოციქულთა მოიწია“ 224,23.

კრულ-ი 27,15 შეკრული, შეკვრა: „მოითხოვა მისგან ერთი კრული ბაჲაჲ“ 134,5.

კრძალვა 17,30 სიფთხილე, დაცვა.

კუართ-ი 96,21 ტანსაცმელი, პერანგი: „ორი კუართი ეცუა უსაქლოჲ 73,19.

კუმევა 90,25 კმევა.

კურკა კურკა, კურკლი: „პოა ბერმან აქლემისა კურკაჲ, და განტეხა იგი“ 218,3.

კუკულ-ი, კუნკულ-ი (კოსთოსი, ტბ) 34,26; 73,20 ბერის ქელი: „გარდაეცუა კუკული მცირე“ 91,6.

ლ

ლავრა (ლავრა, ჯ) 106,3 დიდი მონასტერი.

ლაღვა დავა, ცილობა: „და ვითარ ილაღვი დეს ესმა ებისკოპოსსა შფოთი იგი“ 96,5.

ლერწმონან-ი (ლერწმონ, ბ) 219,4 ლერწმონი ადგილი.

ლელუსულელ-ი: „ბერმან განიყვანა იგი მტილად და უჩუენა მას ძირი ლელუსულელისაჲ, რომელი ძველითგან აღმოფხურელ“ 62,24.

ლიქნა 45,11 ხეყნა, მუდარა.

მ

- მაგრობით 42,32 ძლიერ, ღონიერად.
